ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის

მაცნე

675-ფ/
1976/2

ფილოსოფიის,
ფსიქოლოგიის,
ეკონომიკისა და
სამართლის სერია

4 · 1976

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე

ИЗВЕСТИЯ АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, ეკონომიკისა და სამართლის სერია

СЕРИЯ ФИЛОСОФИИ, ПСИХОЛОГИИ, ЭКОНОМИКИ И ПРАВА

13282

თბილისი
ТБИЛИСИ

4 · 1976

კ. მარქსის სახ. საქ. სსრ სახელმწიფო რესპუბლიკა ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟურნალი გამოდის 3 თვეში ერთხელ
Журнал выходит раз в 3 месяца

სარედაქციო კოლეგია: ნ. ჭავჭავაძე (რედაქტორი),
ა. ბოჭორიშვილი, ვ. გრიგოლავა (რედაქტორის მოადგილე), პ. გუგუშვილი,
გ. თევზაძე, ი. მიქელაძე, ა. ფრანგიშვილი, თ. წერეთელი

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ: Чавчавадзе Н. З. (*редактор*),
Бочоришвили А. Т., Григолава В. В. (*зам. редактора*), Гугушвили П. В.,
Тевзадзе Г. Б., Микеладзе И. С., Прангишвили А. С., Церетели Т. В.

პასუხისმგებელი მდივანი გ. ბოჭორაძე
Ответственный секретарь **Г. Г. Бочорадзе**

რედაქციის მისამართი: თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., № 19
Адрес редакции: Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

ტელეფონი 37-95-46 телефон

ხელმოწერილია დასაბეჭდად 16.12.76; შეკვ. № 2771; ანაწყობის ზომა 7×11½; ქაღალდის ზომა 70×108¹/₁₆; ნაბეჭდი თაბახი 14,77; სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 15,12; უე 15067; ტირაჟი 800
ფასი 1 მან.

*

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19.

*

საქ. სსრ მეცნ. აკად. სტამბა. თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Грузинской ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაარსი

რ. ბალანჩივაძე, სკკპ 25-ე ყრილობა და ადამიანის კომპლექსური კვლევის ზოგიერთი თეორიული საკითხი 5

ფილოსოფია

ზ. ხასაია, ირაციონალურის ეგზისტენციალისტური ცნების კრიტიკისათვის . . 22
მ. მახარაძე, პირველმიზეზის კატაფატიკური დასასიათება ფსევდო-დიონისე არეოპაგელის ფილოსოფიაში 37
ა. კაციტაძე, კრიტიკული რეალიზმი და მშვენიერების პრობლემა 53
რ. ბალანჩივაძე, ფრანგულ „ათეისტურ“ ეგზისტენციალიზმში ადამიანის თავისუფლების გაგების კრიტიკისათვის 68

ფსიქოლოგია

ვ. გრიგოლავა, კონტრასტული ილუზია, არაცნობიერი და განწყობა 74
შ. გოგეჩია, არასრულწლოვანთა დანაშაულებრივი ქცევის მოტივაციური სფეროს საკითხისათვის 86
ვ. ჯელიძე, ასიმილაციისა და კონტრასტის ეფექტები სოციალურ ღირებულებათა შეფასების პროცესში 94
ა. ალხაზიშვილი, სწავლის დიფუნქციონალური ბუნების შესახებ 108

ეკონომიკა

დ. კურტანიძე, შრომითი რესურსების როლი მწარმოებლურ ძალთა გაადგილებაში 116
მ. ტულუში, თბილისის შრომითი რესურსების ფორმირების დემოგრაფიული ასპექტები 123
ა. გოგიტიძე, მეურნეობრივი ანგარიშიანობა კოლმეურნეობებში 137
რ. სარჩიმელია, ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელირება რამდენიმე მიზნის ფუნქციით 148
ა. სისვაძე, წარმოებრივი მარაგის მართვის არსებული სისტემა და მისი სრულყოფის საკითხები 156
ვ. გუგავი, დ. უკლება, მუშაობის განაწილების პროცესის მოდელირება სამრეწველო წარმოების უბანზე 164
გ. ძარჩავა, ჩაის კულტურის განვითარება საბჭოთამდელ საქართველოში . . 172

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

გ. ნადარეიშვილი, აუცილებელი შენიშვნები 186

СОДЕРЖАНИЕ

Р. БАЛАНЧИВАДЗЕ, XXV съезд КПСС и некоторые теоретические вопросы комплексного исследования человека 5

ФИЛОСОФИЯ

З. ХАСАЯ, К критике экзистенциалистического понимания иррационального . 22
М. МАХАРАДЗЕ, Катафатическая характеристика первопричины в философии Псевдо-Дионисия Ареопагита 37
А. КАЦИТАДЗЕ, Критический реализм и проблема прекрасного . . . 53
Р. БАЛАНЧИВАДЗЕ, К критике понимания свободы человека во французском «атеистическом» экзистенциализме 68

ПСИХОЛОГИЯ

В. ГРИГОЛАВА, Контрастные иллюзии, непознаваемое и настроение . . 74
Ф. ГОБЕЧИЯ, К вопросу о мотивационной сфере преступного поведения несовершеннолетних 86
В. ЧЕЛИДЗЕ, Эффекты ассимиляции и контраста в процессе оценки социальных ценностей 94
А. АЛХАЗИШВИЛИ, О дифункциональной природе учения 108

ЭКОНОМИКА

Д. КУРТАНИДЗЕ, Роль трудовых ресурсов в размещении производительных сил 116
М. ТУГУШИ, Демографические аспекты формирования трудовых ресурсов Тбилиси 123
А. ГОГИТИДЗЕ, Хозяйственный расчет в колхозах 137
Р. САРЧИМЕЛИЯ, Экономико-математическое моделирование с несколькими целевыми функциями 148
А. СИСВАДЗЕ, Действующая система управления производственными запасами и пути ее совершенствования 156
В. БУГАЕВ, Д. УКЛЕБА, Моделирование процесса распределения работ на участке промышленного предприятия 164
Г. КАРЧАВА, Развитие чайной культуры в досоветской Грузии . . . 172

КРИТИКА И БИБЛИОГРАФИЯ

Г. НАДАРЕЙШВИЛИ, Необходимые поправки 186

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკკპ XXV ყრილობა და ადამიანის კომპლექსური კვლევის ზოგიერთი თეორიული საკითხი

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის 25-ე ყრილობა ახალ მაღალ ნიშანსვეტად აღიმართა ჩვენი პარტიისა და ხალხის ცხოვრებაში. მან არა მარტო შეაჯამა ჩვენი ქვეყნის წინსვლა ეკონომიკაში, მეცნიერებასა და კულტურაში, არამედ დასახა მომავალი განვითარების მასშტაბური პერსპექტივები, აღანთო საბჭოთა ადამიანები ნათელი მომავლის ღრმა რწმენით, კომუნიზმის იდეალებისადმი დიდი ერთგულებით.

სკკპ 25-ე ყრილობამ თვალნათლივ აჩვენა, რომ ჩვენი პარტიის მთელი საქმიანობა, მისი როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკა იქითკენაა მიმართული, რომ კიდევ უფრო ამაღლდეს საბჭოთა ადამიანების მატერიალური და სულიერი კეთილდღეობა, გაუმჯობესდეს მათი ცხოვრების დონე. ყრილობამ ერთხელ კიდევ დაადასტურა, რომ ჩვენი პარტიისა და მთავრობის მთელი საქმიანობის ცენტრში დგას და მისი ზრუნვის ობიექტს წარმოადგენს ადამიანი. შეეხო რა პარტიის ეკონომიკურ სტრატეგიას და იმ სოციალურ-ეკონომიკურ ამოცანებს, რომელნიც ახლა ჩვენი ქვეყნისა და ხალხის წინაშე დგას, სკკპ 25-ე ყრილობაზე ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამ ამოცანათა წარმატებით გადაწყვეტა შესაძლებელს გახდის „საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის დონის შემდგომ ამაღლებას, მათი შრომისა და ყოფაცხოვრების პირობების გაუმჯობესებას, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, კულტურის მნიშვნელოვან პროგრესს — ყოველივე იმას, რაც ხელს უწყობს ახალი ადამიანის ჩამოყალიბებას, პიროვნების ყოველმხრივ განვითარებას, ცხოვრების სოციალისტური წესის სრულყოფას“. ხოლო პარტიის იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის დახასიათებისას ამხ. ი. ლ. ბრეჟნევმა თქვა: „საანგარიშო პერიოდში ადამიანთა იდეური აღზრდის საკითხებს, კომუნიზმის ღირსეული მშენებელი ახალი ადამიანის ჩამოყალიბების პრობლემებს დიდი ადგილი ეკავა მთელ ჩვენს მუშაობაში“[1].

ადამიანი და მისი ბედნიერება! — აი, რა იყო და არის ჩვენი პარტიის საზრუნავი მისი (ამ პარტიის) შექმნიდან დღემდე. ადამიანების უშიშროების უზრუნველყოფა, მისი ცხოვრების დონის ამაღლება, მისი შეგნებულობა და ღრმა იდეურობა! — აი, რა შეადგენს ჩვენი პარტიის საქმიანობის მთავარ, მაგისტრალურ ხაზს. აი, რატომ არის ჩვენი პარტია ყველაზე ჰუმანური, ყვე-

---

[1] ლ. ი. ბრეჟნევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ანგარიში და პარტიის მორიგი ამოცანები საშინაო და საგარეო პოლიტიკის დარგში, მოხსენება სკკპ 25-ე ყრილობას, 1976 წლის 24 თებერვალს 1976, გვ. 55, 99.

ლაზე კაცთმოყვარე პარტია. ამიტომ, რაც უფრო წინ მიდის ჩვენი ქვეყანა კომუნისტური საზოგადოების აშენების გზაზე, მით უფრო იზრდება ზრუნვა და ყურადღება ადამიანებისადმი.

აღნიშნული ვითარება კარგად დაადასტურა საქართველოს კომპარტიის მორიგმა 25-ე ყრილობამაც, სადაც დიდი, ღრმა მეცნიერული მსჯელობა გაიმართა ადამიანზე და მის საქმეებზე, მის ფიქრებსა და განცდებზე, მის საჭიროებებსა და მოთხოვნილებებზე. შეეხო რა იმ სპეციფიკურ ნიშანს, რომელიც საქართველოს კომპარტიის აღნიშნულ ყრილობას ახასიათებდა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ე. ა. შევარდნაძემ ასეთად სწორედ ადამიანი და მასზე ზრუნვა დაასახელა. თავის საბოლოო სიტყვაში ამ ყრილობაზე მან თქვა: „...ყოველ ყრილობას თავისი განმასხვავებელი თვისებები, თავისებურებები აქვს. თავისებურებები აქვს საქართველოს კომპარტიის 25-ე ყრილობასაც. ახლა, როცა დადგა ყრილობის მუშაობის ბოლო დღე და მალე ყველანი დაუბრუნდებით თქვენს ქალაქებსა და რაიონებს, თქვენს პარტიულ ორგანიზაციებს, ბუნებრივია, თითოეულ თქვენგანს დაებადება კითხვა: რა განმასხვავებელი თვისება ჰქონდა ამ ყრილობას, რა იყო მისი თავისებურება?

ყრილობის დელეგატები, მისი ყველა მონაწილე ერთსულოვანი და ერთი აზრის არიან, რომ ყრილობაზე ჭეშმარიტად დიდი, შინაარსიანი, საქმიანი და საინტერესო სჯა-ბაასი გაიმართა. ეს ასეა, მაგრამ მაინც რა არის ყრილობის მთავარი გეზი, რა არის მისი მთავარი პრობლემა, რა იყო მისი ყურადღების ცენტრში?

ამ კითხვას რომ ვუპასუხოთ, უნდა აღვნიშნოთ: პარტიის ცენტრალური კომიტეტი, ყრილობისათვის რომ ემზადებოდა, იმით ხელმძღვანელობდა, რომ პარტიის ყრილობაზე უნდა მოსულიყო ბოლო წლების მანძილზე გაწეული პარტიული მუშაობის შესახებ პოლიტიკური ანგარიშით. პარტიული მუშაობა კი, როგორც უკვე ითქვა, ადამიანთან მუშაობა, ადამიანის აღზრდაა.

სწორედ ამიტომ საანგარიშო მოხსენებას საფუძვლად დაედო ადამიანის პრობლემა, ჩვენი საბჭოთა ადამიანისა, მისი საქმეები და საზრუნავი, მისი ფიქრები და განცდები, მისი საჭიროებები და მოთხოვნილებები.

ადამიანი საწყისთა საწყისია!

ადამიანი ქვეყნად ყოველივე მშვენიერის შემოქმედია!

ადამიანი სამყაროს საუკეთესო მშვენებაა!

„რა სასწაულის მოხდენა შეუძლიათ ადამიანებს“ — უთქვამს ვლადიმერ ილიას ძე ლენინს, როცა „აპასიონატს“ ისმენდა.

„ადამიანი — რა ამაყად ჟღერს!“ — წერდა ალექსი მაქსიმეს ძე გორკი ცარიზმის ყველაზე შავბნელ წლებში.

ჩვენს დღეებში, განვითარებული სოციალიზმის ქვეყანაში, რომელიც კომუნიზმის გზას უკვალავს მთელ კაცობრიობას, არ არის და არაფერი შეიძლება იყოს ადამიანზე ძვირფასი, ადამიანზე უმაღლესი, ადამიანზე უმშვენიერესი, ადამიანი ჭეშმარიტად ჩვენი ყველაზე ფასდაუდებელი საუნჯეა, ჩვენი მთავარი, უდიდესი კაპიტალია.

სწორედ ამიტომ, ჩვენ, კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე მოწინავე, ყველაზე სამართლიანი საზოგადოების მშენებლებს გვსურს, რომ კიდევ უფრო ამაყად ჟღერდეს სიტყვა — ადამიანი!

სწორედ ამიტომ მთელი სჯა-ბაასი ჩვენს ყრილობაზე ადამიანის ირგვლივ მიმდინარეობდა, ადამიანის ინტერესებს მიეძღვნა.

სწორედ ამიტომ ყრილობის მთელი მუშაობის მთავარი გეზი, წითელი ზოლი, მისი შესწავლის მთავარი ობიექტი გახდა ადამიანი — ჩვენი თანამედროვე და ხვალინდელი დღის ადამიანი"[2].

ეს ვრცელი ამონაწერი ამხ. ე. ა. შევარდნაძის საბოლოო სიტყვიდან საქართველოს კომპარტიის 25-ე ყრილობაზე, ვფიქრობთ, არავითარ კომენტარს აღარ საჭიროებს, რამდენადაც მასში არაჩვეულებრივად ღრმად, არაჩვეულებრივად ამომწურავად და მრავალმხრივ არის მოცემული ადამიანის დახასიათება და ნაჩვენებია ის დიდი ზრუნვა, რასაც ახლა პარტია იჩენს ადამიანისადმი, როგორც ყველა სხვა ღირებულებათა შორის ყველაზე უმაღლესი ღირებულებისადმი.

ადამიანისადმი პარტიისა და მთავრობის გამუდმებული ზრუნვის ერთერთი გამოხატულებაა ზრუნვა კომუნისტური საზოგადოების აშენებისა და კომუნიზმის ღირსეული მშენებელი ახალი ადამიანის ფორმირებისადმი. საქმე ისაა, რომ ზრუნვა კომუნისტური საზოგადოების აშენებაზე და ყოველმხრივ, ჰარმონიულად განვითარებული ადამიანის ჩამოყალიბებაზე — ეს ერთდროული პროცესია არა მარტო იმ აზრით, რომ კომუნიზმი, არა თუ რეალურად განხორციელებადი, უბრალოდ მოუაზრებადიც კია კომუნისტური შეგნების, კომუნისტური კულტურის, კომუნისტური მსოფლმხედველობის ადამიანების გარეშე, არამედ იმ აზრითაც, რომ კომუნისტური საზოგადოება სწორედ ის საზოგადოებაა, რომელიც უქმნის ადამიანს ყოველგვარ პირობას ყოველმხრივი და ჰარმონიული განვითარებისათვის, ფართო შემოქმედებითი აქტივობისათვის. ერთი სიტყვით, ზრუნვა კომუნიზმის აშენებაზე ეს იგივეა, რაც ზრუნვა ადამიანის ბედნიერებაზე, ზრუნვა მის სრულყოფაზე, მისი შემოქმედებითი უნარების მაქსიმალურ გაშლაზე.

რაკი კომუნიზმი არ შეიძლება არსებობდეს კომუნისტური მსოფლმხედველობისა და კომუნისტური შეგნების ადამიანის გარეშე, ბუნებრივია, პარტია არა მარტო ზრუნავს ქვეყნის ეკონომიკურ განმტკიცებაზე და, ამ აზრით, კომუნიზმის შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაზე, არამედ იგი დიდ ყურადღებას უთმობს ადამიანის ყოველმხრივი განვითარების საკითხებსაც. ამასთან დაკავშირებით, არ შეიძლება არ გავიხსენოთ ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვები, წარმოთქმული სკკპ 24-ე ყრილობაზე: „დიად საქმეს — კომუნიზმის მშენებლობას — წინ ვერ წავწევთ, თუ ყოველმხრივ არ განვავითარეთ ადამიანი. ადამიანთა კულტურის, განათლების, საზოგადოებრივი შეგნების, შინაგანი სიმწიფის მაღალი დონის გარეშე კომუნიზმი შეუძლებელია ისევე, როგორც შეძლებულია იგი შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გარეშე"[3].

---

2. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება საქართველოს კომპარტიის 25-ე ყრილობას, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. ე. ა. შევარდნაძის მოხსენება, თბილისი, 1976, გვ. 167—168.

3. სკკპ 24-ე ყრილობის მასალები, 1971, გვ. 105.

რაკი კომუნისტური საზოგადოება კომუნისტური ზნეობის, კომუნისტური შეგნების ადამიანს გულისხმობს უპირველეს ყოვლისა, ჩვენი პარტია ახლა უდიდეს ყურადღებას აქცევს არა მარტო ადამიანთა ზნეობრივ აღზრდას, არამედ იგი უკომპრომისო და შეურიგებელ ბრძოლას აწარმოებს სოციალისტური ზნეობის ნორმებიდან გადახვევის ყოველი ფაქტის წინააღმდეგაც. ამიტომაა, რომ ახლა ჩვენმა პარტიამ დიდი ბრძოლა გამოუცხადა მექრთამეებს, კომბინატორებს, მომხვეჭელებს, ხულიგნებს, ლოთებს, უსაქმურებს, მათ, ვინც არცხვენენ საბჭოთა ადამიანის საპატიო სახელს, მათ, ვინც ჩაფლულან კერძომესაკუთრულ ინსტინქტებში და თავიანთი ვიწრო ნაჭუჭის იქით არ იყურებიან „რაც უფრო მეტად ვითარდება ჩვენი საზოგადოება, მით უფრო შეუწყნარებელი ხდება სოციალისტური ზნეობის ნორმებიდან გადახვევა, რასაც ჯერ კიდევ ვაწყდებით. მომხვეჭელობა, კერძომესაკუთრული ტენდენციები, ხულიგნობა, ბიუროკრატიზმი და ადამიანისადმი გულგრილობა ეწინააღმდეგება თვით ჩვენი წყობილების არსს“ — ამბ. ლ. ი. ბრეჟნევის ეს სიტყვები კარგად მიუთითებენ, რომ ჩვენში ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლა იმიტომ კი არ გამძაფრდა, თითქოს ამ მოვლენებმა იმატეს ჩვენი საზოგადოების ცხოვრებაში, არამედ იმიტომ, რომ რაც უფრო წინ მივდივართ კომუნიზმის მშენებლობის გზაზე, მით უფრო მტკივნეულად განიცდება ნეგატიური მოვლენების ერთეული ფაქტიც კი.

სწორედ ასე მტკივნეულად განიცადა ჩვენმა პარტიამ და მთელმა საბჭოთა ხალხმა საქართველოში წლების წინ შექმნილი ვითარება, რაც გამოიხატა, ერთი მხრივ, პარტიული ხელმძღვანელობის ლენინური პრინციპების დარღვევასა და სუბიექტივიზმისა და ვოლუნტარიზმის გავრცელებაში, ხოლო, მეორე მხრივ, ნეგატიური მოვლენების — მექრთამეობის, მომხვეჭელობის, კომბინატორობის, მავნე ტრადიციების, კერძომესაკუთრული ტენდენციების, პროტექციონიზმის და ა. შ. ფეხმოკიდებაში. სწორედ ამ გულისტკივილმა საქართველოში გამეფებული ნეგატიური მოვლენების გამო მიაღებინა 1972 წლის 22 თებერვალს სკკპ ცენტრალურ კომიტეტს თავისი ცნობილი დადგენილება თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ ეს დადგენილება მკაცრად აკრიტიკებდა საქართველოს კომპარტიას ჩვენში შექმნილი ვითარების გამო, გამოხატულება იყო იმ დიდი ზრუნვისა და ამაგისა, რომლითაც გამსჭვალულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია საბჭოთა ხალხისადმი, საერთოდ, და ქართველი ხალხისადმი, კერძოდ. დადგენილების ძირითადი მიზანი უკეთილშობილესი და უაღრესად ჰუმანური იყო — დაენახვებინა ქართველი ხალხისათვის რესპუბლიკაში შექმნილი არასახარბიელო ვითარება. დაეძებნა ქართველ კომუნისტებში, რომლებიც ყოველთვის იყვნენ მოწინავეთა შორის, ძალები, რომლებიც დაძლევდნენ ნეგატიურ მოვლენებს და კვლავაც აღადგენდნენ ჯანსაღ მორალურ-ფსიქოლოგიურ კლიმატს.

ახლა უკვე ყველასათვის, როგორც მოყვრისათვის, ისე მტრისათვის, როგორც შინაურისათვის, ისე გარეულისათვის, აშკარაა, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი არ შეცდა, როცა გამოთქვა ღრმა რწმენა იმისა, რომ საქართველოს პარტიული ორგანიზაცია მოახერხებდა თავის მუშაობაში არსებული ნაკლოვანებების დაძლევას და კვლავაც მოწინავეთა რიგებში ჩადგებოდა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ახალმა შემადგენლობამ, ხელმძღვანელობდა რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ, მთელ ქართველ ხალხთან ერთად, წარმატებით დასძლია სუბიექტივიზმი და ვოლუნტარიზმი პარტიულ ხელმძღვანელობაში, შედარებით მოკლე დროში მოახერხა აელაგმა მექრთამეობა, კომბინატორობა, სპეკულაცია და ა. შ. და ჯანსაღი მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატი დაემკვიდრებინა რესპუბლიკაში.

მართალია, არავის უთქვამს და, ალბათ, არც არავინ აპირებს ჯერჯერობით თქმას, რომ, ამ მხრივ, ჩვენში ყველაფერი იდეალურადაა, რომ, ვთქვათ, ჩვენში უკვე აღარაა არც მექრთამეობა, არც მომხვეჭელობა და ა. შ. მაგრამ ის, რაც გაკეთდა ამ მოკლე ხანში, ეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის და ჩვენი ხალხის ტიტანური შრომის შედეგია.

სწორედ ამ დიდი შრომის დაფასებას წარმოადგენდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის 22 ივნისის ის ახალი დადგენილება, რომელმაც მაღალი შეფასება მისცა საქართველოს პარტიული ორგანიზაციის მთელ საქმიანობას და რომელიც იმ დიდი ზრუნვისა და ამაგის, იმ დიდი სითბოსა და ყურადღების ნათელი დემონსტრაციაა, რომლითაც სკკპ ცენტრალური კომიტეტი და პირადად ამხ. ლ. ი. ბრეჟნევი არიან გამსჭვალულნი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისადმი, შრომისმოყვარე და კომუნისტური იდეალებისათვის თავდადებული ქართველი ხალხისადმი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის 22 ივნისის დადგენილება უაღრესად დიდი ისტორიული მნიშვნელობის მქონე დოკუმენტია ჩვენი ხალხის, ჩვენი რესპუბლიკის, ჩვენი პარტიული ორგანიზაციის ცხოვრებაში. ასე გაიგო იგი მშობლიური კომუნისტური პარტიისა და პირადად ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის ზრუნვით აღფრთოვანებულმა მადლიერმა ქართველმა ხალხმა, ხალხმა, რომელმაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით ბევრი რამ გააკეთა რესპუბლიკის ეკონომიკის, კულტურის, მეცნიერების შემდგომი აღმავლობისა და განმტკიცებისათვის, რესპუბლიკაში მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაჯანსაღებისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 22 ივნისის დადგენილებამ ქართველ ხალხს კიდევ უფრო განუმტკიცა იმის რწმენა, რომ გზა, რომელსაც ისინი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით დაადგნენ, სწორია, სამართლიანია, უხინჯოა. როგორც იტყვიან, კოზი ნაცარში ჩაუვარდათ და საბოლოოდ ჩაეფუშათ თავიანთი ბოროტი ოცნებები იმათ, რომელთაც ეგონათ, რომ „საქართველოს ექსპერიმენტი“ ვერ დაიმსახურებდა საერთო მოწონებას და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ახალი კურსი დაწუნებული იქნებოდა. პოლიტიკურად ბეცი და მორალურად გახრწნილი ამ ადამიანების მისამართით დღეს ყველა პატიოსან ადამიანს ერთი სათქმელი აქვს: „ბოროტსა სძლია კეთილმა, არსება მისი გრძელია!“.

შეეხო რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის 22 ივნისის დადგენილებას საქართველოს პარტიულ ორგანიზაციაზე საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მესამე პლენუმზე, ამხ. ე. ა. შევარდნაძემ თქვა: „ყოველივე იმან, რაც ჩვენ უკანასკნელი წლების განმავლობაში გავაკეთეთ, საშუალება მისცა სკკპ ცენტ-

რალურ კომიტეტს დაესკვნა, რომ, რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციაში მიზანმიმართული მუშაობა მიმდინარეობს პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმებისა და პარტიული ხელმძღვანელობის პრინციპების დასამკვიდრებლად, რომ მნიშვნელოვნად ამაღლდა პარტიული ორგანიზაციების ავტორიტეტი. გაძლიერდა მათი წარმმართველი და მაორგანიზებული გავლენა რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიური და სულიერი ცხოვრების სხვადასხვა დარგში. ეს მეტად მაღალი შეფასებაა, და იგი ყველას ძალიან გვახარებს, კანონიერი სიამაყის გრძნობით გვავსებს"[4].

ჯერ რუსთავის მეტალურგიული ქარხნის პარტიული აქტივის კრებაზე, ხოლო შემდეგ იმავე მესამე პლენუმზე ამხ. ე. ა. შევარდნაძემ გაარჩია ამ დადგენილების პოლიტიკური, ეკონომიური და სოციალური ასპექტები. ილაპარაკა მის დიდ იდეურ-თეორიულ მნიშვნელობაზე და ღრმა სოციალურ-ფილოსოფიურ არსსა და სოციალურ-ეთიკურ ასპექტზე. ამასთან მან მიუთითა იმ ამოცანებზე, რაც ჰუმანიტარულ მეცნიერებათა წარმომადგენლების წინაშე დგას ამ პრობლემათა ნათლად დანახვასა და მათი საგანგებო ანალიზის მიმართულებით.

როგორც ზემოთაც ითქვა, საქართველოს კომპარტიის მთელი საქმიანობის დადებითი შეფასება სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიერ იმას, ცხადია, არ ნიშნავს, რომ ჩვენში ყველა სიძნელე დაძლეულია და ყველა პრობლემა გადაჭრილია. გარკვეული წარმატებები ნეგატიური მოვლენებისა და მავნე ტრადიციების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში, რასაც ჩვენი რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციამ მიაღწია, არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენში თითქოს ყველაფერი „მავნე" და „ნეგატიური" მოისპო და კომუნიზმის მშენებელი ახალი ადამიანი სრულად და ბოლომდე ჩამოყალიბდა. ახალი ადამიანი ანუ ადამიანის სოციალისტური ტიპი ახალ სოციალურ-ეკონომიურ ფორმაციასთან — სოციალიზმთან — არის დაკავშირებული და მისი ჩამოყალიბება დიდი ხანია დაიწყო.

ახალი ადამიანის აღზრდა და მასთან დაკავშირებული როგორც პრაქტიკული, ისე თეორიული პრობლემები ჩვენი პარტიის ყურადღების ცენტრში დგას დღესაც. რაკი პარტიისა და ხალხის საქმე დაუცილებადია ერთმანეთისაგან, ამიტომ ყველა მეცნიერს, მით უმეტეს — ჰუმანიტარული მეცნიერებების წარმომადგენლებს — ევალებათ, კარგად გაერკვნენ ადამიანის რაობისა და ახალი ადამიანის ფორმირების რთულ პრობლემატიკაში, თავისი წვლილი შეიტანონ ახალი ადამიანის თეორიული ძიების საქმეში. წინამდებარე სტატიაც ამ განზრახვით არის დაწერილი. მისი პირველი მიზანია დაგვანახოს ის სიძნელეები, რომლებიც, ჩვენი აზრით, ჯერ კიდევ არსებობს ადამიანის რაობასთან დაკავშირებული პრობლემატიკის კვლევაში, ხოლო მეორე, და უფრო გაბედული, ოდნავად მაინც შეუწყოს ხელი ამ სიძნელეების დაძლევის საქმეს.

ადამიანთა იდეური აღზრდა, კომუნიზმის ღირსეული მშენებელი ახალი ადამიანის ჩამოყალიბება მარტო პრაქტიკის საქმე როდია, იგი დიდი თეორიუ-

4. გაზეთი „კომუნისტი", 1976 წლის 25 ივლისი.

ლი ძიების საქმეცაა, რადგან შეუძლებელია ისე შეუდგეს ადამიანთა აღზრდის მეტად რთულ და საპატიო საქმეს, თუ არ გეცოდინება — რა არის ადამიანი, ვის შეიძლება ერქვას „ახალი ადამიანი“, რა ნიშნები უნდა ახასიათებდეს მას, რა მიმართულებით უნდა აღიზარდოს იგი და ა. შ. სწორედ აღნიშნულმა გარემოებებმა გამოიწვიეს ჰუმანიტარული მეცნიერებების ასეთი დიდი დაინტერესება ადამიანის პრობლემით, სწორედ ამ გარემოებებმა მოაქციეს ადამიანი საზოგადოებრივ მეცნიერებათა ყურადღების ცენტრში. მაგრამ ადამიანით როგორც ყველაზე რთული ფენომენით ყველა სხვა ფენომენთა შორის, როგორც ისეთი არსებით, რომელიც თავის შიგნით მოიცავს მატერიის მოძრაობის ყველა სხვა ფორმას, მარტო ჰუმანიტარული მეცნიერებები როდი დაინტერესდნენ.

შეიძლება თამამად ითქვას, რომ ახლა ადამიანით ყოველი მეცნიერებაა დაინტერესებული — ჰუმანიტარულიცა და ბუნებისმეტყველურიც, ტექნიკურიცა და ეკონომიკურიც. ამაში უდიდესი როლი ითამაშა თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკურმა რევოლუციამ და, განსაკუთრებით, იმ მავნე სოციალურმა შედეგებმა (რაც გამოიხატა ადამიანის სასიცოცხლო გარემოს, ბიოსფეროს გაჭუჭყიანებაში; მოსახლეობის მასობრივ მიგრაციაში, ე. წ. „დემოგრაფიულ აფეთქებებში“, ურბანიზაციაში და ა. შ.), რომლებიც გარკვეულ ვითარებაში ბუნებრივად მოჰყვა ამ რევოლუციას. მეცნიერულ-ტექნიკურმა რევოლუციამ არა მარტო ის გახადა საცნაური, რომ მეცნიერებისა და ტექნიკის არა ყოველგვარი განვითარებაა სასარგებლო ადამიანისათვის, არამედ ისიც, რომ ამიერიდან მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარება ვერ იქნება თვითმიზანი და რომ მათ შემდგომ განვითარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში მიეცემა სანქცია, თუ დადასტურდება, რომ იგი რაიმე საშიშროებას არ წარმოადგენს ადამიანისათვის, მისი სიცოცხლისათვის. რაკი მეცნიერულ-ტექნიკურმა რევოლუციამ გვიჩვენა, რომ არცერთი მეცნიერება არ უნდა ვითარდებოდეს ადამიანის ინტერესების გათვალისწინების გარეშე, ამან დღეისათვის იმ მეცნიერებების დაინტერესებაც კი გამოიწვია ადამიანის პრობლემით, რომლებიც მანამდე თავიანთი პროფილის გამო თითქმის არავითარ ინტერესს არ იჩენდნენ ამ პრობლემისადმი. მხედველობაში გვაქვს ფიზიკოსების, ქიმიკოსების, ბიოლოგებისა და სხვა არაჰუმანიტარულ დარგში მომუშავე მეცნიერთა დაინტერესება ადამიანის პრობლემით. დღეს თემები: „ადამიანი და ბუნება“, „ადამიანი და მისი გარემომცველი გარემო“, „ადამიანი, მეცნიერება, ტექნიკა“, „ადამიანი და მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია“ ძალზე აქტუალურ თემებად იქცნენ. ტექნიკურ და ბუნებისმეტყველურ მეცნიერებათა დიდ დაინტერესებაზე ადამიანის პრობლემით კარგად მიუთითებს ჟურნალში — „Вопросы философии“ ამ რამდენიმე წლის წინათ მოწყობილი ე. წ. „მრგვალი მაგიდა“ თემაზე: „ადამიანი — მეცნიერება — ტექნიკა“. საუბარი აღნიშნულ თემაზე წლების განმავლობაში გრძელდებოდა და მასში მონაწილეობას ღებულობდნენ საბჭოთა მეცნიერების თითქმის ყოველი დარგის უთვალსაჩინოესი სპეციალისტები[5].

ასეთ სიტუაციაში, ბუნებრივია, დაიწყო ლაპარაკი ადამიანის პრობლემის კომპლექსური კვლევის საჭიროებაზე და აუცილებლობაზე. ფართო გაქანება მიეცა ისეთ კონფერენციებსა თუ სხვა სახის ფორუმებს, სადაც სულ სხვადა-

[5] ამასთან დაკავშირებით იხილეთ: „Вопросы философии“, 1973 წლის ნომრები.

სხვა დარგის სპეციალისტები იმსჯელებდნენ ადამიანის პრობლემაზე სხვადასხვა ასპექტითა და სხვადასხვა კუთხით განიხილავდნენ მას. ერთ-ერთი ასეთი ფორუმი იყო გასული წლის ოქტომბერში მოსკოვში ჩატარებული საკავშირო სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: „ადამიანის კომპლექსური შესწავლა და ყოველმხრივ განვითარებული პიროვნების ფორმირება“. კონფერენციის გრანდიოზულობაზე, იმაზე, თუ რამდენად წარმომადგენლობითი იყო იგი, კარგად მიგვანიშნებს შემდეგი ციფრობრივი მონაცემები: კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო 1000-ზე მეტმა მეცნიერ მუშაკმა ცოდნის სულ სხვადასხვა დარგიდან; კონფერენციაზე წაკითხულმა მოხსენებების მხოლოდ თეზისებმა დაიკავა 10 საკმაოდ მოზრდილი წიგნი[6].

რამდენადაც ადამიანის პრობლემა მე-20 საუკუნის № 1 პრობლემაა, ადამიანის კომპლექსური კვლევის საჭიროებაც დროის მოთხოვნად უნდა მივიჩნიოთ და უარი არ უნდა ვთქვათ ამგვარ კვლევაზე, თუ არ გვინდა დროს ჩამოვრჩეთ. მაგრამ აქვე არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ, რომ „კომპლექსური კვლევა“ მხოლოდ მაშინ მოგვცემს დადებითს შედეგს, როდესაც ამ კომპლექსში შემავალ ყველა მხარეს კარგად აქვს გაცნობიერებული საკუთარი ამოცანები, ცალკეული მეცნიერების ყოველ წარმომადგენელს მონახული აქვს საკუთარი ადგილი და როლი ადამიანის პრობლემის კვლევის საქმეში. მეცნიერთა თანამშრომლობა, მათი გაერთიანება ერთ დიდ ძალად, მათი კოლექტიური შრომა კარგია, თუ იგი სწორი მიმართულებით იქნება წარმართული, თუ წინასწარ იქნება დადგენილი, ვინ რა ფუნქცია უნდა შეასრულოს ამ კოლექტიურ შრომაში. ერთი სიტყვით, კოლექტიურ შრომას მხოლოდ იმ შემთხვევაში ექნება დადებითი შედეგი, თუ სწორად მოხდება სამუშაოს განაწილება, თუ ამ შრომის ყოველ მონაწილეს თავ-თავისი უბანი ჩაბარდება საპატრონოდ და საზრუნავად. მაგრამ თუ ისე შევუდგებით საქმეს, რომ წინასწარ არ იქნება გარკვეული — ვის რისი შესრულება ევალება, თუ მოხდება მუშა ძალთა მხოლოდ მექანიკური შეერთება, ასეთი კოლექტიური შრომა არავითარ დადებითს ეფექტს არ მოგვცემს. ნათქვამი რომ ხატოვნად წარმოვიდგინოთ, ასეთ მაგალითებს მოვიტანთ: თუ სათოხარში ისე შედიან, რომ წინასწარ არაა განაწილებული, ვინ სად და რამდენი უნდა მოთოხნოს, არ არის მოულოდნელი, რომ ყველამ ერთ ადგილას იწყოს თოხნა; მაგრამ ასეთი საშიშროება უეჭველად იქნება თავიდან აცილებული, თუ თითოეულს წინასწარ ექნება მონიშნული თავის მიერ გასათოხნი ნაკვეთი.

აღნიშნული მაგალითიდან ნათელია, თუ რას შეიძლება ნიშნავდეს „კომპლექსური კვლევა“, როდესაც იგი სტიქიურ ხასიათს ატარებს, თუ წინასწარ არ არის დადგენილი — რა ევალება კომპლექსში შემავალ თითოეულ წევრს. თუ ადამიანის კომპლექსური კვლევა გაგებული იქნება, როგორც ერთი საკვლევი საგნის — ადამიანის კვლევა რამდენიმე მეცნიერების მიერ, ვითარება დაახლოებით ისეთივე გვექნება, როგორც ზემომოყვანილ მაგალითში. ამასთან, თუ, ერთი მხრივ, ძალაში დარჩება ჩვენი აზრით სრულიად უდავო დებულება, რომ ყოველ მეცნიერებას აქვს საკუთარი საკვლევი საგანი, ხოლო, მეორე მხრივ, ე. წ. ადამიანის შემსწავლელი ყოველი მეცნიერების საკვლევ საგნად ადამიანი გამოცხადდება, ფაქტიურად მოხდება ყოველი ამ მეცნიერების დაყ-

6 Комплексное изучение человека и формирование всесторонне развитой личности, т. IX, М., 1975.

ვანა ერთ მეცნიერებაზე — ადამიანთმცოდნეობაზე, ეს კი თავისთავად მოხსნის კომპლექსური კვლევის ამოცანას, რადგან კომპლექსური კვლევა ბევრის საქმიანობას გულისხმობს და არა ერთისას.

როგორც ვხედავთ, ადამიანის კომპლექსური კვლევა რომ შესაძლებელი გახდეს, აუცილებელი მოთხოვნაა ადამიანით დაინტერესებულმა მეცნიერებებმა ადამიანი კი არ გამოაცხადონ თავიანთ საკვლევ საგნად, არამედ სრულიად მკვეთრად და პრინციპულად გათიშონ ერთმანეთისაგან თავიანთი საკვლევი საგნები, რომლებსაც უკეთეს შემთხვევაში ადამიანის ცალკეული მხარეები შეიძლება წარმოადგენდნენ და არა თვითონ ადამიანი. ასე რომ, არაა სწორი ის თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც, თითქოს კომპლექსური კვლევის საჭიროება გამორიცხავდეს მეცნიერებათა საკვლევი საგნების, საკვლევი სფეროების მკვეთრი ურთიერთგამიჯვნის ამოცანებს. პირიქით, ნამდვილი კომპლექსური კვლევა მხოლოდ იქ შეიძლება განხორციელდეს და ამგვარმა კვლევამ მხოლოდ იქ შეიძლება მოგვცეს დადებითი ეფექტი, სადაც მკვეთრადაა გამიჯნული მეცნიერებათა საკვლევი საგნები; ამიტომ, მარტო იმის თქმა, რომ ადამიანის პრობლემის შესწავლას კომპლექსური კვლევა ესაჭიროება, არაა საკმარისი. საჭიროა კომპლექსური კვლევის გვერდით და მის პარალელურად მკაცრად დგინდებოდეს ყოველი მეცნიერების საკვლევი საგანი, ის სფერო თუ უბანი, რომელიც მას აინტერესებს იმ ემპირიულ არსებაში, რომელსაც რეფლექსიამდელი ცნობიერებაც ადამიანს ეძახის.

რაკი საკითხი ასე დავაყენეთ, ბუნებრივია, მკითხველი მიხვდება, რომ ჩვენ არ გვაკმაყოფილებს ადამიანის შემსწავლელ მეცნიერებათა ის ურთიერთ გამიჯვნა, რომელსაც ახლა აქვს ადგილი და რომელიც, ჩვენი აზრით, ხელს უშლის ადამიანის კომპლექსური კვლევის ეფექტურ წარმართვას.

სანამ ფაქტიურ ვითარებას შევეხებოდეთ, მოკლედ გადმოვცემთ იმ თვალსაზრისს, რომელსაც ჩვენ ვადგავართ მეცნიერებათა ურთიერთდამოკიდებულების საქმეში[7]: ჩვენ მიგვაჩნია, რომ სანამ ცალკეული მეცნიერებები კომპლექსურ კვლევას შეუდგებოდნენ, მანამ მათ სრულიად ნათლად და გარკვევით უნდა ჰქონდეთ გამოკვეთილი თავიანთი საკვლევი სფეროები ანუ საკვლევი საგნები ან სხვანაირად: მეცნიერებათა ურთიერთგამიჯვნა და განსხვავება თავიანთი საკვლევი საგნებით (და არა განსხვავებული თვალსაზრისებით, თუ პოზიციებით) მეცნიერების სასიცოცხლო ინტერესს წარმოადგენს. მეცნიერებათა საზღვრების დაუდგენლობას, მათს ურთიერთში შეჭრას და გადასვლას ხშირად ჰქონია წარსულში ადგილი და ყოველთვის მარცხით დამთავრებულა. ასე მოუვიდა ფიზიოლოგიას, რომელიც ფსიქოლოგიის დახმარებით ცდილობდა თავისი საკვლევი სფეროს შესწავლას და რომელიც გენიალურმა პავლოვმა იხსნა ამ მდგომარეობიდან. ასევე მოუვიდა ფსიქოლოგიასაც, რომელიც, თავის მხრივ, ფიზიოლოგიის დახმარებით ცდილობდა „მეცნიერულო-

[7] ეს თვალსაზრისი ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში სისტემატური სახით დაამუშავა აკად. ა. ბოჭორიშვილმა. ვეყრდნობით რა მის თვალსაზრისს, აღნიშნულის შესახებ ვმსჯელობთ ჩვენი წიგნის — „ადამიანი, თავისუფლება, პასუხისმგებლობა“ — პირველ თავში და სტატიაში — „პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის ურთიერთობის საკითხი ს. რუბინშტეინის კონცეფციის მიხედვით“ (იხ. საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფსიქოლოგიის და საქ. სსრ განათლების სამინისტროს პედაგოგიკის ინსტიტუტის გაერთიანებული სამეცნიერო სესიის მასალები, 1970).

ბა“ მოეპოვებინა. ამან ფსიქოლოგია რეფლექსოლოგიად და ბიჰევიორიზმად აქცია. ასეთივე უარყოფითი შედეგი გამოიღო ფსიქოლოგიის შეჭრამ ლოგიკაში და სხვა მეცნიერებებში, რაც ფსიქოლოგიზმის სახელით აღინიშნა, ფიზიკის შეჭრამ სხვა მეცნიერებებში, რაც ფიზიკალიზმის სახელით აღინიშნა და ა. შ. ნათქვამიდან ნათელი უნდა იყოს, რომ მეცნიერებათა ყოველი ურთიერთშეჭრა, მათი საკვლევი სფეროების აღრევა, რაც ხშირად ცნებათა ურთიერთაღრევასაც იწვევს, მხოლოდ საზიანოა ყოველი მეცნიერებისათვის და რომ განსხვავებული საკვლევი საგნების ქონა ყველა მეცნიერების აუცილებელ ნიშნად უნდა ჩაითვალოს. შეცდომაში არ უნდა შეგვიყვანოს, ვთქვათ, ისეთმა გამოთქმებმა, როგორიცაა: „ადამიანის შემსწავლელი სპეციალური მეცნიერებები“ და სხვა. ადამიანთა დაკავშირებით ბევრი მეცნიერების დასახელება იმას კი არ ნიშნავს, თითქოს, მართლაც, ყველა ამ მეცნიერების საკვლევი საგანი იყოს იგი; არამედ იმას, რომ ყოველი ეს მეცნიერება ისეთ სფეროს, ისეთ უბანს სწავლობს, რომელიც „მოთავსებულია“ რეალურ ადამიანში. ასე რომ სიტყვა „ადამიანი“ აქ უფრო იმაზე მიგვანიშნებს, თუ „ტერიტორიულად“ სად არის ამა თუ იმ მეცნიერების საძიებელი საგანი და არა იმაზე, რომ ყველა ამ მეცნიერებათა საკვლევი საგანი არის ადამიანი. რაკი ადამიანი ხშირად „ადგილმდებარეობის“ აღმნიშვნელადაც იხმარება, ერთმანეთისაგან უნდა გავარჩიოთ რეალური ადამიანი, რომელიც სწორედ ამ „ადგილმდებარეობას“ მიგვანიშნებს ხშირად და ადამიანი როგორც საკვლევი საგანი. გამოთქმაში „ადამიანის შემსწავლელი სპეციალური მეცნიერებები“ ადამიანი სწორედ ამ მნიშვნელობით, „ადგილმდებარეობაზე“ მითითების მნიშვნელობით იხმარება. ასე მაგალითად: უმაღლესი ნერვული მოქმედების ფიზიოლოგია, როგორც ადამიანის შემსწავლელი სპეციალური მეცნიერება, ადამიანს კი არ სწავლობს, არამედ — უმაღლეს ნერვულ მოქმედებას იმ რეალურ არსებაში, რომელსაც ადამიანს ეძახიან. ნათქვამი ვრცელდება ადამიანის შემსწავლელ ნებისმიერ მეცნიერებაზე.

ასე რომ, თვით იმ შემთხვევაშიც კი, როცა ერთი საგნის შემსწავლელად რამდენიმე მეცნიერებაა დასახელებული, სინამდვილეში ლაპარაკია რეალური საგნის ერთიანობაზე და არა საკვლევი საგნის ერთიანობაზე. მეცნიერებათა საკვლევი საგნები აქაც განსხვავებული და გამიჯნულია ერთმანეთისაგან. ასეთია ვითარება არა მარტო მაშინ, როცა არსებობს ორი დამოუკიდებელი მეცნიერება, ვთქვათ, ფსიქოლოგია და ფიზიოლოგია, არამედ მაშინაც კი, როცა არსებობს ისეთი დისციპლინები, როგორიცაა: ფიზიკური ქიმია, პედაგოგიკური ფსიქოლოგია, და ა. შ. ყველა ზემოჩამოთვლილი მეცნიერება თავის საფუძვლად გულისხმობს ერთიმეორისაგან სრულიად დამოუკიდებელ მეცნიერებებს: ფიზიკასა და ქიმიას, ერთ შემთხვევაში, პედაგოგიკასა და ფსიქოლოგიას, მეორე შემთხვევაში. ის გარემოება, რომ არსებობს ფიზიკური ქიმია, არ ხდის აუცილებელს ფიზიკამ არ იცოდეს — სად მთავრდება ფიზიკა და სად იწყება ქიმია, ან პირიქით. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ფიზიკური ქიმია, ისევე როგორც პედაგოგიური ფსიქოლოგია და ა. შ. მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება წარმატებით ჩრიდეს მასზე დაკისრებულ ამოცანას, როცა არსებობს „წმინდა ფიზიკა“ და „წმინდა ქიმია“ და არა თუ არსებობს, არამედ იმ დონესაც მიაღწევს, როცა ისინი ისეთი საკითხების ერთობლივ გადაწყვეტას შეძლებენ, რომელთა გადაჭრა დამოუკიდებლად არც ერთს ძალუძს და არც მეორეს.

ასე რომ, ერთიმეორისაგან უნდა განვასხვავოთ მეცნიერებათა ურთიერთდამოუკიდებლობა, ერთი მხრივ, და მათი ურთიერთკავშირი, მეორე მხრივ. ურთიერთდამოუკიდებლობა მეცნიერებათა არსებობის პირობაა, მეცნიერება ვერ იტანს სხვა მეცნიერებაზე დამოკიდებულებას, სხვის მსახურად ყოფნას. რაც უფრო შეუვალია მეცნიერება, რაც უფრო მკაცრად არის ჩაკეტილი თავის საკვლევ სფეროში, მით უფრო მეცნიერულია იგი. მაგრამ ეს არ გამორიცხავს მეცნიერებათა ურთიერთკავშირს. ასეთი ურთიერთკავშირი ფაქტია და მეცნიერებათა მთავარი ამოცანის — სინამდვილის უკეთ შემეცნების — აუცილებელი და გადამწყვეტი პირობაა.

თუ ზემონათქვამს ადამიანის პრობლემას მივუყენებთ, შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ თავისთავად კომპლექსური კვლევა კი არ გვეჩვენება შეუძლებლად, არამედ იმ ვითარების დაძლევა მიგვაჩნია აუცილებლად, როცა კომპლექსური კვლევის ქვეშ მეცნიერებათა საკვლევი საგნებისა და ცნებების აღრევა ესმით, როცა, მაგალითად, ამბობენ: «Границы между отдельными науками, изучающими человека, весьма подвижны и условны»[8]. ცალკეულ მეცნიერებათა ნაყოფიერი თანამშრომლობა მხოლოდ იქაა მოსალოდნელი, სადაც თითოეულ მეცნიერებას კარგად აქვს შეგნებული თავისი საქმე და თავისი საკვლევი სფეროც აქვს მკვეთრად გამიჯნული სხვა მეცნიერებათა საკვლევი სფეროებიდან. დღევანდელი ვითარება კი აშკარად მიგვანიშნებს, რომ ადამიანის კომპლექსური კვლევა ხშირად ისე წარმოებს, რომ არ არის გათვალისწინებული პირველი რიგის მოთხოვნა — მეცნიერებათა სიწმინდისა და მათი საკვლევი სფეროების მკვეთრად გამიჯვნის მოთხოვნა.

მივმართოთ ფაქტებს: ჩვენში ახლა ძალზე ბევრი იწერება ახალ ადამიანზე, სოციალისტური ტიპის ადამიანზე, კომუნიზმის მშენებელ ღირსეულ ადამიანზე და მის აღზრდაზე; მაგრამ განა ბოლომდე ვიცით — რა არის ადამიანი ან როგორ აღვზართოდ იგი? რომ ვიცოდეთ — რა არის ახალი ადამიანი, ჯერ უნდა ვიცოდეთ — რა არის ადამიანი ისევე, როგორც, რომ ვიცოდეთ — რა არის შავი ან თეთრი პური, უნდა ვიცოდეთ — რა არის პური. ახალ ადამიანზე მსჯელობისას ხშირად ისიც არ არის დადგენილი — რატომ ვეძახით მას ახალ ადამიანს, რას ნიშნავს ამ გამოთქმაში „ახალი“, იგი უბრალოდ დროის აღმნიშვნელი ტერმინია, თუ შინაარსობრივ სიახლეზეც მიუთითებს. ხშირად საკითხი ძალზე მარტივად და უბრალოდ წყდება. ადამიანს იმ ემპირიულ არსებას ეძახიან, ვინც, თუ ბიბლიას დავესესხებით, ადამისა და ევას შთამომავალია, ხოლო ახალ ადამიანს იმას — ვინც სოციალიზმის პირობებში დაიბადა და ცხოვრობს. ყოველ შემთხვევაში, საბჭოთა ლიტერატურაში, სადაც ასე ბევრი იწერება ახალი ადამიანის ფორმირებაზე, აშკარად შეიმჩნევა ისეთი თეორიული ნაშრომების ნაკლოვანება, რომლებშიც გარჩეული იქნება საკითხები: რა არის ახალი ადამიანი, რა უფლებით ვეძახით მას ახალ ადამიანს, რა პრინციპული სიახლე და თვისებრივი თავისებურებანი ახასიათებს მას და ა. შ.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ ახალ ადამიანზე მხოლოდ იქ და მაშინ შეიძლება ლაპარაკი, სადაც გარკვეულია საკითხი — რა არის ადამიანი. შეიძლება ვინმემ თქვას, ახალი ადამიანის კვლევა იმიტომ წარმოებს ჩვენში ასე ინტენსიურად, რომ ამან გვითხრას — რა არის ადამიანიო. მაგრამ ეს საქმის უკუღმა დაწყება იქნება. კითხვას: რა არის ადამიანი! ვერც ე. წ. ადამიანის შემსწავლელი

[8] Васил Момов. Человек, Мораль, Воспитание, 1975, стр. 19.

სპეციალური მეცნიერებები უპასუხებენ, რაგინდ არ უნდა შეიკრან და გაერთიანდნენ ისინი. ერთადერთი მეცნიერება, რომელმაც ამ კითხვას შეიძლება უპასუხოს — არის ფილოსოფიური დისციპლინა ადამიანის შესახებ ანუ ფილოსოფიური ანთროპოლოგია. და ეს სწორედ იმიტომ, რომ ასე ზოგადად, ასე ერთიანად ადამიანი შესასწავლად მხოლოდ ფილოსოფიას შეუძლია აიღოს. რაც შეეხება სპეციალურ მეცნიერებებს, ისინი, როგორც ზემოთაც იყო აღნიშნული, სინამდვილის (ამ შემთხვევაში — ადამიანის) მხოლოდ „ერთ მხარეს", „ერთ ნაწილს" სწავლობენ. აქ ფილოსოფიურ ანთროპოლოგიასა და ადამიანის შემსწავლელ მეცნიერებებს შორის ურთიერთობა ისეთივეა, როგორც ფილოსოფიისა და სპეციალურ მეცნიერებებს შორის ურთიერთობა სინამდვილეში შემეცნების საქმეში. ეს ვითარება უეჭველად უნდა იქნეს გათვალისწინებული იმ მომენტისათვის, როცა ადამიანის კომპლექსურ კვლევას შევუდგებით; მაგრამ, სამწუხაროდ, ხშირად ეს ასე არ ხდება. არიან მეცნიერები, რომელთაც ჯერ კიდევ გულუბრყვილოდ სჯერათ, რომ თითქოს ადამიანის ცალკეული მხარეების შესწავლით შევძლებთ ვუპასუხოთ კითხვას: რა არის ადამიანი. ასეთ მეცნიერებს ადამიანი ფიზიკურის, ქიმიურის, ბიოლოგიურის, ფსიქიკურის ჯამად მიაჩნიათ და ანგარიშს არ უწევენ იმას, რომ ცოცხალი ორგანიზმის, მით უმეტეს ადამიანის შემთხვევაში მთელი ყოველთვის მეტია თავის შემადგენელ ნაწილებზე.

კიდევ უფრო მეტ შეცდომას სჩადიან ისინი, რომლებიც ფიქრობენ, რომ კითხვას „რა არის ადამიანი" პასუხობს ისეთი სპეციალური მეცნიერება, როგორც ფსიქოლოგიაა. ფსიქოლოგიას არ შეუძლია უპასუხოს კითხვას „რა არის ადამიანი", არ შეუძლია დაადგინოს მისი რაობა, წვდეს მის არსს იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ მისი საკვლევი საგანი მთელი ადამიანი კი არაა, არამედ მისი „ნაწილი" — ფსიქიკური სინამდვილე.

ფსიქოლოგია სპეციალური მეცნიერებაა და იგი მანამ ვერ განაცხადებს ადამიანის კვლევაზე პრეტენზიას, სანამ ფილოსოფიად არ იქცევა. ერთგვარ ილუზიას იმისას, რომ ფსიქოლოგია ადამიანს იკვლევს, ის ქმნის, რომ ფსიქიკური განცდები, რომლებიც ფსიქოლოგიის კვლევის ნამდვილ ობიექტებს წარმოადგენენ, კარგად გვითვალისწინებენ ადამიანის შინაგან სამყაროს და მის „სულში" ჩახედვის საშუალებას გვაძლევენ.

სხვათა შორის, ასეთ ამოცანას ვერც პიროვნების სოციალური ფსიქოლოგია იტვირთავს, რომელიც თითქოს კიდევ უფრო „ახლოსაა" ადამიანის (პიროვნების) კვლევასთან. მაგრამ ეს სიახლოვე იმაში გამოიხატება, რომ თუ ფსიქოლოგია ფსიქიკურ განცდებს (ან ქცევებს) სწავლობს, „სოციალური ფსიქოლოგია სწავლობს ადამიანის სპეციფიკურ სოციალურ-ფსიქიკური აქტიობის კანონზომიერებას, რომელიც მას სოციალურ გარემოში, ადამიანთა ჯგუფში „სოციალური დამოკიდებულების" საფუძველზე უყალიბდება"[9].

მაშ, ნათქვამიდან ცხადი უნდა იყოს, რომ ერთადერთი მეცნიერება, რომელსაც შეუძლია უპასუხოს კითხვას „რა არის ადამიანი", არის ფილოსოფიური ანთროპოლოგია. ცხადია, ამ კითხვაზე რომ უპასუხოს, ფილოსოფიური ანთროპოლოგია სხვა მეცნიერებათა მონაცემებსაც გაითვალისწინებს, როგორც დამხმარე მასალას, მაგრამ ისე, რომ ამ კითხვაზე საბოლოო პასუხის გაცემის პრიორიტეტი თავისთვის დაიტოვოს. რაც შეხება კითხვას — „რა არის

[9] შ. ნ ა დ ი რ ა შ ვ ი ლ ი, პიროვნების სოციალური ფსიქოლოგია, 1975, გვ. 33.

ახალი ადამიანი“, იგი მის შემდეგ უნდა დადგეს (ყოველშემთხვევაში ამ კითხვაზე სწორი პასუხი მხოლოდ მას შემდეგ შეიძლება გავცეთ), როცა დადგინდება — რა არის ადამიანი! თუ შევთანხმდებით, რომ ეს უკანასკნელი კითხვა ფილოსოფიური ანთროპოლოგიის კითხვაა, მაშინ ახალი ადამიანი, როგორც ახალი სოციალურ-ეკონომიური ფორმაციის პროდუქტი, მთელი თავისი თვისებებითა და სპეციფიკური ნიშნებით, მეცნიერული კომუნიზმის კვლევის ორბიტაში უნდა შევიდეს.

ზემოთ ჩვენ ვთქვით, რომ კითხვა „რა არის ადამიანი“ ფილოსოფიური ანთროპოლოგიის კითხვაა. ეს კითხვა ადამიანის რაობის დადგენას, მის არსში ჩაწვდენას გულისხმობს. მაგრამ არსებობენ ადამიანები, რომელნიც ამბობენ: კითხვა „რა არის ადამიანი“ ყალბად დაყენებული კითხვაა, რამდენადაც იგი გულისხმობს ადამიანს საზოგადოდ, აბსტრაქტულად აღებულ ადამიანს, მარქსიზმი კი ასეთ აბსტრაქტულად აღებულ ადამიანზე ლაპარაკს შეცდომად მიიჩნევსო. ამგვარი მსჯელობის გაგრძელებაა ის აზრი, რომელიც ამ ბოლო დროს გავრცელდა მარქსისტულ ლიტერატურაში და რომელიც ამტკიცებს, რომ მარქსიზმი უყურადღებოდ არ ტოვებს რა ემპირიულ-კონკრეტულ ადამიანს, მის ინტერესებსა და მისწრაფებებს, მსჯელობს რა მის გაუცხოებაზე კაპიტალისტურ პირობებში და ა. შ., თითქოს ამით უარყოფდეს ადამიანზე, როგორც ასეთზე, ლაპარაკს. მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, რომ მარქსისტული მოძღვრება ადამიანის შესახებ აქ ძალზე გამარტივებულად და გაუბრალოებულად არის წარმოდგენილი. რეალური ჰუმანიზმის მოთხოვნა, რომელიც მარქსიზმმა წამოაყენა, იმას კი არ ნიშნავს, რომ არ დავსვათ კითხვა — „რა არის საზოგადოდ ადამიანი“, არამედ იმას, რომ ბურჟუაზიამ თავი ანებოს აბსტრაქტულად აღებული ადამიანის თავისუფლებაზე ლაპარაკს და რეალურ ადამიანს მოუპოვოს ეს დაპირებული თავისუფლება. თავის ადრინდელ ხელნაწერებში მარქსმა მართლაც მკაცრად გაილაშქრა „აბსტრაქტული ადამიანის“ გაგების წინააღმდეგ, მაგრამ ეს არ იყო გალაშქრება ზოგადად აღებული ადამიანის რაობის დადგენის წინააღმდეგ. ეს იყო პროტესტი იმ დიდი წინააღმდეგობის მიმართ, რომელიც არსებობდა ბურჟუაზიის დაპირებებსა და რეალურ საქმეს შორის, კარგ სიტყვასა და ფაქტიურ ვითარებას შორის. სწორედ ასე და არა სხვაგვარად უნდა გავიგოთ მარქსიზმის კლასიკოსების ბრძოლა აბსტრაქტულად აღებული ადამიანის წინააღმდეგ. რაც შეეხება კითხვას — „რა არის ადამიანი საზოგადოდ“, მარქსიზმს არ შეუძლია იგი უარყოს, რამდენადაც თვითონ მარქსიზმი თეორიული მეცნიერებაა. ამიტომ ჩვენ მიგვაჩნია, რომ მარქსიზმი არ შეიძლება ადამიანზე თეორიული მსჯელობის წინააღმდეგი იყოს და არც ის შეიძლება, რომ ადამიანის ყველა ის განმარტება, რომელიც მარქსიზმში უკვე არსებობს, ემპირიულ ადამიანს არ ცილდებოდეს და ადამიანის, როგორც ასეთის, საერთო განმარტებას არ წარმოადგენდეს. სანიმუშოდ მოვიტანოთ ეს განმარტებები: „ადამიანის არის იარაღის მკეთებელი ცხოველი, „ადამიანი არის მოაზროვნე არსება“, ან „ადამიანი არის საზოგადოებრივ ურთიერთობათა ერთობლიობა“. სამივე ეს განმარტება მიღებული და აღიარებულია ჩვენში. მაგრამ ისიც ხომ აშკარაა, რომ ყოველი ეს განმარტება ყოველი დროისა და ეპოქის ადამიანს ეხება და არა მარტო ამა თუ იმ კონკრეტულ ადამიანს. აქედან გამომაკლისს არც მესამე განმარტება წარმოადგენს, სადაც იმაზეა ლაპარაკი, რომ ყოველი დროისა და ეპოქის ადამიანი სოციალური არსებაა, საზოგადოებრივ ურთიერთობათა ან-

2. „მაცნე“, ფილოსოფიის..., სერია, 1976, № 4

კ. მარქსის სახ. საქ. სსრ საბელმწიფო რესპუბლიკა

სამბლია. რაც შეეხება ადამიანის შესწავლას გარკვეულ საზოგადოებრივ ურთიერთობებში, იგი მას შემდეგ გაიშალა განსაკუთრებულად ფართოდ, რაც ეს განმარტება ძალაში შევიდა. მას შემდეგ, რაც მარქსიზმმა დაადგინა, რომ ყოველი ადამიანი საზოგადოებრივ ურთიერთობათა შედეგია, იგი უკვე მართლაც სწავლობს ცალკეულ საზოგადოებრივ ურთიერთობებს, იძლევა მათ ანალიზს და ამის მიხედვით განასხვავებს ადამიანთა სხვადასხვა სოციალურ ტიპებს (მონას და მონათმფლობელს, ყმა-გლეხსა და ფეოდალს, პროლეტარს და კაპიტალისტს და ა. შ.). ადამიანის სხვადასხვა სოციალურ ტიპზე ლაპარაკი უკვე არის „აბსტრაქტული ადამიანის“ კრიტიკა, მაგრამ, როგორც ეს ზემოთ ვნახეთ, იგი არ გამორიცხავს ადამიანის რაობის ზოგადთეორიულ ანუ ფილოსოფიურ ძიებას. ამაზე ხაზგასმა ახლა იმიტომაა საჭირო, რომ „აბსტრაქტული ადამიანის“ შესახებ თეორიის კრიტიკა არ განვაცხადოთ, როგორც ადამიანის ზოგადთეორიული ძიების უარყოფა ანუ რაც იგივეა, როგორც ადამიანის ფილოსოფიური ძიების უარყოფა. არადა ისიც სათქმელია, რომ, ავითარებს რა ზოგადისა და ერთეულის დიალექტიკას, მარქსიზმს არ უჭირს ერთეულში ზოგადი დაინახოს, ზოგადში კი ერთეული, განსხვავებით იდეალიზმისაგან, რომლის ზოგადი მოწყვეტილია ერთეულისაგან და თავისთავად სინამდვილედაა გამოცხადებული.

მაშასადამე, პირველი რიგის ამოცანა, რაც ადამიანის ყოველგვარ კვლევას უნდა უსწრებდეს წინ, არის იმის გარკვევა, თუ რა არის ადამიანი. მხოლოდ იმის შემდეგ, რაც გვეცოდინება, თუ — რა არის ადამიანი, შეგვიძლია გადავიდეთ მეორე რიგის კითხვაზე „რა არის ახალი ადამიანი“, რა ნიშნები ახასიათებს ან უნდა ახასიათებდეს მას. მაგრამ, როგორც უკვე ითქვა, ხშირად ეს ვითარება დავიწყებულია, რაც, თავის მხრივ, ახალი ადამიანის ძირითადი ნიშნების გამოყოფას უშლის ხელს. ნათქვამის დასადასტურებლად ისევ მივმართოთ ფაქტებს: „ახალი ადამიანის“ ზოგად ნიშნებს რომ ასახელებენ, აქ, პირველ რიგში, მის ყოველმხრივ და ჰარმონიულ განვითარებაზე მიუთითებენ, ხოლო შემდეგ იმასაც გახაზავენ, რომ ეს ადამიანი ადამიანის კაპიტალისტური ტიპისაგან განსხვავებით, ინდივიდუალისტი და ეგოისტი კი არაა, არამედ კოლექტივისტია; ე. ი. ისეთი ადამიანია, რომელიც საზოგადოებრივ ინტერესებს უფრო მაღლა აყენებს პირადულზე.

რა შეიძლება ითქვას „ახალი ადამიანის“ ასეთი განმარტების შესახებ? თუ დავუშვებთ, რომ ყოველმხრივ, ჰარმონიულად განვითარებულ ადამიანზე მარტო ჩვენში ლაპარაკობენ და ასეთი იდეა მანამდე არავის ჰქონია, ცხადია, ამგვარი ადამიანის მიჩნევა „ახალ ადამიანად“ არავითარ ეჭვს არ შეიძლება იწვევდეს. მაგრამ, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ყოველმხრივად და ჰარმონიულად განვითარებულ ადამიანზე ოდითგანვე ლაპარაკობდა პედაგოგიკა, მაშინ ან ხელი უნდა ავიღოთ ახალ ადამიანზე ლაპარაკისაგან, ან რაღაც ისეთი მომენტიც დავუმატოთ, რომელიც მის „სიახლეს“ ნამდვილად დაასაბუთებდა

ჩვენ მიგვაჩნია, რომ ასეთი სიახლე ყოველმხრივ, ჰარმონიულად განვითარებული ადამიანის აღზრდის იდეა კი არაა, არამედ იმ რეალური გზების დაძებნა, რომელიც ასეთი ადამიანის აღზრდას ხდის შესაძლებელს. ან სხვანაირად: ყოველმხრივ, ჰარმონიულად განვითარებული ადამიანის აღზრდის იდეა ჯერ კიდევ ძველი ბერძენი ფილოსოფოსების მიერ იყო წამოყენებული,

და მას ახალ დროშიც მრავალი მხარდამჭერი და განმავითარებელი ჰყავდა. ამიტომ ძნელია ამ თვალსაზრისის სიახლეზე და ორიგინალურობაზე ვილაპარაკოთ. ნამდვილი სიახლე იმაშია, რომ ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე ყოველმხრივად, ჰარმონიულად განვითარებული ადამიანი (იგულისხმება არა ერთი და ორი ადამიანი, არამედ ადამიანი საერთოდ) მხოლოდ უტოპია იყო, მხოლოდ კარგი ნატვრა იყო, რომელსაც იმ პირობებში არ ეწერა აღსრულება. მხოლოდ ახალმა სოციალურ-ეკონომიურმა ფორმაციამ, ოქტომბრის რევოლუციას რომ მოჰყვა, შექმნა ისეთი პირობები, რომელმაც ყოველმხრივად და ჰარმონიულად განვითარებული ადამიანის აღზრდა რეალურად განხორციელებადი გახადა. ამასთან, ყოველი პროგრესული მოაზროვნე თვლიდა, რომ ადამიანის ყოველმხრივი განვითარების აუცილებელი პირობაა მისი პირადი თავისუფლება. მაგრამ არცერთ მოაზროვნეს მარქსიზმის კლასიკოსებამდე არ უთქვამს, რომ ნამდვილი თავისუფლების მოსაპოვებლად და შესაბამისად ყოველმხრივად, ჰარმონიულად განვითარების პირობების შესაქმნელად ადამიანს ჭირდება კლასთა ანტაგონისტური დაპირისპირებისა და კერძო საკუთრების ინსტიტუტის მოსპობა და ა. შ. ასე რომ, მარქსიზმი, როგორც თეორია და მარქსიზმი როგორც პრაქტიკა, არის ის პირობა, რომელმაც არა მარტო გახადა შესაძლებელი „ახალ ადამიანზე“ გველაპარაკა, არამედ შექმნა ყოველგვარი პირობები ამ ადამიანის ყოველმხრივი, ჰარმონიული განვითარებისათვის.

მაშ, თუ „რა არის ადამიანი“ პირველი რიგის კითხვაა, ხოლო, „რა არის ახალი ადამიანი“ — მეორე რიგის კითხვა, მესამე რიგის საკითხს წარმოადგენს — როგორ აღვზარდოთ ასეთი ადამიანი. რა გზები, მეთოდები, ხერხები უნდა იქნას გამოყენებული, რომ კომუნიზმის ღირსეული მშენებელი ახალი ადამიანის აღზრდის საქმეს წარმატებით გავუძღვეთ. ამასთან, თუ „რა არის ადამიანი“ — ფილოსოფიური ანთროპოლოგიის კითხვაა, ხოლო „რა არის ახალი ადამიანი“ — მეცნიერული კომუნიზმის კითხვა, ახალი ადამიანის აღზრდის საკითხი უკვე ცილდება როგორც ერთის, ისე მეორის კომპეტენციას და სხვა მეცნიერების კვლევის ორბიტაში შედის. ეს მეცნიერება პედაგოგიკაა და **ეს ვითარებაც არ არის ხშირად გაცნობიერებული ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში.** დღეს იშვიათად შევხვდებით „მეცნიერული კომუნიზმის“ ისეთ სახელმღვანელოს, სადაც არ იყოს გამოყოფილი სპეციალური თავი: „ახალი ადამიანის აღზრდა“ ან „მშრომელთა კომუნისტური აღზრდა“. ეს მაშინ, როცა აღზრდა პედაგოგიკის საქმეა და არა მეცნიერული კომუნიზმის, რამეთუ პედაგოგიკა არის აღზრდის თეორია. ამიტომ ჩვენ მიგვაჩნია, რომ, სადაც კი აღზრდის თეორიაზე იქნება საუბარი, იქ ყველგან პედაგოგიკა უნდა ვიგულისხმოთ და არა სხვა რამ. ამ აზრით, სავსებით სამართლიანად გვეჩვენება პედაგოგიკის ტრადიციული არეს გაფართოების ის ტენდენცია, რომელიც ამ უკანასკნელ ხანს გაჩნდა და რომელიც გატარებულია, ვთქვათ, ვ. ჭინჭლაძის წიგნში „პედაგოგიკა პარტიულ მუშაობაში“[10].

მაშასადამე, აღზრდის თეორის პედაგოგიკის საქმეა, სად და რა ვითარებაშიც არ უნდა დამუშავდეს იგი. მდგომარეობას არ ცვლის ის გარემოება, რომ მეცნიერული კომუნიზმი საერთოდ აღზრდაზე და მის პრინციპებზე კი

---

10 იხ. ო. ჭინჭლაძე, პედაგოგიკა პარტიულ მუშაობაში, 1975.

არ ლაპარაკობს, არამედ კომუნისტურ აღზრდაზე. თუ საზოგადოდ აღზრდის თეორიას პედაგოგიკა ამუშავებს, მაშინ იგი კომუნისტური აღზრდის თეორიასაც დაამუშავებს. არც ის იქნება სწორი, მეცნიერული კომუნიზმი ავავსოთ ყველაფრით, რასაც წინ განსაზღვრება „კომუნისტური“ მიუდგება.

თუ აღზრდის თეორიას პედაგოგიკა ამუშავებს, თვითონ აღზრდის საქმე უკვე პრაქტიკული საქმეა და მას სააღმზრდელო ორგანიზაციები, (ბაგები, ბაღები, მუსიკალური, ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო, საშუალო-სპეციალური და უმაღლესი სკოლები) და საზოგადოებრივი ორგანიზაციები (პიონერთა ორგანიზაცია, კომკავშირი) ახორციელებენ. ამიტომ, თუ მეცნიერული კომუნიზმის სახელმძღვანელოებში მოთავსებულ თავს „მშრომელთა კომუნისტური აღზრდა“ გავიგებთ არა როგორც აღზრდის თეორიას, არამედ როგორც მის პრაქტიკულ განხორციელებაზე კონტროლს, ჩვენი აზრით, აქაც შეცდომას დავუშვებთ, რადგან აღზრდის პროცესს საამღზდელო ორგანიზაციები ახორციელებენ, ხოლო იმის კონტროლს, თუ როგორ უძღვებიან ეს სააღმზრდელო ორგანიზაციები მათზე დაკისრებულ დიდ ამოცანებს, ამ სააღმზრდელო ორგანიზაციების შესაბამისი სამინისტროები და სხვა ორგანიზაციები აწარმოებენ.

რაკი ამ წერილში ადამიანის კომპლექსურ კვლევასთან დაკავშირებულ ზოგიერთ სიძნელეზე და ამ კვლევაში შემჩნეულ ზოგიერთ ნაკლოვანებებზე ვლაპარაკობთ, გვინდა საგანგებოდ შევეხოთ „აღზრდისა“ და „ფორმირების“ ცნებათა არაზუსტი ხმარების ფაქტსაც, რომელიც არცთუ იშვიათად გვხვდება ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში. მეცნიერთა დიდი ნაწილი ამ ცნებებს იმდენად სინონიმური მნიშვნელობით ხმარობენ, რომ, თუ ერთ წინადადებაში, ვთქვათ, „აღზრდა“ იხმარება, მეორე წინადადებაში ამ სიტყვას ცვლის „ფორმირებით“. მეორენი ცდილობენ „აღზრდა“ და „ფორმირება“ გაარჩიონ ერთმანეთისაგან — ერთი გარკვეული ვითარების აღსანიშნავად იხმარონ და მეორე კიდევ — სხვა ვითარებისა, მაგრამ არსად იმაზე საგანგებოდ არ მსჯელობენ, კერძოდ როდის რა ვიხმაროთ და რატომ. ეს კი მრავალ უხერხულობას იწვევს. ამ უხერხულობიდან თავის დახსნის ერთადერთ საშუალებად კი ამ ტერმინთა ურთიერთგამიჯვნა მიგვაჩნია.

აღზრდა პედაგოგიური პროცესია და როგორც პედაგოგიური პროცესი ორ მომენტს გულისხმობს უეჭველად: აღმზრდელსა და აღსაზრდელს. აღზრდის პროცესი რთული და მრავალმხრივი პროცესია. აღმზრდელი იმას ჰქვია, ვინც გარკვეულ ცოდნას აძლევს ადამიანს (სულერთია თეორიული იქნება იგი თუ პრაქტიკული), იმასაც, ვინც მშვენიერების ხედვას ასწავლის აღსაზრდელს და იმასაც, ვინც აყალიბებს ამ უკანასკნელის ზნეობრივ, მორალურ სახეს. თუ ზემონათქვამს კარგად გავითვალისწინებთ, ვნახავთ, რომ აღზრდის პროცესში მთავარი ყურადღება ექცევა გარედან ზემოქმედებას, გარედან „დაწოლას“. ამ აზრით, აღზრდის პროცესში განსაკუთრებულად აქტიური როლი აღმზრდელს ენიჭება და არა აღსაზრდელს. ეს, რასაკვირველია, არ გამორიცხავს აღსაზრდელის შეფარდებითს აქტიურობასაც. აღსაზრდელი თუ აბსოლუტურად პასიური იქნა იმის მიმართ, რის სწავლებასაც აღმზრდელი ვარაუდობს, სწავლების პროცესი არავითარ დადებით შედეგს არ მოგვცემს.

ფორმირება აღზრდის გზით, აღზრდის საშუალებით ხორციელდება. მარტო ეს გარემოება ხდის გასაგებს, რომ ფორმირება და აღზრდა ერთიდა-

იგივე არაა, მაგრამ არც დიდად არიან ერთმანეთისაგან დაცილებული. ყოველი აღზრდის მიზანი ამნაირი თუ იმნაირი ადამიანის ფორმირებაა. ყოველი ფორმირება გარკვეული სახის აღზრდის შედეგია. ფორმირებაში არა გარეგანი ზემოქმედება იგულისხმება, არამედ თვითონ პიროვნების შინაგანი აქტივობა. აქ მთავარია ის, თუ როგორ მიიღო აღსაზრდელმა ის „სიგნალები“, რომელნიც მას გადასცეს და როგორ გამოიყენა იგი თავის პრაქტიკულ ცხოვრებაში, ყოველდღიურ საქმიანობაში.

მაგრამ „ფორმირება“ მარტო იმის გამომჟღავნებას კი არა ჰქვია, რაც აღზრდის შედეგად „სულს დაშთენია“, არამედ იმ უწყვეტ ქმნადობას, უწყვეტ სრულყოფას, რასაც პიროვნება განიცდის. ამიტომ, თუ აღზრდა გარკვეულ ასაკში წყდება, ფორმირება მთელი ცხოვრების მანძილზე გრძელდება. ასე რომ, „აღზრდა“ და „ფორმირება“, მართალია, გარკვეულად გულისხმობენ, ჰკვეთენ ერთმანეთს, მაგრამ „ფორმირება“ მაინც უფრო ფართო მოცულობის ცნებაა და იგი „აღზრდას“ არ გაუიგივებდა. „აღზრდისა“ და „ფორმირების“ ცნებათა განსხვავებას მარტო ფორმალური მნიშვნელობა როდი აქვს. მათი მკვეთრი გამიჯვნის შემთხვევაში პედაგოგიკა უკეთ გამოკვეთს თავის საგანს და... არა მარტო პედაგოგიკა!

ზემოთ ჩვენ იმ სიძნელეებს შევეხეთ, რომლებიც ჯერ კიდევ შეიმჩნევა ადამიანის კვლევის საქმეში. ვეცადეთ გვეჩვენებინა, რომ ადამიანი, როგორც კვლევის ობიექტი, ჯერ კიდევ არ არის სწორად განაწილებული ცალკეულ მეცნიერებებს შორის. ეს კი კომპლექსური კვლევის ეფექტიანობას დიდად აფერხებს. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ხელი ავიღოთ კომპლექსურ კვლევაზე მანამ, სანამ საბოლოოდ და მკაცრად არ გაიმიჯნება ცალკეულ მეცნიერებათა საკვლევი სფეროები. ადამიანის კომპლექსური კვლევა ისევ უნდა გაგრძელდეს, მაგრამ უდიდესი ყურადღება უნდა მიექცეს მეცნიერებათა ურთიერთგამიჯვნასაც, მათი საკვლევი სფეროების მკვეთრ გამოყოფას სხვა მეცნიერებათა საკვლევი სფეროებისაგან, მათს სიწმინდეს.

მხოლოდ ამგვარი მიდგომით წაიწევა წინ როგორც ცალკეული მეცნიერებების განვითარება, ისე ადამიანის კომპლექსური კვლევის საქმე. მხოლოდ ამგვარი შეტევით, დაუოკებელი სწრაფვით სიძნელეთა დაძლევისაკენ შევძლებთ პარტიის მიზანდასახულობათა ცხოვრებაში გატარებას, ადამიანის პრობლემის უკეთ დამუშავებას, კომუნიზმის ღირსეული მშენებელი ახალი ადამიანის აღზრდას.

მართალია, ყოველივე ის, რაზედაც ზემოთ იყო ლაპარაკი, თეორიის საკითხებია და არა პრაქტიკის, მაგრამ მათ სწორად გადაჭრას უდიდესი მნიშვნელობა ექნება პრაქტიკისათვის, რადგან, როგორც ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა თქვა სკკპ 25-ე ყრილობაზე, „არაფერი არ არის უფრო პრაქტიკული, ვიდრე კარგი თეორია“. მართალია, საბჭოთა მეცნიერებას, საზოგადოდ, და საზოგადოებრივ მეცნიერებებს, კერძოდ, აქვს დიდი მიღწევები თეორიული კვლევა-ძიების დარგში, მაგრამ ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ქვეყნის განვითარების ახლანდელ ეტაპზე თეორიის შემდგომი შემოქმედებითი დამუშავების საჭიროება კი არ მცირდება, არამედ, პირიქით, კიდევ უფრო იზრდება“[11].

რეპაზ გალანჩივაძე

---

[11] ლ. ი. ბრეჟნევი, მოხსენება სკკპ 25-ე ყრილობას... გვ. 66, 100.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფილოსოფია

ზურაბ ხასაია

ირაციონალურის ეგზისტენციალისტური ცნების კრიტიკისათვის

(ს. კირკეგორის ირაციონალიზმის მაგალითზე)

ირაციონალურის ცნება, როგორც ასეთი, კირკეგორთან სპეციალური ყურადღების საგანი არ გამხდარა, მაგრამ აზროვნების ის წესი, რომელსაც ბურჟუაზიულ ფილოსოფიაში პირველად კირკეგორმა უკურთხა გზა, ირაციონალურის სახელით გახდა ცნობილი, და თანამედროვე იდეალიზმის ყურადღების ცენტრში დადგა. ირაციონალურის ცენტრალურობა იმდენად არსებითია თანამედროვე ბურჟუაზიული ფილოსოფიისათვის, რომ ეს უკანასკნელი თანამედროვე ადამიანის გონებაში საბოლოოდ დაუკავშირდა ირაციონალიზმს. ჰაიდეგერის ცნობილი რადიკალიზმი წარსულის მეტაფიზიკისადმი დამოკიდებულებაში მკვლევართა ერთმა ჯგუფმა სამართლიანად გააიგივა ირაციონალიზმთან და მიიჩნია, რომ ის ახალი, რისი შემოთავაზებაც ჰაიდეგერმა ისურვა თანამედროვეობისადმი, სინამდვილეში ანტიმეტაფიზიკური ან ანტისუბიექტური ფენომენი კი არ არის, არამედ — ირაციონალურია. საერთოდ ირაციონალიზმის და კერძოდ კირკეგორისეული ირაციონალიზმის ბუნების გასარკვევად ყველაზე გონივრული გზა რაციონალიზმთან მისი შეპირისპირებაა.

1. რაციონალიზმისა და ირაციონალიზმის ცნებები. ამ ცნებათა შედარებისას, ჩვეულებრივ მათს განსხვავებაზე მიუთითებენ მაშინ, როცა უფრო გონივრული იქნებოდა შედარების მეორე აუცილებელი კომპონენტის — მსგავსების გათვალისწინებაც, — ეს უფრო საჭიროს გახდიდა თვით განსხვავებასაც.

რაციონალიზმსა და ირაციონალიზმს აერთიანებთ ანტიემპირისტული განწყობილება. ემპირიზმი შემეცნების საწყისად გარეგან ცდას აცხადებს, რის გამოც — როგორც გარესამყაროს, ისე ადამიანის შინაგანი სამყაროს შემეცნებისათვის — სრულიად საკმარისად თვლის კერძომეცნიერულ მეთოდებს. ამ აზრით, ემპირიზმი ფაქტიურად უარყოფს ფილოსოფიას და ენგელსის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ცუდი ფილოსოფიაა“. ემპირიზმის საწინააღმდეგოდ, რაციონალიზმი და ირაციონალიზმი სწორედ სპეციფიკურად ფილოსოფიური შემეცნების მეთოდებს გვთავაზობენ. თითოეულის მიხედვით შემეცნების საწყისი თავისებური შინაგანი ცდის — ინტუიციის ფაქტია. განსხვავება მათ შორის ინტუიციის სხვადასხვაგვარ გამარტივებაშია, ე. ი. ონტოლოგიურ დაფუძნებაშია.

რაციონალიზმის ონტოლოგიური ძირი უნივერსალიზმია, რომლის მიხედვითაც სამყაროულ მთელში ზოგადს უპირობო პრიმატი აქვს ინდივიდუალურზე. ყოველი ინდივიდუალური მოვლენა იმდენად არსებობს, რამდენადაც ზოგადის გამოვლენას ემსახურება, რის გამოც, ცხადია, შინაგანი სუბსტანციური ცდაც ანუ ინტუიციაც ზოგადის გამოვლენაა. აქედან იბადება რაციონალიზმი ანუ ინტუიციის ლოგიზაცია. ინტუიციის ნამდვილ, თავისთავად ძირად ცხადდება აზროვნების ობიექტური, ზოგადი სახე — ლოგიკური დასაბუთება. შესაბამისად, ჰეშმარიტება, ობიექტური ხასიათისაა.

ირაციონალიზმის ონტოლოგიური ძირი ინდივიდუალიზმია, რომლის მიხედვითაც სუბსტანცია ინდივიდუალურია, ინდივიდია თავიდან ბოლომ-

დე ინდივიდუალურია და არაფერს მისგან განსხვავებულს არ ავლენს. აქედან იბადება ირაციონალიზმი, რომელიც ინტუიციას მის პირველადს მოცემულობაში იღებს, როგორც თავისთავად დასრულებულ ჭვრეტას. ინტუიციის ინდივიდუალურ-სუბიექტური ფაქტის ჩათვლა გნოსეოლოგიურ სუბსტანციად, ცხადია, პრინციპულად გამორიცხავს შემდგომი რედუქციის შესაძლებლობას ინტუიციიდან აზროვნების ზოგად, ობიექტურ სახეზე. ინტუიციის ლოგიზაცია მართლა რედუქცია კი არაა ირაციონალისტისათვის, არამედ ფილოსოფიური პოზიციიდან მეცნიერულზე ჩამოსვლა და ამით ჭეშმარიტების უშუალო ჭვრეტის დაკარგვა. ირაციონალისტი არათუ უარყოფს ლოგიკური დასაბუთების რაიმე როლს ფილოსოფიურ შემეცნებაში, არამედ მას დამღუპველ საქმედ მიიჩნევს ფილოსოფიისათვის. გონების ირაციონალისტური უარყოფაც სხვა არაფერია, თუ არა ჭეშმარიტების კრიტერიუმად **ლოგიკურ დასაბუთების** ნაცვლად ინდივიდუალურ-სუბიექტური დარწმუნებულობის, შინაგანი სიცხადის ჩათვლა.

2. ეგზისტენციალისტური ირაციონალიზმი. კირკეგორის ირაციონალიზმის მთელი თავისებურება ინდივიდუალურ-სუბიექტურის თავისებურ გაგებაშია. ინდივიდუალური სუბიექტი. მისთვის, სუბსტანციაა ანუ ე გ ზ ი ს ტ ე ნ ც ი ა, რის გამოც კირკეგორის ირაციონალზმი ეგზისტენციალისტურია და ეს არის ის რითაც იგი განსხვავდება ირაციონალიზმის ისტორიულად ცნობილი ფორმისაგან.

ინდივიდუალური სუბიექტის ჩათვლა სუბსტანციად ნიშნავს ტრადიციული აბსოლუტის უკიდურესად ინდივიდუალიზაციას და სუბიექტივაციას. ცხადია, ამით აბსოლუტურად დეფორმირებულია სუბსტანციის ტრადიციული გაგება, როგორც თვითსაფუძვლისა და თვით უსაფუძვლობა, არარაა გამოცხადებული სინამდვილედ. ამიტომ ექსისტენცში თავს იჩენს გადაუწყვეტელი წინააღმდეგობა: ის ერთი მხრივ, არარაა, მაგრამ — მეორე მხრივ, რაკი სუბსტანციაა,— არსიცაა. ეს წინააღმდეგობა არის ექსისტენციალური მოძრაობის მიზეზი საფუძვლის ძიებისაკენ, ე. ი. გარეთკენ. ამ მოძრაობას კირკეგორთან აქვს სახე ღმერთისათვის ანუ რელიგიური ჭეშმარიტებისათვის ბრძოლისა.

ზოგადად რომ ვთქვათ, კ ი რ კ ე გ ო რ ი ს ი რ ა ც ი ო ნ ა ლ უ რ ი ს ხ ვ ა ა რ ა ფ ე რ ი ა, თ უ ა რ ა ე ს რ ე ლ ი გ ი უ რ ი ჭ ე შ მ ა რ ი ტ ე ბ ა, რ ე ლ ი გ ი უ რ ი ა ზ რ ო ვ ნ ე ბ ა. თუ ირაციონალური კირკეგორისათვის ღმერთის წვდომაა, ცხადია, მთელი მისი დედაარსი ღმერთის ცნების კირკეგორისეულ გაგებაში უნდა ვეძიოთ. რა გზით ესმის კირკეგორს ღმერთის ცნება?

ღმერთის კირკეგორისეული გაგება მთლიანად ეგზისტენციალისტური წანამძღვრითაა გაპირობებული. რაკი ეგზისტენცი ადამიანური და მხოლოდ ადამიანური სინამდვილეა, და ამასთან ეს სინამდვილე, როგორც ყოველი სუბსტანცია, ჩაკეტილია თავისთავში, აშკარაა, ღმერთი გარეგანია ადამიანისათვის. მაშასადამე, ღმერთის კირკეგორისეული ცნების უზოგადეს ნიშნად ტრანსცენდენტულობა უნდა დავასახელოთ.

არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ კირკეგორი ყველაზე თანმიმდევრულია იმ იდეალისტებსა და თეოლოგებს შორის, რომლებიც ღვთის ტრანსცენდენტულობაზე ლაპარაკობენ. სწორედ ამაშია კირკეგორის თავისებურებაც ღმერთის ტრანსცენდენტულობის გაგებაში. კირკეგორისეული ღმერთის ტრანსცენდენტულობა არაა იმ ტიპისა, როგორც ცნობილი იყო იდეალიზმისა და ღვთისმეტყველების ისტორიაში. საქმე ის არის, რომ ტრანსცენდენტული

ღმერთის შესახებ კირკეგორის დიდ წინაპართა მოძღვრებას განსაზღვრავდა უნივერსალისტური პოზიცია ფილოსოფიაში. ამიტომ, განსხვავებით კირკეგორისაგან, ისინი ქმნიდნენ ღვთის მეტაფიზიკას, — ეს იმას ნიშნავს, რომ ღმერთის აბსოლუტურ ნამდვილობას არცერთი ეჭვქვეშ არ აყენებდა. მაშინ რა შიღამდგომარეობდა მათთვის ღვთის ტრანსცენდენტულობა? — ამასთან დაკავშირებით, უნდა გავიმეოროთ ზემოთ ნათქვამი, რომ ტრანსცენდენტული ღმერთის შესახებ არსებულ მეტაფიზიკურ მოძღვრებებს მუდამ აკლდა თანმიმდევრობა, — ასე იყო კირკეგორამდე იდეალიზმისა და ღვთისმეტყველების ისტორიაში. უნივერსალიზმი ვერ ითავსებს ტრანსცენდენტიზმს. მართალია, ღვთისმეტყველება ტრანსცენდენტული ღმერთის დასაფუძნებლად ე. წ. „პირველ ცოდვას“ აღიარებდა, ხოლო იდეალიზმი — მატერიას, ცარიელ სივრცეს და ა. შ., მაგრამ, ერთი მხრივ, ისტორიულად განსაზღვრული რწმენა და, მეორე მხრივ, თეორიული სიძნელეების აცილების აუცილებლობა აბსოლუტური ღმერთის მონისტურ ცნობას უკავშირდებოდა. თვით ნეტარი ავგუსტინე კი, „ეს დიდი ინდივიდუალისტი უნივერსალისტებს შორის“. ღმერთისაგან დაცილებას რელატურ მოვლენად თვლიდა და, საბოლოო ანგარიშით, ინდივიდუალურის მეორეულობის თვალსაზრისს იცავდა. თითქოს ნეოპლატონიზმი იდგა ტრანსცენდენტიზმის ნიადაგზე, მართლაც, არსებულის ოთხტაქტიანი დაყოფა, ემანაციის უსასრულო გაგრძელება იმ ზომამდე, რომ საწყისი — თავის საპირისპიროში, ნათელი — ბნელში გადადის, აგრეთვე, შემეცნების უმაღლეს საფეხურად სრულიად გაუგებარი ექსტაზური ოპერაციების მიჩნევა, რაციონალური აზროვნების უგულებელყოფა და ა. შ. ძალიან ბევრს ლაპარაკობენ ტრანსცენდენტიზმის სასარგებლოდ და მაინც არაა აქ ტრანსცენდენტიზმი, ვინაიდან აზროვნების სიბნელე არაა აქ აბსოლუტური საწყისი, რის გამოც არათუ მხოლოდ აზროვნება, არამედ არაფერი არაა ცასა და მიწაზე ღმერთისაგან აბსოლუტურად განსხვავებული. რაც შეეხება რელატურ განსხვავებას, ეს ღმერთის შეუმეცნებადობაზე კი არ მეტყველებს, არამედ შეუმეცნებლობის პირობითობაზე.

როგორც ცნობილია, არც კანტის თავისთავადი ნივთი ყოფილა ტრანსცენდენტული. თავისთავადი ნივთის ცნობილი კანტისეული ტრანსცენდენტიზმი მხოლოდ და მხოლოდ „წმინდა გონების კრიტიკით“ იფარგლება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თავისთავადი ნივთი თეორიული გონებისათვისაა მიუწვდომელი და მხოლოდ ამ აზრითაა ის ტრანსცენდენტული. ხოლო „პრაქტიკული გონების კრიტიკაში, პრაქტიკული გონების პრიმატის აღიარება ადგილს აღარ ტოვებს მიუწვდომელისათვის და კანტის მიერ თავის უფლებებშია აღდგენილი ძველი მეტაფიზიკური სულისკვეთება. კანტის ცნობილი განცხადება იმის შესახებ, რომ მან თეორიული გონება შეზღუდა, რათა რწმენისათვის დაეტოვებინა ადგილი, სწორედ იმაზე მიუთითებს, რომ ტრანსცენდენტიზმს არაფერი ესაქმება წმინდა გონების ფარგლებს იქით.

ტრადიციულ ფილოსოფიაში ტრანსცენდენტიზმის იდეა ყველაზე მკვეთრად შლაიერმახერმა გაატარა. მართლაც, ის კირკეგორის ნამდვილი წინაპარია და ხშირად მათი განწყობილებებისა და ხელწერის ურთიერთგარჩევისათვის საჭმეში სპეციალურად ჩახედული თვალია საჭირო. შლაიერმახერი საგანგებოდ უსვამდა ხაზს ღმერთის შეუმეცნებლობას, ღვთის მეტაფიზიკის შეუძლებლობას, რელიგიის ფილოსოფიის ფსიქოლოგისტური აგების აუცი-

ლებლობას, რწმენის მკაცრად ინდივიდუალურ ხასიათს და ა. შ. ე. ი. ყველა იმ იდეას, რომელიც კირკეგორის ნააზრევში ესოდენ გამოკვეთილად ფიგურირებს. შლაიერმახერი სწორედ რომ ტრანსცენდენტისტი და ინდივიდუალისტი იყო თავისი პიროვნული ხასიათითა და განწყობილებით, მაგრამ ჩვენი აზრით, თეორიულად მაინც წარსულის უნივერსალიზმის ტყვეობაში რჩებოდა. შლაიერმახერის მკაცრი სუბიექტივიზმი აუცილებლობით გულისხმობს ტრანსცენდენტულ ღმერთს, მაგრამ, მეორე მხრივ, ამ ტრანსცენდენტულობას ვერაფრით ვერ იგუებს შლაიერმახერისავე უნივერსალისტური ტენდენციები. აქ ღმერთი მოკლებულია დადებით უსასრულობას, ობიექტურ გამოსახვადობას და ამიტომაც — შეცნობადობას; მაგრამ მორწმუნე რაღაცნაირად მაინც მიანიშნებს მასზე. სამყარო, თვით მორწმუნეც, მხოლოდ ფარავენ ღმერთს, რადგანაც აბსოლუტურად სუბიექტურის ობიექტური გამოსახვა ყოვლად შეუძლებელია, ისინი უარყოფენ მას, რადგანაც აბსოლუტურად სუბიექტური ღმერთისათვის, ობიექტები არიან. მაგრამ ამ დაფარვას, ამ უარყოფას აბსოლუტური ხასიათი არა აქვს. აქაა კირკეგორისეული ღმერთისაგან შლაიერმახერისეულის განსხვავების ერთადერთი პუნქტი. მიუხედავად მთელი რიგი ინდივიდუალისტურ-სუბიექტივისტურ განცხადებებისა, შლაიერმახერი წარსულის გავლენით მაინც მხოლოდ ღმერთს თვლის აბსოლუტურ საწყისად, რის გამოც მეტაფიზიკურსა და აქ-ყოფიერს შორის ინდივიდუალური მიმართება მაინც დაფუძნებული რჩება. განწყობილება ინდივიდუალისტურია, თეორიული დაფუძნება — უნივერსალისტური, — ამ გაორების გამო შლაიერმახერი შეიძლება დავახასიათოთ როგორც „ფიხტეანელი კირკეგორი“.

როგორც ვხედავთ, წარსულის ონტოლოგია უნივერსალისტური იყო, რასაც აუცილებლობით შეესაბამებოდა გნოსეოლოგიაში რაციონალიზმი. ინდივიდუალიზმი და ირაციონალიზმი ტრადიციულ მეტაფიზიკაში მხოლოდ ელემენტების სახით არსებობდა. კირკეგორმა შლაიერხერის ანტი-უნივერსალისტური ტენდენციები ანტი-უნივერსალიზმად, ხოლო ინდივიდუალისტური განწყობილება ინდივიდუალიზმად აქცია. აბსოლუტური საწყისი, საიდანაც ამოვიდა ის, პიროვნული „მე“-ა, რის გამოც მეტაფიზიკურისა და აქ-ყოფიერის დაპირისპირებამ, რაზედაც ასე ბევრს ლაპარაკობდნენ ფიხტე და მისი მოწაფეები, აბსოლუტური ხასიათი, კერძოდ აბსოლუტურ იმანენტსა და აბსოლუტურ ტრანსცენდენტს შორის დაპირისპირების ხასიათი მიიღო. აქ ჩანს კირკეგორისეული ღმერთის არსებითი ნიშანი: კირკეგორისეული ღმერთი არის აბსოლუტური ტრანსცენდენტი. ღვთის აბსოლუტური ტრანსცენდენტულობის დაშვების გარეშე კირკეგორის ფილოსოფია არ გაიაზრება, მისი ეგზისტენციალიზმი აუცილებელ შინაგან კავშირშია აბსოლუტურ ტრანსცენდენტიზმთან.

სადაც კი ღმერთის შესახებ რაიმეს იტყვის, კირკეგორი პირველ რიგში მისი ამ აბსოლუტური ტრანსცენდენტულობის გაგებას მოითხოვს, ვინაიდან ამას მიიჩნევს ღმერთის ადამიანური პრედიკაციის დედაარსად: „ღმერთი და ადამიანი ორი სხვადასხვა თვისებრიობაა, რომელთა შორისაც უსასრულო თვისებრივი განსხვავებაა. ყოველგვარი მოძღვრება, რომელიც კი ამ განსხვავებას მხედველობიდან გაუშვებს, ადამიანურად რომ ვთქვათ, სიშლეგე იქნება,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხოლო ღვთაებრივად რომ ვთქვათ, ღმერთის შეურაცხყოფა"[1]. ან კიდევ, „ადამიანი ღმერთისაგან განსხვავდება ღრმა თვისებრივი უფსკრულით"[2]. „ქრისტიანობა გულისხმობს აბსოლუტურ განსხვავებას ადამიანსა და ღმერთს შორის"[3]. როგორც ვხედავთ, ეგზისტენციალიზმმა ანუ რადიკალურმა ინდივიდუალიზმმა თან მოიყოლა რადიკალური ტრანსცენდენტიზმი და, შესაბამისად, უკიდურესი ირაციონალიზმი წარმოშვა.

საკითხი, რომლითაც კირკეგორის ირაციონალურ სამყაროს მივადგებით, ასეთია: როგორ და რა ძალებით ხდება აბსოლუტური ტრანსცენდენტის შემეცნება? მართალია, აბსოლუტური ტრანსცენდენტიზმი, თავიც რომ დავანებოთ მის შინაგან წინააღმდეგობრიობას, მოძრაობას ვერ დააფუძნებს, ვინაიდან დაპირისპირებას იღებს ერთიანობის გარეშე, მაგრამ კირკეგორი ღალატობს ეგზისტენციალიზმის ლოგიკურ მოთხოვნას და უშვებს ერთიანობის უცნაურ სახეს — ნეგატიურს, თითქოს ნეგატიური თავის საფუძველში პოზიტიურს არ გულისხმობდეს; ყოველ შემთხვევაში, მოძრაობის (შემეცნების) ფაქტი ახსნას ითხოვდა. თუ როგორ და რა ძალებით ხდება ტრანსცენდენტის შემეცნება, ამის შესახებ კირკეგორი საგულისხმო ზოგად მითითებას იძლევა ერთგან: „ჰეშმარიტების მაძიებელი პარადოქსთან თანხმობაში მაშინ მოდის, როცა განსჯა და პარადოქსი ბედნიერად შეხვდებიან ერთმანეთს, თუ განსჯა მოიცილება და პარადოქსი თავისთავს მოეცემა. ის მესამე, რომელშიაც ეს ხდება, არის ბედნიერი ვნება, რასაც რწმენა (ტრანსცენდენტის წვდომას — **ს. ხ.**) უნდა ვუწოდოთ"[4].

მაშასადამე, ჭეშმარიტება-ქმნადობისათვის, აბსოლუტური ყოფიერების განხორციელებისათვის აუცილებელია განსჯის მოცილება; ე. ი. ირაციონალური არის განსჯაზე მაღლა მდგომი აზროვნება. ამ მოთხოვნაში თითქოს არც შეუძლებელია რამე და არც მინამდე უცნობი. თვითონ ჰეგელიც კი, რომლის ანტიპოდადაც მიიჩნევენ კირკეგორს ხშირად, ჭეშმარიტების განხორციელებისათვის აუცილებლად თვლიდა განსჯის ბატონობისაგან აზროვნების განთავისუფლებას. ფილოსოფიას როგორც გონის თვითშემეცნების საბოლოო საფეხურს ჰეგელი სწორედ განსჯის საწინააღმდეგო პრინციპებზე, გონების პრინციპებზე დაყრდნობით აგებდა. ჰეგელი განსჯის ნაკლს ხედავდა მის უუნარობაში, გაეაზრებინა ჭეშმარიტი ანუ დიალექტიკური უსასრულობა. განსჯა უსასრულობას იცნობს მხოლოდ მის „ცუდ" ფორმაში, რაც სინამდვილეში სწორედ სასრულობაა და არა უსასრულობა. განსჯა როგორც თავისი ბუნებით გარეგანი ამხსნელი, ვერასოდეს სწვდება საბოლოო, ფილოსოფიურ ჭეშმარიტებას მაშინ, როცა გონება ფილოსოფიური ჭეშმარიტებიდან იწყებს, ვინაიდან არსებულის თავისთავიდან გამგებია, სამყაროული მთელის, ჭეშმარიტი უსასრულობის გამააზრებელია.

მაგრამ ჰეგელი, რასაკვირველია, შორს იდგა განსჯის კირკეგორისეული შეფასებისაგან. მას ისევე არ გამოურიცხავს განსჯა სპეკულატური შემეცნებიდან, როგორც სასრული — უსასრულობიდან. შეცდომა, ჰეგელის აზრით, განსჯითი შემეცნება კი არაა, არამედ ფილოსოფიის, მაშასადამე, საერთოდ

[1] Sören Kierkegaard. Die Krankheit zum Tode, Dusseldorf, 1954, s. 128, XI. 236.

[2] Sören Kierkegaard. Abschließende unwissenschaftliche Nachsclrift, Düsseldorf к Yöln, 1957, s. 203, VII. 183.

[3] ib., s. 123. XI. 231.

[4] Sören Kierkegaard. Philosophische Brocken, Düsseldorf-Köln, 1952, s. 56.

ცოდნის აგებაა განსჯის პრინციპებზე, — ე. ი. განსჯის აბსოლუტიზაცია, რაც ფილოსოფიის და, მაშასადამე, ჭეშმარიტების შემეცნების შეუძლებლობამდე მიგვიყვანდა. განსჯა ჭეშმარიტი შემეცნების დაბალი, მაგრამ აუცილებელი მომენტია ჰეგელისათვის. კირკეგორი კი გარკვევით მოითხოვს განსჯის მოცილებას. კირკეგორი აქ ჰეგელივით თანმიმდევრულია. თუ ჰეგელს ჭეშმარიტ შემეცნებაში განსჯის როლის აღიარება უსასრულობისა და სასრულობის დიალექტიკური ერთიანობის აპრიორიულობიდან გამოჰყავდა, კირკეგორს განსჯის როლის სრული იგნორირება ეგზისტენცის (სასრულობის) და ტრანსცენდენტის (უსასრულობის) ურთიერთმოწყვეტიდან გამოჰყავს. აქ კირკეგორის აზრთა მსვლელობასთან უფრო ახლოს გერმანელი მისტიკოსი ნ. კუზანელი მოდის. კუზანელის მოძღვრება docta ignorantia-ს შესახებ ტრანსცენდენტული ღმერთის დაშვებაზე იყო დამყარებული. ამასთანავე, ღმერთის უსასრულობა მოწყვეტილია არა მხოლოდ გრძნობად სასრულობას, არამედ — გრძნობად, „ცუდ“ უსასრულობასაც. ასე, რომ კუზანელი მოითხოვდა, არ აერიათ სამყაროს უსასრულობა ღმერთის უსასრულობაში. რასაკვირველია, კუზანელის შემეცნების თეორია ამგვარი ონტოლოგიის შესაბამისად განსჯის სრულ იგნორირებას ითხოვდა. ღმერთი ისევე გაუაზრებელია განსჯისათვის, როგორც — „ვერტიკალი ჰორიზონტალში“. აი, ამგვარ პარადოქსთან აქვს საქმე განსჯას ღმერთის გააზრების შემთხვევაში. ეს პოზიცია ძალიან გვაგონებს კირკეგორისას. განსხვავების ჩვენება მართლაც შეუძლებელია კირკეგორის ზემომოყვანილი დებულების შესახებ დამატებითი განმარტების მოცემის გარეშე.

რას გულისხმობს კირკეგორი განსჯის ცნებაში, როცა განსჯის მოცილებას მოითხოვს ტრანსცენდენტის შემეცნებისათვის? თუ ეს ცნება მას ტრადიციული მნიშვნელობით ესმის, მაშინ ზემომოყვანილი დებულება კირკეგორს არ განასხვავებს კუზანელისაგან; ხოლო თუ ამ ცნებას მასთან სხვა, უფრო ფართო მნიშვნელობა აქვს, მაშინ ამ უკანასკნელის ძიებაა საჭირო კირკეგორისეული ირაციონალიზმის თავისებურების გამოკვლევისათვის და, მაშასადამე, კუზანელისაგან კირკეგორის გარჩევისათვის. რასაკვირველია, მოცემულ კონტექსტში ძნელია იმის დადგენა, თუ რა მნიშვნელობით მოიხმარს კირკეგორი განსჯის ცნებას, მაგრამ სხვა დამატებითი ციტატების დამოწმება და მთელი კირკეგორისეული სულისკვეთების გათვალისწინება უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ განსჯის ცნებაში კირკეგორი საერთოდ ადამიანურ გონებას გულისხმობდა და ტრანსცენდენტის შესამეცნებლად მთლიანად ადამიანური გონების მოცილებას თვლიდა საჭიროდ. ამ მხრივ, საინტერესოა „ა“ რელიგიურობის (ნეგატიურ-რელიგიურის) დახასიათება „უკანასკნელ არამეცნიერულ ნაწერებში“ — „ბ“ რელიგიურობის (პოზიტიურ-რელიგიურის, ქრისტიანულის) საპირისპიროდ კირკეგორი „ა“ რელიგიურობის დედაარსად „შინაგანობის დიალექტიკას“ ანუ ადამიანისა და ტრანსცენდენტის აბსოლუტურ წინააღმდეგობას თვლიდა. ამ წინააღმდეგობის მიზეზად კირკეგორს მორეფლექსე ადამიანური გონება მიაჩნია, რომელსაც ღმერთი პარადოქსად ეჩვენება. „ა“ რელიგიურობაში, კირკეგორის აზრით, ღმერთი იმიტომაა ნეგატიური, რომ ადამიანია პოზიტიური თავისი სასრულო, ბნელი ცნობიერებით, — ეს ხელს უშლის ღმერთის პოზიტიურ განამდვილებას და რწმენის განხორციელებას. „რელიგიურობა „ა“ შეიცავს წინააღმდეგობას, როგორც ტანჯვას თვითმოსპობა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში, — მართალია, იმანენტურობის შიგნით, — მაგრამ როცა მაეგზისტირებელი ეთიკურად აქცენტირებს, ეს ხელს უშლის მაეგზისტირებელს იმაში, რომ ეგზისტენცი აბსტრაქტული გახადოს... „ა“ რელიგიურობაში მაეგზისტირებელი, ჩემი ეგზისტენცი არის მომენტი ჩემი მარადიული ცნობიერების შიგნით, და რაღაც მცირე, რაც ხელს მიშლის, რომ უსასრულოდ დიდი გავხდე, ეს თვით მე ვარ“[6]. ეს უკვე უპრეცედენტო შემთხვევაა ფილოსოფიის ისტორიაში. მაგალითისათვის მივმართოთ კირკეგორის შედარებას რაციონალიზმთან და ტრადიციულ ირაციონალიზმთან (მისტიციზმთან).

რაციონალიზმი ეწოდება შემეცნების თეორიას, რომელიც შემეცნების გადამწყვეტ საშუალებად ლოგიკურ აზროვნებას თვლის. ამ უკანასკნელზე ცდილობს ის გონების სუყველა უნარის დაყვანას. ეს მიმდინარეობა ეპოქის ჯანსაღი, ოპტიმისტური აღქმიდან იღებს სათავეს, და ოპტიმისტურობა იმაში მდგომარეობს, რომ ლოგიკური აზროვნება, რომელსაც უპირატესობა ენიჭება შემეცნებაში, საერთო-საყოველთაოა და ამდენად ჭეშმარიტება ყველა ადამიანისათვის მისაწვდომია. ამასთან დაკავშირებით, საინტერესოა ვ. ვინდელბანდის მიერ დიდი რაციონალისტების — ლაიბნიცისა და ჰეგელის — დახასიათება როგორც უცნაური გენიოსებისა, რომლებიც თავ-განწირულად იღვწოდნენ საკუთარი გენიალობის უარყოფისათვის იმით, რომ გენიალობის საყოველთაოდ მისაწვდომობას ასაბუთებდნენ. რაციონალიზმისათვის შემმეცნებელია ადამიანური გონება, ადამიანი; შესაბამისად, ჭეშმარიტების შემეცნება ადამიანური საქმიანობაა.

მისტიციზმი ეწოდება შემეცნების თეორიას, რომელიც შემეცნების უმაღლეს ფორმად ნათელხილვას თვლის. ეს მიმდინარეობა ეპოქის ავადმყოფური, პესიმისტური აღქმიდან იღებს სათავეს. მისტიციზმის პესიმისტურობა იმაში გამოიხატება, რომ ნათელხილვა, რომელსაც ის უპირატესობას ანიჭებს შემეცნებაში, მკაცრად ინდივიდუალური, ღვთისაგან ნაბოძები უნარია და მხოლოდ განსაკუთრებულ, რჩეულ ადამიანებს ახასიათებს. რაც შეეხება საზოგადოებრივ, მასობრივ ცხოვრებას ანუ „ამქვეყნიურ“ ყოფიერებას, ის ჭეშმარიტებისაგან განცალკევებით მიმდინარეობს. მისტიციზმისათვის შემმეცნებელია ზეადამიანური გონება, ზეადამიანი. შესაბამისად, ჭეშმარიტების შემეცნება ზეადამიანური საქმიანობაა.

კირკეგორის განსხვავება რაციონალიზმისაგან თავისთავად ცხადია, მას შემდეგ, რაც ინდივიდუალური გამოცხადდა სუბსტანციად, რაციონალიზმი საშუალოდ იქნა მოკვეთილი კირკეგორის მიერ. ეს ანტირაციონალიზმი ყველაზე მარტივად და თვალსაჩინოდ იმის მტკიცებაში გამოიხატა, რომ ჭეშმარიტება ლოგიკური აზროვნებისათვის პარადოქსია. მაგრამ საინტერესო ისაა, რომ კირკეგორი ასევე განსხვავდება მისტიციზმისაგან. კირკეგორის პოზიციის განსხვავება აშკარაა თვით ისეთი რადიკალური მისტიკისგანაც კი, როგორიცაა ინდუსების ექსტაზი, ან კუზანელის ინტუიცია. როგორც ერთს, ისე მეორეს ჭეშმარიტება ადამიანური აზროვნებისაგან თითქმის მიუწვდომელ მანძილზე ესახებოდა. ინდუსები ყოველგვარი ჩვეულებრივი ადა-

[5] Abschlicβenee unwissenslhaftliche Naclsclrift, Bd. II, s. 284, VII. 439.
[6] ibid., s. 285, VII. 5J0.

მიანური უნარისაგან, თვით ლაპარაკისა და ადამიანური მეტყველებისაგან განდგომასაც კი მოითხოვდნენ ჭეშმარიტების წვდომისათვის, ხოლო კუზანელი, შუასაუკუნეობრივი მაგიის ეს თაყვანისმცემელი, რაღაც ახალი მაგიური უნარის გამოძებნას ცდილობდა ადამიანში, მაგრამ ორივე შემთხვევაში ადამიანის ზეადამიანური უნარების მოძებნაზე, ადამიანშივე წინასწარ ნაგულისხმევი ღვთის გაღვიძებაზე იყო ლაპარაკი. ცხადია, ზეადამიანური, ამ უნივერსალისტური პოზიციის გამო, არავითარ შემთხვევაში არ გამორიცხავდა თვით ადამიანს; კირკეგორი კი ჭეშმარიტების შემეცნებისათვის მთლიანად ადამიანის დაძლევაზე ლაპარაკობს. კირკეგორი ზეადამიანურს ისევ და ისევ ადამიანურად თვლის, რის გამოც მის თვალში წარსულის თვით ყველაზე რადიკალური მისტიკაც კი რაციონალიზმია; მათს შორის თვისებრივი სხვაობა არ არსებობს, ვინაიდან ორივენი ადამიანის უნარებიდან ამოდიან. ე. წ. ნათელხილვა კირკეგორისათვის არაფრით არაა ლოგიკურ აზროვნებაზე უფრო ზეადამიანური. იმას, რასაც ადამიანურს ან ზეადამიანურს უწოდებდნენ წარსულში, კირკეგორთან არჩევანი აძლევს დასაბამს და თანაბარ ღირებულებას ანიჭებს თითოეულს. კირკეგორისეული რწმენა, რელიგიურობა „ბ“ ერთბაშად გადის ტრადიციულად დაწესებული, ადამიანისათვის აქამდე ცნობილი საზღვრებიდან, რაციონალიზმსა და მისტიციზმს იქით ეძებს ჭეშმარიტების პრობლემის გადაწყვეტას დანიელი მოაზროვნე. ლოგიკურ აზროვნებასა და ნათელხილვას იქით ეძებს ნავსაყუდელს მისი ეგზისტენცი. კირკეგორის ეგზისტენციალისტურ ტრანსცენდენტიზმში, — განსხვავებით რაციონალიზმისაგან და მისტიციზმისაგან, — შემმეცნებელია არა ადამიანური ან ზეადამიანური, არამედ არაადამიანური გონება, არა ადამიანი. შესაბამისად, ჭეშმარიტების განხორციელება არაადამიანური საქმიანობაა. ესაა ირაციონალიზმის საკუთრივი პოზიცია: ეს სიტყვა ეტიმოლოგიურადაც (ლათ. irrationais — არაგონებრივი) ადამიანური გონების უარყოფას უკავშირდება.

ამგვარად, კირკეგორის ეგზისტენციალისტური ირაციონალიზმი გულისხმობს ჭეშმარიტების განხორციელებას არაადამიანური ძალებით.

3. რწმენის ირაციონალური შინაარსი. არაადამიანური ძალებით ჭეშმარიტების განხორციელების, ე. ი. ირაციონალური ყოფიერების იდეა, კირკეგორის აზრით, ძველსა და ახალ აღქმაში გამოითქვა, შემდეგ კი დავიწყებას მიეცა. რწმენა არის ის ირაციონალური ფენომენი, რომელიც არაადამიანურ ძალებს შთაბერავს ბიბლიურ ხელთდასმულებს. მათი რწმენის ირაციონალურობა ეთიკურ და ლოგიკურ აბსურდულობაშია. ორივე მომენტს დაწვრილებით გააარჩევს კირკეგორი „შიშსა და ცახცახში“ ბიბლიური აბრაამის მიერ ღმერთისადმი ისააკის მსხვერპლად შეწირვის ცნობილ მაგალითზე. რატომაა აბრაამის ქცევა ეთიკურად გაუგებარი ანუ, როგორც კირკეგორი ამბობს ეთიკური აბსურდი? თუ აბრაამი შვილისადმი დამოკიდებულებაში საყოველთაოდ დადგენილი და მიღებული ნორმებით ხელმძღვანელობს, მაშინ მისი ქცევა, კონკრეტულად როგორი სახეც არ უნდა მიიღოს მან, ეთიკური იქნება. ხოლო თუ ის ამ ნორმებს, ანუ როგორც კირკეგორი ამბობს, საერთო-საყოველთაოს არ ექვემდებარება, მაშინ მისი ქცევა არაეთიკურია. ორივე შემთხვევაში აბრაამის ქცევა ეთიკურად გასაგები იქნება. ისააკის მსხვერპლად შეწირვის გადაწყვეტილე-

ბა, რასაკვირველია, ჯერ კიდევ არ ლაპარაკობს აბრაამის საქციელის არაეთიკურობაზე, ვინაიდან ეთიკურის ფართო ცნება სრულიადაც არ შემოისაზღვრება მამაშვილობის ეთიკით. კირკეგორს პრობლემის ცენტრი იმაზე გადააქვს თუ რა ტიპისაა ის მოვალეობა, რომლითაც აბრაამი ხელმძღვანელობს აღნიშნულ მითში.

რაკი აქ საკითხი ეხება მსხვერპლშეწირვას მოვალეობის გულისთვის, კირკეგორი საგანგებოდ ეხება ტრაგედიის პრობლემას და პარალელს აგამემნონსა და აბრაამს შორის ავლებს. როდის წარმოიშობა ტრაგედია? თუ პიროვნებაში სურვილი და მოვალეობა ემთხვევა ერთმანეთს, ამ დროს ტრაგედიისათვის საფუძველი არ არსებობს. მაგრამ მოვალეობის სფერო ისე ფართო და მრავალმხრივია, რომ ხშირად პირად სურვილს უპირისპირდება და იქმნება საფუძველი ტრაგიკულისათვის. ვინც სურვილისა და მოვალეობის დაპირისპირებას პირველის სასარგებლოდ გადაჭრის, ის ეთიკურად დამნაშავეა, ხოლო ვინც მეორის სასარგებლოდ, — ის გმირია. მითები აგამემნონისა და აბრაამის, შესახებ სწორედ იმ ანალოგიურობით იქცევენ ყურადღებას, რომ ორივენი მოვალეობის გულისათვის წამებულ ადამიანებად, ე. ი. გმირებად აღიქმებიან. მაგრამ აქვე, ამ გმირობაშივეა უდიდესი განსხვავება აგამემნონსა და აბრაამს შორის. აგამემნონი ტრაგიკული გმირია, ხოლო აბრაამი — რწმენის რაინდი. ორივენი ეთიკურს უარყოფენ, მაგრამ პირველი — ისევ ეთიკურისათვის, თანაც უფრო მაღალი ეთიკურისათვის, ხოლო მეორე — არა. ე. ი. განსხვავებით აგამემნონისაგან, აბრაამი შვილისადმი ეთიკურ მოვალეობას როდი აღიარებს უფრო მაღალი ეთიკური მოვალეობისათვის. ამას გულისხმობს კირკეგორი, როცა ამბობს, რომ აბრაამი საყოველთაოს გარეთ დგას.

საყოველთაოსაგან გარეთ დგომა ის ზოგადი ნიშანია, რომლის დაკონკრეტებით უფრო ახლოდან გავეცნობით აბრაამის ირაციონალური რწმენის ეთიკურ აბსურდულობას. კირკეგორი ორ სხვადასხვა განზომილებაში განიხილავს ამ ზოგად ნიშანს. ეთიკის საზომების მიხედვით, საყოველთაოსაგან გარეთ დგომა მხოლოდ ცდუნებას, ბოროტებას შეიძლება ნიშნავდეს. მაგრამ კირკეგორი კითხვას ასე სვამს: „შეიძლება თუ არა ეს სხვა რამე იყოს, ვიდრე ცდუნება?“[7]. კირკეგორი სამართლიანად თვლის, რომ უკვე თვით ეს კითხვა ეთიკის მეცნიერებისათვის სავსებით გაუგებარია, რადგანაც ამ უკანასკნელს საყოველთაოსაგან გარეთ დგომა ერთადერთი აზრით — საყოველთაოზე დაბლა დგომის აზრით ესმის, ხოლო კირკეგორის მიერ დასმული კითხვა საყოველთაოსაგან გარეთ დგომის სხვაგვარი ინტერპრეტაციის შესაძლებლობას გულისხმობს. კერძოდ, ამ მეორენაირი ინტერპრეტაციით, საყოველთაოსაგან გარეთ დგომა არის საყოველთაოზე მაღლა დგომა. აბრაამი სწორედ რომ მორწმუნეა. ამიტომ მისი ანალიზი საყოველთაოსაგან გარეთ დგომის მხოლოდ ამ მეორენაირი ინტერპრეტაციის შუქზეა შესაძლებელი. ანალიზის ამ გზაზე გამოჩნდება, თუ რატომაა რწმენა ეთიკურად გაუგებარი.

რწმენას როგორც საყოველთაოზე ერთეულის მაღლა დგომას კირკეგორი ახასიათებს, როგორც ეთიკურის ტელეოლოგიურ მოცილებას[8]. აქ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმის გაგებას, რომ ლაპარაკია არა აბსოლუტურ, არა-

[7] Sören Kierkegaard. Furcht und Zittern, Rowohlt, 1964. s. 56.

[8] ib., s. 49.

მედ რელატიურ გამორიცხვაზე. რწმენა აბსოლუტურად რომ გამორიცხავდეს ეთიკურს (საყოველთაოს), მაშინ ის ეთიკის ინტერესებს გარეთ იქნებოდა მთლიანად და არც ეთიკურ პარადოქსად ჩაითვლებოდა ვინმეს მიერ რას ნიშნავს ეთიკურის ეს შედარებითი გამორიცხვა კონკრეტულად?

საერთოდ, ეთიკური — ეს არის პიროვნების მიერ თავისი საზოგადოებრივი მოვალეობის შეგნება, გამოხატული შესაბამის, საზოგადოებისათვის სასარგებლო მოქმედებაში. ამ განსაზღვრის პირველ ნახევარს ეთიკურის შინაარსობრივი, ხოლო მეორე ფორმალური მხარე შეიძლება ვუწოდოთ, რომლებიც მუდამ ერთიანობაში, ორგანულ მთლიანობაში არიან. კირკეგორისეული რწმენა კი როგორც „ეთიკურის ტელეოლოგიური აცილება“ ეთიკურისადმი უცნაური მიმართების ისტორიულად უნიკალური ნიმუშია. აქ დატოვებულია ეთიკურის შინაარსი და გამორიცხულია მისი ფორმა, რითაც რწმენა არაობიექტივირებადი წმინდა სუბიექტური სიკეთის სახეს იღებს. რწმენა არის იმ ორალური ფენომენი ანუ ეთიკური შინაარსი არაეთიკურ ფორმაში. ამას კირკეგორი ეთიკურ პარადოქსს, ეთიკურ აბსურდს უწოდებს.

ამგვარი ეთიკური აბსურდის ნიმუშია აბრაამის რწმენა, მისი ქცევის წმინდა სუბიექტური მოტივი ანუ შინაარსი ღრმად ეთიკურია. კირკეგორი არაერთხელ უსვამს ხაზს, რომ აბრაამის ეთიკური მოვალეობა შვილისადმი ისაა, რომ თავზე მეტად უყვარდეს იგი, და რომ აბრაამი ამ მხრივ უმწიკვლო მამაა. ეთიკისათვის ეს ამბავი, დამოუკიდებლად აღებული, სავსებით გასაგებია და ის იწონებს ამ მამურ სიყვარულს. მაგრამ ღმერთი ითხოვს აბრაამისაგან საყვარელი ვაჟის მსხვერპლად გაღებას, აბრაამი მორჩილად ასრულებს ღმერთის მოთხოვნას. ეთიკას ამ მომენტშიც ესმის აბრაამისა, კერძოდ, გმობს მის მოქმედებას არაეთიკუროზისათვის, რაკი აბრაამი მამაშვილურ მორალს აბიჯებს და, ამავე დროს, არც უფრო მაღალი ეთიკური მოვალეობით ხელმძღვანელობს; ე. ი. თუ ავიღებთ აბრაამის უსაზღვრო სიყვარულს შვილისადმი და მსხვერპლშეწირვის ამბავს ცალ-ცალკე, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, მაშინ აბრაამი თავიდან ბოლმდე ეთიკურად გასაგები იქნება. ეთიკა ჩათვლის, რომ აბრაამი თავიდან ეთიკური იყო, მაგრამ შემდეგ აზრი შეიცვალა ან გაგიჟდა და არაეთიკური, საზარელი გადაწყვეტილება მიიღო. მაგრამ აბრაამის რწმენის მთელი საიდუმლოება, კირკეგორის აზრით, იმაშია, რომ მას დანის აღმართვის მომენტში უსაზღვროდ უყვარს თავისი ისააკი. კიდევ მეტი, ერთადერთი, რაც მას ამოძრავებს, შვილისადმი უსაზღვრო სიყვარულის გრძნობაა. შესაბამისად, ღმერთი ისევე კეთილია აბრაამის მიმართ მსხვერპლის მოთხოვნის მომენტში, როგორც მაშინ, როცა მას ვაჟი აღუთქვა და უბოძა. ღვთისადმი რწმენა არც ერთ მომენტში არ გამორიცხავს აბრაამის სიყვარულს ისააკისადმი. აკი რწმენა თვითონაა აბსოლუტური სიყვარულის განხორციელება და სწორედ ამგვარი რწმენისათვის უბოძა ღმერთმა აბრაამს შვილი. აი, ესაა ეთიკურად გაუგებარი; ე. ი. არც ეთიკური განზრახვაა ეთიკურად გაუგებარი და არც არაეთიკური საქციელი, თუ ისინი ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, ერთმანეთთან რამენაირი კავშირის გარეშე აიღებიან, მაგრამ არაეთიკური საქციელი ეთიკური განზრახვით არის ისეთი რამ, რაც ეთიკურად არ გაიგება.

შინაგანისა და გარეგანის ამგვარი უთანაზომობა ეგზისტენციალიზმის აუცილებელი შედეგი და მისივე ღრმა სიძნელის გამოხატულებაა. იდეალი-

ზმისა და რელიგიისათვის არასოდეს არ ყოფილა უცხო ამგვარი ტენდენცია, მაგრამ ეგზისტენციალიზმისათვის, კერძოდ, კირკეგორის მოძღვრებისათვის ტენდენცია კი არაა ეს, არამედ — ძირითადი სულისკვეთება. ეგზისტენცის ცნება ზოგადისაგან ერთეულის იზოლირების თეორიულ ბაზაზე შენდება. კერძოდ, ადამიანური ყოფიერების მკაცრად ინდივიდუალური წესი — საზოგადოებრივი ობიექტივაციურობისაგან დამოუკიდებელი —ცხადდება ჭეშმარიტებად. ამ აზრით ამბობდა კირკეგორი, რომ სუბიექტურობა არისო ჭეშმარიტება. მაგრამ ინდივიდუალობა დიალექტიკური სინამდვილის მხოლოდ ერთი მხარეა, რის გამოც ეგზისტენცია არათვითმარ ჩაკეტილობად აღიქმება. ობიექტურობის, ზოგადის მოთხოვნა ეგზისტენციის მტანჯველ მახასიათებლად იქცევა. მაგრამ რაკი ზოგადი უარყოფილი ფორმით ისევ და ისევ მხოლოდ უარსაყოფია, ამიტომ ის იღებს სრულიად განსხვავებულ ფორმას. ერთიანობა ყოფიერებისათვის აუცილებელია, მაგრამ რაკი ეგზისტენცის ცნება ამ ერთიანობის რეალური სახის უარყოფიდან იწყება სწორედ, ამიტომ ე. წ. ეგზისტენციალური ერთიანობა, რომლის აუცილებლობის წინაშეც დგება ეგზისტენცი, ფორმის მხრივ აბსოლუტურად გამორიცხავს უარყოფილ ერთიანობას; უფრო სწორად, გამოირიცხება ერთიანობის ჩვეულებრივი ფორმა და შენარჩუნებულია ერთიანობა თავის უზოგადეს შინაარსში,— ე. ი. ზოგადშინაარსობრივად აღდგება ერთიანობა, მაგრამ ყოფიერების ფორმა ისევ და ისევ ინდივიდუალური რჩება და ერთიანობა სრულიად არაჩვეულებრივ, სწორედ საპირისპირო ფორმაში ექცევა. ე. წ. პლატონური გაორება უკიდურესობამდეა მიყვანილი. აბსოლუტი თავისთავიდან სავსებით გამორიცხავს არსებობის ამქვეყნიურ სახეს და პრინციპულად გამოუხატავი ხდება.

შესაბამისად, აბრაამის ეთიკა აბსოლუტურად ირონიულია. თუ რომანტიკოსებთან გარეგანი შინაგანის მიმართ მიმნიშნებლის როლს მაინც ასრულებდა კირკეგორთან ეთიკურის ფორმა, აბსოლუტურად გამორიცხავს ეთიკურის შინაარსს. თუ ანა ქსიმანდრე აპეირონში წინასწარ გარაუდობდა გრძნობად-კონკრეტულ სინამდვილეს, ხოლო პლატონი, მიუხედავად მკაცრი დუალიზმისა, გარეგანში რაღაცნაირად უშვებდა იდეის „თანაზიარობას“ და ა. შ., კირკეგორი შინაგანისა და გარეგანის, არსებისა და მოვლენის უპირობო ურთიერთგათიშვის თვალსაზრისზე დგას. ამ უჩვეულო, უცნაურ დუალიზმს მოჰყვა ეთიკური აბსურდის, ეთიკური პარადოქსის ასევე უცნაური ცნება. ირონიამაც უცნაურად აბსოლუტური ხასიათი მიიღო: ეთიკური პარადოქსი ანუ იმორალური სხვა არაფერია, თუ არა ეთიკური ირონია, — ეთიკურის უკეთესი გამოხატვა შეუძლებელია აბრაამისათვის, თუ არა არაეთიკური საქციელი. ამიტომაა, რომ აბრაამის გარეგანი და შინაგანი სახე აბსოლუტურად ურთიერთშეუთავსებადია. ვინც აბრაამს გარედან აკვირდება, მან აბსოლუტურად არ იცის ის: გარეგანი თვალისათვის ის მკვლელია, ხოლო შინაგანად— აბსოლუტურად მოყვარული მამა; გარეგანი თვალისათვის აბრაამი აბსოლუტურად მარტოა, ხოლო შინაგანად ის აბსოლუტურ ერთიანობაშია ღვთაებასთან; გარეშე თვალისათვის აბრაამი ტრაგიკული აღმიანია, შინაგანად კი აბრაამი ნეტარია; გარეშე თვალისათვის აბრაამი უგუნური დ გიჟია, შინაგანად კი ის აბსოლუტურად გონიერი და ბრძენია. კირკეგორის აზრით, აბრაამს მხოლოდ ის გაუგებს, ვინც თავადაც მასავით იცის უკიდურესად ინდივიდუალური ჭეშმარიტება.

მაშასადამე, აბრაამის რწმენა ეთიკურად გაუგებარია იმის გამო, რომ იმორალურია, ე. ი. არაეთიკურ ფორმაში განხორციელებული ეთიკურობაა. ადამიანს არ ესმის ამგვარი ეთიკა. მას არ ეყოფა ძალა აბრაამის ქცევა ეთიკურად ჩათვალოს ანდა თვითონ დაკლას შვილი შეუბღალავი სინდისით ისე, რომ არა თუ არ შეძრწუნდეს თავისი ნამოქმედარის გამო, არამედ მაღალ-ეთიკურადაც ჩათვალოს თავისი საქციელი. კირკეგორის აზრით, ეს მხოლოდ ქრისტიან მორწმუნეს ანუ რწმენის რაინდს შეუძლია. ამ უკანასკნელს ვერც განადიდებს და ვერც დაგმობს ადამიანური ეთიკა, რადგანაც როგორც ერთისთვის, ისე მეორისთვის გაგებაა საჭირო. აბრაამი კი მიუწვდომელია ადამიანური ეთიკისათვის.

რწმენის ირაციონალობის საბოლოო განსაზღვრებისათვის უნდა ვუპასუხოთ ჩვენ მიერ ზემოთდასმულ მეორე კითხვაზე, თუ რა აზრითაა რწმენა გონებრივად გაუგებარი.

„დასკვნით არამეცნიერულ ნაწერებში“, როგორც ზემოთ ვნახეთ, კირკეგორი რწმენის მოპოვების, რწმენითი ნახტომის შესრულების აუცილებელ პირობად საკუთარი „მე“-ს ჩამოცილებას თვლიდა. მაგრამ როგორ შეიძლება თვით „მე“-ში „მე“-ს ჩამოცილება მოხდეს? — საქმე ის არის, რომ „მე“-ში, რომლის სფეროშიც უნდა მოხდეს ჩამოცილება, კირკეგორს ეგზისტენცი ესმის; ხოლო „მე“-ში, რომლის ჩამოცილებაზეცაა ლაპარაკი, — ადამიანური გონება.

ცხადია, კირკეგორი აქ ეგზისტენცის ცნებას აფართოებს და თვით ეგზისტენცის ფარგლებში შესაძლებლად მიიჩნევს ახალი თვისებრიობის დამდგენ ეგზისტენციალურ ნახტომს. თუ თვითარჩევანის გზით დადგენილი ეგზისტენცის ცნებაში ინდივიდუალურ-ადამიანური სინამდვილე იგულისხმებოდა, ახლა ეგზისტენცის ცნებაში არაადამიანური ფენომენი შემოდის. რწმენითი ნახტომით ისპობა ის, რაც თვითარჩევანმა დაადგინა და სათავე ეძლევა ეგზისტენცს როგორც არაადამიანურ-ინდივიდუალობას. ინდივიდუალიზაციის პროცესი, დაწყებული თვითარჩევნიდან, ამით უკიდურესობამდე მიდის. ეს პროცესი, რომელიც მიმდინარეობდა ზოგად-ადამიანურის, ობიექტურის სულ უფრო ჩამოცილებისა და ინდივიდუალურის, სუბიექტურის საზღვარგადასული ზრდის გზით, დასასრულს პოულობს ზოგად-ადამიანურის, ობიექტურის უკანასკნელი ნაშთის ამოწურვაში და ქრისტიანული რწმენის დაწყებაში. ამგვარ არაადამიანურ ნახტომს კირკეგორი ახასიათებს, როგორც ჭეშმარიტების განხორციელებას ადამიანური გონების სრული დაბრმავების გზით: „სიყვარული (ქრისტიანული ჭეშმარიტება — ზ. ხ.) აბრმავებს ადამიანს... მხოლოდ მაშინ, როცა სიყვარული სულში დაიდებს ბინას, ბრმავდება ადამიანი და რაც უფრო მეტია სიყვარული, მით უფრო მეტია სიბრმავე“[9].

ის, რაც აქ გონებრივად გაუგებარია, ზოგადად რომ ვთქვათ, არის ადამიანური გონების სრული დაბრმავება ანუ ადამიანის აბსოლუტური არაგონივრულობა. არაგონივრულობა ცხადია, გონებისათვის გაუგებარია, ვინაიდან შემეცნების აუცილებელი პირობა საერთოს არსებობაა. ადამიანისათვის ერთადერთი გამგები ინსტრუმენტი ადამიანური გონებაა, მაშინ როცა მინიმუმი მაინც იმისა, რასაც რწმენის გაგება მოითხოვს აუცილებელ პირობად, ადამიანური გონებისაგან განთავისუფლებაა.

[9] Sören Kierkegaard. Drei erbauliche Reden, Diederich-Düsseldorf, 1955, s. 106.

ადამიანური აზროვნებისა და რწმენის აბსოლუტური უთანაზომობის საჩვენებლად კირკეგორი ხაზგასმით მიუთითებს იმაზე, რომ რწმენა გააზრების ფორმალურ პირობებსაც კი არ ექვემდებარება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რწმენა, ეს უკიდურესად სუბიექტური აზროვნება, არღვევს ფორმალური ლოგიკის კანონებსაც კი. მოვლენათა ემპირიული და რაციონალური დაყოფა შეუძლებლობისა და შესაძლებლობის სფეროებად ძალას ჰკარგავს რწმენის სფეროში. ამიტომ იმეორებს კირკეგორი არაერთხელ, რომ ღმერთს შეუძლებელიც შეუძლია, ის რაც ადამიანური გონებისათვის შეუძლებელია ემპირიულ-რაციონალური განსაზღვრულობის გამო, შესაძლებელია ღმერთისათვის და, მაშასადამე, მორწმუნესათვისაც. „ღმერთისათვის ყველაფერი შესაძლებელია. ამაშია რწმენითი ბრძოლა, უგონო ბრძოლა შესაძლებლობისათვის. მხოლოდ მაშინ გადაიხსნება გზა რწმენისათვის, სწამთ მხოლოდ მაშინ, როცა ადამიანი უკვე ვეღარ ხედავს შეუძლებლობას. ღმერთი ნიშნავს, რომ ყველაფერი შესაძლებელია, — ეს ნიშნავს ღმერთს, მხოლოდ ის მივიდა ღმერთთან, ვისი არსებაც ისე შეირყა, რომ გონად იქცა და ჩასწვდა ყველაფრის შესაძლებლობას“[10].

თუ კონკრეტულად რაში მდგომარეობს რწმენის მიუწვდომლობა ადამიანური გონებისათვის, ამას კირკეგორი აბრაამის მაგალითზე გვიჩვენებს. აბრაამი მორწმუნეა და ამდენად არაადამიანური გონების პატრონია. მის გონებას არა-ადამიანურს ხდის რწმენა გ ა ნ მ ე ო რ ე ბ ი ს ა დ მ ი.

განმეორების ცნებას კირკეგორი საგულდაგულოდ განასხვავებდა მოგონების პლატონური და განვითარების ჰეგელიანური ცნებებისაგან. განსხვავებით პირველისაგან, რწმენა კირკეგორს ესმოდა არა როგორც უკანსვლა, არამედ — წინსვლა, ხოლო განსხვავებით მეორისაგან, — არა როგორც იმანენტური, არამედ — ტრანსცენდენტური. „განმეორებას ვერც ბერძნული ფილოსოფია აგვიხსნის და ვერც ახალი, რადგან ბერძენი საპირისპირო მიმართულებით მოძრაობდა და ირჩევდა მოგონებას... ახალი ფილოსოფია კი სრულიადაც არ ასრულებს მოძრაობას, არამედ ზოგადში აკეთებს ბევრ მოხსნას და თუკი მოძრაობს, მხოლოდ იმანენტური აზრით. განმეორება კი, პირიქით, არის და რჩება ტრანსცენდენტური“[11]. განმეორება კირკეგორს ესმის როგორც ეგზისტენციალურად უარყოფილი ერთიანობის აღდგენა, ერთი მხრივ, უფრო მაღალ, ხოლო, მეორე მხრივ, ადამიანისათვის გაუგებარ ფორმაში. ამიტომ განმეორებისადმი რწმენაც, ერთი მხრივ, უმაღლესი, ხოლო, მეორე მხრივ, ადამიანისათვის გაუგებარი ჭეშმარიტებაა, რომელსაც აბრაამი ასე გამოხატავს: „ეს არ მოხდება, ან თუ მოხდა, მაშინ უფალი ახალ ისააკს მომცემს მე“[12].

აბრაამის მიერ გამოთქმული ამ აზრის გონებრივად მიუწვდომლობა მის აბსოლუტურ ირონიულობაშია. ერთი მხრივ, **ეს აზრი აბრაამის** სახელმძღვანელო რწმენის გამომხატველია და ამდენად აბრაამის უმაღლესი ჭეშმარიტებაა, რითაც რწმენის რაინდი ნეტარებას აღწევს. მაგრამ, მეორე მხრივ, ე ს უ მ ა ღ ლ ე ს ი ჭ ე შ მ ა რ ი ტ ე ბ ა ო ბ ი ე ქ ტ უ რ ა დ მ ც დ ა რ ფ ო რ მ ა შ ი ა ჩ ა მ ო ყ ა ლ ი ბ ე ბ უ ლ ი. ეს რწმენა ეწინააღმდეგება ადამიანის ინტელექტუალურ გამოცდილებას, რეალურ ფაქტებს და მას ადამიანური გო-

[10] Die. Krunkheit rum Tode, s. 35, XI. 151.
[11] S ren K i e r k e g a a r d. Die Wicderhulung, Düsseldorf.
[12] Furcht und Zittern. s. 108.

ნება გაიგებს. როგორც მხოლოდ შეცდომას. ხოლო ამ შეცდომის ჭეშმარიტება ადამიანისათვის მიუწვდომელია, აბსურდია. გონება გაიგებს ჭეშმარიტებასაც და შეცდომასაც ცალ-ცალკე, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, მაგრამ რწმენას გონებრივი პარადოქსის სახე აქვს. ის წარმოადგენს აბსოლუტურ ჭეშმარიტებას აბსოლუტურ შეცდომაში. მის წინაშე ადამიანური გონება, გაუგებარ სიტუაციაში, სკანდალშია, კირკეგორის ტერმინი რომ ვიხმაროთ. რწმენა მხოლოდ ჭეშმარიტება რომ იყოს, მაშინ ღმერთი არ იქნებოდა ტრანსცენდენტური, ადამიანური გონება გაიგებდა მას და მიიღებდა. რწმენა მხოლოდ შეცდომა რომ იყოს, ადამიანური გონება გაიგებდა მას და უარყოფდა. რწმენა არის ჭეშმარიტება აბსოლუტურად გამომრიცხველ ფორმაში— შეცდომაში, რის გამოც ის ადამიანური გონებისათვის გაუგებარია, აბსურდია. ადამიანური გონებისათვის რწმენა არც ჭეშმარიტებაა და არც შეცდომა, არამედ— გაუგებარი აბსურდი.

მაშასადამე, ირონიის რომანტისტულმა პრინციპმა აქაც პარადოქსის, აბსურდის სახე მიიღო. რწმენის შინაგანი და გარეგანი სახე აბსოლუტურად გამორიცხავენ ერთმანეთს. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, რწმენა პრინციპულად არაობიექტივირებადი წმინდა სუბიექტურობაა, პრინციპულად არაგანზოგადებადი წმინდა ინდივიდუალობაა.

ამიტომაა აბრაამი აბსოლუტურად ჩაკეტილი თავისთავში. მას შეუძლია მუდამ სიმართლე თქვას, მაგრამ ამით ის ვერაფერს ვერ ეტყვის შემკითხველს, ის ვერ აუხსნის ვინმეს თავისი საქციელის ვერც ერთ მომენტს. თუ მას შეეკითხებიან ისააკის მსხვერპლად შეწირვის მიზეზის შესახებ, მან უნდა უპასუხოს ყველასათვის გაუგებარი სიმართლე, რომ ეს გამოცდაა, ისააკის შეკითხვაზე „სადღაა, მამავ ცხვარი ყოვლად დაწვისათვის? აბრაამი უპასუხებს: ღმერთი დაინახავს ცხვარს ყოვლადწვისათვის, შვილო ჩემო“, რაც სიმართლეა, მაგრამ გაუგებარია ისააკისათვის. საქმე იმაშია, რომ აბრაამი მუდამ რწმენის არაადამიანური პოზიციიდან ლაპარაკობს, ხოლო შემკითხველი მუდამ ადამიანურ პოზიციაზეა. რწმენა აბსოლუტურად სუბიექტური და ინდივიდუალურია იმისათვის, რომ ობიექტივირებასა და განზოგადებას დაექვემდებაროს. ამიტომ აბრაამის რწმენის ერთადერთი, ყველაზე ადექვატური მედიუმი დუმილია. საქმე იმაშია, რომ სიტყვა, რომლითაც უნდა მოხდეს ლაპარაკი, ზოგადია, ხოლო რწმენა ანუ ის ჭეშმარიტება, რომელიც აბრაამმა იცის, აბსოლუტურად ინდივიდუალურია.

ამგვარად, რწმენა, ერთი მხრივ, არაეთიკურ ფორმაში მოქცეული ეთიკური შინაარსია, ხოლო, მეორე მხრივ, აბსოლუტურ არაჭეშმარიტებაში მოქცეული აბსოლუტური ჭეშმარიტება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რწმენა, ერთი მხრივ, ეთიკური პარადოქსია, ხოლო მეორე მხრივ, გონებრივი პარადოქსი. ამაშია კირკეგორისეული რწმენის ირაციონალური ხასიათი.

4. ირაციონალიზმის კრიტიკა. ირაციონალიზმის მთელი მანკიერება მისივე დედაარსს — ჭეშმარიტების უკიდურეს ინდივიდუალიზაციას უკავშირდება. ერთიანობისაგან გამოცალკევებული ატომარული ინდივიდისათვის ჭეშმარიტების არსებობა პრინციპულად გამორიცხულია. თუ ხედვა მხოლოდ ინდივიდუალურია, მაშინ გზა ეხსნება ჭეშმარიტებათა პლურალიზმს, რაც სხვა არაფერია, თუ არა ჭეშმარიტების უარყოფა. ექსისტენციისათვის, რამდენადაც ის ინდივიდუალურ-სუბიექტური სუბსტანციაა, დაკარგულია თვით ჭეშმარიტების, როგორც ასეთის, საზრისი, ვინაიდან საზრისი მუდამ განსხვავებულთა

ერთიანობას უკავშირდება, რითაც ზოგადს თან მოიყოლებს. ამ სიძნელის გათვალისწინების გამო არიდებდნენ თავს წარსულის თვით უდიდესი მისტიკოსებიც კი მკაცრ სუბიექტივიზმს და ჭეშმარიტების წილ ობიექტურობასაც და ზოგადსაც თავისას მიუზღავდნენ.

უკიდურესი ირაციონალიზმი ვერ აფუძნებს აგრეთვე ექსისტენციალურ მოძრაობას, როგორც ფაქტს, ამასთანავე არა უბრალოს, არამედ ექსისტენციალისტისათვის ამოსავალს. საქმე იმაშია, რომ მოძრაობა ერთიანის გაორებულობას მოითხოვს საფუძვლად, რაც ისევ და ისევ ზოგადს მოიყოლებს თან და ექსისტენციალიზმს დანგრევას უქადის. ფაქტი კი ახსნას ითხოვდა და კირკეგორიც იძულებული იყო დაეშვა ჭეშმარიტების „ნეგატიური“ მონაწილეობა ადამიანში (თითქოს ნეგატიური პოზიტიურს არ გულისხმობდეს საფუძვლად); რაც იდეალიზმის ფარგლებში ლოგიკურად ბოლომდე გააზრების შემთხვევაში ისევ რაციონალიზმისაკენ, საბოლოო ანგარიშით კი ჰეგელისაკენ ხსნიდა გზას. ეს კი ინდივიდუალურის აქტივობის კირკეგორისეულ მოთხოვნას მოთხოვნადვე ტოვებდა და საკითხის პოზიტიური გადაწყვეტის არაიდეალისტური გზის ძიებას აყენებდა დღის წესრიგში.

ამ ერთადერთ სწორ გზას დაადგა მ ა რ ქ ს ი ზ მ ი.

მარქსიზმისათვის არსებობა დაპირისპირებულთა ერთიანობაა, რის გამოც ინდივიდუალური აუცილებელ კავშირშია ზოგადთან. ეს ზოგად-მეთოდოლოგიური წანამძღვარი, ისევე როგორც ყველგან, მარქსიზმშიც უზრუნველყოფს ჭეშმარიტობის საზრისს, მაშინ როცა ექსისტენციალისტი ინდივიდუალისტური ამოსავლის გამო ჰკარგავს ჭეშმარიტებისა და არაჭეშმარიტების განსხვავების კრიტერიუმს და ამით თვით ჭეშმარიტების საზრისს. ჭეშმარიტების საზრისი მის ზოგადობაშია, მის ობიექტურობაშია. ამაშივეა მისი ღირებულებითი პრიმატი ინდივიდუალური ადამიანის მიმართ. ეს უკანასკნელი მხოლოდ იმდენადაა ღირებული, რამდენადაც ჭეშმარიტებას იმეცნებს და ახორციელებს.

ეს მხოლოდ გარეგნული მსგავსებაა უნივერსალიზმთან და რაციონალიზმთან. უკანასკნელნი იდეალისტურობის გამო ინდივიდუალურ აქტივობას ვერ აფუძნებდნენ. დიალექტიკური მატერიალიზმი კი სამყაროს განვითარების უმაღლეს საფეხურებზე აუცილებლობით სცნობს ინდივიდუალური სუბიექტის როლის განუხრელ ზრდას. საქმე იმაშია, რომ პრაქტიკა — სამყაროული განვითარების ეს ადამიანური ფორმა — წინაადამიანურისა და წმინდა ადამიანურის დიალექტიკური დაპირისპირების ბაზაზე არსებობს ისე, რომ წმინდა ადამიანური, ცნობიერების წარმოშობასთან დაკავშირებული უმაღლესი ღირებულებები მეორეულია და მათს განსახორციელებლად უკვე ობიექტური სამყარო აღარ „ზრუნავს“ და განვითარების ობიექტური ტენდენციაც სულ უფრო უკავშირდება სუბიექტური ფაქტორის როლის ზრდას, სუბიექტის მიერ განვითარების, როგორც მოქმედების აქტიური ფორმის თავისთავზე აღებას. ადამიანი, როგორც ინდივიდუალური სუბიექტი პასუხისმგებელი ხდება არამარტო თავისთვისა და საზოგადოების, არამედ ბუნების წინაშეც, ისევე როგორც განვითარების დაბალ საფეხურებზე ბუნება იყო „პასუხისმგებელი“ ადამიანის წინაშე. ამრიგად, ირაციონალიზმის მიერ წინ წამოწეული და გააბსოლუტებური მომენტი კი არ უარიყოფა დიალექტიკურ მატერიალიზმში, როგორც ეს ტრადიციულ ფილოსოფიაში ხდებოდა, არამედ თავის კუთვნილ ადგილს იჭერს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიხეილ მახარაძე

პირველმიზეზის კატაფატიკური დახასიათება ფსევდო-დიონისე არეოპაგელის ფილოსოფიაში

ფსევდო-დიონისე არეოპაგელის მსოფლმხედველობით ქართული კულტურის ისტორიის მკვლევართა დაინტერესება გამოწვეულია ორი გარემოებით: 1) ზოგიერთის აზრით, შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ მსოფლმხედველობრივ საფუძველს წარმოადგენს არეოპაგიტიკული მოძღვრება, რომელიც ქართულად ითარგმნა XI საუკუნეში, ეფრემ მცირეს მიერ; 2) ჯერ შ. ნუცუბიძე, შემდეგ ბელგიელი მეცნიერი ერნესტ ჰონიგმანი ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ფსევდო-დიონისე არეოპაგელი[1] და V საუკუნის ცნობილი ქართველი საეკლესიო მოღვაწე პეტრე იბერი ერთი და იგივე პიროვნებაა.

ფსევდო-დიონისე არეოპაგელის მსოფლმხედველობის მიმართ აზრთა სხვადასხვაობაა. ფილოსოფიის ისტორიის ცნობილი მკვლევარი ვ. ვინდელბანდი მიიჩნევს, რომ არეოპაგიტიკაში მოცემულია ქრისტიანობის მისტიკური გადმოცემა ნეოპლატონიზმის ფორმით[2]. შ. ნუცუბიძის აზრით, „მეოთხე სკოლის ნეოპლატონიზმი[3] დასცილდა ქრისტიანობას, მაგრამ ნეოპლატონიზმამდე ვერ მივიდა. ამაში იყო მისი შემმუშავებლის თავისებური მდგომარეობა: მან განაგრძო ანტიკური ობა ქრისტიანული კულტურის ნიადაგზე, მაგრამ შესცოდა ქრისტიანობის წინააღმდეგ, ვინაიდან მის დოგმატიზაციას ალღო ვერ აუღო“[4] (ხაზი ჩვენია — მ. მ.)

თვით არეოპაგიტიკის განხილვისას ცხადი ხდება, რომ ფსევდო-დიონისე არეოპაგელი მასალას იღებს „საღვთო წერილიდან“, შემდეგ ახდენს მის გაფორმებას ნეოპლატონიზმის საფუძველზე. სწორედ ამის გამო, ვ. ვინდელბანდის ზემომოყვანილი აზრი უფრო მართებულად მიგვაჩნია. რაც შეეხება ფსევდო-დიონისე არეოპაგელის მოძღვრების ფილოსოფიურ წყაროებს, უკვე აღინიშნა, რომ მისი ნააზრევი განიცდის ნეოპლატონიკოს პროკლე დიადოხოსის ფილოსოფიის გავლენას. ამასთანავე გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ არეოპაგიტიკის ავტორი V საუკუნეში მოღვაწეობდა და მისთვის უცხო არ იქნებოდა არც პლატონის, არც არისტოტელეს და არც სხვა ფილოსოფოსთა ნააზრევი. რამდენადაც მისთვის ამოსავალი ნეოპლატონიზმია, არაა გამორიცხული, რომ იგი ანტიკურ ფილოსოფიას ნეოპლატონიზმის თვალსაზრისიდან იცნობდა. ფსევდო-დიონისე არეოპაგელის მსოფლმხედველობის მიმართება ნეოპლატონურ ფილოსოფიასთან, მისი მოძღვრების ზოგადმა დახასიათებამ უნდა დაადგინოს.

არეოპაგიტიკის ზოგადი პრინციპები. ნეოპლატონური ფილოსოფიის მიხედვით, სინამდვილის პირველმიზეზი, საწყისი არის ერთი; პირველსაწყისი

---

[1] არეოპაგელის ირგვლივ დიდი დავა იყო ერთნი მას მიიჩნევდნენ I ს-ის მოღვაწედ, მეორენი — III საუკუნისა და ა. შ. შემდეგ უდაოდ მიღებული იქნა, რომ დიონისე არეოპაგელი არის V ს. მოაზროვნე, რამეთუ მის მოძღვრებაში აშკარად სჩანს V ს. ცნობილი ნეოპლატონიკოსი ფილოსოფოსის — პროკლე დიადოხოსის მოძღვრების გავლენის კვალი. ამასთან, 531 წელს იერუსალიმის კრებაზე მოხსენებულია დიონისე არეოპაგელი და მისი წიგნები. ამრიგად დადგენილია, რომ დიონისე არეოპაგელი მოღვაწეობდა არა უადრეს V ს-ისა და არაუგვიანეს VI ს. (531 წ.) დაწვრილებით იხილეთ: Ш. Нуцубидзе. Петр Ивер и античное философское наследие, Тбилиси, 1963. აგრეთვე, Э. Хонигман. Петр Ивер и сочинение Пс. Дионисия Ареопагита, Тбилиси, 1955.

[2] В. Виндельбанд. История древней философии, Петербург, 1902, стр. 326.

[3] იგულისხმება არეოპაგიტიკა.

[4] შ. ნუცუბიძე. ქართული ფილოსოფიის ისტორია, ტ. 1, თბილისი, 1956, გვ. 256.

ერთი არის მარტივი, ერთის ეს სიმარტივე სრულყოფილების მაჩვენებელია. პლოტინის აზრით, „პირველი ერთი არის მთელი სინამდვილის საფუძველი. ის მარტივია. რთული, რომ იყოს, მაშინ ნაწილების შემცველი იქნებოდა და, ამრიგად სრულყოფასთან აღარ გვექნებოდა საქმე“[5]. დაახლოებით ამასვე გულისხმობს პროკლე, რომლის აზრით, პირველმიზეზი მხოლოდ ერთი უნდა იყოს: სიმრავლე აუცილებლად ნაზიარებია ერთს, სხვა შემთხვევაში სიმრავლის ყოველი შემადგენელი ისევ სიმრავლე იქნება (ის ხომ ერთიანობის პრინციპს არ ექვემდებარება) და ა. შ. უსასრულოდ. ამგვარად, გამოდის, რომ ყოველი ნაწილი უსასრულობის უსასრულო რიცხვისაგან შედგება. ამდენად, თუ არ იქნება ერთი, არ იქნება არაფერი (ასეთ უსასრულობაზე არაფრის თქმა არ შეიძლება). მაშასადამე სიმრავლე არ შეიძლება იყოს პირველსაწყისი, იგი რომ რაღაცნაირად არსებობდეს, ნაზიარები უნდა იყოს ერთიანობის პრინციპს.

ახლა განვიხილოთ, თუ როგორ დგას პირველმიზეზის საკითხი ფსევდო-დიონისე არეოპაგელთან, რომელიც ისევე, როგორც პროკლე თვლის, რომ პირველმიზეზი არის ერთი. აღნიშნულს ადასტურებს მისი შემდეგი მოსაზრება: „რამეთუ ყოველი ორობაჲ არა არს დასაბამ, არამედ ერთობაჲ არს დასაბამ ყოვლისა ორობისა. ვინაჲთგან უჯერო არს ერთისა და მისგანვე გამოსვლაჲ ორთაჲ ყოველითურთ ურთიერთას წინააღმდეგობითაჲ რაჲთამცა იყო იგივე დასაბამი არა მარტივი და ერთობითი, არამედ განყოფილი და ორ-საზეობითი და წინააღმდგომი და დამჭსნელი თავისა თჳისაჲ“. ფსევდო-დიონისე არეოპაგელის აზრით, თუკი საწყისი არ იქნება ერთი, მაშინ დასაბამი მარტივი და ერთიანი კი არ იქნება, არამედ განყოფილი (ე. ი. სიმრავლე), თავისი თავის წინააღმდეგი და დამშლელი. პირველმიზეზი მარტივია, ყველაფრის საწყისია, ყველა არსებულის არსებაა, ყველა ცოცხალი არსების სიცოცხლეა... არეოპაგელი იმოწმებს ღვთისმეტყველებს, რომლებიც პირველმიზეზს ახასიათებენ როგორც სიკეთეს, მშვენიერებას, ნათელს ნათელთა შორის და ა. შ. ის ყველგანაა და ყველაფერია: ...სოფელსა შინად, სოფლისა გარედ, სოფლისა ზეშთად, ზეშთაცად, ზეშთაარსებისად, მზედა, ვარსკულავად, წყლად, ქარად, ცუარად, ღრუბლად, ლოდად და კლდედ, ყოვლად-ყოვლად“. აღნიშნულს თუ შევადარებთ პლოტინისა და პროკლეს ნააზრევს დავრწმუნდებით, რომ ფსევდო-დიონისე არეოპაგელი პირველმიზეზის[6] დახასიათებისას თითქმის უშუალოდ მიყვება მათ თვალსაზრისს. სწორედ პლოტინთან და პროკლესთანაა პირველმიზეზის ამგვარი დახასიათება მოცემული: უფრო მეტიც, პლოტინი არა მხოლოდ აწასიათებს ამგვარად პირველმიზეზს, არამედ მიმართავს არგუმენტაციას, რომლის საფუძველზეც დაადგენს, რომ პირველსაწყისი ერთი (ე. ი. პირველმიზეზი) ყველგანაა (რამდენადაც ყველაფრის საფუძველია). მეორე მხრივ, პირველმიზეზი ზეშთაარსებულია, იგი როგორც მიზეზი მთელ არსებათა რიგზე მაღლა დგას, მთელი სინამდვილის საფუძველი მასშია; ყველა არსებულს პირველმიზეზისაგან აქვს არსებობა, სიმტკიცე... არსებათა მიმართება ერთმანეთთან, ერთის უპირატესობა მეორის მიმართ, — ყველაფერი ეს (ე. ი. ყოველგვარი წესრიგი) პირველმიზეზისაგან მომდინარეობს „არამედ ამათ დიდთა და წმინდათა გონებათა შემდგომად არიან სულ-

[5] Плотин. Эннеады („Вера и Разум“, 1898, № 8, 9, 13, 14, 17; 1899, № 11, 12, 14, 15; 1900, № 18, 19, 20 23), ენეადები V—3, 13, 2, 1.

[6] როგორც ნეოპლატონიზმში, ასევე ფსევდო-დიონისე არეოპაგელთან პირველმიზეზი, პირველსაწყისი, ღვთაება — იდენტური ცნებებია.

ნი და რაოდენი-რაჲ არს სახიერებაჲ სულთაჲ, მონიჭებული ზეშთა სახიერებათა სახიერებისაგან, რამეთუ ამათაც მის მიერვე მოენიჭების და არიან საცნაურ“[7].

ამრიგად არეოპაგელის მიერ დახასიათებული პირველმიზეზი მთელი სინამდვილის საფუძველია, ყოველგვარ არსებულთა სათავეს წარმოადგენს. იგი რეალურ სინამდვილეზე მაღლა დგას, მისი წვდომა ადამიანური გონებისათვის შეუძლებელია. პირველმიზეზი საბოლოო ჯამში შეუცნობელია: „ხოლო იგი თავადი ზეშთა გონებათა და არსებათა ზეშთადამყარებულ არს, და არა იცნობების, არცა რას არსთაგანსათანა — შეეტყუების, და არს იგი ზეშთაარსებისა და ზეშთაგონებისად იცნობების“. პირველმიზეზი გონებაზეც მაღლა დგას და არაფერში არ შეიცნობა, მისი გამოკვლევა და გამოძიება შეუძლებელია. პირველმიზეზი(ღვთაება) ისეთი ბუნებისაა, რომ მისი არა მარტო ცოდნაა შეუძლებელი, არამედ მისი გამოხატვაც არ შეიძლება — „..რომლისა არცა მოგონებაჲ შესაძლებელ არს, არცა თქმაჲ...“[8]. რა არის იმის მიზეზი, რომ ჩვენ არ შეგვიძლია პირველმიზეზის გამოხატვა? — ამ კითხვას, რომ ვუპასუხოთ უნდა გავიხსენოთ ფსევდო-დიონისე არეოპაგელის შემდეგი აზრი: ვინაიდან პირველმიზეზი ყოველგვარ არსებობაზე მაღლა დგას, არავითარი სინათლე არ შეიძლება იყოს მისი გამოხატულება; ყოველგვარი გონება და სიტყვა უსასრულოდ შორსაა იმისაგან, რომ იყოს პირველმიზეზის მსგავსი.

ფსევდო-დიონისე არეოპაგელის აზრით, ჩვენ თუ გვინდა, რომ რაიმე ვიცოდეთ პირველმიზეზის (ღვთაების) ნამდვილი ბუნების შესახებ, ამისათვის საჭიროა ხილული სინამდვილე — მივიჩნიოთ მის ხატად. ყოველგვარი გრძნობადი უნდა ჩავთვალოთ სულიერის მიერ გაცემულ ძღვნად. აღნიშნულის გასარკვევად არეოპაგელი იხილავს სიმბოლოებს: ყოველი ზეციური მოქმედება თავისი ბუნებით მოცემული გვაქვს სიმბოლოებში. სიმბოლოები ის საშუალებებია, რომელთა მეშვეობითაც ჩვენ რაღაცნაირად გამოვხატავთ პირველმიზეზს. ფსევდო-დიონისე არეოპაგელი მსჯელობის საგნად იხდის „საღვთო წერილში მოცემულ გრძნობად გამოხატულებებს ანუ სიმბოლოებს. აღნიშნული სიმბოლოები ღვთაების (პირველმიზეზის) უხეში გამოხატულებებია. თუკი სიმბოლოები ზუსტად არ გამოხატავენ ღვთაების (პირველმიზეზის) ბუნებას, მაშინ რაში არიან საჭირონი ისინი? ან რითაა გამოწვეული, რომ სიმბოლოები ღვთაების ხატებია? ამას, არეოპაგელის აზრით, შემდეგი გარემოებები განაპირობებენ:

1) ჩვენი გონება უძლურია პირველმიზეზის მისაწვდომად, ამიტომაც იძულებულნი ვართ, მივმართოთ ჩვენთვის ცნობილ გრძნობადს გამოხატულებებს, ფორმებს და ესენი მივაკუთვნოთ პირველმიზეზს;

2) პირველმიზეზის (ღვთაების) ჭეშმარიტება ზეგრძნობადია, რის გამოც ის იდუმალია და მიუღწეველი ხორციელი ადამიანისათვის.

აქ საინტერესო ისაა, თუ რის საფუძველზე ხდება ღვთაების გამოხატვა გრძნობადს ფორმებში. ამისათვის უნდა გავიხსენოთ საერთოდ ნეოპლატონიზმის ძირითადი პრინციპი, რომელსაც იმეორებს ფსევდო-დიონისე არეოპაგელი — პირველსაწყისი ერთის წყალობით ყველა არსებულებს გააჩნიათ

[7] პეტრე იბერიელი (ფსევდო-დიონისე არეოპაგელი). შრომები, თბ., 1961, გვ. 12, 32.

[8] პეტრე იბერიელი, დასახ. შრ. გვ. 233.

ნი და რაოდენი-რაჲ არს სახიერებაჲ სულთაჲ, მონიჭებული ზეშთა სახიერებათა სახიერებისაგან, რამეთუ ამათაც მის მიერვე მოენიჭების და არიან საცნაურ“[7].

ამრიგად არეოპაგელის მიერ დახასიათებული პირველმიზეზი მთელი სინამდვილის საფუძველია, ყოველგვარ არსებულთა სათავეს წარმოადგენს. იგი რეალურ სინამდვილეზე მაღლა დგას, მისი წვდომა ადამიანური გონებისათვის შეუძლებელია. პირველმიზეზი საბოლოო ჯამში შეუცნობელია: „ხოლო იგი თავადი ზეშთა გონებათა და არსებათა ზეშთადამყარებულ არს, და არა იცნობების, არცა რას არსთაგანსათანა — შეეტყუების, და არს იგი ზეშთაარსებისა და ზეშთაგონებისად იცნობების“. პირველმიზეზი გონებაზეც **მაღლა დგას და არაფერში არ შეიცნობა**, მისი გამოკვლევა და გამოძიება შეუძლებელია. პირველმიზეზი(ღვთაება) ისეთი ბუნებისაა, რომ მისი არა მარტო ცოდნაა შეუძლებელი, არამედ მისი გამოხატვაც არ შეიძლება — „..რომლისა არცა მოგონებაჲ შესაძლებელ არს, არცა თქმაჲ...“[8]. რა არის იმის მიზეზი, რომ ჩვენ არ შეგვიძლია პირველმიზეზის გამოხატვა? — ამ კითხვას, რომ ვუპასუხოთ უნდა გავიხსენოთ ფსევდო-დიონისე არეოპაგელის შემდეგი *აზრი: ვინაიდან პირველმიზეზი ყოველგვარ არსებობაზე მაღლა დგას, არავითარი სინათლე არ შეიძლება იყოს მისი გამოხატულება; ყოველგვარი გონება* და სიტყვა უსასრულოდ შორსაა იმისაგან, რომ იყოს პირველმიზეზის მსგავსი.

ფსევდო-დიონისე არეოპაგელის აზრით, ჩვენ თუ გვინდა, რომ რაიმე ვიცოდეთ პირველმიზეზის (ღვთაების) ნამდვილი ბუნების შესახებ, ამისათვის საჭიროა ხილული სინამდვილე — მივიჩნიოთ მის ხატად. ყოველგვარი გრძნობადი უნდა ჩავთვალოთ სულიერის მიერ გაცემულ ძღვნად. აღნიშნულის გასარკვევად არეოპაგელი იხილავს სიმბოლოებს: ყოველი ზეციური მოქმედება თავისი ბუნებით მოცემული გვაქვს სიმბოლოებში. სიმბოლოები ის საშუალებებია, რომელთა მეშვეობითაც ჩვენ რაღაცნაირად გამოვხატავთ პირველმიზეზს. ფსევდო-დიონისე არეოპაგელი მსჯელობის საგნად იხდის „საღვთო წერილში მოცემულ გრძნობად გამოხატულებებს ანუ სიმბოლოებს. აღნიშნული სიმბოლოები ღვთაების (პირველმიზეზის) უხეში გამოხატულებებია. თუკი სიმბოლოები ზუსტად არ გამოხატავენ ღვთაების (პირველმიზეზის) ბუნებას, მაშინ რაში არიან საჭირონი ისინი? ან რითაა გამოწვეული, რომ სიმბოლოები ღვთაების ხატებია? ამას, არეოპაგელის აზრით, შემდეგი გარემოებები განაპირობებენ:

1) ჩვენი გონება უძლურია პირველმიზეზის მისაწვდომად, ამიტომაც იძულებულნი ვართ, მივმართოთ ჩვენთვის ცნობილ გრძნობადს გამოხატულებებს, ფორმებს და ესენი მივაკუთვნოთ პირველმიზეზს;

2) პირველმიზეზის (ღვთაების) ჭეშმარიტება ზეგრძნობადია, რის გამოც ის იდუმალია და მიუწვდომელი ხორციელი ადამიანისათვის.

აქ საინტერესო ისაა, თუ რის საფუძველზე ხდება ღვთაების გამოხატვა გრძნობადს ფორმებში. ამისათვის უნდა გავიხსენოთ საერთოდ ნეოპლატონიზმის ძირითადი პრინციპი, რომელსაც იმეორებს ფსევდო-დიონისე არეოპაგელი — პირველსაწყისი ერთის წყალობით ყველა არსებულებს გააჩნიათ

[7] პეტრე იბერიელი (ფსევდო-დიონისე არეოპაგელი). შრომები, თბ., 1961, გვ. 12, 32.

[8] პეტრე იბერიელი, დასახ. შრ. გვ. 233.

არსებობა, მათში არის ღვთაებრივი ძალა. ამრიგად თუკი გრძნობადი ფორმები ატარებენ ღვთაებრივ ძალას, ამდენად ღვთაების აღნიშვნა მათი სახელით შეცდომა არაა. ყველაფერი ეს კეთდება იმისათვის, რომ ადამიანი, რომლის გონებისათვისაც ღვთაებრივი საიდუმლოება მიუღწეველია, მიისწრაფვის ღვთაებისაკენ (პირველმიზეზისაკენ) და სჭირდება მის შესახებ წარმოდგენა.

ზეშთა არსებების გაძოხატვა ხდება არაძსგავსი სიმბოლოებით. ამით, არეოპაგელის აზრით, ღვთაების ღირსება კი არ მცირდება, არამედ პირიქით, მაღლდება, ვინაიდან აჩვენებს ღვთაების არასაგნობრიობას[9].

ფსევდო-დიონისე არეოპაგელის აზრით, როდესაც ღვთაებრივ არსებებს გამოვხატავთ უმსგავსო მსგავსებებით, მათში ჩვენ უნდა გავიგოთ დაუოკებელი სწრაფვა უსაგნოებისადმი, წმინდა ჭვრეტისაკენ, უწმინდეს და უმაღლეს სინათლესთან სულიერი გაერთიანებისაკენ. აღნიშნული ადასტურებს ზემოთ გამოთქმულ აზრს: სიმბოლოებით გამოხატვა ხდება იმის საფუძველზე, რომ თვით ამ სიმბოლოებს არსებობა ღვთაებისაგან აქვთ მიღებული, ატარებენ ღვთაებრივ ძალას, ამიტომაც შეიძლება მათი სახელწოდების გამოყენება ღვთაების აღსანიშნავად. უსაგნო სახეებამდე ასვლა, ფსევდო-დიონისე არეოპაგელის აზრით, შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ სიმბოლოებს, რომლებითაც გამოხატულია ღვთაება, ღვთაების არამსგავსად ჩავთვლით — „...უმსგავსოდ მიღებითა მსგავსებისადთა მათგანვე არა ეგრეთვე ხოლო შეწყობილად და განთჯსებულად განსაზღვრებად თჯთებასა საცნაურთა და გრძნობადთასა“[10]. ბოლოს ინტერესმოკლებული არ იქნება იმ სიმბოლოების დასახელება, რომლებზედაც მსჯელობდა ფსევდო-დიონისე არეოპაგელი: ღმერთი, როგორც სიმართლის მზე, დილის ვარსკვლავი, გონებრივი სინათლე, სიცოცხლის წყალი... ქვა, ლოდი... ლომი, ვეფხი...

მაშასადამე, არეოპაგელის მიხედვით, პირველმიზეზის (ღვთაების) სახელწოდებები, დახასიათებები უფრო ჩვენთვისაა, ვიდრე ღვთაებისათვის. ღვთაება როგორიცაა, თავისთავად ამაზე ვერც აღნიშნული სიმბოლოები გვიპასუხებენ და არც ჩვენ გონებას აქვს მისი წვდომის უნარი. პირველმიზეზი, მართალია, ჩვენთვის უცნობია, მაგრამ ჩვენ საქმე გვაქვს მის წარმოქმნილთან[11]. და ამასთანავე უეჭველია, რომ არსებულთა არსებობის დასაბამი თვით პირველმიზეზია. ე. ი. პირველმიზეზი თავისი თავიდან გადის, მოქმედებს, ქმნის. როგორი ხასიათისაა პირველმიზეზის თავისთავიდან გასვლა? ამ კითხვას სანამ ვუპასუხებდეთ გავიხსენოთ ნეოპლატონიკოსებთან როგორ არის გადაწყვეტილი აღნიშნული საკითხი.

პლოტინთან, როგორც აღინიშნა, პირველმიზეზი არის ერთი. ეს ერთი არის არსება, სრულყოფილების უმაღლესი სახე. ის იმდენად სრულყოფილია, რომ სრულყოფილების სისავსის გამო გადმოედინება თავისი თავიდან[12]. ასეთსავე აზრს ატარებს პროკლეც: „ის (ლაპარაკია პირველსაწყის ერთზე), რომ თავისი სრულყოფილების წყალობით კი არ ქმნიდეს, არამედ — თავისი პოტენციის ნაკლოვანებით, მაშინ ის არ იქნებოდა უძრავი“[13]. ამ აზრს იზიარებს

---

[9] ეფრემ მცირე არამსგავსი სიმბოლოებს თარგმნის, როგორც უმსგავსო მსგავსებებს.

[10] პეტრე იბერიელი. დასახ. შრ. გვ. 108.

[11] პეტრიწი ხმარობს ტერმინს — წარმოარსებული.

[12] — პლოტინი, ენ V, 3, 13, 2, 1.

[13] Прокл. Первоосновы теологии, Тбилиси, 1972, стр. 43.

იოანე პეტრიწიც. ამგვარად ნეოპლატონურ ფილოსოფიაში ღვთაების გაჯვლა თავისი თავიდან და არსებების წარმოქმნა შინაგანი აუცილებლობით, კერძოდ სრულყოფილების სიჭარბით ხდება, მთელი სინამდვილის ემანაცია პირველსაწყისიდან ნებისმიერი ან შემთხვევითი კი არაა, არამედ აუცილებელი. ვნახოთ რა მდგომარეობაა ამ მხრივ ფსევდო-დიონისე არეოპაგელის ფილოსოფიაში.

ფსევდო-დიონისე არეოპაგელი აღნიშნავს, რომ ღვთაებრივი სახიერება[14]. განეფინება ყველა არსების მიმართ, ამასთან, ის რჩება ზეშთა სფეროში — „რამეთუ სახიერებისა ღმერთის სახელობაჲ ყოველთავე ყოვლისა მიზეზისა გამომავალობათა გამოაჩინებს; და არსთაცა მიმართ და არა არსთა განეფინების და ზეშთააარსთაჲსა და ზეშთა არა არსთაჲსა არს..“ ამრიგად, პირველმიზეზი, არეოპაგელის აზრით, ეფინება მთელ სინამდვილეს. პირველმიზეზის მიფენა სინამდვილისადმი აუცილებლობის საფუძველზე ხდება, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს არეოპაგიტიკული მოძღვრების გაგების თვალსაზრისით — „რამეთუ ვითარცა ხილული ეს ჩუენგან მზე არა განიზრახავს, არცა წინა — აღირჩევს რასმე, არამედ თვით ბუნებით განმანათლებელ არს ყოველთა ძალისაებრ მიმღებელთა ნათლისაგან მისისა, ეგრეთვე უზეშთაეს მზისა, თჳთ ბუნებითი იგი სახიერებაჲ პირმშოჲსა მის სახისაგან ყოველთა მიმართ განფენისა სახიერებათა თჳთსაჲსა კნინ-ოდენ წულილად და მცირედ სახედ აჩუენებს ხილულსა ამას მზესა ყოველთა ზედა განფენისათჳს შარავანდედთაჲსა“[15]. მთავარი აქ ისაა, რომ პირველმიზეზი თავის ღვთაებრივ ძალას განაფენს ყოველგვარი წინასწარი არჩევანის გარეშე. აღნიშნულის უფრო ცხადად გასაგებად ფსევდო-დიონისე არეოპაგელი მიმართავს პირველმიზეზის (ღვთაების) მზესთან ანალოგიას. ამრიგად, პირველმიზეზის მიერ სახიერების, ღვთაებრივი ძალის მიცემა არსებებისადმი ხდება საკუთარი ბუნების შესაბამისად და აუცილებლობით: ღვთაებრივი ძალის განფენა ნიშნავს პირველმიზეზის გასვლას თავისთავიდან და ეს გასვლა აუცილებელი ხასიათისაა, ვინაიდან ღვთაებრივი ძალის განფენა ნებისმიერად, წინასწარ განზრახვით კი არ ხდება, არამედ საკუთარი ბუნების შესაბამისად.

ფსევდო-დიონისე არეოპაგელის აზრით, ღვთაება მოქმედებისაკენ მიმართა მასში ადრე არსებულმა ტრფიალებამ, „რამეთუ თჳთ იგი კეთილის მოქმედი არსთა ტრფიალებაჲ სახიერებისა შორის ზეშთა აღმატებით წინაჲთვე იყო, რომელი — იგი არა უტევა მან უშობელად თავსა შორის თჳსს ყოფად, არამედ აღძრა იგი მოქმედების ყოფად ყოველივე მოქმედებისა აღმატებულებითა“. ღვთაებაში არსებული სიყვარული, ეროსი მას „აიძულებს“ მოქმედებისაკენ, ამის გამო პირველმიზეზი გადის თავისთავიდან და წარმოაარსებს არსებებს. ეს აზრი ფსევდო-დიონისე არეოპაგელის ფილოსოფიაში ნეოპლატონიზმთან მიმართებაში ახლებური ჩანს. ნეოპლატონიზმში სრულყოფილების სიჭარბე საკმაო პირობაა იმისათვის, რომ ქმნადობას, შექმნას[16] დაედოს საფუძველი. არეოპაგელთან კი ქმნადობისათვის შემოტანილია ეროსი. აქედან მომდინარეობს არეოპაგელის თვალსაზრისის განსხვავება ნეოპლატონიზმისაგან: თუკი

14 სახიერებაჲ ნიშნავს სიკეთეს.

15 პეტრე იბერიელი. დასახელებული შრომა, გვ. 59, 30, 38.

16 ტერმინი შექმნა სხვა მნიშვნელობისაა ნეოპლ. ფილოსოფიაში და სხვა შუა საუკუნეების რელიგიურ ფილოსოფიაში: უკანასკნელში შექმნა გულისხმობს არაფრისაგან შექმნას, პირველში არსებულთა წესრიგში მოყვანას.

ნეოპლატონიზმში ერთის თავისი თავიდან აუცილებელი გასვლა მოტივირებული არ არის, ფსევდო-დიონისე არეოპაგელის მიხედვით, ტრფიალება, ეროსი პირველმიზეზს (ღვთაებას) უბიძგებს, რომ იგი არ დარჩეს თავისთავში.

ამგვარად, პირველმიზეზი, როგორც ყველაზე სრულყოფილი მთელი სინამდვილის საფუძველია. მისგან გამოსული არსებები ატარებენ ღვთაებრივ ბუნებას. იბადება კითხვა: ღვთაებისაგან გამოსული არსებები ყოველგვარ უნარს მოკლებულნი არიან, თუ მათაც აქვთ გარკვეული მისწრაფება? თუკი აქვთ, როგორია და საით არის მიმართული ეს მისწრაფება? ნეოპლატონურ ფილოსოფიაში ნათლადაა ნაჩვენები, რომ არსებები მიისწრაფვიან პირველმიზეზისაკენ, ვინაიდან ყველაზე სრულყოფილი, რაც კი შესაძლებელია არსებობდეს, არის პირველმიზეზი (ღვთაება), ამიტომაც არსებებისათვის სრულყოფილებისაკენ მისწრაფება, ერთ-ერთი ძირითადი მისწრაფებაა! ამავე აზრს ატარებს ფსევდო-დიონისე არეოპაგელი: „ხოლო ყოვლად რაჲსა, ნებებითა ღმრთის-მეტყველნი ოდესმე ტრფიალებად და სიყუარულად იტყვიან მას და ოდესმე სასურველად და საყუარელად? ამისათ ის, რამე თუ პირველისა მის მიზეზ არს და წინა მომტყუებელ და მშობელ, ხოლო მეორე თჳთ იგი არს და პირველთა მით იძვრის, ხოლ მეორესა ძრავს“. იქვე: „ამის პირისათჳს საყუარელად და სასურველად უწოდებენ მას, ვითარცა კეთილსა და სახიერსა...“[17] ე. ი ღვთაება, როგორც მიზეზი და ყველაფრის მშობელი თვითონაა სიყვარული, ხოლო, მეორე მხრივ, იგი როგორც სიკეთე და მშვენიერება სასურველი და საყვარელია. ამრიგად, ღვთაება, ერთი მხრივ, მიზეზია და, მეორე მხრივ, მიზანი. პირველსაწყისი, სუბსტანცია როგორც მიზეზი და მიზანი, პირველად არისტოტელემ შემოიტანა, შემდეგ ეს პრინციპი ნეოპლატონიზმმა გამოიყენა და, როგორც აღნიშნულიდან ჩანს, ფსევდო-დიონისე არეოპაგელის ფილოსოფიაშიც დიდ როლს თამაშობს. სწორედ ის, რომ მთელი სინამდვილის საფუძველი — პირველმიზეზი (ღვთაება) სრულყოფილების, სიკეთის უმაღლესი ფორმაა, შესაძლებლობას აძლევს მას „მიიზიდოს“ მისკენ არსებები. უკუდაბრუნება ღვთაებასთან ისევ ღვთაების დამსახურებაა, რამდენადაც ის თავისი სიკეთით იზიდავს არსებებს მისკენ. არსებები კი მიისწრაფვიან იმის მეშვეობით, რომ ისინი როგორც ღვთაებიდან წარმოარსებულნი ღვთაებრივის ბუნებას არიან ნაზიარები; სწორედ ის, რაც ღვთაებრივია მათში უბიძგებს უკუდაბრუნებისაკენ (ღვთაებისაკენ).

ნეოპლატონურ ფილოსოფიაში გადაუწყვეტელ სიძნელედ დარჩა მატერიალური სინამდვილის დაკავშირება პირველსაწყისთან. მაგალითად, პროკლე თავის „თეოლოგიის პირველსაფუძვლებში“ აღნიშნავს, რომ პირველსაწყისში უკუდაბრუნების უნარი გააჩნიათ მხოლოდ უსხეულოებს. ამასთანავე, პროკლესთან მთელი სინამდვილე (კოსმოსის ჩათვლით) არსებობას ღებულობს პირველსაწყისის, ღვთაების მეშვეობით. აღნიშნულის გამო, ნეოპლატონიზმში დუალიზმი საბოლოოდ ვერაა დაძლეული — მატერია და გონებრივი არსებები მოწყვეტილია ერთმანეთისაგან. რაც შეეხება ქართველ ფილოსოფოსს იოანე პეტრიწს, იგი ახერხებს მატერიალურ სინამდვილეს მოუნახოს ღვთაებაში (პირველმიზეზში) უკუდაბრუნების პირობა[18]. ამ მხრივ უფრო ყურადსაღებია

17 პეტრე იბერიელი, დასახ. შრ. გვ. 42.

18 აღნიშნული საკითხი დაწვრილებით განხილულია ჩვენს შრომაში — „მიზეზობრიობის საკითხი ი. პეტრიწის ფილოსოფიაში“ („მაცნე“, ფილოსოფიის... სერია, 1976, № 1, გვ. 54-67).

ფსევდო-დიონისე არეოპაგელის თვალსაზრისი: „...და ვითარცა სიტყუანი წერილთანი იტყჳან, სახიერება არს, რომლისაგან ყოველი დაიბადა და არს, ვითარცა მიზეზისაგან ყოველთა მომყვანებლისა[19]... და რომლისა მიმართ ყოველნი მიიქცევიან, ვითარცა თჳსისა თითოეულისა მათისა აღსასრულისა, და რომლისა სურის ყოველთა: საცნაურთა უკუე და სიტყჳერთა — მეცნიერებით, ხოლო გრძნობადთა — გრძნობადობით და უნაწილოთა — გრძნობისაგან მათ შორის დანერგულითა მით აღძვრითა ცხოვლობისა სურვილისაჲთა, ხოლო უცხოვლოთა და მხოლოდ არსთა ოდენ-მხოლოდ არსებითითა ოდენ სიმარჯჳს მიმღებულობითა“[20]. ამგვარად, ყოველი არსებულის საფუძველი პირველმიზეზშია (ღვთაებაში), ყველა მისკენ მიისწრაფვის, ხოლო პირველმიზეზი მათ ღებულობს, საბოლოო ჯამში, არსი ნაზიარებია პირველმიზეზის არსებობის მიხედვით.

როგორც აღინიშნა, ისეთმა დიდმა ფილოსოფიურმა მიმდინარეობამ, როგორიც იყო ნეოპლატონიზმი, თავი ვერ დააღწია დუალიზმს. რაც შეეხება არეოპაგელს, რომელიც ერთდროულად ხარკს უხდიდა ფილოსოფიას და თეოლოგიას (დაწვრილებით ქვემოთ), მან შეძლო მონისტური პრინციპის გატარება: მთელი სინამდვილის საფუძველია პირველმიზეზი და ამასთან პირველმიზეზისაკენ როგორც ყოვლად სრულყოფილისაკენ მიისწრაფვიან სინამდვილის ყველა არსებები (და არა მხოლოდ უსხეულონი, როგორც არის ეს პროკლესთან) იქნებიან ესენი გონიერნი თუ უსულონი; ე. ი. არეოპაგელის აზრით, არსებათა არსებობის ფაქტი მაჩვენებელია იმისა, რომ მათში რაღაცნაირად არის ღვთაების ძალა[21].

პირველმიზეზში არსებათა უკუდაბრუნების საკითხი შეიძლება დასრულებული იქნეს არეოპაგელის მოძღვრების იმ ნაწილის გარჩევით, რომელშიც საუბარია ლოცვის როლზე. ლოცვა არის ღვთაებამდე ამაღლების საშუალება, მაგრამ ღმერთთან მისვლა, არეოპაგელის აზრით, იმას კი არ ნიშნავს, რომ ის ჩვენთან მოდის, არამედ ის ავგვამაღლებს: „გარნა არა მას. შთამოვზიდავთ, რომელი ზეცა არს და ქუეცა, არამედ ჩუენ მის მიერ აღვიყვანებით უმაღლესთა მათ მიმართ მრავალ-ნათელთა შარავანდედთა ბრწყინვალების“ აღნიშნული უფრო ცხადი რომ გახადოს, არეოპაგელი მიმართავს ანალოგიას, მოყავს მაგალითი; როდესაც კლდეზეა მიბმული ნავი, ის კლდის განკარგულებაშია, ასევე ვართ ჩვენც ღვთაების განკარგულებაში. ლოცვის მეშვეობით ღვთაებამდე ამაღლება მიუთითებს, რომ გარდა ზემომოყვანილი გზებისა (შემეცნება, შეგრძნებები, არსებობა), არსებობს კიდევ სხვა გზა, რომელიც საბოლოო ჯამში არეოპაგელისათვის ძირითადი აღმოჩნდება, — ეს არის ღვთაების მისტიკური ჰვრეტის გზა (ამის შესახებ ქვემოთ). შევეცადეთ გაგვერკვია პირველმიზეზის ბუნება (სრულყოფილება), მისგან სინამდვილის გამოსვლა (აუცილებლობით) და მასში უკუდაბრუნება (ყველა არსებების მისწრაფება სრულყოფილებისაკენ) საინტერესოა, თუ როგორ აქვს წარმოდგენილი მთელი ეს პროცესი არეოპაგელს და რა მიმართებაა მასთან უმაღლეს არსებასა და უმდაბლეს არსებებს შორის? ამ კითხვაზე არეოპაგელის პასუხი ასეთია: „და ვითარ თუმცა განჩინებაჲ იყო თავისა თჳსისაი თავისა მიერ თჳსისა და კეთილ-გამოსავალი აღმატებითის-ერთობისა და ტრფიალებითისა აღძვ-

19 მომყვანებელი — შემქნელი.

20 პეტრე იბერიელი, დასახ. შრ. გვ. 33.

21 ასეა იოანე პეტრიწთანაც.

რისა, მარტივ თუთმოძრაობა, თუთმოქმედება, წინა-მყოფ სახიერებასა შინა და სახიერებისაგან არსთად აღმომდინარე და კუალად სახიერებისა მიმართვე ქცეული“. აქ აღნიშნულია, რომ ღვთაება, რომელიც იმყოფება თავისთავში, გადის თავისი თავიდან — წარმოქმნის არსებებს; („სახიერებისაგან არსთად აღმომდინარე“) და უკუუბრუნდება თავისთავს. აქ ძნელი არაა პარალელის გავლება ნეოპლატონური ფილოსოფიაში მოცემულ ტრიადულ პრინციპთან: შედეგის ყოფნა მიზეზში, მიზეზიდან შედეგის გამოსვლა და დამოუკიდებლად არსებობა და მიზეზში შედეგის უკუდაბრუნება — მთელი სინამდვილე ნეოპლატონიკოსებს ამ პრინციპით აქვთ წარმოდგენილი. ფსევდო-დიონისე არეოპაგელიც იზიარებს ნეოპლატონიკოსთა ტრიადელ პრინციპს და ეს პრინციპი მიაჩნია მას მარადიულად — „და ვითარცა საუკუნოჲ რაჲმე სიმრგულე სახიერებისათჳს, სახიერებისაგან, სახიერებასა შინა და სახიერებისა მიმართ უცთომელითა მოქცევითა მოიმრგულევის და მის შორის და მასვე ზედა მარადის გამომავალ არსცა და ჰგიესც და დგას“[22]. უფრო მეტიც, არეოპაგელი ერთ-ერთ თავის ეპისტოლეში მიუთითებს ცეცხლზე როგორც ღვთაების სიმბოლოზე, რომელიც, ერთ შემთხვევაში, მიზეზს აღნიშნავს, მეორეში — „გუამოვნებას“ (არსებობას), ხოლო მესამეში — არსებულთა პირველ მიზეზში მონაწილეობას.

ფსევდო-დიონისე არეოპაგელს მთელი არსებულთა სამყარო დაწყებული პირველსაწყისი ერთიდან — დამთავრებული უგვარო და უსახო არსებებით, გააზრებული აქვს როგორც ერთი მთელი, რომელშიც გარკვეული იერარქიაა: სათავეშია ყველაზე სრულყოფილი — პირველმიზეზი (ღვთაება); პირველმიზეზის შემდგომი არსებები მასზე ნაკლებ სრულყოფილნი არიან, რაც უფრო შორდებიან მას არსებები, მით უფრო ნაკლებ სრულყოფილნი ხდებიან; ყოველი არსების დანიშნულებაა მიიღოს სინათლე თავისზე სრულყოფილი არსებისაგან და გადასცეს იგი მის შემდგომ არსებას. მოცემული პრინციპით მთელი სინამდვილის დალაგებისას, არეოპაგელი ბევრ საინტერესო საკითხს აყენებს და მათ თავისებურ გადაწყვეტას იძლევა[23].

აი ის, რაც შეიძლება თქმულიყო ზოგადად ფსევდო-დიონისე არეოპაგელის ფილოსოფიური თვალსაზრისის შესახებ. განხილვამ გვიჩვენა, რომ არეოპაგელის ფილოსოფიური მსოფლმხედველობა დიდადაა დავალებული ნეოპლატონური ფილოსოფიისაგან; ამასთან, იგი რიგი საკითხების თავისებურ გადაწყვეტას იძლევა, რაც თვალნათლივ გამოჩნდება, როცა განვიხილავთ არეოპაგელის ფილოსოფიაში კატაფატიკური (დადებითი) მეთოდით მიღებულ დასკვნებს.

ორი მეთოდი არეოპაგიტიკაში. ფსევდო-დიონისე არეოპაგელის მოძღვრებაში პირველმიზეზი (ღმერთი) ორგვარადაა გაგებული: ერთი გაგების მიხედვით, ღმერთი ყველაფერია, ის ყველგანაა; მეორე გაგების მიხედვით კი, ღმერთი არსად არაა, მის შესახებ ჩვენ არაფერი არ ვიცით. ამიტომაც არეოპაგიტიკაში ყალიბდება ღმერთის ცნობის საპირისპირო მეთოდები. ეს მეთოდებია: კატაფატიკა (დადებითი მეთოდი) და აპოფატიკა[24] (უარყოფითი მეთოდი). პირველმიზეზის კატაფატიკური დახასიათებისას, მას მიეწერება სინამდვი-

22 პეტრე იბერიელი. დასახ. შრ. გვ. 26, 42.

23 როგორიცაა სიკეთისა და ბოროტების დამოკიდებულება, მიზეზისა და შემოქმედის მიმართება და სხვა, რომლებიც განხილული იქნება ქვემოთ.

24 ეფრემ მცირეს მიხედვით — „წართქუმითი და „უკუთქმითი“ მეთოდი.

ლეში არსებული თვისებები (ღმერთი არის მზე, ქვა...), კატაფატიკურ მეთოდს საფუძვლად უდევს ღმერთისა და სინამდვილის ერთიანობა. კატაფატიკური მეთოდის საწინააღმდეგოა აპოფატიკა, რომლის მიხედვით, ხდება ღმერთის უარყოფითი დახასიათება (ღმერთი არაა მზე, ქვა..), ღმერთი არსად არ არსებობს და მის შესახებ არავითარი ცოდნა არ გაგვაჩნია. უნდა აღინიშნოს, რომ ეს მეთოდები არეოპაგელამდე იყო გამოყენებული ფილოსოფიის ისტორიაში (ძველი ინდური ფილოსოფია, ფილონი) შემდგომ პირველმიზეზის დადებითი და უარყოფითი მეთოდებით დახასიათების შესაძლებლობა აჩვენეს ნეოპლატონიკოსებმა. რაც შეეხება არეოპაგელს, მასთან განსაკუთრებული როლი ენიჭება აღნიშნულ მეთოდებს.

ფსევდო-დიონისე არეოპაგელის მოძღვრების კვლევისას საჭირო ხდება გარკვევა, თუ რომელი მეთოდია ძირითადი თვითონ ავტორისათვის. არეოპაგელის თვალსაზრისის დაკვირვებული განხილვა იმ აზრამდე მიგვიყვანს, რომ აღნიშნული კითხვის დაყენება უმართებულოა, ვინაიდან არეოპაგელი არცერთ მეთოდს არ მიიჩნევს საკმარისად პირველმიზეზის (ღვთაების) იდუმალი ბუნების გასაგებად. კატაფატიკა და აპოფატიკა მასთან თანაბარძალოვანია, ხოლო პირველმიზეზი იმაზე მაღლა დგას, ვიდრე მის შესახებ მოცემული მეთოდები გვეუბნებიან — „ჯერ არს უკვე ყოველთავე ამათ არსთა სახოვნებისაჲ მსგავსებად მისსა დადებაჲ და წათქუმაჲ მისთჳს, ვითარცა ყოველთა მიზეზისთჳს, და კუალად მათ ყოველთაჲვე უსაკუთრესად უკუთქმა რამე თუ ზეშთა არსთაჲ ყოველთა არს შემოქმედი იგი არსთაჲ და არაოდეს გონებად უკუთქმათაჲ მისთჳს წინააღმდგომ ყოფა წათქუმთა, არამედ ფრიად რაჲმე უპირატესობით ზეშთა მყოფ არს იგი მოკლებათა დაუზეშთავს ყოველთა მატებათა და დაკლებათა“[25].

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ საფუძველშივე მცდარია ყველა ის მოსაზრება, რომელიც, არეოპაგელის ფილოსოფიის შეფასებისას, აღნიშნულთაგან ერთ-ერთ მეთოდს გააზვიადებს. ერთი მეთოდით (იქნება ეს კატაფატიკა, თუ აპოფატიკა) არეოპაგელის მოძღვრებაში პირველმიზეზის დახასიათება ნაკლოვანია. აღნიშნულის შესახებ სარწმუნო აზრია გამოთქმული, რომლის თანახმადაც „საბოლოოდ, კატაფატიკა და აპოფატიკა რაციონალური ცოდნის ცალმხრიობას და უკმარისობას ადასტურებს. ნამდვილად პირველმიზეზი როგორც ყოველივე არსებულზე ზეაღმატებული, როგორც „ზეშთა არსება, ზეშთა ღმერთი და ზეშთა სახიერება ზეაღმატებულია, დაბოლოებულ რაციონალურ ცოდნაზე“. მაშასადამე პირველმიზეზი (ღვთაება) „ზეშთააღმატებულია“, იგი ყოველგვარ რაციონალურზე მაღლა დგას, ამიტომაც მისი წვდომა ამ საფეხურზე შეუძლებელია, ამისათვის სხვა რამაა საჭირო — „ღმერთის ნამდვილი წვდომა ხორციელდება უშუალო წვდომაში, რაც კატაფატიკისა და აპოფატიკისაგან განსხვავებით, პირველმიზეზის მისტიკურ („მესაიდუმლოებით) ხილვას წარმოადგენს“[26].

ნათელია, რომ ღვთაების (პირველმიზეზის) შესახებ სრულ ცოდნას ვერც მისი კატაფატიკური (დადებითი) და ვერც აპოფატიკური (უარყოფითი) დახასიათება ვერ იძლევა. ღვთაების წვდომა მხოლოდ მისტიკშია შესაძლებელი.

---

25 პეტრე იბერიელი. დასახ. შრ. გვ. 224.

26 იხ. შ. ხიდაშელი. „ვეფხისტყაოსნის“ ერთი ადგილი არეოპაგიტიკის თვალსაზრისით, „მაცნე“, 1965, № 6, გვ. 100—101.

კატაფატიკისა და აპოფატიკის ადგილის გასარკვევად არეოპაგიტულ მოძღვრებაში, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ნეოპლატონიკოსებისათვის (და არეოპაგელისათვის) პირველმიზეზი (ღვთაება) არის მთელ სინამდვილეში არსებული არსებების ერთადერთი მიზეზი (და როგორც დასაწყისში ნაჩვენები იქნა — მიზანიც). მართალია, მისი წვდომა ცოდნის საფუძველზე შეუძლებელია, მაგრამ რამდენადაც მთელი სინამდვილე პირველმიზეზისაგან მომდინარეობს, მისგან აქვთ არსებებს სიკეთე, მშვენიერება, არსებობა, სრულყოფილება; ხოლო ცოდნის საგანი არის სინამდვილე, ამდენად, ცოდნას (გარკვეულად) საქმე აქვს ღვთაების ხატებთან[27]. თუკი ჩვენს ცოდნას რაღაც მიმართებით საქმე აქვს ღვთაებასთან, მაშინ კატაფატიკურ და აპოფატიკურ მეთოდებსაც აქვს გამართლება, რამდენადაც ისინი ცოდნის მეთოდებია.

უკვე აღინიშნა, რომ შეუძლებელია აღნიშნულ მეთოდთაგან ერთ-ერთის გაზვიადება და მასზე დაფუძნებით ფსევდო-დიონისე არეოპაგელის ფილოსოფიის შეფასება. თუკი ერთ-ერთ მეთოდს ავიღებთ და ცალკე განვიხილავთ, მიზანი მოკრძალებული უნდა იყოს — რა ადგილი უკავია მოცემულ მეთოდს არეოპაგელის ფილოსოფიაში და რა დასკვნების გაკეთება შეიძლება მასზე დაფუძნებით. ჩვენ შემთხვევაში განვიხილავთ კატაფატიკურ მეთოდს და ამ მეთოდით მიღებულ დასკვნებს არეოპაგიტიკაში.

კატაფატიკური მეთოდით მიღებული დასკვნები. არეოპაგიტიკის პრინციპების ზოგადი დახასიათებისას აღინიშნა, რომ როცა პირველმიზეზი კატაფატიკურად ხასიათდება, მაშინ მას მიეწერება გარკვეული პრედიკატები. ამ შემთხვევაში პირველმიზეზი დადებითად ხასიათდება. ის არის მზე, ვარსკვლავი, წყალი, ლოდი... პირველმიზეზი კატაფატიკური დახასიათების საფუძველზე, ყველგან მყოფად გვევლინება. მაგრამ ის იმყოფება ყველგან ჩვენთვის მიუწვდომლად და გამოუკვლევლად — „ისრეთ უხილავად უწოდს სიტყუაჲ ყოვლად ბრწყინვალესა მას ნათელსა და მრავალ საგალობელსა მას და მრავალ სახელსა გამოუთქმელად და უსახელოდ და ყოველგან მყოფსა და ყოველთა შორის საპოვნელსა მიუწვდომელად და გამოუკვლეველად“ მაშასადამე ღმერთი ყველგანაა, მაგრამ ჩვენთვის მისი ყველგან ყოფნა მიუწვდომელია. არეოპაგელის მიხედვით, „...ყოველთა შორის ყოველივე არს“ და „ყოველთა შორის იცნობების ღმერთი“. რამდენადაც ღმერთი ყველგანაა („ყოველთა შორის ყოველივე არს“) ამდენად აქ უკვე შეიძლება იმის თქმა, რომ ღმერთის კატაფატიკური დახასიათებისას ღმერთი და სამყარო ერთიანობაშია. ამავე დროს, რამდენადაც ღმერთი (პირველმიზეზი) სამყაროშია და ყოველ არსებაში ჩანს („ვინაჲცა ყოველთა შორის იცნობების ღმერთი“), შეიძლება იგი დახასიათებული იქნეს იმ არსებების სახელებით, რომლებშიც ჩანს. კატაფატიკური მეთოდის ცალკე განხილვისას, არეოპაგელის ფილოსოფია იძლევა შემდეგ სურათს: მთელი სინამდვილე ერთი მთელია, აგებული გარკვეული წყობით. პირველი არის ყველაზე სრულყოფილი — ღმერთი, ხოლო ბოლო ყველაზე ნაკლებსრულყოფილია კოსმოსი; მათ შორის მოთავსებულნი არიან არსებები (გონიერი და სულიერი), რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან სრულყოფილების ხარისხით: რაც უფრო სრულყოფილნი არიან არსებები, მით უფრო ახლოს დგანან პირველმიზეზთან (ღვთაებასთან) და პირიქით. რა იგულისხმება აღნიშვნაში — „ღმერთი ყველგანაა“? — ამაზე

27 ეფრემ მცირეს ტერმინია.

არეოპაგელის მოძღვრებაში ასეთი პასუხია: „...ყოველთავე არსთა შინა ყოფა მისი ითქმის ყოველთა უზეშთაესისა და ყოველთა გარე-შემცველისა უზომოჲსა მიუწვდომელობისა მისისაგან“[28]. თუკი დავუშვებთ, რომ ღმერთი ყველგანაა, ამით ღმერთი ყოვლისმომცველობას და ზეშთაობას შევზღუდავთ: ღმერთი ყველგანაა, — ეს არ უნდა გავიგოთ პირდაპირი მნიშვნელობით. ღმერთი, რომ რეალურად არსებობდეს ყველგან, მაშინ ის ადგილს დაიკავებდა, იქნებოდა სიმრავლე, არა ერთი, ე. ი. არ იქნებოდა მარტივი.

ღმერთის ყოფნა ყველგან ნიშნავს, რომ სინამდვილის არსებები, რომელთაც საფუძველი ღვთაებაში აქვთ, სიკეთეს, მშვენიერებას, სრულყოფილებას ღვთაების წყალობით ფლობენ. სიკეთე, მშვენიერება, სრულყოფილება ღვთაებრივი თვისებებია, მათი სახით არსებებში საქმე გვაქვს ღვთაებრივი ძალის გამოვლენასთან და არა თვით ღვთაებასთან. ამ აზრით, ღვთაება (პირველმიზეზი) ყველგანაა.

ედუარდ ცელერი, როცა პლოტინის ფილოსოფიას იხილავს, აღნიშნავს, რომ წარმოშობილი არსებები დამოკიდებულნი არიან პირველსაწყისისაგან, ღვთაებისაგან; მაგრამ წარმომშობელი (ღვთაება), არსებების წარმოშობისას, განუყოფელია და არსებობს მისგან წარმოშობილის გარეშე. ამის გამო პლოტინის სისტემას ცელერი დინამიკური პანთეიზმის გამოხატულებად მიიჩნევს[29].

კატაფატიკური მეთოდი აჩვენებს, რომ პირველმიზეზისაგან გამოსული არსებები ღვთაებრივ კვალს ატარებენ. ე. ი. ღვთაება აძლევს მისგან გამოსულ არსებებს ყველა თვისებებს[30]. არეოპაგელის აზრით პირველმიზეზი მისგან გამოსულ არსებებს სიკეთეს აძლევს ყოველგვარი არჩევანის გარეშე. ამ აზრს ადასტურებს არეოპაგელის შემდეგი აზრი — „რამეთუ ვითარცა ხილული ეს ჩუენგან მზე არა განიზრახავს, არცა წინა-აღირჩევს რასმე, არამედ თჳთ ბუნებით განმანათლებელ არს ყოველთა ძალისაებრ მიმღებელთა, ნათლისაგან მისისა, ეგრეთვე უზეშთაეს მზისა, თჳთ ბუნებითი იგი სახიერებაჲ პირმშოჲსა მის სახისაგან ყოველთა მიმართ განფენისა სახიერებათა თჳსთაჲსა კნინ-ოდენად წლილად და მცირედ აჩუენებს ხილულსა ამას მზესა ყოველთა ზედა განფენისათჳს შარავანდედთაჲსა“[31]. თუკი ღვთაება სიკეთეს, სრულყოფილებას, მშვენიერებას ანიჭებს ყველა არსებებს, მაშინ რა არის მიზეზი იმისა, რომ სინამდვილეში არსებულ არსებათა შორის ერთნი მეორესთან შედარებით უფრო სრულყოფილნი კეთილნი, მშვენიერნი არიან?

შესავალში აღნიშნული იყო, რომ არეოპაგიტიკა წარმოადგენს ანტიკური ფილოსოფიურ მემკვიდრეობასა და ქრისტიანულ-რელიგიური მსოფლმხედველობის გარკვეულ სინთეზს. პერიოდი, რომელშიც დაიწერა არეოპაგიტიკა, ცნობილია ქრისტიანული მსოფლმხედველობის განსაკუთრებული აღმავლობით. შუა საუკუნეებში გავრცელებულია, აგრეთვე, ე. წ. კრეაციონალური თვალსაზრისი, რომლის თანახმადაც, სამყარო (მთელი სინამდვილე) შექ-

---

28 პეტრე იბერიელი. დასახ. შრ. გვ. 12, 68, 72.

29 „...ამ აზრით პლოტინის სისტემა ემონაციურ სისტემად კი არ უნდა ჩაითვალოს, არამედ დინამიკური პანთეიზმის სისტემად“ — იხ. Эдуард Целлер. Очерки истории греческой философии, Мо., 1912, стр. 232-233.

30 არსებობს რომ ყველა თვისება ღვთაებისაგან აქვთ მინიჭებული, არეოპაგელის აზრით, ეს ნათლად იქნება ნაჩვენები სიკეთისა და ბოროტების დამოკიდებულების განხილვისას.

31 პეტრე იბერიელი. დასახ. შრ. გვ. 30.

მნილია ღმერთის მიერ არაფრისაგან. თუ მივიღებთ ამ თვალსაზრისს, მაშინ ყოველი ნაკლი, რომელიც სამყაროში არსებობს ღმერთს მიეწერება, ვინაიდან სინამდვილე ღმერთის მიერაა შექმნილი. ამავე დროს, შუა საუკუნეებში არსებობს ფილოსოფიური (ნეოპლატონური) თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც, სინამდვილე ღმერთიდან ემანირდება (გამომდინარეობს). ღმერთი (პირველმიზეზი) კი არ ქმნის სამყაროს არაფრისაგან, არამედ აწესრიგებს მარადიულ მატერიას.

არეოპაგელის აზრით, სინამდვილეში არსებულ არსებათა ურთიერთმიმართება, მათი ყოველი სიმტკიცე და არსებობა მომდინარეობს ღვთაებისაგან. ღვთაება — დაწყებული უმაღლესი არსებებიდან და დამთავრებული უკანასკნელით (ე. ი. ყველაზე ნაკლებ სრულყოფილით) — ანიჭებს სიკეთეს: „რამეთუ ვითარცა — იგი ყოველთა მიერ კერძოჲსა ღმრთეებისა სახიერებაჲ, უზენაესთა მათ და უმოხუცებულესთა არსებათაგან იწყებს და ვიდრე უკანაჲსკნელთამდე მიიწევის“. არსებები რომ ერთმანეთისაგან განსხვავდებიან სიკეთის თვალსაზრისით, ამის მიზეზი, არეოპაგელის აზრით, თვითონ ამ არსებებშია, ვინაიდან ყველას არა აქვს ერთნაირი უნარი მიიღოს ღვთაების ნაბოძები სიკეთე: „ესე არა უძლურებისაჲ არს, არცა სიმცირისა ნათელ მიმცემლობისა მისისა, არამედ უმარჯობისაგან ნათელთ — მიმღებელთაჲსა, რომელთა ვერ განიმარტეს მიღებად ნათლის“. ამრიგად, არსებები თვითონ ყოფილან უუნარონი ანუ, როგორც ეფრემ მცირე თარგმნის, „უმარჯო“ სიკეთის მისაღებად; მათ თუ სიკეთე აკლიათ, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ღვთაება უძლურია, მცირეა, არასრულყოფილია. მეორე მხრივ, არსებებს რომ არ გააჩნიათ სიკეთე (ე. ი. ბოროტნი არიან), ამის მიზეზია სიკეთის დაკლება, დასუსტება: „ვინაჲცა ესე-ვითარი იგი ზოგს-რე მოუძლურებაჲ არა ბოროტ არს, არამედ ნაკლულევანება კეთილისა“[32].

ამრიგად, ფსევდო-დიონისე არეოპაგელის თვალსაზრისით, პირველმიზეზი (ღმერთი) სინამდვილის არსებებს მიაფენს (აძლევს) სიკეთეს. ამასთან, სიკეთის ძალა მით უფრო სუსტდება, რაც უფრო დაშორებულია მის წყაროს. ამიტომაც პირველმიზეზისაგან დაშორებული არსებები უფრო ნაკლებ სრულყოფილნი არიან. პირველმიზეზის მიერ სიკეთის მიცემა სინამდვილის არსებებისადმი, ხოლო, მეორე მხრივ, არეოპაგელის მიერ იმის აღნიშვნა, რომ ყველა არსებას საფუძველი ღვთაებაში აქვს — მიანიშნებს ღვთაების (პირველმიზეზის) და სინამდვილის ერთიანობას. ღმერთის (პირველმიზეზის) და სინამდვილის ერთიანობის აღიარებას, თავის მხრივ, ის მნიშვნელობა აქვს, რომ იგი თავისებურ პასუხს იძლევა ფილოსოფიის არსებითი საკითხის — პირველმიზეზისა და სინამდვილის დამოკიდებულების გარკვევისას: ყოველი მოვლენის მიზეზი, დიალექტიკის თეორიის მიხედვით, მოვლენის გარეთ კი არ უნდა ვეძებოთ, არამედ თვით მოვლენაში. როგორც ზემოთ აღნიშნულიდან ჩანს, არეოპაგელი არ ღალატობს დიალექტიკის პრინციპს, — ყოველივე ეს კი გაკეთებულია პირველმიზეზის კატაფატიკური დახასიათების საფუძველზე.

კატაფატიკური მეთოდით მიღებულ დასკვნებზე, სრული წარმოდგენის შექმნისათვის, შეუძლებელია ყურადღების გარეშე დატოვება სიკეთისა და ბოროტების დამოკიდებულების საკითხისა არეოპაგელის მოძღვრებაში. სა-

32 პეტრე იბერიელი. დასახ. შრ. გვ. 32-33, 50-51;

ხელდობრ, პირველმიზეზი (როგორც უმაღლესი სრულყოფილება, სიკეთე, მშვენიერება) რა მიმართებაშია სინამდვილეში არსებულ მოვლენებთან? სპეციფიურია ის, რომ, ამ შემთხვევაში, სინამდვილეში სრულყოფილებას შეესაბამება სიკეთე, ხოლო არასრულყოფილებას — ბოროტება. აქვს თუ არა ბოროტებას რეალური საფუძველი? — აი ამოცანა, რომლის თავისებურ გადაწყვეტასაც იძლევა არეოპაგელი.

სანამ ბოროტების ბუნებას გავარკვევდეთ არეოპაგელის მიხედვით, განვიხილოთ, თუ როგორია მისი გაგებით, სიკეთე ზეშთა სამყაროში. სიკეთე არის მარადიული, იგი არც არაფერს მოიპოვებს, არც არაფერს დაკარგავს; არც ვინმეს მიმართ კეთილია და არც ვინმეს მიმართ არაკეთილი, არც აღორძინდება დ არც წარიწყმიდება: „ხოლო კეთილ არს, ვითარცა ყოვლად კეთილი თანად ზეშთა ყოველთა კეთილთა მარადის არსი მასვე ზედა სიკეთისა მასვეობასა“. თუკი სახიერება ყველაფრის მიზეზია, თვითონ კი კეთილია, მაშინ რატომ არის, რომ სამყაროში გვხვდება მისი ბუნებისაგან განსხვავებული — ბოროტება? რა არის ბოროტების მიზეზი? მას სხვა მიზეზი აქვს თუ ბოროტება სახიერების უძლურების შედეგია? — არეოპაგელის აზრით, — „ბოროტი არა სახიერებისაგან არს; და უკეთუ სახიერებისაგან არს, არა ბოროტ არს; რამეთუ არცაღა ყინვაჲ ცეცხლისაგან არნ, არცა სახიერსა თჳს ეყვის დაბადებაჲ უსახურისაჲ“[33]. ირკვევა, რომ ბოროტების მიზეზი სახიერება არ არის. ამის მიზეზად არეოპაგელს მიაჩნია სახიერებისა და ბოროტების სხვადასხვა ბუნება: ისინი თავიანთი ბუნებით გამორიცხავენ ერთმანეთს, კერძოდ — „რამეთუ ბუნება სახიერისა არს დაბადებაჲ და ცხოვნებაჲ[34], ხოლო ბოროტისა გახრწნაჲ და წარწყმედაჲ“[35]. ე. ი. სახიერების (სიკეთის) ბუნება დაბადება და სიცოცხლეა, ბოროტებისა — მოსპობა. რა თქმა უნდა, სადაც ერთია, მეორისათვის იქ ადგილი აღარა რჩება; ამას ისიც ადასტურებს, რომ, არეოპაგელის აზრით, შეუძლებელია სახიერებამ ბოროტება წარმოშვას და თუ რაიმე არსებობს, — ის აუცილებლად სახიერებისაგანაა. არეოპაგელის აზრით, რაც არსებობს, ყველა სახიერებისაგან მოდის და თუ სადმე ბოროტი არსებობს, მას აქვს რაიმე ნაწილი სახიერებისაგან. ნეოპლატონური ფილოსოფიის მიხედვით, რომლითაც დავალებულია არეოპაგიტიკა, არსებები რაც უფრო შორდებიან პირველმიზეზს მით უფრო ნაკლებსრულყოფილნი ხდებიან, — ეს მომენტი არეოპაგელის ფილოსოფიაში უფრო მკვეთრ ხასიეს იღებს: პირველმიზეზისაგან დაშორებული არსებები უფრო ნაკლებსრულყოფილნი არიან, ვიდრე ახლოს მყოფნი, მაგრამ რაც არ უნდა შორს იყვნენ, მათში მაინც არის პირველმიზეზის მიერ მინიჭებული სიკეთის კვალი.

არეოპაგელი მიმართავს დასაბუთებას, რომლის მიზანია აჩვენოს ბოროტების არასუბსტანციურობა. მთელი სინამდვილე პირველმიზეზისაგან (ღვთაება) მომდინარეობს, — ის, რაც პირველმიზეზისაგან არ მომდინარეობს, არც არსებობს; თუკი ბოროტება იარსებებს, — ამბობს არეოპაგელი, — ის სიკეთესთან უნდა იყოს შერეული, სხვანაირად შეუძლებელია მისი არსებობა. მეორე მხრივ, ბოროტება უპირისპირდება სიკეთეს, ბოროტება და სიკეთე გამორიცხავს ერთმანეთს; რამდენადაც ბოროტება სიკეთის საპირისპიროა, გამოდის, რომ ბოროტების არსებობის დაშვებით წინააღმდეგობამდე მივდივართ.

---

33 პეტრე იბერიელი. დასახ. შრ. გვ. 32, 44;

34 ცხოვნება — სიცოცხლე, გადარჩენა, ხსნა.

35 პეტრე იბერიელი. დასახ. შრ. გვ. 44, 40.

ხომ არ შეიძლება დავუშვათ ორი საწყისი სიკეთისა და ბოროტების სახით? „არსებობს თუ არა საფუძველი ვილაპარაკოთ სიკეთის (ღვთაების) გარეშე არსებულ სხვა პირველმიზეზზე[36], რომელიც ბოროტებას დაუდებს სათავეს? — არეოპაგელის აზრით შეუძლებელია, რომ ბოროტებას პირველმიზეზი გააჩნდეს. თუკი დავუშვებთ, რომ ბოროტებას პირველმიზეზი გააჩნია, მაშინ სამყაროში არსებულა ორი საპირისპირო მიზეზი: სიკეთე (ღვთაება) — მთელი სინამდვილის მიზეზი და ბოროტება; არეოპაგელის აზრით, ეს შეუღებელია, ვინაიდან დასაბამი, საწყისი არ შეიძლება ორი იყოს, იგი მხოლოდ ერთი შეიძლება იყოს“, „რამეთუ ყოველი ორობაჲ არა არს დასაბამი, არამედ ერთობაჲ არს დასაბამ ყოვლისა ორობისა“. თუკი დავუშვებთ, რომ პირველმიზეზი ორია, მაშინ, არეოპაგელის აზრით, საწყისი თავისი თავის მომსპობი იქნება: „... დასაბამი არა მარტივი და ერთობითი; არამედ განყოფილი და ორ-სახეობითი და წინააღმდგომი და დამჯსნელი თავისა თჳსისაჲ“[37]. ამრიგად, ბოროტება არც ღვთაებაშია და არც ღვთაების მიერ არის წარმოშობილი, იგი არ არსებობს საერთოდ[38]. მართალია ბოროტებას პირველმიზეზი (სუბსტანცია) არ გააჩნია, მაგრამ სინამდვილეში გვაქვს ისეთი მოვლენები, რომელთაც ბოროტებას ვუწოდებთ. როგორ შეიძლება ავხსნათ ეს ფაქტი? — არეოპაგელის აზრით, ეს არ ნიშნავს, რომ ბოროტება რაღაცნაირად არსებობს. ის არსებები, რომელთა ქცევა ბოროტია, გამოწვეულია არა ბოროტების საფუძველზე, არამედ სიკეთის ნაკლებობით, მათში სიკეთეა დაკლებული. აღნიშნულის უკეთ გასაგებად არეოპაგელი მიმართავს ასეთ მაგალითს: ისე, როგორც ჰაერი ფარავს სინათლეს, ასევე ბოროტება ფარავს სიკეთეს. სინამდვილეში კი სინათლე მარად ანათებს, ასევეა სიკეთეც. ამრიგად, ბოროტება დამოუკიდებლად კი არ არსებობს, არამედ არსებობს „...ვითარც მოკლებაჲ, ოჯრებაჲ თჳსა კეთილითა სრულებისაჲ“[39]. ბოროტება არც ბუნებაშია და არც სხეულშია. თუ იქ უწესრიგობაა ეს არის ბუნებრივი წესრიგის შესუსტება და არა ბოროტება. იგი არც მატერიაშია, ვინაიდან მატერია არსებობს, ხოლო რაც არსებობს ყველა სიკეთის (ღვთაების) ძალით არსებობს, ამიტომაც მასში ბოროტებისათვის ადგილი აღარ რჩება. თუ საწინააღმდეგოს დავუშვებთ, მაშინ ორ დასაბამს მივიღებთ, რომლის შეუძლებლობაც ნაჩვენები იქნა.

ამგვარად, ბოროტება სიკეთის კლებაა, მაგრამ ეს კლება, არეოპაგელის აზრით, არ ნიშნავს ბოროტებას. რამდენადაც ბოროტების მიზეზი (არა პირველმიზეზი) არის სიკეთის კლება, ე. ი. თვით ბოროტების დასაწყისი და დასასრული არის სიკეთე — „კეთილისა ძალით არს ყოველი, რაოდენი კეთილი არს და რაოდენი წინააღმდგომ“[40]. არეოპაგელს, ზემომოყვანილი აზრით, იმის თქმა უნდა, რომ ის, რასაც ჩვენ ბოროტებას ვეძახით, სხვა არაფერია, თუ არა სიკეთის კლება; მას ბოროტებასთან არაფერი აქვს საერთო, არამედ იგი როგორც სიკეთის კლება საფუძველს იღებს სიკეთეში. ყველა ზემოაღნიშნულის

36 სწორედ პირველმიზეზი და არა საერთოდ მიზეზი. ბოროტებას თავისი მიზეზი აქვს მაგრამ ეს მიზეზი, არეოპაგელის მიხედვით, სუბსტანცია არაა.

37 პეტრე იბერიელი. დასახ. შრ., გვ. 49

38 თითქმის მთლიანად განმეორებულია პროკლეს აზრი. შდრ. Прокл. Первоосновы теологии, Тбилиси, 1972, стр. 31,

39 პეტრე იბერიელი, დასახ. შრ., გვ. 52.

40 პეტრე იბერიელი, დასახ. შრ., გვ. 55.

საფუძველზე ფსევდო-დიონისე არეოპაგელი თვლის, რომ ბოროტება შემთხვევითია და იგი არ არსებობს. ამრიგად აღმოჩნდა, რომ ერთმანეთის დაპირისპირებული ორი მოვლენიდან, ერთ-ერთი საერთოდ არ არსებობს. ამ შემთხვევაში არსებობს მხოლოდ სიკეთე და ყველა მის მიერ წარმოშობილი მხოლოდ სიკეთის მატარებელია, თუმც სიკეთისაგან გამოსულ არსებებს სიკეთე მეტ-ნაკლებად აქვთ. ამის მიზეზი თვითონ არსებათა ნაკლებ სრულყოფილება და სიკეთის ძალის შესუსტებაა.

ამრიგად, არეოპაგელი პროკლეს (და საერთოდ ნეოპლატონიზმის) ფილოსოფიის ერთ-ერთი ძირითადი მომენტიდან — პირველმიზეზის და სინამდვილის არსებების მიმართების საფუძველზე ქმნის თავის თვალსაზრისს სიკეთისა და ბოროტების დამოკიდებულებაზე. მთავარი ისაა, რომ მთელი მოძღვრება სიკეთისა და ბოროტების დამოკიდებულებაზე აგებულია პირველმიზეზის კატაფატიკური (დადებითი) დახასიათების საფუძველზე. პირველმიზეზი თუ მისგან მომდინარე არსებებთან ერთიანობაში იქნება და მთელი სინამდვილე ისე იქნება წარმოდგენილი, რომ მისი საწყისი (პირველმიზეზი) და არსებები აუცილებელ ერთიანობაშია; არ არსებობს არსება, რომელიც პირველმიზეზისაგან (სიკეთისაგან) არ მომდინარეობდეს. ბოროტებას არ გააჩნია საკუთარი მიზეზი, — ის არასუბსტანციურია. ყოველივე არსებობს პირველმიზეზის (ღვთაების, სიკეთის) წყალობით.

შევაჯამოთ ის დასკვნები რაც მიღებულია კატაფატიკური მეთოდის მეშვეობით. შესავალში აღინიშნა, რომ არეოპაგელს მთელი სინამდვილე გააზრებული აქვს ნეოპლატონიკოსების მსგავსად, კერძოდ — სინამდვილის დასაბამი არის ღვთაება (პირველმიზეზი), რომელიც წარმოადგენს სრულყოფილებას. პირველმიზეზი წარმოშობს მთელ სინამდვილეს, სინამდვილეში არსებულ არსებებს, არსებები უკუუბრუნდებიან პირველმიზეზს. ყველაფერი ეს შესაძლებელია დასაბამის მხოლოდ კატაფატიკური დახასიათების საფუძველზე, ვინაიდან სწორედ კატაფატიკა გვეუბნება, რომ ღმერთი ყველგანაა, ღმერთი ყველაფერია. არსებული არსებები ღვთაებრივია, რამდენადაც მათში ადგილი აქვს ღვთაებრივი ძალის გამოვლენას, ამასთან არსებები ბრუნდებიან ღვთაებაში სწორედ იმის ძალით, რომ ისინი უკვე ნაზიარები არიან ღვთაებას.

ფსევდო-დიონისე არეოპაგელის ფილოსოფიური მსოფლმხედველობა მონისტური ხასიათისაა. მას უცდია მთელი სინამდვილის ერთი საწყისიდან გამოყვანა. მეორე მხრივ, უფრო მნიშვნელოვანი ისაა, რომ სინამდვილისათვის, სამყაროსათვის პირველმიზეზი (საწყისი) რაღაც გარეგანი კი არ არის, არამედ — სამყაროშია. ეს მომენტი იმითაცაა მნიშვნელოვანი, რომ საგანთა არსება ისევ საგანშია მოცემული. ამით გარკვეულად გადალახულია დუალიზმის საფრთხე[41]. ყველაფერ ამას დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმ მხრივაც, რომ არეოპაგელი ზემოაღნიშნული დასკვნებით ფილოსოფიური პოზიციის ერთგული რჩება იმ ეპოქაში და იმ გარემოებაში, როცა რელიგიურ მსოფლმხედველობას გაბატონებული მდგომარეობა ეკავა.

---

41 გავიხსენოთ არისტოტელეს მიერ პლატონის იდეათა თეორიის კრიტიკა: ერთ-ერთი ძირითადი არგუმენტის შინაარსი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ პლატონთან საგნის არსება საგნის გარეთაა.

ფსევდო-დიონისე არეოპაგელის ფილოსოფიური თვალსაზრისის წარმოჩენა ისე, როგორც ნაჩვენები იქნა აქ, შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ წინ წამოვწევთ მასთან მხოლოდ კატაფატიკურ (დადებით) მეთოდს. სხვა საქმეა, როცა აპოფატიკური (უარყოფითი) მეთოდის განხილვა დაგვარწმუნებს, რომ ორივე ეს მეთოდი უძლურია პირველმიზეზის (ღვთაების) ბუნების გასარკვევად. ამისათვის სხვა გზაა საჭირო: ეს გზა არაფილოსოფიურია, — ეს არის მისტიკური ჭვრეტის გზა. აქ უკვე ნათელი გახდება, რომ ფსევდო-დიონისე არეოპაგელი ბოლომდე ვერა რჩება თანმიმდევრული და რელიგიურ მსოფლმხედველობასაც თავისას მიუზღავს.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა
აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანზორ კაციტაძე

კრიტიკული რეალიზმი და მშვენიერების პრობლემა

მშვენიერება და ესთეტიკის ცალკეული კატეგორიები სხვადასხვაგვარად არის წარმოდგენილი და გაგებული ამა თუ იმ მხატვრულ მიმდინარეობაში. მშვენიერების პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ დაისვა კრიტიკულ რეალიზმში. მის გადაჭრაზე ბევრად არის დამოკიდებული, ერთი მხრივ, მშვენიერების ბუნების გარკვევა და, მეორე მხრივ, თვითონ კრიტიკული რეალიზმის არსის გაგება. კრიტიკული რეალიზმის ესთეტიკურ თეორიებში, ისე როგორც მრავალრიცხოვან გამოკვლევებში კრიტიკული რეალიზმის შესახებ, ამ მხრივ ზოგი რამ ბუნდოვანი და დასაზუსტებელი რჩება. უდავოდ ამაზე მიუთითებს აზრთა სხვადასხვაობა, რომელიც ამ საკითხის ირგვლივ არსებობს. აქედან გამომდინარე, აქტუალურ ამოცანად ისახება ისეთი თეორიული ანალიზი, რომელიც თავიდან აგვაცილებდა ცნებათა ურთიერთაღრევით გამოწვეულ ბუნდოვანებას და გვიჩვენებდა, თუ როგორ წყდება, მშვენიერების პრობლემა კრიტიკულ რეალიზმში.

ცნობილია, რომ ხელოვნებისა და მისი ესთეტიკური თეორიის განვითარების პროცესში გარკვეულ ცვლილებებს განიცდიდა როგორც საერთოდ ესთეტიკურის, ისე ესთეტიკის ცალკეული კატეგორიების გაგება. რეალისტურმა ხელოვნებამ, კერძოდ, კრიტიკულმა რეალიზმმა, ხელოვნების არსის ახალი გაგება მოგვცა და ამის კვალობაზე შეიცვალა ესთეტიკური კატეგორიების გაგებაც. ამიტომ, სანამ ცალკეული ესთეტიკური კატეგორიებისა და, კერძოდ, მშვენიერის კატეგორიის საკითხს შევეხებოდეთ, საჭიროა გავითვალისწინოთ კრიტიკული რეალიზმისეული გაგება, მისი ზოგადი პრინციპები ამ ხელოვნებისა, რომელიც უკუფენილია ცალკეულ ესთეტიკურ კატეგორიებში.

როგორც კრიტიკული რეალიზმის, ისე საერთოდ რეალიზმის ხელოვნების არსის შესახებ ბევრი რამ არის ერთმნიშვნელოვნად დადგენილი, მაგრამ არის რიგი პრინციპული საკითხებისა, რომელთა ანალიზი სათანადო სიღრმეს არ ჩასწვდენია. რა თქმა უნდა, ჩვენს გამოკვლევას არ შეიძლება ჰქონდეს ამ ხარვეზის მთლიანი შევსების პრეტენზია და მხოლოდ იმას ვეცდებით, რომ წარმოვადგინოთ ზოგიერთი იმ საკითხის ანალიზი, რაც აქ დასმული პრობლემის გადაჭრისათვის აუცილებლად გვესახება.

რაში მდგომარეობს კრიტიკული რეალიზმისა და საერთოდ რეალიზმის არსი? ზოგადი პასუხი ამ კითხვაზე კარგადაა ცნობილი. რეალისტური ხელოვნება ისეთი მიმართულებაა მხატვრულ შემოქმედებაში, რომელიც სწორად ასახავს ცხოვრების სიმართლეს, ცხოვრებისეულ სინამდვილეს; ხოლო კრიტიკული რეალიზმისათვის, რომელიც ადრინდელ რენესანსეულ რეალიზმთან შედარებით მაღალ საფეხურადაა მიჩნეული, დამახასიათებელია კრიტიციზმი, კრიტიკული ასახვა საზოგადოებრივი ურთიერთობისა და ვითარებებისა. რეალიზმის არსის აღნიშნული განსაზღვრა საერთოდ სწორია, მაგრამ იმდენად ზოგადია, რომ მისი დაკონკრეტების გარეშე შეუძლებელი ხდება ნამდვილი ვითარების ნათლად წარმოდგენა. როგორ უნდა გავიგოთ „რეალიზმი“, — როგორც ცხოვრების სიმართლის სწორი ასახვა? თუ ასახვის ცნებას მისი უფართოესი მნიშვნელობით გამოვიყენებთ, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ „რეალიზმის“ ამ ფართო მნიშვნელობას აკმაყოფილებს ხელოვნების ყოველი ნაწარმოები, ვინაიდან, რაგინდ ფანტასტიკურიც არ უნდა იყოს მხატვრული სახე, იგი მაინც სინამდვილიდან იქნება აღებული. ცხადია, აქ ტერმინი „რეალიზმი“ ასეთი ფართო მნიშვნელობით არ იხმარება, ეს იმით არის განსაზღვრული, რომ, მართალია, ასახვა არ შეიძლება რაიმე არსებულის ასახვა არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყოს (ეს თვით ასახვის ცნებიდან გამომდინარეობს ანალიზურად), მაგრამ ობიექტი, რომელიც აისახება, სხვადასხვაგვარია, ამდენად, ასახვის რამდენიმე განსხვავებული სახე შეიძლება გვქონდეს: მხატვრულ ნაწარმოებში შეიძლება ასახული იყოს რეალური სინამდვილე, რეალური საზოგადოებრივი ყოფიერება, მაგრამ შესაძლებელია იგი ასახავდეს არა ამ უკანასკნელს, არამედ ინდივიდის, რომელიმე კლასის, საზოგადოების წარმომადგენლის სუბიექტურ მდგომარეობას, განწყობილებას, ინტერესებს, ამ ინტერესებით დანახულ ფრაგმენტს სინამდვილისას. რომანტიზმის ხელოვნება, რომელიც შეიძლება გაურბოდეს კიდეც სინამდვილეს, მაინც ასახვაა. იგი ასახავს გარკვეულ საზოგადოებრივ თუ ინდივიდუალურ განწყობილებას, რომელიც თავის მხრივ, საზოგადოებრივი ყოფიერების შინაარსის ერთი ნაწილია, მაშასადამე, რეალობაა.

რეალისტური ხელოვნების თეორიის ცნობილი საბჭოთა მკვლევარი ს. მ. პეტროვი სწორად ითვალისწინებს ამ გარემოებას და აღნიშნავს, რომ „რეალური სინამდვილე აისახება ყოველ მხატვრულ ნაწარმოებში, ყველაზე უფრო ფანტასტიკურ სახეებსა და სურათებშიც“, რომ „სინამდვილის ასახვას წარმოადგენს მოდერნიზმის სრულიად სხვადასხვა მიმდინარეობათა ხელოვნებაც, თუ რა თქმა უნდა, იგი ხელოვნებაა“. მაგრამ ს. მ. პეტროვი, ჩვენი აზრით, არასწორ შეხედულებას ავითარებს, როცა რეალიზმისა და არარეალისტური ხელოვნების გათიშვისათვის ცნობიერ და არაცნობიერ ასახვათა განსხვავებას მიმართავს. მისი აზრით, ყველა მხატვრული ნაწარმოები ასახავს რეალობას, მაგრამ საკუთრივ რეალიზმი ცხოვრების გარდმოსახვის მეთოდია, მხატვრული მეთოდია, რომელიც მდგომარეობს „მხატვრის შეგნებულ სწრაფვაში სინამდვილის სწორი გამოსახვისაკენ“. შესაბამისად ავტორი განასხვავებს შეუგნებელ ასახვას (отражение) და მის შეგნებულ გამოსახვას (изображение) და რეალიზმისათვის არსებითად ამ უკანასკნელს მიიჩნევს[1]. მართალია, ს. მ. პეტროვი შენიშნავს, რომ შეგნებული გამოსახვა უნდა გვაძლევდეს სწორ, სინამდვილის შესატყვის სურათს, მაგრამ ასახვისა და გამოსახვის ასეთი განსხვავება ვერ სწვდება რეალისტური და არარეალისტურ ხელოვნებათა განსხვავებას. ამაზე ორი გარემოება მეტყველებს: 1) სინამდვილის რაიმე მხარის ასახვას უდავოდ აღწევს ხელოვნების ყველა ნაწარმოები და, მიუხედავად ამისა, ყოველ მათგანს რეალიზმად ვერ ჩავთვლით, თუნდაც მაშინ, როცა ასეთი ასახვა შეგნებული აქტია, ე. ი. გამოსახვაა; 2) რეალისტურ ხელოვნებას უდავოდ განეკუთვნება ბევრი რეალისტი შემოქმედის ნაწარმოები, მიუხედავად იმისა, რომ თვითონ შემოქმედს შეგნებულ, ცნობიერ მეთოდად არ უქცევია ეს ასახვა, — ეს გარემოება ხდის გასაგებს ისეთ საყოველთაოდ ცნობილ ფაქტებს, როცა დიდი რეალისტი ხელოვანნი თავის თეორიაში უარყოფდნენ იმას, რასაც ისინი ხელოვნებაში აკეთებდნენ. ამის ნათელი მაგალითია ლ. ტოლსტოი — კრიტიკული რეალიზმის მწვერვალი, რომელსაც ვ. ი. ლენინმა „რუსეთის რევოლუციის სარკე“ უწოდა და რომელიც, ვ. ი. ლენინისავე თქმით, ამავე დროს რელიგიურ რეაქციულ იდეოლოგიას ქადაგებდა. ლ. ტოლსტოის ესთეტიკის თეორიაში ვერ ვნახავთ კრიტიკული რეალიზმის პრინციპების სისტემურ და თანამიმდევრულ გატარებას.

[1] С. М. Петров. Основные вопросы теории реализма. М., 1975, стр. 16—18.

ეს ორი არგუმენტი საკმარისია იმ აზრის უარსაყოფად, რომ რეალიზმი და არარეალისტური ხელოვნება ერთმანეთისაგან შეგნებული ცნობიერი მეთოდური მიდგომით განსხვავდებიან არსებითად. ეს, რა თქმა უნდა, სრულიადაც არ უარყოფს შეგნებული ასახვის ამოცანის დაყენების დიდ მნიშვნელობას რეალისტურ ხელოვნებაში. სხვა ადგილზე ს. მ. პეტროვი სრულიად მართებულად მიუთითებს, რომ რეალისტური ხელოვნების ნიშნად არსებითი ასახვა უნდა მივიჩნიოთ: „სწორედ მოვლენათა არსის წვდომა, ცხოვრებისეული სიმართლის გამოსახვა შეადგენს რეალიზმის როგორც მხატვრული მეთოდის თავისებურებას“[2], თუმცა ავტორი აქაც შეგნებული მეთოდის აუცილებლობას აღნიშნავს ხაზგასმით. ცხოვრებისეული სიმართლის გამოსახვა, ცხოვრების არსებითი ასახვა უდავოდ არის რეალიზმის არსებითი ნიშანი. მაგრამ გარკვევას მოითხოვს არსებითი ასახვის ცნება.

ცნობილია, რომ ნატურალიზმი, რომელიც თავის ფილოსოფიურ საფუძვლად პოზიტივისტურ თეორიას გულისხმობს, ასახავს და ხშირად შეგნებულადაც ასახავს (გამოხატავს) სინამდვილის გარკვეულ მხარეებს — დეტალებს, გარეგნულ მოვლენებს; მაგრამ ნატურალიზმი მაინც არ არის რეალიზმი, მას ამისათვის არსებითის ასახვის ნიშანი აკლია. სინამდვილის გარკვეულ მხარეებს ასახავენ არარეალისტური მიმართულებები, უმთავრესად — ან გარკვეული საზოგადოებრივი ჯგუფის განწყობილებებსა და ინტერესებს, ან თვითონ სინამდვილეს (ვთქვათ, საზოგადოებრივი ცხოვრების ფაქტებს), მაგრამ ამ განწყობილებათა და ინტერესთა პრიზმაში გარდატეხილს. ამიტომ ისინი რეალიზმის საპირისპირო მიმართულებადაა შეფასებული.

შეიძლება ითქვას, რეალისტური ასახვის არსებითი ნიშანი ისაა, რომ ასახვის ობიექტს თავისთავად შეადგენს არა თვითონ შემოქმედის სუბიექტური განწყობილებები, ინტერესები და ტენდენციები, არამედ ადამიანის საზოგადოებრივი ყოფიერება როგორც მთელი.

მაგრამ ისიც ცნობილია, რომ ხელოვნება როგორც ასახვა აუცილებლად კლასობრივი ხასიათისაა კლასობრივ საზოგადოებაში. მაშასადამე, იგი აუცილებლად გულისხმობს არა ზეკლასობრივ ობიექტივისტურ მიდგომას, არამედ — კლასობრივს. მაშასადამე ხელოვნება ადამიანთა მხოლოდ გარკვეული ნაწილის, კლასის ინტერესების თვალით დანახულს გულისხმობს და, ამ აზრით, მაინც სუბიექტურია (მართალია, არა ინდივიდუალურ-სუბიექტური, არამედ ჯგუფურ-სუბიექტური კლასობრივი), მაგრამ რადგან იგი გამოხატავს კლასის განწყობილებებსა და მისწრაფებებს, ისე ხომ არ გამოდის, თითქოს, მას არც შეუძლია საზოგადოებრივი ყოფიერების, როგორც ობიექტურის სწორი ასახვა? ასეთი დასკვნა რომ მართებული იყოს, მაშინ შეუძლებელი იქნებოდა სადემარკაციო ხაზის გავლება რეალისტურ და არარეალისტურ ხელოვნებებს შორის. მაგრამ ასეთი დასკვნა სწორი არ არის.

იმ საკითხის გადაჭრისათვის, თუ რაში მდომარეობს რეალისტური ასახვის არსი, აუცილებელია გავცდეთ საზოგადოებრივი ყოფიერების ცალკეული მხარეების პლანს და გადავიდეთ იმ სიბრტყეში, რომელსაც მთლიანი საზოგადოებრივი ყოფიერება ეწოდება. ცხოვრების არ-

[2] С. М. Петров. Критический реализм, М., 1974, стр. 262.

სებითს ასახავას არ შეიძლება წარმოადგენდეს თავისთავად რომელიმე ინდივიდის ან საზოგადოების გარკვეული ჯგუფისათვის დამახასიათებელი თვალთახედვის ასახვა, ან ამ თვალთახედვით დანახული სინამდვილის გამოსახვა. ასეთი რამ საერთოდ ხელოვნებისათვისაა დამახასიათებელი და რეალიზმის სპეციფიკა ამაში არ შეიძლება იყოს. ცხოვრების არსებითი ასახვა გულისხმობს ცხოვრების ცალკეული მხარეების, ცალკეულ ადამიანთა განწყობილებებისა და ინტერესების იქით საზოგადოებრივი ცხოვრების როგორც მთლიანის ასახვას. ცხოვრების ცალკეული მხარეები, თვითონ შემოქმედის განწყობილებები და ინტერესები გასაგები ხდება ამ მთლიანის შუქზე, საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების წარმმართველი, მამოძრავებელი ძალების წვდომის ნიადაგზე. თუ ჩვენ მაინც შეგვიძლია ვილაპარაკოთ ცხოვრების ცალკეული მხარეების რეალისტურ ასახვაზე, ეს მხოლოდ იმ შემთხვევაშია გამართლებული, თუ ეს მხარეები მთელი საზოგადოების მამოძრავებელი ძალების ასპექტით იქნება წარმოდგენილი (ამიტომაა, რომ ნატურალისტურ ნაწარმოებათა შესახებ შეუძლებელია იმის თქმა, რომ ისინი ცხოვრების თუნდაც ცალკეულ მხარეებს ასახავენ ადეკვატურად).

მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ არის საკმარისი არსებითი ასახვის დასახასიათებლად. ზევით მითითებული იყო, რომ ხელოვნება აუცილებლად კლასობრივი ხასიათისაა და სუბიექტურია, რამდენადაც კლასი როგორც საზოგადოებრივი ჯგუფი მაინც სუბიექტთა გარკვეული ერთიანობაა. ერთი შეხედვით, კვლავ ისე გამოდის, თითქოს, რადგანაც ასახვა აუცილებლად გულისხმობს სუბიექტურ მომენტს, სუბიექტურ განწყობილებებს, ინტერესებსა და თვალთახედვას, იგი არ შეიძლება იყოს არსებითი. ასახვის სუბიექტივისტურ-რეალისტური გაგება სუბიექტური იდეალიზმისათვისაა ნიშანდობლივი და მარქსისტულ მსოფლმხედველობასთან შეუთავსებადია. ამ პრობლემის გადაჭრის გზას გვიჩვენებს მხოლოდ ისტორიზმის პრინციპი, რომელიც გულისხმობს განვითარების ცნების მომარჯვებას და, ამის შესაბამისად, კლასების დაყოფას პროგრესულ და არაპროგრესულ კლასებად. საზოგადოებრივი სინამდვილე განვითარებაში განიხილება და მისი არსებითი ასახვა ნიშნავს იმის გამოვლენას, თუ როგორია განვითარების მიმართულება, ტენდენცია და მისი მამოძრავებელი ძალები, ხოლო ასეთი არსებითი ასახვით დაინტერესებულია პროგრესული კლასი, რომელსაც ეკუთვნის მომავალი და რომელიც იბრძვის ახალი საზოგადოებრივი ყოფის დადგენისათვის. ისტორიული სიმართლე არის ის ძირითადი ცნება, რომელიც საშუალებას იძლევა რეალისტური ხელოვნების გამიჯვნისათვის არარეალისტურისაგან. მარქსისტული თვალსაზრისის მიხედვით, რეალიზმის ხელოვნება უკავშირდება პროგრესულ სოციალურ მოძრაობას, ისტორიულ სიმართლეს და ამით უპირისპირდება იგი არარეალისტურ ასახვას. პროგრესული კლასის მისწრაფებები, იდეოლოგია, ხელოვნება თავისუფალია სუბიექტივიზმისაგან (ამ აზრით) და სწორად ასახავს სინამდვილის არსებას, რამდენადაც სინამდვილის ნამდვილი სახე მისი განვითარების მიმართულებასა და მამოძრავებელ ძალებში ჩანს.

ამრიგად, მარქსისტული ესთეტიკის მიხედვით, რეალიზმი ხელოვნებაში ნიშნავს საზოგადოების განვითარების მიმართულებისა და მისი მამოძრავებელი ძალების სწორ ასახვას, იგი შეესაბამება პროგრესული კლასის ინტერესებს.

კრიტიკული რეალიზმი რეალისტური ხელოვნების განვითარების იმ მაღალ საფეხურს წარმოადგენს, რომელიც სოციალისტურ რეალიზმს უსწრებდა წინ და აძზადებდა მას. თუ ადრეული (XIX საუკუნემდელი) ხელოვნების ისტორიაში რეალიზმის ცალკეულ ელემენტებს ადასტურებენ, ხოლო მკვლევართა ერთი ნაწილი აღორძინების ეპოქის ხელოვნებას პირველ რეალისტურ მიმართულებად მიიჩნევს, საბჭოთა მკვლევართა შორის დავას არ იწვევს განმათავისუფლებელ მოძრაობასა და რევოლუციურ-დემოკრატიულ მიმართულებასთან მჭიდროდ დაკავშირებული ხელოვნების შეფასება რეალიზმად. მისი თავისებურება, განსხვავება რეალიზმის სხვა მიმდინარეობისაგან — საკუთრივ კრიტიციზმშია. კრიტიკული რეალიზმის ხელოვნება გამოდის მშრომელი, უბრალო ადამიანის დასაცავად ექსპლოატატორული კლასების ჩაგვრისაგან, ასახავს არსებული საზოგადოებრივი წყობის სიმახინჯეებს, თავგამოდებით იბრძვის ამ საზოგადოებაში ადამიანთა გაუცხოების წინააღმდეგ. ყოველივე ეს აისახა როგორც თვითონ კრიტიკულ-რეალისტურ ხელოვნებაში, ისე მის თეორიულ საფუძვლებში. კარგადაა ცნობილი ისიც, რომ კრიტიკულ-რეალისტური ხელოვნების წარმომადგენლები და თეორეტიკოსები თავის თეორიაში ყოველთვის თანამიმდევრულნი არ იყვნენ. საკმარისია გავიხსენოთ ლ. ტოლსტოისა და ნ. ჩერნიშევსკის ხელოვნების თეორიები.

კრიტიციზმი როგორც არსებითი ელემენტი სოციალისტური რეალიზმის ხელოვნებაშიცაა შენარჩუნებული. კრიტიკული რეალიზმისათვის კი ისაა ნიშანდობლივი, რომ მისი ხელოვნება არსებულის კრიტიკული რეალისტური ასახვით გამოირჩევა, გარკვეული სიღრმით წვდება ადამიანის გაუცხოების მიზეზებს და ებრძვის მას; მაგრამ რაც შეეხება საზოგადოებრივი განვითარების მამოძრავებელ ძალებს, რომელთაც ეკუთვნით მომავალი, მათ შესახებ ზოგადად თუა მითითებული და გარკვევით არა ჩანს საზოგადოების რევოლუციური გარდაქმნის კონკრეტული გზები. თუ გამოვალთ რეალიზმის აქ მოცემული განსაზღვრებიდან, რომლის მიხედვითაც რეალიზმი საზოგადოებრივი განვითარების მამოძრავებელი ძალების არსებით წვდომას ნიშნავს, მაშინ ცხადი გახდება, რომ კრიტიკულ რეალიზმს მხოლოდ გარკვეული აზრით შეიძლება ვუწოდოთ რეალიზმი, სახელდობრ, — მხოლოდ იმდენად რამდენადაც იგი სწორად წვდება საზოგადოებრივი პროგრესის შემაფერხებელ მიზეზებს და მართებულად ასახავს მათ. ამიტომაც ცხადია კრიტიკული რეალიზმის უდიდესი მნიშვნელობა იმ დროისათვის მით უფრო, რომ კრიტიკულ რეალიზმს ჰქონდა მეტი ღირებულებაც: ყოველი კრიტიკა გულისხმობს პოზიტიურ მომენტს — როგორც კრიტიკის ამოსავალს, ასეთ მომენტს კრიტიკულ რეალიზმში ყოველ შემთხვევაში, მის უფრო რევოლუციურ მიმართულებაში, წარმოადგენს ადამიანისა და საზოგადოების ცხოვრების ნათელი იდეალი, რომლის სახელითაც ეს ხელოვნება ებრძვის არსებულს. ასეთი იდეალი ყოველთვის იგულისხმება კრიტიკულ რეალიზმში, აქ იგი მხოლოდ მეტ-ნაკლები სიცხადითა და სიმართლით არის წარმოდგენილი, თუმცა მისი მიღწევის გზები კარგად ვერ არის გარკვეული.

ხელოვნების არსს კრიტიკული რეალიზმი ცხოვრებასთან კავშირში ხედავს. ამ მხრივ დამახასიათებელია ხელოვნების ნ. ჩერნიშევსკისეული განსაზღვრა, რომლის მიხედვითაც ხელოვნება არის ცხოვრება[3]. ხელოვნების ძი-

[3] იხ. Н. Г. Чернышевский. Полное собр. соч., том 11, стр. 10.

რითად ფუნქციად მიჩნეულია ეთიკური და, საერთოდ, სოციალური ფუნქცია. ხელოვნების დედააზრი იმაშია, რომ იგი ხალხს, ადამიანებს უნდა ემსახუროს ნამდვილი ადამიანური ცხოვრების წესის დადგენისათვის წარმოებულ ბრძოლში.

ცნობილია, რომ კრიტიკული რეალიზმის ხელოვნებასა და მის თეორიაში ხელოვნების არსის ამგვარ გაგებას თან ახლდა ხელოვნების ეთიკური (საერთოდ, საზოგადოებრივ-პრაქტიკული) ფუნქციის ერთგვარი გადაჭარბებული შეფასებაც — ვიწრო უტილიტარიზმი. ამ თვალსაზრისით შეფასდა ხელოვნება, მთელი ესთეტიკური სფერო და, ცხადია, ცალკეული ესთეტიკური კატეგორიებიც. მშვენიერება, როგორც ზოგადი ესთეტიკური კატეგორია კრიტიკის საგნად აქციეს ნ. ჩერნიშევსკიმ, ლ. ტოლსტოიმ და კრიტიკული რეალიზმის სხვა წარმომადგენლებმა. ასეთივე ბედი ეწია ცალკეულ ესთეტიკურ კატეგორიებს — ტრაგიკულს, კომიკურს და, განსაკუთრებით, მშვენიერს. ლიტერატურის ისტორიის თანამედროვე საბჭოთა თეორეტიკოსები ერთხმად და სწორად მიუთითებდნენ, რომ ამ კრიტიკას უმთავრესად ამოძრავებდა ბურჟუაზიული ხელოვნების ესთეტიკური პრინციპის — ხელოვნება ხელოვნებისათვის — წინააღმდეგ ბრძოლის ამოცანა. ამით შეიძლება აიხსნას ის არათანამიმღევრულობა, რასაც ჩერნიშევსკის ნააზრევში ვხვდებით.

შეიძლება აქ გამოიძებნოს ჩერნიშევსკის ესთეტიკის წინააღმდეგობის გასაღებიც, რომელზეც ს. დანელიამ მიუთითა: იმ დებულების დასამტკიცებლად, რომ ხელოვნებაში მშვენიერება უფრო დაბლა დგას, ვიდრე ბუნებაში, ჩერნიშევსკი ფსიქოლოგისტურ, გენეტისტურ თვალსაზრისს იყენებს, ხოლო ხელოვნების მაღალი საზოგადოებრივი ფუნქციის დამტკიცებისათვის იგი საპირისპირო რაციონალისტურ თვალსაზრისზე გადადის[4]. საყურადღებოა თვალსაზრისი, რომელსაც ავითარებს ა. ზისი. თვით დაყენება საკითხისა, თუ სად უფრო მაღლა დგას მშვენიერება: ცხოვრებაში თუ ხელოვნებაში — პრინციპულად გაუმართლებელია, ხოლო როცა ნ. ჩერნიშევსკი ამ საკითხს წყვეტდა, „სწორედ იდეალისტური კონცეფციების წინააღმდეგ ბრძოლაში მან გადააჭარბა", როცა უფრო მაღალ მშვენიერებად აღიარა მშვენიერება სინამდვილეში. ა. ზისი ფიქრობს, რომ ჩერნიშევსკი „შეგნებულად მიდიოდა ჭეშმარიტების გარკვეულ გაუხეშებამდე, სახავდა რა თავის ძირითად ამოცანად მატერიალისტური მიმართულების დამკვიდრებას ესთეტიკაში". ამის საბუთად მას მოყავს თვითონ ჩერნიშევსკის ავტორეცენზია თავის სამაგისტრო დისერტაციაზე, სადაც ჩერნიშევსკი „აკრიტიკებს" თავის თავს: „ბ-ნმა ჩერნიშევსკიმ, — წერს ჩერნიშევსკი თავის თავზე, — ჩვენი აზრით, დაუშვა მეტად დასანანი შეცდომა, როდესაც უფრო დეტალურად არ განავითარა აზრი ხელოვნების პრაქტიკული მნიშვნელობის შესახებ, მისი კეთილისმყოფელი გავლენის შესახებ ცხოვრებასა და განათლებაზე". შემდეგ ჩერნიშევსკი წერს, რომ ის მაღალ შეფასებას აძლევს ხელოვნებას, ხოლო მისი დისერტაციის მკითხველს შეიძლება ეგონოს, თითქოს ავტორი ამ აზრისა არ არის. ა. ზისის თქმით, ნ. ჩერნიშევსკის არც შეეძლო დაეკნინებია ხელოვნებაში მოცემული მშვენიერების როლი[5].

---

[4] ს. დანელია, ლიტერატურული და ფილოსოფიური წერილები, თბ., 1941, გვ. 119.

[5] А. Зис. Искусство и эстетика, М., 1975, стр. 284—286.

ყოველივე ეს, ცხადია, უნდა გავითვალისწინოთ როცა საქმე ეხება მშვენიერებასა და ცალკეულ ესთეტიკურ კატეგორიებს კრიტიკულ რეალიზმში.

რა გამომდინარეობს კრიტიკულ-რეალისტური ესთეტიკური კონცეფციიდან ცალკეული ესთეტიკური კატეგორიებისა და, კერძოდ, მშვენიერის კატეგორიის მიმართ? — თუ მშვენიერის კატეგორიის კრიტიკულ-რეალისტური ინტერპრეტაცია ბევრ სიძნელეს უკავშირდება და მას მეტად სადავო საკითხთა წრეში შევყავართ, ჩვენი აზრით, შედარებით ნათელია კომიკურისა და ტრაგიკულის კატეგორიის საკითხი, რომლის გათვალისწინება შეიძლება ერთგვარ ორიენტირად გამოდგეს მშვენიერის კატეგორიის საკითხის გადაჭრისათვის.

კომიკურის ესთეტიკური კატეგორიის შეფასება კრიტიკულ რეალიზმში დაკავშირებულია ამ კატეგორიის თავისებურებასთან. კრიტიკული რეალიზმის ერთგულება მისი ძირითადი ესთეტიკური პრინციპისადმი მოითხოვდა კომიკურის ჩაყენებას საზოგადოებრივი ცხოვრების კრიტიკული ასახვის სამსახურში. თეორიულად ასეთი თვალსაზრისი კომიკურის შესახებ განავითარეს ნ. ჩერნიშევსკიმ, ი. ჭავჭავაძემ და რუსული და ქართული კრიტიკული რეალიზმის სხვა თეორეტიკოსებმა. იგი აისახა კომედიური ჟანრის თავისებურ განვითარებაში. კომედია მძლავრ იარაღად იქცა საზოგადოებრივი ცხოვრების უკუღმართობის წინააღმდეგ ბრძოლაში. მაგრამ აქ უნდა გავითვალისწინოთ კომიკურის ის თავისებურება, რაზეც ძველთაგანვეა მითითებული ესთეტიკურ ლიტერატურაში. საზოგადოებრივი უკუღმართობების მძაფრი, შეურიგებელი კრიტიკა სატირის მეშვეობით ხორციელდება: საზოგადოებრივი ბოროტება, რომელიც მძიმე ბორკილად აწევს ადამიანებს, უშუალო გზით ნაკლებად შეიძლება გამოისახოს კომედიით: ტირანი საძულველია, მაგრამ არა სასაცილო, სასაცილოდ იგი მხოლოდ მაშინ გადაიქცევა, როცა რაიმე ვითარებაში დაკარგავს თავის ძლიერებას, შეწყვეტს საშიშ, ბოროტ ძალად ყოფნას. ამიტომაა, რომ ერთი ძირითადი ხერხი ძლიერი, ბოროტი ძალის კომიკურ ასპექტში წარმოდგენისა მდგომარეობს მის ისეთ ვითარებაში წარმოსახვაში, სადაც მისი ძლიერება მხოლოდ მოჩვენებითი ხდება და კომიკური ეფექტიც ამ მოჩვენებითი ძლიერების პრეტენზიულობის დამარცხებით მიიღწევა (მაგალითად, ტირანისა და მისი ოლიეულის აღრევა და მისთ.). კრიტიკულ რეალიზმში ამგვარი კომიკური სიტუაციის წარმოსახვის არაერთი მაგალითი შეიძლება დავადასტუროთ, მაგრამ კომიკური ამ გზით ბოლომდე ვერ აღწევს იმ მიზანს, რომელსაც მას კრიტიკული რეალიზმი უსახავს. ამიტომ, ჩვენი აზრით, კომიკურის განვითარება კრიტიკულ რეალიზმში უმთავრესად ორი თავისებური გზით მოხდა. პირველი გზა იყო კომიკურის წარმოდგენა უმთავრესად სატირით. შემთხვევითი არ იყო, რომ სწორედ კრიტიკულმა რეალიზმმა წარმოშვა რუსეთის ხელოვნებაში სალტიკოვ-შჩედრინი. კომიკურის დაყვანა სატირამდე უმთავრესად აუცილებლად დააყენებს ასეთი ნაწარმოების ესთეტიკური ღირებულების საკითხს. სატირა, გროტესკი ყოველთვის იყო საზოგადოებრივი აზრის ბრძოლის უფრო მძლავრი იარაღი, მაგრამ ესთეტიკის თეორიებში იმთავითვე ეჭვის ქვეშაა დაყენებული სატირული ნაწარმოების ესთეტიკურობა. ჩვენ არ ვეთანხმებით სატირის ესთეტიკურობის უარყოფის აზრს, მაგრამ ერთი რამ ცხადია: იმისათვის, რომ სატირული ნაწარმოები ნამდვილი ხელოვნება იყოს, მისი შემოქმედი ხელოვანის წინაშე მეტად ძნელად გადასაჭრელი ამოცანები ისახება.

მეორე გზა, რომელიც კომიკურის განვითარებამ განვლო კრიტიკულ რეალიზმში, იყო მისი სოციალური ფუნქციის ამაღლება ტიპიზაციის გზით. კრიტიკული რეალიზმის თვალსაზრისით, კომიკური შეუძლებელია იყოს ყოველგვარი ტრიუკი, რომელიც სიცილს იწვევს და, მხატვრული შემოქმედების სხვა მიმართულებების აზრით, მაინც ესთეტიკურის კატეგორიას განეკუთვნება. კომიკურის კრიტიკულ-რეალისტური გაგება მას სოციალური სინამდვილის კრიტიკული ასახვის ფუნქციას ანიჭებს, ამიტომ იგი ტიპურ სოციალურ ვითარებებს უნდა ასახავდეს. საინტერესოა, რომ XIX საუკუნის ქართულმა კრიტიკულმა რეალიზმმა, რომელიც განსაკუთრებულ სოციალურ ვითარებაში იქმნებოდა, ერთნაირი წარმატებით შეძლო წარმოედგინა ტიპური კომიკური სოციალური სიტუაციები როგორც ისტორიის არენიდან მიმავალი ფეოდალური კლასის, ისე განვითარების პროცესში მყოფი ბურჟუაზიული კლასის (ვაჭართა) ყოფიდან და ეს ხშირად ერთსა და იმავე კომედიურ ნაწარმოებშია წარმოდგენილი (გ. ერისთავი).

ტრაგიკულის როგორც ესთეტიკური კატეგორიის არსის საკითხი, რამდენადაც ცნობილია, გარკვეული არაა ბევრ მნიშვნელოვან პუნქტში, მაგრამ კარგად არის ცნობილი მისი ზოგიერთი არსებითი ნიშანი, რაც საფუძველს იძლევა ამ კატეგორიის განსასხვავებლად. ტრაგიკულში საქმე ეხება ღირებულებათა სფეროს და მისი დამახასიათებელი ისაა, რომ მაღალი ღირებულება მარცხდება, იღუპება ამ ღირებულებათა განმასახიერებელი გმირი, ამავე დროს, ტრაგედიისათვის არსებითია ასეთი გმირის დაღუპვის გარდუვალობა. თუ გმირის დაღუპვა აუცილებელი კი არაა, არამედ რაიმე შემთხვევითი, წარმავალი, დაძლევადი ვითარებითაა გამოწვეული, მაშინ ფაქტობრივად საქმე გვექნება მხოლოდ გმირის დაღუპვასთან და თვითონ მაღალი ღირებულების იდეის გამარჯვებასთან. ამას კი ამაღლებულის კატეგორიის ფარგლებში გადავყავართ და ტრაგიკული აქ ამაღლებულში გადადის. ცრემლი, რომელიც აქ შეიძლება ღვაროს მაყურებელმა თუ მკითხველმა, აუცილებელი როდია და თუ ჩვენ აქ ვტირით, დავტირით მხოლოდ გმირს, რომელიც მსხვერპლად შეეწირა მაღალ იდეას; მაგრამ ზეიმობს სულიერი სიმხნევის გრძნობა, რასაც მაღალი იდეის გამარჯვება იწვევს. ამის საპირისპიროდ, გმირის დაღუპვასთან ერთად, ტრაგედიაში არავითარი გზა არა ჩანს მაღალი იდეის გამარჯვებისა: დაღუპვა გარდაუვალია, ცრემლი კი — შეუშრობელი. რა თქმა უნდა, გასათვალისწინებელია ისეთი შეხედულებაც ტრაგედიის შესახებ, რომელიც მის პესიმისტურ გაგებას უარყოფს და ოპტიმისტურ გაგებას ავითარებს. ეს არ უნდა ავრიოთ ე. წ. ოპტიმისტურ ტრაგედიაში, რომლის შესახებაც სოციალისტურ რეალიზმში ლაპარაკობენ. აქ საქმე ეხება არა ოპტიმისტურ ტრაგედიას, არამედ ტრაგედიას საერთოდ, მათ შორის ანტიკურსაც. ა. ზისი ებრძვის ტრაგედიის პესიმისტურ გაგებას და მიუთითებს, რომ ტრაგედია ყოველთვის სიცოცხლეს უმღერის და არა სიკვდილს[6]. ამგვარი ოპტიმიზმი ტრაგედიას მართლაც ახასიათებს, მაგრამ ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ სამი რამ: ამაღლებული იდეა, მისი მატარებელი ტრაგიკული პერსონაჟი და იდეის სიცოცხლე. ტრაგედიაში აუცილებლად იღუპება ტრაგიკული პერსონაჟი და იდეის სიცოცხლე (არ ჩანს გზები მისი გამარჯვებისა) და ამაშია მისი პესიმისტური ხასიათი; ხოლო ამაღლებული იდეა (არა მისი განხორციელება), სწორედ ამის გამო, უფრო ხაზგასმით გამოჩნდება, — იგი

[6] იხ. მისი ზემოთ მითითებული წიგნი, გვ. 312-314.

კარგავს სიცოცხლეს (მარცხდება მისი მატარებელი გმირის დამარცხებასთან ერთად), მაგრამ როგორც იდეა იგი რჩება და მოიპოვებს მაყურებლისა თუ მკითხველის თანაგრძნობასა და სინანულს დამარცხებისა გამო. თუ სწორია არისტოტელის კათარზისის თეორია მისი ლესინგისეული ინტერპრეტაციით, ტრაგედიის განმწმენდელი ფუნქცია სწორედ ამაში უნდა იყოს. ამ მომენტს, რა თქმა უნდა, არ შეიძლება პესიმისტური ვუწოდოთ, მაგრამ, როცა ტრაგედიის პესიმისტურ ფინალზე ვლაპარაკობთ, მხედველობაში უნდა გვქონდეს არა ეს კათარზისი, არამედ გმირისა და იდეის სიცოცხლის გარდაუვალი დაღუპვა.

გავითვალისწინოთ ტრაგედიის ეს ერთი ძირითადი ნიშანი და ვნახოთ, თუ როგორ იცვლება ტრაგიკულის გაგება სხვადასხვა ლიტერატურულ მიმართულებებში, მათ შორის, კრიტიკულ რეალიზმში: ანტიკურ ტრაგედიაში სავალალო ფინალი განსაზღვრულია ფატუმით ბრმა ბედისწერით. ამ გაგების თანახმად, არსებობს ბედისწერა, რომელიც ულმობლად ანადგურებს მაღალ ღირებულებათა განმასახიერებელ გმირებს. ადამიანები უძლურნი არიან ხელი შეუშალონ განგებას, ბედისწერას. ამის ხაზგასმა ანტიკური ტრაგედიის შესავალში ხდება: ადამიანის ბედი განგების მიერ თავიდანვე განსაზღვრულია და ამას დასაწყისიდანვე გვამცნობს ორაკული, რომელიც წინასწარმეტყველებს გმირის დაღუპვას. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანები ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა გაექცნენ ასეთ ბედისწერას, ტრაგედიის ფინალში გმირი მაინც ბედისწერის მსხვერპლი ხდება.

ანტიკური ტრაგედიის გავლენა, რა თქმა უნდა, არ შემოფარგლულა ანტიკური ხანით. მსგავსი ნაწარმოებები გვხვდება თვით შექსპირთანაც და პუშკინთანაც, რომელნიც ახალი დროის ლიტერატურულ მიმართულებას ეკუთვნოდნენ (მაგ., პუშკინის „სიმღერა გრძნეულ ოლეგზე“). მაგრამ ეს ამ მიმართულების დამახასიათებელი კი არაა, არამედ ერთგვარი შემოქმედებითი გამოხმაურებაა ანტიკური მემკვიდრეობისადმი. როცა არენაზე გამოდის ახალი კლასი — ბურჟუაზია, რომელიც უპირისპირდება დრომოჭმულ ფეოდალურ სამყაროს, — ისაწება ახალი ხელოვნება და იცვლება ტრაგიკულის ანტიკური გაგებაც. ამ მიმართულების დამამგვირგვინებელი შექსპირი იყო. მართალია, მის ყოვლისმომცველ შემოქმედებაში გვხვდება ტრაგიკულის ძველი, ანტიკური გაგებაც და კრიტიკული რეალიზმისათვის დამახასიათებელი ელემენტებიც, მაგრამ ის ძირითადი, რაც შექმნა შექსპირმა და რამაც მისი დიდი გავლენა განაპირობა, იყო ტრაგიკულის ახალი ინტერპრეტაცია.

შექსპირის ტრაგედიებში, რა თქმა უნდა, შენარჩუნებულია ამაღლებულის გარდაუვალი დაღუპვა (უამისოდ ტრაგედიასთან არ გვექნებოდა საქმე), მაგრამ ის ძალა, რომელსაც აქამდე მივყავართ, არის არა გარეთ, არა ბრმა ბედისწერაში, არამედ — თვითონ გმირის ხასიათში: ოტელოს დაღუპვა გაპირობებულია არა თავისთავად ბოროტმზრახველთა ხრიკებით (რაც შეიძლებოდა კაცს ადვილად აეცილებინა თავიდან), არამედ თვით ოტელოს ხასიათის წინააღმდეგობრიობით; როგორც ბელინსკი მიუთითებდა, ოტელოს სპეტაკ, რაინდულ, კეთილშობილურ პიროვნებას ღრღნის ეჭვის დემონი და ეს ღუპავს კიდეც მას. ასევე გარდაუვალია ლირისა და ჰამლეტის დაღუპვა, და ეს მათი ხასიათებიდან გამომდინარეობს და არა ბედისწერისაგან.

ტრაგიკული სულ სხვა ხასიათს იღებს კრიტიკულ რეალიზმში. მაღალი ღირებულებების მატარებელი გმირი აქ იღუპება არა ბრმა ბედისწერის გა-

მო (როგორც ანტიკურ ტრაგედიაში), არც თავისთავად თავისი წინააღმდეგობრივი ხასიათის გამო (როგორც შექსპირის კლასიკურ ტრაგედიაში), არამედ სოციალური წინააღმდეგობრივი ვითარებისა გამო (შესაძლებელია ხასიათის ტრაგიკულობაც, მაგრამ საბოლოოდ მისი ბუნება სოციალური ვითარებებით გაპირობებულადაა წარმოდგენილი).

ამრიგად, კრიტიკულ რეალიზმში ტრაგიკული სოციალური ბუნებისაა და სწორედ აქ დაისმის კითხვა ტრაგიკულის კატეგორიის შესაძლებლობის შესახებ კრიტიკულ-რეალისტურ ხელოვნებაში. ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ იქნება გაგებული სოციალური: თუ კრიტიკული რეალიზმი (როგორც რეალიზმი) სწორად ასახავს სინამდვილეს, მაშინ შეუძლია დაადასტუროს გარკვეული სოციალური კოლიზიები, მაგრამ ყოველივე ეს ტრაგიკული იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მის საფუძვლად მდებარე სოციალური ვითარება გარდაუვალი, მარადიული ბუნებისმქონედ გაიგება. განვითარებული კრიტიკული რეალიზმი სწორად ასახავს არა მარტო კონფლიქტებსა და მათს სოციალურ ძირებს, არამედ საზოგადოების განვითარების ძირითად ტენდენციებსაც, რაც იმაში გამოიხატება, რომ მომავალი პროგრესულს ეკუთვნის, რომ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს განვითარებად ძალებს; ასეთ შემთხვევაში ადგილი არა რჩება ტრაგიკულისათვის ზევით მითითებული პირდაპირი მნიშვნელობით, მაგრამ კრიტიკული რეალიზმის განვითარების გარკვეულ ეტაპზე ტრაგიკულის კატეგორია ძალაშია, — ეს მაშინ, როცა მიგნებულია და ასახულია კონფლიქტის სოციალური ძირები, თუმცა დანახული და გამოსახული არ არის პროგრესული მიმართულებით განვითარების ტენდენცია; ე. ი. როცა არსებული სოციალური უკუღმართობის დაძლევის გზები არა ჩანს, — ასეთ შემთხვევაში კრიტიკულ რეალიზმში ტრაგიკულის კატეგორია შენარჩუნებულია. ამგვარ ტრაგედიებს შეიძლება მივაკუთვნოთ შექსპირის „რომეო და ჯულიეტა“, სადაც ტრაგიზმი არსებული ცხოვრების წესით წარმოქმნილი გარდაუვალი შუღლის შედეგია. შეყვარებულთა ტრაგიკულ ბედს აქ განაპირობებს არა ბრმა ბედისწერა, არც მხოლოდ გმირთა ხასიათების წინააღმდეგობრიობა, არამედ — სოციალური ძირები, რომელთა დაძლევადობის შესახებ შექსპირი დუმს.

შესაძლებელია ტრაგიკულის შესახებ ვილაპარაკოთ განვითარებული კრიტიკული რეალიზმის შემთხვევაშიც, მაგრამ ეს იქნებოდა ტრაგიკულის შეფარდებითი გაგება. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ტრაგიზმის სოციალური მიზეზების შეფარდებითი გარდუვალობა არსებული საზოგადოებრივ-ეკონომიური წყობის პირობებში; მაგრამ თუ მხატვრულ ნაწარმოებში გარკვეულად არის ნაჩვენები ასეთი მიზეზების არამარადიულობა, მათი დაძლევის შესაძლებლობა, მაშინ, ცხადია, ეს ნაწარმოები არ განეკუთვნება ტრაგიკულის სფეროს.

ასევე უნდა შეფასდეს ე. წ. ოპტიმისტური ტრაგედიაც სოციალისტურ რეალიზმში. თუ ტრაგედიის ცნების ზემომითითებული გაგება გვექნება მხედველობაში, ამ შემთხვევაში ის, რაც ოპტიმისტურ ტრაგედიადაა შეფასებული, სინამდვილეში ამაღლებულის თავისებური სახე იქნება და არა ტრაგედია. ასეთ ნაწარმოებში იღუპება მხოლოდ გმირი, იდეა კი იმარჯვებს და გმირის თავგანწირვა ამ გამარჯვების საწინდარია. რა თქმა უნდა, თუ ტრაგედიის ცნების ზემომითითებულ ისტორიულად დამკვიდრებულ მნიშვნელობას შევცვლით და ტრაგედიისათვის აუცილებლად მხოლოდ გმირის და არა მისი

საქმის დაღუპვას ჩავთვლით, მაშინ ასეთ ნაწარმოებებსაც ტრაგედია უნდა ვუწოდოთ და გამოვყოთ ისეთი ამაღლებულისაგან, სადაც გმირი იმარჯვებს და არ იღუპება. მაგრამ ასეთ შემთხვევაში ე. წ. პესიმისტური ტრაგედიის ცნება კვლავ ძალაში უნდა დავტოვოთ და სოციალისტურ რეალიზმთან მისი შეუთავსებადობის აზრი უნდა განვავითაროთ.

ამრიგად, ტრაგიკულის გამოსახვასა და გაგებას კრიტიკულ რეალიზმში განაპირობებს ის, თუ რამდენადაა ასახული აქ სოციალური სინამდვილე და მისი განვითარების ძირითადი მიმართულება. ასეთივე თვალსაზრისი უნდა მოვიმარჯვოთ მშვენიერის კატეგორიის მიმართაც კრიტიკულ რეალიზმში.

მშვენიერის კატეგორიის საერთო გაგებაში აზრთა სხვადასხვაობა არსებობს: თუ სიტყვით — „მშვენიერება“ — აღინიშნება საერთოდ ესთეტიკურის კატეგორია, მაშინ სიტყვა „მშვენიერი“, ან „საკუთრივ მშვენიერება“ აღნიშნავს ესთეტიკურის, მშვენიერების მოდუსს — ერთ-ერთს ესთეტიკურ კატეგორიას და ისეთ ესთეტიკურ კატეგორიათა რიგში დგება, როგორიცაა ამაღლებული, ტრაგიკული და კომიკური. საერთოდ ესთეტიკურის კატეგორიის (მშვენიერების) და მისი ერთი მოდუსის (საკუთრივ მშვენიერის) ერთი და იმავე სიტყვით გამოთქმა ისტორიული ტრადიციაა, მაგრამ იგი ხელს უწყობს მშვენიერის კატეგორიის არასწორ გაგებას, მის აღრევას სხვა კატეგორიაში. ჯერ კიდევ ი. კონი ცდილობდა, და სრულიად ამაოდ, საფუძველი მოენახა ასეთი სიტყვათხმარებისათვის. მისი აზრით, საკუთრივ მშვენიერი, წმინდა სილამაზე — ესთეტიკური ღირებულებების ბირთვია, ესთეტიკურის სრულიად ადეკვატური მოდიფიკაციაა[7]. ასევე არასწორადაა წარმოდგენილი მშვენიერისა და მშვენიერების ურთიერთმიმართება „ფილოსოფიურ ენციკლოპედიაში“, სადაც მშვენიერი განმარტებულია, როგორც „ესთეტიკის კატეგორია, რომელიც ახასიათებს უმაღლესი ესთეტიკური ღირებულების მქონე მოვლენებს“[8]. საერთოდ უნდა ითქვას, რომ მშვენიერის ესთეტიკური კატეგორიის გარკვეული გაიგივება ესთეტიკურთან დღესაც ფართოდაა გავრცელებული; მით უმეტეს, ეს ითქმის კრიტიკული რეალიზმის მიმართ, სადაც მშვენიერის კატეგორიისადმი კრიტიკული, ზოგჯერ სკეპტიკური დამოკიდებულება ხშირად გადაიზრდებოდა საერთოდ ესთეტიკურის უარყოფაში და მისი მხოლოდ ვიწრო უტილიტარისტული მნიშვნელობის აღიარებაში; მაგრამ კრიტიკული რეალიზმის არც ხელოვნება და არც ესთეტიკა არა თუ აუცილებლად არ გულისხმობს ასეთ უარყოფითს დამოკიდებულებას ესთეტიკურისა და თვით მშვენიერისადმი, არამედ, თავისი არსის მიხედვით, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს მათ. შეიძლება ითქვას, რომ კრიტიკული რეალიზმი არსებითად უარყოფს არა თუ მშვენიერსა და ესთეტიკურს, არამედ — მათს მხოლოდ ისეთ გაგებას, რომელიც კრიტიკული რეალიზმის პრინციპებს ეწინააღმდეგება და რომელიც ნამდვილი ადამიანური ყოფიერების სფეროსაგან მოწყვეტს ესთეტიკურსა და ხელოვნებას. ნამდვილი ადამიანური ყოფიერებიდან მოწყვეტილად კი კრიტიკული რეალიზმისათვის ყველაზე უფრო ესთეტიკურის ის მოდუსი წარმოგვიდგება, რომელიც მშვენიერის სახელით აღინიშნება, თუკი ამ კატეგორიის ჩვეულებრივი მანამდე გავრცელებული გაგება გვექნება მხედველობაში. მშვენიერი, რომელიც გაგებული იყო საზოგადოებრივი ცხოვრების მწვავე პრობ-

[7] И. Кон. Общая эстетика, 1921, стр. 162.

[8] Философская энциклопедия, т. 4, 1967, стр. 361.

ლემებიდან მოწყვეტილ ჰარმონიად, ტკბობის მომნიჭებელ თავისთავად სფეროდ, არ შეიძლებოდა კრიტიკულ რეალიზმს მიეღო და კრიტიკის საგნად არ ექცია. მშვენიერის ასე გაგებული კატეგორია კრიტიკულმა რეალიზმა დაგმო თავის ხელოვნებაში და უკომპრომისო კრიტიკის საგნად აქცია.

მშვენიერის ასეთი გაგების ანალოგიურად წარმოადგინა კრიტიკულმა რეალიზმმა მანამდე ცნობილი გაგებები მთელი ესთეტიკურისა და ხელოვნებისა. ამაღლებულიც, ტრაგიკულიცა და კომიკურიც, როგორც კრიტიკულ რეალიზმს მიაჩნია, მშვენიერის მსგავსად, ადრე მოწყვეტილი იყო ნამდვილ ადამიანურ ყოფიერებას, რამდენადაც საზოგადოებრივი ცხოვრების ნამდვილ არსს ვერ წვდებოდა. ამით უნდა აიხსნას კრიტიკული რეალიზმის უარყოფითი დამოკიდებულება მშვენიერისადმი. აუცილებელია გვახსოვდეს, რომ აქ იგულისხმება ამ კატეგორიის მხოლოდ ადრინდელი გაგება. რა თქმა უნდა, კრიტიკულ რეალიზმში ცნობილია ამ კატეგორიისადმი საერთოდ უარყოფითი დამოკიდებულებაც, მაგრამ ეს იყო უკიდურესობა, რომელიც, როგორც ზევით ითქვა, თან ახლდა ახალი პრინციპების დამკვიდრებისათვის ბრძოლას და არ გამომდინარეობდა კრიტიკული რეალიზმის არსებიდან.

დღეს ესთეტიკაში ცნობილია გარკვეული ნიშნები, რითაც მშვენიერის კატეგორია განირჩევა სხვა ესთეტიკური კატეგორიებისაგან, მაგრამ ბევრი რამ გაურკვეველი და სადავოა. ასეთი მდგომარეობა, ერთი შეხედვით გაუგებარია. თუ ცნობილი არ არის მშვენიერის საკმარისი განმასხვავებელი ნიშნები, მაშინ შეუძლებელიც უნდა იყოს მშვენიერის სფეროზე ზუსტი მითითებაც და, ამდენად, მისი ნიშნების ძიებაც. მაგრამ მშვენიერის კატეგორია გულისხმობს ესთეტიკური რეალობის გარკვეულ სფეროს, რომელიც მანამდეც მოქმედებს, სანამ ჩვენ მის შესახებ ცნებებს შევიმუშავებთ და ამ უკანასკნელის საფუძველს სწორად იგი შეადგენს. მშვენიერი როგორც რეალური ესთეტიკური სფერო წარმოადგენს კრიტერიუმსაც იმისათვის, რომ განვსაჯოთ მშვენიერის შესახებ თეორიების მართებულობა.

ობიექტივისტური გაგებით, მშვენიერი ხასიათდება ისეთი ნიშნებით, როგორიცაა: ჰარმონიულობა, სიმეტრიულობა, პროპორცია და სხვა; სუბიექტივისტური თეორიები კი მას სუბიექტის რელატიურ ან წმინდა სუბიექტურ სინამდვილედ მიიჩნევდნენ. კრიტიკული რეალიზმი არ ეთანხმება მშვენიერის არც ობიექტივისტურ და არც ინდივიდუალურ-სუბიექტივისტურ თეორიებს და მის სოციალურ ხასიათს მიიჩნევს არსებითად. როდესაც ჩერნიშევსკი ავითარებდა თავის დებულებას, რომ მშვენიერება არის ცხოვრება, როგორც კარგადაა ცნობილი, ამით მას იმის თქმა კი არ უნდოდა, თითქოს მშვენიერებისა და ხელოვნების სფერო იდენტურია ცხოვრების სფეროსი, არამედ მშვენიერების სოციალურ არსს აღნიშნავდა ხაზგასმით. მშვენიერებისა და ხელოვნების სოციალური არსის აღიარება კრიტიკულ რეალიზმში მათი კლასობრივი ხასიათის აღიარებამდე მიდიოდა. ამ საერთო კონცეფციითაა განსაზღვრული მშვენიერის ესთეტიკური კატეგორიის გაგებაც კრიტიკულ რეალიზმში. თუ იგი უარყოფდა მშვენიერის ძველ გაგებას, ეს ამ კატეგორიის უარყოფას კი არ ნიშნავდა, არამედ მის ახალ გაგებას გულისხმობდა. კრიტიკული რეალიზმი ავითარებს მშვენიერის ახალ გაგებას და ამ კატეგორიას უკავშირებს ცხოვრებას, ნამდვილ ადამიანურ ყოფიერებას, სოციალურ სინამდვილეს. ზოგადად ეს კარგადაა ცნობილი და ვფიქრობთ, დავას არ იწვევს, მაგრამ გასარკვევია, თუ როგორ უნდა გავიგოთ

მშვენიერისა და ცხოვრების კავშირის ეს დებულება კრიტიკულ რეალიზმში.

ესთეტიკური და ხელოვნება კრიტიკულმა რეალიზმმა საზოგადოებრივ ცხოვრებასთან უშუალო კავშირში განიხილა და ხელოვნების დანიშნულებაც სოციალური სინამდვილის გარდაქმნის ამოცანებში დაინახა. კრიტიკული რეალიზმი იყო ექსპლოატატორული საზოგადოების ცხოვრების კრიტიკული მხატვრული ასახვა. ამ საზოგადოებისათვის კი ნიშანდობლივია ადამიანის გაუცხოება, ამიტომ კრიტიკული რეალიზმი ამ მომენტს ასახავდა თავის ხელოვნებაში და მას ლამაზი და ტკბობის მომნიჭებელი სურათები კი არ შეუქმნია, არამედ, ერთი მხრივ, თუ ადამიანის თავისუფლების შეზღუდვის, მისი შევიწროების, სიდუხჭირის, დამონების სურათებს ხატავდა, მეორე მხრივ, მჩაგვრელთა ძალადობის, აღვირახსნილი თვითნებობის, სულიერი სიმდაბლის მხატვრულ ასახვას გვაძლევდა; რაც მთავარია, გვიჩვენებდა მძაფრ და უკომპრომისო ბრძოლას ამ ანტაგონიზმით სავსე საზოგადოებაში. მშვენიერი ასეთ პირობებში შეიძლება იყოს მხოლოდ ბრძოლა ადამიანთა უფლებებისათვის. ამიტომაა, რომ კრიტიკული რეალიზმი ხატავს ადამიანებს, რომელთა სულიერი მშვენიერება ხალხისადმი სამსახურში, ნათელი ჰუმანისტური იდეალებისათვის ბრძოლაში მდგომარეობს. ასეთია კრიტიკულ-რეალისტურ ლიტერატურაში გამოსახული გმირი, რომელიც თავისი განმანათლებლური მოღვაწეობით თუ აშკარა რევოლუციური საქმიანობით საზოგადოების, ერის ინტერესებს ემსახურება. „ერის წყლული მაჩნდეს წყლულად, მეწოდეს მის ტანჯვით სული, მის ბედით თუ უბედობით დამედაგოს მტკიცე გული“, — წერდა ქართული კრიტიკული რეალიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი ილია ჭავჭავაძე. ეს იყო ძირითადი ლოზუნგი, რომელიც თანაბრად შეეხებოდა როგორც მწერლის, ისე მის მიერ დახატული დადებითი გმირის სულიერ მშვენიერებას. ამის შესაბამისადვე, კრიტიკული რეალიზმის მიხედვით, მშვენიერია კეთილშობილური ბრძოლა ადამიანის განთავისუფლებისათვის, მშვენიერია ასეთი ბრძოლის სურათები. აქ ყურადღება უნდა მივაქციოთ მეორე მომენტსაც. კრიტიკული რეალიზმი, სოციალისტური რეალიზმისაგან განსხვავებით, როგორც ცნობილია, საზოგადოებრივი ცხოვრების კრიტიკულ ასახვაზე შორს ვერ მიდის, მისთვის ჯერაც უცნობია სწორი რევოლუციური გზა, რომელიც ადამიანის გაუცხოების ლიკვიდაციამდე მიგვიყვანდა. მაგრამ კრიტიკულ რეალიზმს ყოველთვის ამოძრავებს ჰუმანისტური იდეალი, ნამდვილი ადამიანური სოციალური ცხოვრება, რომელიც, როგორც ამოსავალი, მიმართულებას აძლევს კრიტიკას, კრიტიკულ ასახვას. კრიტიკული რეალიზმი ცდილობდა შეექმნა იდეალური ადამიანური არსებობის სურათები, რომელნიც ასევე განეკუთვნებიან მშვენიერის სფეროს.

ამრიგად, მშვენიერის კატეგორია კრიტიკული რეალიზმის ხელოვნებაში ვლინდება ჰუმანისტური იდეალისა და ამ იდეალისათვის ბრძოლის სურათების გამოსახვაში, მაგრამ ეს წამოჭრის საკითხს მშვენიერისა და ამაღლებულის კატეგორიათა მიმართების შესახებ. თუ არარეალისტურ ხელოვნებაში ამაღლებული უკავშირდებოდა ადამიანს ზევით მდგომ ძალთა და ღირებულებათა სამყაროს, ჯერ კიდევ რენესანსის რეალისტურმა ხელოვნებამ ახალი გაგება განავითარა და ადამიანურ სფეროშივე დაინახა ამაღლებული, — ეს იყო ჰუმანიზმის პრინციპი რენესანსის ხელოვნებაში. კრიტიკული რეალიზმი აგრეთვე ატარებს ჰუმანიზმის პრინციპს და ამაღლებულის კატეგორია აქაც

ადამიანური ყოფიერების ღირებულებებთანაა დაკავშირებული, მაგრამ საზღვარი ამაღლებულსა და მშვენიერს შორის აქ ერთგვარად წაშლილია, ვინაიდან მშვენიერი არ არის ამაღლებულის გარეშე. ასეთია ის საბრძოლო პათოსი, რომლითაც გამსჭვალულია კრიტიკული რეალიზმის ხელოვნება.

შესაძლებელია თუ არა კრიტიკული რეალიზმის ესთეტიკასა და ხელოვნებაში მაინც გავმიჯნოთ ერთმანეთისაგან ამაღლებული და მშვენიერი? კრიტიკული რეალიზმის ერთიანი ხელოვნება და ესთეტიკა მოითხოვდა მშვენიერის აუცილებელ კავშირს ამაღლებულთან. მაგრამ მშვენიერის კატეგორიის ერთგვარი ავტონომიურობა, ჩვენი აზრით, აქ უარყოფილი არ იყო. ამ მხრივ საყურადღებოა კრიტიკული რეალიზმის ხელოვნების კრედო, რომელიც ი. ჭავჭავაძემ მოგვცა ცნობილ სატროგრამო ლექსში („პოეტი"): „არა მარტო ტკბილ ხმებისთვის გამომგზავნა ქვეყნად ცამა", აქ ილია კრიტიკულ დამოკიდებულებას ამჟღავნებს მშვენიერის კატეგორიისადმი, „ტკბილი ხმებისადმი", მაგრამ როდი უარყოფს მათ. ილიას აზრი სრულიად მკაფიოა: „ტკბილი ხმები", მშვენიერი, არის ესთეტიკური კატეგორია, მაგრამ ნამდვილ ხელოვნებას ვერ მივაღწევთ, თუ მარტო ტკბილი ხმებით შემოვიფარგლებით. საჭიროა ერის, ხალხის ცხოვრების სამსახურში მათი ჩაყენება. როგორც აქედან ჩანს, გარკვეულ ავტონომიურობას მშვენიერის კატეგორია ამაღლებულისაგან დამოუკიდებლადაც ინარჩუნებს კრიტიკულ რეალიზმში. ი. ჭავჭავაძის ეს პოზიცია დამახასიათებელია კრიტიკული რეალიზმისათვის. ეს მიმდინარეობა უარყოფს არა მშვენიერს, არამედ მისი კავშირის წაშლას ადამიანთა საზოგადოებრივ ცხოვრებასთან. ცხადია, კრიტიკული რეალიზმის ხელოვნება განსაკუთრებით ეწინააღმდეგება მშვენიერის ისეთ მოწყვეტას სოციალური სინამდვილისაგან, რომელიც საზოგადოებრივი ცხოვრების მახინჯი მხარეების მიჩქმალვას, ბრძოლის მოდუნებას ემსახურება. ამ მხრივ საყურადღებოა კრიტიკული რეალიზმის დიდი რუსი წარმომადგენლის ლევ ტოლსტოის თეორიული ბრძოლა წინააღმდეგ ბურჟუაზიული ხელოვნებისა, რომელიც ტოლსტოის აზრით, აჩლუნგებს ადამიანთა მხატვრულ გემოვნებას, როცა ნამდვილ ადამიანურ ყოფიერებას მოწყვეტილი მშვენიერის კატეგორიით ხელმძღვანელობს. ეს თვალსაზრისი (რომელსაც ლ. ტოლსტოი ავითარებს თავის ტრაქტატში „რა არის ხელოვნება?") კარგად გადმოგვცემს კრიტიკული რეალიზმის პოზიციას ცხოვრებას მოწყვეტილი მშვენიერის შესახებ.

კრიტიკული რეალიზმის წარმომადგენლებს კარგად ესმით, რომ კრიტიციზმი საზოგადოების განვითარების ისტორიის მხოლოდ ერთი, თუმცა იმ დროისათვის ყველაზე არსებითი მომენტია, რომ მომავალი ეკუთვნის ისეთ საზოგადოებას, სადაც მოხსნილი იქნება ადამიანის გაუცხოება და სადაც ადამიანი ნამდვილი ადამიანური ცხოვრებით იცხოვრებს. მაგრამ როგორ უნდა წარმოვიდგინოთ ეს იდეალური საზოგადოება, რა ადგილი შეიძლება ეკუთვნოდეს ამ საზოგადოებაში ესთეტიკურს და, კერძოდ, მშვენიერს? სოციალისტური რეალიზმი, რომლის წინამორბედიც კრიტიკული რეალიზმი იყო ერთმნიშვნელოვან პასუხს იძლევა ამ კითხვაზე — ესთეტიკურისა და მშვენიერის მნიშვნელობა ასეთ საზოგადოებაში უაღრესად დიდია, ყოველმხრივ განვითარებული ადამიანი წარმოუდგენელია ასეთი ესთეტიკური მოთხოვნილებებისა და მათი დაკმაყოფილების პირობების გარეშე.

ესთეტიკურისა და, კერძოდ, მშვენიერის კატეგორიის გაგება, რომელიც კრიტიკულმა რეალიზმმა განავითარა, ჩვენი აზრით, შეიცავს ყველაზე არსებითი მნიშვნელობის მქონე ერთ მომენტს, რომელიც სოციალისტურ რეალიზმში იქნა ათვისებული. სწორი არაა მოსაზრება თითქოს კრიტიკულ რეალიზმთან არსებითად არის დაკავშირებული ესთეტიკურისა და ხელოვნების ვიწრო უტილიტარისტული გაგება. მართალია, ისტორიულად ჩვენ ასეთ გაგებასაც ვხვდებით, მაგრამ იგი არაა ერთადერთი და არსებითი ამ მიმდინარეობისათვის. ვიწრო უტილიტარისტული გაგების მიხედვით, ხელოვნებას მხოლოდ დამხმარე, ილუსტრაციული როლი შეუძლია ითამაშოს. სრულიად გასაგებია, რომ ასეთი თვალსაზრისი აკნინებს ხელოვნების როლს. რა თქმა უნდა, ხელოვნების მეტი შეუფასებლობა იქნებოდა, თუ მის მნიშვნელობას მხოლოდ კრიტიციზმით შემოვფარგლავდით. კრიტიკული რეალიზმის ხელოვნებაშიაც და ესთეტიკურ თეორიაშიც, როგორც ცნობილია, გვხვდება ასეთი შეუფასებლობის არაერთი მაგალითი, მაგრამ კრიტიკული რეალიზმის ხელოვნების მაღალი კლასიკური ნიმუშების შესახებ ასეთი რამის თქმა სრულიად შეუძლებელია; ისინი მტკიცედ დამკვიდრდნენ კაცობრიობის კულტურის საგანძურში, — ეს ნაწარმოებები კაცობრიობის მაღალი კულტურის მიუცილებელ ნაწილებად იქცნენ და ადამიანის კულტურულ სახეს აყალიბებენ; ისინი სხვათა ილუსტრაციებს კი არ წარმოადგენენ, არამედ თვითონ გვიხატავენ მაღალი, ნამდვილი ადამიანური ყოფიერების სფეროებს და სამართლიანად ითვლებიან ამ სფეროთა პირველადმოჩენად. ხელოვნების ასეთი მაღალი როლის შესახებ მიუთითა ლევ ტოლსტოიმ თავის ესთეტიკურ წერილებში და ტრაქტატში — „რა არის ხელოვნება?“. ლ. ტოლსტოის წინააღმდეგობრიობა მის ესთეტიკურ თეორიაშიც აისახა და, თუ მის ნააზრევს ჩამოვაცილებთ რეაქციულ რელიგიურ მხარეს, მაშინ ჩვენს წინაშე იგი წარმოდგება როგორც კრიტიკული რეალიზმის თეორეტიკოსი, რომლის მიხედვითაც ხელოვნება არის უმნიშვნელოვანესი სფერო — მიმართული ადამიანისა და ადამიანური საზოგადოების ნამდვილი ყოფიერების აღმოჩენისა და დადგენისაკენ. ადამიანი, საზოგადოება მარადიული ქმნადობის პროცესში იმყოფება. ტოლსტოი ისტორიის იმ მონაკვეთში მოღვაწეობდა, როდესაც ძირითად პრობლემას ადამიანის გაუცხოების მოხსნა შეადგენდა. დიდ ჰუმანისტს სწამდა, რომ კაცობრიობა ნათელი, ჰეშმარიტად ადამიანური მომავლისაკენ მიდის, ისეთი საზოგადოებისაკენ, სადაც ნამდვილი ადამიანური ყოფიერება იქნება დადგენილი და ლ. ტოლსტოი ავითარებს შეხედულებას, რომ ნამდვილი ხელოვნება არის ის, რომელიც ახალ შინაარსს აღმოაჩენს ადამიანური ყოფიერების სფეროში[9].

კრიტიკული რეალიზმის ბევრი წარმომადგენელი აქამდე ვერ მივიდა ხელოვნებისა და მისი თეორიის სფეროში, მაგრამ კრიტიკული რეალიზმის განვითარება ამ გზით მიემართებოდა და ლ. ტოლსტოიმ კარგად შენიშნა განვითარების ეს მიმართულება.

---

9 ამის შესახებ იხ. ჩვენი ნაშრომი „ლევ ტოლსტოის ესთეტიკური შეხედულებები“, თბილისი, 1972.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა
აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტმა

Р. Г. БАЛАНЧИВАДЗЕ

К КРИТИКЕ ПОНИМАНИЯ СВОБОДЫ ЧЕЛОВЕКА ВО ФРАНЦУЗСКОМ «АТЕИСТИЧЕСКОМ» ЭКЗИСТЕНЦИАЛИЗМЕ

Современный французский «атеистический» экзистенциализм был противопоставлен ранним пониманиям человека как антинатуралистическая точка зрения. Это, прежде всего, проявилось в том, что человеку были приписаны такие признаки, которые не приписывали ему натуралисты. Так, например, натуралисты не видят существенного, качественного, принципиального различия между природой и человеком, а для антинатуралистов человек совершенно отличается от природы. Если натуралист считает приемлемым отождествление человека с животным, антинатурализм отрицает все понимания человека, начинающиеся словами: «Человек есть животное, которое...» и т. д. Например, основоположник современной философской антропологии Макс Шелер считает, что если мы рассмотрим человека как животное, если скажем, что человек является одним из видов животного, что он входит в род млекопитающих и позвоночных, то сколько не прибывали бы к нему признаков, отличных от животного, все-таки в силе остается «животность» человека и различие между ним и животным не будет иметь качественный характер. Положение не меняется от того, что мы помещаем человека на высшую точку развития животного мира. Если же мы намерены искать сущность человека в биологической действительности, то мы останемся за демаркационной линией, существующей между человеком и животным[1].

«Натуралистическое понимание человека» в том значении, в каком оно используется в современной буржуазной философской антропологии, содержит почти все ранние точки зрения, касающиеся сущности человека (как материалистические, так и идеалистические), т. е. подразумевает все те понимания человека, где допускаются только внешние определяющие факторы поведения, действий человека (божество, рок, бессознательное, социальная среда) или где идет речь вообще о предопределяемой сущности человека. Смысл этого противоположения заключается в том, что если ранние точки зрения как будто лишали человека свободы, то современный французский «атеистический» экзистенциализм должен якобы добыть для него настоящую свободу (подразумевается теоретическая свобода, т. е. свобода в области теории).

Надо сказать, что «натуралистическое понимание человека» в том значении, в каком оно используется в современном французском «атеистическом» экзистенциализме, отличается от узкого значения «натуралистического понимания человека», характерного для механического материализма XVII—XVIII вв. Оно отличается также от того натуралистического направления, которое существует внутри современной философской антропологии.

Как было сказано, согласно современному антинатурализму, свобода человека ограничивается такими определяющими его поведение, действие детерминантами, как бог, рок, бессознательное, социальная среда. Поэтому, разговор о действительной свободе человека возможен

[1] M. Scheler. Die Stellung des Menschen im Kosmos, Bern-München, 1962.

только тогда, когда будут отменены все эти детерминанты и будет показано, что нет в мире такой силы, ни сверхъестественной и ни естественной, которой должен подчиняться человек.

Из тех детерминантов, которые вообще упраздняли человеческую свободу или, во всяком случае, ограничивали ее, согласно современному французскому «атеистическому» экзистенциализму, в первую очередь следует указать на рок, предопределение. В самом деле, где допускается предопределение, там разговор о свободе является только самообманом. Разве можно о свободе человека говорить там, где все его действия и каждый его шаг предопределяются? Вместе с тем, французский «атеистический» экзистенциализм прав и в том, что признанием фатальной неизбежности судьбы, человек не только лишается свободы, но и освобождается от ответственности. В самом деле, если все предопределяется судьбой, если до рождения человека заранее предусмотрено каким он должен стать, добродетельным или порочным, тогда невозможно приписать ему заслугу за совершение добрых дел и подвергнуть порицанию за злые дела, поскольку как первое, так и второе не зависят от него, от его доброй воли. Для иллюстрации того, каким образом лишает человека свободы фатальная неизбежность судьбы, достаточно вспомнить «Царя Эдипа» Софокла. Исключая человеческую свободу и ответственность, данная теория толкала человека к бездействию, к пассивности.

Много рассуждают представители современного французского «атеистического» экзистенциализма о влиянии бессознательного на сознательные действия человека. Утверждения представителей философии бессознательного, что якобы у человека имеются такие склонности и задатки, о существовании которых он ничего не ведает и которые по существу управляют им, равнозначны тому, что у него нет свободы воли. Дело в том, что человек, которым управляют темные бессознательные силы, находится не в лучшем положении, чем царь Эдип. Правда, ему известны совершенные им деяния, но зато неизвестны глубинные причины, вызвавшие их. Внешне здесь все обстоит так, как при свободном действии. Человек из многих возможностей выбирает одну, но дело в том, что он ограничен именно в этом выборе. То обстоятельство, что он выбирает именно эту возможность, а не другую, ведет себя так, а не иначе, якобы определяется бессознательными глубинными силами, а не доброй волей самого человека. Такой человек, ясно, несвободен в своих действиях; он подчиняется определенной необходимости, которая представляет не осознанную необходимость, а господствующую над человеком бессознательную темную силу.

Сартр, признав, что теория психоанализа Фрейда лишает человека свободы, противопоставляет ей теорию экзистенциального психоанализа[2], где снимается бессознательное и вместо него идет речь о сознательно избранном человеком как первичном, так и повседневном проекте.

Мы должны отдельно рассмотреть вопрос о боге как детерминанте, о его связи с человеческой свободой. Если человек создан богом, то это значит, что бог сперва устанавливает, определяет сущность человека, а потом согласно данной сущности создает его; также, как и у человека сперва имеется идея какой-нибудь вещи, предмета и только после этого он приступает к ее осуществлению, т. е. делает вещь, предмет согласно идее. Так например, до изготовления стола, столяр имеет в своем

[2] Ian Paul Sartre. L'Etre etle Néant, Paris, 1943.

сознании идею стола. Если сам человек тоже находится в таком положении, если сущность человека установлена до его существования, тогда выходит, что предопределен каждый поступок и выбор человека, а это исключает как человеческую свободу, так и всякую возможность становления.

По мнению антинатуралистов, только человек, свободный от бога, может ковать свое счастье, определять свою будущую жизнь и свою собственную сущность. Только после того, как человек освобождается от бога, он становится ответственным за все свои действия, — теперь он уже не сможет взвалить свою вину на бога.

Бог как детерминант, если он будет представлен так, как это сделано выше, и как его вообще рассматривает антинатурализм, в самом деле лишает человека как свободы, так и ответственности и в этом смысле критика антинатуралистов вполне приемлема, но здесь имеется одно обстоятельство, на которое мы должны обратить внимание. Признание бога и рока не всегда лишало человека свободы. Часто происхождение человека от бога было представлено так, что именно бог создавал человека свободным существом в отличие от всего остального животного мира. Например, такую точку зрения выразил известный итальянский мыслитель XV века Пико Делла Мирандола[3].

Такую точку зрения развивает и современный религиозный экзистенциализм. А что касается представителей современного французского «атеистического» экзистенциализма, то они, как было сказано выше, отрицают свободу человека в условиях существования бога. Здесь они, прежде всего, подразумевают зависимость воли верующего от «воли» бога.

Представители французского «атеистического» экзистенциализма считают, что истинно верующий действует не согласно своей непосредственной воле, а соответственно христианской морали. Когда, например, верующий христианин соблюдает библейские заповеди «Не убий» и т. д., то здесь он осуществляет не свою волю, а действует соответственно воле высшего управителя. Соблюдение заповедей верующим, не считается этическим актом вследствие того, что он в данном случае действует по наставлению божества. Если бог является детерминантом, определяющим поведение верующего, тогда действительная свобода человека означает и освобождение от бога.

Мысль об освобождении человека от бога была и ранее высказана в философии. Так например, Ф. Ницше смерть бога объявляет необходимым условием своеобразных деяний человека («Бог умер», — говорит Заратустра, — этим он отрицает ранее установленные ценности)[4]. Но снятие бога как детерминанта, вызвало отрицание христианской морали (и вообще морали, поскольку у христианина нет другой морали кроме христианской) и упразднение существующих ценностей, их полную переоценку. А это, по Ницше привело людей к аморализму и к духовной деградации. В произведении Достоевского «Братья Карамазовы» духовный кризис, вызванный «смертью бога», был выражен так: «Если бога нет, тогда все дозволено»[5]. К такому же результату приводит французский «атеистический» экзистенциализм отрицание бога как детерминанта.

---

3 Джованни Пико Делла Мирандола. Речь о достоинстве человека, в сб.: «История эстетики. Памятники мировой эстетической мысли», т. I, 1962.

4 Ф. Ницше. Так говорил Заратустра, Спб, 1913.

5 Ф. М. Достоевский. Братья Карамазовы, Собрание сочинений, т. 9, 10, М., 1958.

Углублению данной ситуации способствовало и то, что современный французский «атеистический» экзистенциализм, вместе с отрицанием других детерминантов, снимает как детерминант и социальную среду. Это обстоятельство оказалось роковым как для человеческой свободы, так и для данной философии. Упразднением бога еще не отменяются моральные нормы и объективные ценности, но упразднение социальной среды вытолкнуло человека из сферы объективного и идеального. Отныне он остается только на произвол индивидуального, субъективного, психического. С этой поры для него нет ничего более ценного и святого, чем своя собственная персона.

Построение человековедения Сартр начинает снятием всяких детерминантов и попыткой приобрести полную свободу для человека. Выступая против воздействия бессознательного, рока, бога и социальной среды на человека, он на самом деле приносит человеку теоретическую свободу, которая ничем не может помочь людям, — она практически непригодна. После отмены моральных норм и категорий, объективных ценностей человек остался без цели: он потерял веру в будущее, им овладело чувство бесперспективности и безнадежности; он свободен, но не знает для чего использовать эту свободу, будущее окутано туманом и неясностью[6]. Сартр это состояние человека выразил так: человек проклят свободой, а Экзюпери такую свободу сравнил со свободой человека, потерявшегося в пустыне, который не знает куда идти, где найти выход и который, несмотря на свободу, обречен на гибель[7].

Положение, ясно, нельзя исправить тем, что современный французский «атеистический» экзистенциализм обращает особое внимание на ответственность человека. Суждения о том, что человек якобы может нести ответственность только в случае абсолютной свободы, не соответствуют действительности. Истинная ответственность подразумевает ответственность не только перед собственной персоной, но и перед другими людьми. Так что, ответственность исключает абсолютную свободу, поскольку абсолютно свободным можно считать только того, кто не несет ответственности ни перед кем.

Как известно, марксистская философия мысли об абсолютной свободе человека противопоставляет мысль об его социальной детерминированности, а что касается абсолютной свободы, т. е. независимости человека ни от чего и ни от кого, то ее марксизм рассматривает как произвол, а не как истинную свободу. Соответственно, сущность человека заключается не в свободе, а в его социальности, а свободу надо считать тем необходимым условием, которым он осуществляет свою социальность.

Согласно марксизму, социальность является тем необходимым признаком, которым начинается вообще человек. Выделение из животного мира человека—высшей точки развития действительности—начинается именно с объединения с подобными себе существами (первобытное стадо), с необходимости коммуникации (возникновение речи) и сотрудничества с ними (труд).

Следовательно, человек есть не только природа и не только сознание. Он является тем существом, которое живет в обществе, подчиняется нормам и законам общества и действует на благо общества. Одним

---

6. Jan Paul Sartre. Existentialism, Paris, 1927.

7. Антуан де Сент-Экзюпери. Земля людей, 1966.

словом, он является общественным или социальным существом, в самом лучшем понимании этого слова.

Критикуя мысль об отрыве человека от общества и его абстрактности, марксизм всегда подчеркивал, что человек, который есть «совокупность общественных отношений», находится во взаимоотношениях с обществом даже тогда, когда он наедине с самим собой, и что он может «развить свою настоящую природу только в обществе».

Представление человека социальным существом означает, что он не имеет право исходить только из самого себя, из своих собственных чувств и эмоций, потребностей и интересов. Он, как человек, обязан принять во внимание и считаться с потребностями и нуждами общества. Одним словом, здесь высшей ценностью объявляется не сам индивид, а все общество, человечество, с интересами и нуждами которого каждый индивид должен сочетать свои интересы, если он не хочет оказаться в конфликте с обществом и чувствовать себя свободным и счастливым. Если противопоставим друг другу отдельных индивидов и общество в целом, то получим, что индивид является только частью того целого, которое называется человечеством и его историей, но такой частью, которая органически должна сочетаться с целым и все свои силы использовать на благо всего человечества, во имя его светлого будущего.

Данное обстоятельство очень часто требует от индивида подавления личных потребностей и замену импульсного поведения сознательными действиями. Настоящий человек должен действовать не по своим витально-биологическим потребностям, а определять свою деятельность общественными интересами и потребностями. Здесь «я хочу» должно уступить место «я должен», «я обязан это сделать».

Человек, как общественное существо, обязан думать, заботиться о других, и этими другими должны быть не только близкие для него люди, но весь коллектив, народ, страна. Где нет такого отношения к обществу, там нет и настоящего человека. Кто думает и заботится только о себе, тот является индивидуалистом, эгоистом и не заслуживает звания человека.

Исходя из этого, человек должен видеть смысл собственной жизни не только в заботе о себе, но и о других людях; стремление же к бессмертию должно выражаться не столько в продолжении биологической жизни, сколько в том, чтобы человек славными делами обессмертил свое имя. Иногда такое бессмертие достигается отрицанием именно биологической жизни. Это обычно имеет место тогда, когда тот или иной человек жертвует своей жизнью ради родной земли, своего народа.

Ясно, что не каждая биологическая смерть дает гарантию бессмертия. Наоборот, смерть отнимает у человека существование, она превращает его во временное, конечное, преходящее существо. Поэтому, человек борется со смертью как с врагом вечности, стремиться опередить ее, создать нечто важное и ценное до наступления биологической смерти. Страх перед бесследным исчезновением толкает человека к вечному становлению, к постоянной активности. Поскольку путь преодоления биологической смерти еще неизвестен для человека, то он вместо биологического бессмертия стремится к социальному бессмертию.

Представители буржуазной философии считают, что социальность также лишает человека свободы, как признание существования бога, рока, бессознательного. Противоположность здесь принимает такую форму: или личность (а не общество) или общество (и тогда личность жертвует собой ради общества, сливается с ним).

Данное положение буржуазной философии имеет силу до тех пор, пока дело касается составленного из антагонистических классов общества института частной собственности, но там, где общество не состоит из противоречащих друг другу враждебных классов, где нет места отчуждению труда и действует принцип: «один за всех и все за одного», социальная детерминация человека не исключает его свободу. Говоря словами Маркса, индивид свободен не в отрыве от рода, а как родовое существо, или иначе: свобода конкретного индивида зиждется на свободе рода и исходит из нее.

Марксизм смысл существования человека видит только в служении обществу и для общества, а ценность свободы видит в осуществлении индивидом этого великого и благородного дела.

ფსიქოლოგია

ვ. გრიგოლავა

კონტრასტული ილუზია, არაცნობიერი და განწყობა

(ექსპერიმენტული გამოკვლევა)

„არაცნობიერის ცნება უკუგდებულ უნდა იქნეს და მის ნაცვლად პოზიტიური შინაარსის ცნება, სახელდობრ, განწყობის ცნება იქნეს შემოღებული. მაშინ გასაგები იქნება, რომ განწყობის გარეშე, საერთოდ, არავითარი დასრულებული კონკრეტული ფსიქიკური პროცესი არ უნდა არსებობდეს და იმისათვის, რომ ცნობიერებამ რომელიმე გარკვეული მიმართულებით დაიწყოს მუშაობა, წინასწარ განწყობის აქტივობა უნდა იქნეს აღიარებული, რომელიც მოწოდებულია იმისათვის, რომ ცალკეულ შემთხვევაში ამ ცნობიერების მიმართულება წარმართოს“ (4. 37).

როგორც ცნობილია, ამ თვალსაზრისს დ. უზნაძე უპირისპირებს ზ. ფროიდის მოძღვრებას ე. წ. არაცნობიერი ფსიქიკურის შესახებ, რომელსაც მიაჩნია, რომ ცნობიერსა და არაცნობიერს შორის არავითარი სხვა ხასიათის განსხვავება არ არსებობს, თუ არა ის, რომ ისინი მხოლოდ ენაცვლებიან ერთმანეთს ადამიანის ფსიქიკაში: ის, რაც ცნობიერში იყო, შეიძლება არაცნობიერში გადავიდეს და რაც ცნობიერიდან არაცნობიერში გადავიდა, შეიძლება ისევ ცნობიერებას დაუბრუნდეს. საყოველთაოდ აღიარებულია წინააღმდეგობები, რომელსაც ეს თეორია შეიცავს და ვიცით ამ სიძნელეების გადალახვის რამდენიმე უშედეგო ცდა.

დ. უზნაძემ ფროიდის არაცნობიერი ფსიქიკურის ცნების სიძნელეების დაძლევა ექსპერიმენტზე დაყრდნობით სცადა და ამ მიზნისათვის ფეხნერის მიერ აღმოჩენილი ე. წ. სიმძიმის ილუზია და უფრო გვიან სხვა მოდალობებში აღმოჩენილი მისი ანალოგები გამოიყენა. ფეხნერის ილუზიების ფსიქოლოგიურ საფუძვლად ხან „მაღლა აფრენისა“ და „დასაყრდენზე მიწებების“ განცდები მიაჩნდათ, ხანაც „გაცრუებული მოლოდინი“, ზოგს კიდევ „არაცნობიერი დასკვნა“ ან „მოტორული განწყობა“ და „სუმაციის განწყობა“ (შულცი).

უზნაძემ ამ ილუზიების ფსიქიკურ საფუძვლად განწყობა აღიარა და სხვადასხვა მოდალობაში ჩატარებული მრავალფეროვანი ექსპერიმენტების საშუალებით დაამტკიცა, რომ ყველა ამ ილუზიის ფსიქოლოგიურ საფუძველს ფიქსირებული განწყობა წარმოადგენს.

ფეხნერის წონის ილუზია შემდეგში მდგომარეობს: თუ ცდისპირს რამდენიმეჯერ მივცემთ შესადარებლად მძიმე და მსუბუქ სხეულებს (10—15-ჯერ) და უშუალოდ ამის შემდეგ ორ ტოლ სიმძიმეს მივაწვდით, თავს იჩენს შემდეგი მოვლენა: მას იმ ხელში მოეჩვენება სხეული უფრო მძიმედ, რომელშიც წინასწარ ცდებში მსუბუქი სხეული ეძლეოდა, ხოლო მეორე ხელში — პირიქით. ამ ფაქტს მეცნიერებაში ფეხნერმა და მისმა თანამშრომლებმა მიაქციეს პირველად ყურადღება (1860 წ.), რის გამოც იგი „ფეხნერის წონითი

ილუზიის“ სახელწოდებით გახდა ცნობილი ფსიქოლოგიაში. ფეხნერის წონითი ილუზიის რამდენიმე ახსნაა ცნობილი ფსიქოლოგიაში, მაგრამ ყველაზე მეტი პოპულარობა, თავის დროზე იმ თეორიამ მოიპოვა, რომელიც მიულერს ეკუთვნის, კერძოდ: ორი განსხვავებული ტვირთის შედარების განცდის განმეორების საფუძველზე ჩვენში მუშავდება შესატყვისი მოტორული მიდრეკილება ანუ კუნთური განწყობა, რომელიც ყოველ მომდევნო შედარების აქტს თავისებურ ელფერს აძლევს. როცა ჩვენ ერთი ხელით დიდ სიმძიმეს ვეწევით მაღლა და მეორეთი — პატარას, მათი განმეორებით შედარების დროს უფრო მძიმე სხეულის ასაწევად შესაბამის კიდურში მძლავრი კუნთური იმპულსის მობილიზაცია ხდება, ხოლო მსუბუქი სხეულის ასაწევად — სუსტი იმპულსისა. როცა ამ დროს ცდისპირი თანაბარ სიმძიმეს ღებულობს ორივე ხელში, ერთი ხელი — უფრო მძიმე სხეულის ასაწევად მობილიზებული კუნთური იმპულსის წყალობით — უფრო სწრაფად და იოლად „მოსწყვეტს“ საგანს ადგილიდან და ეს საგანი „მაღლა მიფრენს“, ხოლო მეორე ხელი — სუსტი კუნთური იმპულსით — მძიმე სხეულს ეწევა, რის გამოც ეს სხეული „დასაყრდენს ეწებება“. სწორედ ეს „მაღლა აფრენის“ და „დასაყრდენზე მიწებების“ განცდები ედება საფუძვლად იმას, რომ ერთი საგანი მძიმედ გვეჩვენება, ხოლო მეორე — მსუბუქად. ეს განცდები რომ არ ყოფილიყო, წონის ილუზიას ვერ მივიღებდით, მაგრამ არც ეს განცდები გვექნება, მათთვის რომ შესატყვისი „მოტორული განწყობის“ გამომუშავებას არ დაესწრო წინ. რატომ ხდება, რომ „მაღლა აფრენისა“ და „დასაყრდენზე მიწებების“ განცდები ილუზორულ აღქმას ედება საფუძვლად? მიულერის მოსაზრების თანახმად, ამ შემთხვევაში ინდივიდის არაცნობიერი ასოციაციური მექანიზმები მოდიან მოქმედებაში და ეს განაპირობებს ილუზიას: სუბიექტს ჰგონია, რომ ერთნაირი კუნთური იმპულსით ეწევა ორივე საგანს და რაკი ერთი საგანი ადვილად „მიფრენს მაღლა“, მაშასადამე იგი მსუბუქი უნდა იყოს, ხოლო მეორე მძიმე, ვინაიდან იგი „საყრდენს ეკვრის“. მაშასადამე, მიულერის მიხედვით გამოდის, რომ ილუზიის ფაქტს მსჯელობის შეცდომა განაპირობებს, რომელსაც ასოციაციური პროცესები უძევს საფუძვლად. ამ მოძღვრების თანახმად გამოდის, რომ ილუზიის ფაქტი, არსებითად, არაცნობიერ მსჯელობის შეცდომაზე აღმოცენებული მოვლენაა.

ასევეა ახსნილი შარაპანტიეს ცნობილი ილუზია: თუ ცდისპირი ერთმანეთს ადარებს მოცულობით განსხვავებულ, ხოლო სხვა მხრივ სრულიად ერთნაირ ორ სხეულს, მას პატარა სხეული უფრო მძიმე ეჩვენება, ვინაიდან თანაბარი სიმძიმის სხეულებს სხვადასხვა იმპულსით ეწევა და ამის გამო ერთი სხეული (მსუბუქი) უფრო „მაღლა მიფრენს“, ვიდრე მეორე. მაშასადამე ამ შემთხვევაშიც ასოციაციური პროცესები განსაზღვრავენ მსჯელობის შეცდომას. ამდენად ეს თეორია ინტელექტუალისტურ თეორიადაც შეგვეძლო ჩაგვეთვალა.

იმის დასამტკიცებლად, რომ არც — „ზევით აფრენის“ და არც „დასაყრდენზე მიწებების“ განცდებს მნიშვნელობა არა აქვს ამ ილუზიების მისაღებად, ქართველმა ფსიქოლოგებმა დ. უზნაძის ხელმძღვანელობით, ზედიზედ დაადასტურეს იგივე კანონზომიერება (კონტრასტის მოვლენა) აღქმის სხვადასხვა მოდალობათა მიმართ, რომელთა შემთხვევაში სრულიად შეუძლებელი იყო „ზემოთ აფრენის“ ან „დასაყრდენზე მიწებების“ შესახებ ლაპარაკი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1927 წ. ა. ბოჭორიშვილის მიერ დადასტურებულია სიმძიმის ილუზიის ანალოგიური მოვლენა პასიური წნეხვის არეში (2), სადაც კუნთური იმპულსზე ან „ზევით აფრენაზე“ ლაპარაკი უკვე აღარ შეიძლებოდა. მაგრამ ა. ბოჭორიშვილის ეს ცდა უშუალოდ შარპანტიეს ილუზიის ანალოგიურია, რომელიც ასე თუ ისე მაინც განსხვავდება ფეხნერის წონის ილუზიისაგან. შარპანტიეს ილუზიის მისაღებად არაა საჭირო წინასწარი (საფიქსაციო) ცდების ჩატარება, როგორც ეს ფეხნერის წონის ილუზიის მისაღებადაა აუცილებელი. რაც შეეხება შარპანტიეს ილუზიას, ამ შემთხვევაში ცდისპირის განწყობა ობიექტთა აღქმის აქტით ყალიბდება: დიდი სხეული ძლიერი იმპულსის მზაობას იმ კუნთში ქმნის, რომლითაც დიდი სხეული უნდა იქნეს აწეული და მეორეში კი პირიქით. მიულერის თვალსაზრისით, აქაც იგივე ასოციაციური მექანიზმები მოქმედებენ, რაც ფეხნერის წონის ილუზიის შემთხვევაში, ოღონდ ეს გამოწვეულია მხედველობის ჩარევით. მაშასადამე აქაც მსჯელობის შეცდომასთან გვაქვს საქმე: სუბიექტმა იცის, რომ ორი ერთნაირი მასალის სხეულიდან უფრო მძიმე ის იქნება, რომელიც მოცულობითაც დიდია, მაგრამ ამ გარკვეული მსჯელობის აქტს არ ეთანხმება ფაქტიური ვითარება და დიდი სხეული „მაღლა მიფრენს“, ხოლო პატარა „საყრდენს ეწებება“, რის შედეგადაც ერთი სხეული მძიმედ განიცდება, მეორე მსუბუქად.

ფეხნერის წონის ილუზიებში კი ცპ-ის თანდათანობითი შემზადება ხდება წინასწარ (საფიქსაციო) ცდებში, ხოლო როდესაც შემდეგ ტოლ სიმძიმეს აძლევენ მოულოდნელად (კრიტ. ცდა), თავს იჩენს კონტრასტული ილუზია.

საჭირო იყო სწორედ ანალოგიური ცდების ჩატარება წნეხვის არეში, რათა მოტორული განწყობის თეორიის უკმარისობა დამტკიცებულიყო. ეს ცდა ჩატარდა შემდეგნაირად: ცდისპირს ბარესთეზიომეტრით თანმიმდევრობით 15-ჯერ ორი წოლვითი გაღიზიანება ეძლევა — ჯერ ძლიერი, მერე სუსტი (საფიქსაციო ცდა). ამის შემდეგ გადადიან ტოლი სიძლიერის გამღიზიანებლის მიწოდებაზე. შედეგებით სავსებით დადასტურდა ბოლოდინი: „მოტორული განწყობის ანალოგი პასიური წნეხვის არეშიც ისეთივე მიიღება, როგორც მაშინ, როცა სუბიექტი მაღლა აწევით ადარებს ორ სიმძიმეს ერთმანეთს და რომლის დროსაც თითქოს ერთი საგანი „მაღლა მიფრინავს“, ხოლო მეორე „საყრდენს ეწებება“ (4, 11).

იგივე კანონზომიერება იქნა დადგენილი სმენითი შთაბეჭდილებების მიმართ: თუ ცდისპირს ფალაპარატის საშუალებით მივაწოდებთ თვალსაჩინოდ განსხვავებული ინტენსივობის გამღიზიანებლებს — ჯერ ძლიერს, შემდეგ სუსტს (15-ჯერ) და ამის შემდეგ ტოლი ინტენსივობის გამღიზიანებლებს, ამ შემთხვევაშიც თავს იჩენს კონტრასტული ილუზიის მოვლენა.

მსგავსი ილუზიები იქნა დადგენილი სინათლის აღქმის სფეროშიც, რამაც დ. უზნაძე იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ ე. წ. მხედველობითი ადაპტაცია ისეთივე რიგის მოვლენაც უნდა იყოს. როგორც ზემოაღნიშნული წონისა და სმენის ილუზიები (5).

გ. ხმალაძემ დაადასტურა შარპანტიეს ილუზიის ანალოგიური მოვლენა ისეთ პირობებში, როცა „ზევით აფრენის“ ან „საყრდენზე მიწებების“ შესაძლებლობა გამორიცხული იყო. იგი ცდისპირებს აძლევდა მოცულობის მიხედვით შესადარებლად ორ სხვადასხვა სიმძიმისა და ტოლი მოცულობის ბურთებს. აქაც შარპანტიეს ფენომენის ანალოგიურმა მოვლენამ იჩინა თა-

ვი: ცდისპირს ნაკლები სიმძიმის ბურთი უფრო დიდი მოცულობისა ეჩვენება, ვიდრე მეტი სიმძიმის ბურთი.

წონა — მოცულობის ეს ილუზია შემდგომ უფრო გამარტივდა და ამჯერად ფეხნერის ილუზიის ანალოგი მოძებნილ იქნა ჰაპტურ სფეროში, მოცულობაზე განწყობის შემუშავების გზით.

ეს ცდა, რომელიც დროთა განმავლობაში ერთ-ერთ კლასიკურ ექსპერიმენტად იქნა აღიარებული განწყობის ფსიქოლოგიაში. შემდეგში მდგომარეობს თვალებახვეულ ცდისპირს რამდენჯერმე (10—15-ჯერ) ხელთ აძლევენ შესადარებლად მოცულობით თვალსაჩინოდ განსხვავებულ, ხოლო სხვა მხრივ სრულიად ერთნაირ ორ სხეულს: ერთ ხელში პატარა ბურთს, მეორეში — დიდს (ე. წ. განწყობის ფიქსაციის ცდები) და ავალებენ თვითეული ექსპოზიციის დროს მოახდინონ მათი შედარება მოცულობის მიხედვით. ამის შემდეგ ცპ-ს ტოლ ბურთებს აწვდიან ისევ მოცულობის მიხედვით შესადარებლად (კრიტ. ცდა) და ამ შემთხვევაშიც თავს იჩენს ჩვეულებრივი კონტრასტული ილუზია.

იდენტური მდგომარეობა გვაქვს ოპტიკურ სფეროშიც; არატოლი წრეების რამდენიმეჯერ შედარება ისეთნაირ ცვლილებას იწვევს სუბიექტში, რომ ტოლი წრეებიც უტოლოდ აღიქმება მის მიერ კრიტიკულ ცდაში.

უფრო გვიან ი. ბჟალავას მიერ იგივე ფაქტი იქნა დადასტურებული პოზიტური თანმიმდევარი ხატის მიმართ. ამ შემთხვევაში კონტრასტული ილუზია თავს იჩენს თანმიმდევარი (პოზიტიური) ხატის აღქმის დროს (1). უზნაძის ფენომენი დადასტურდა ცხოველთა ქცევაშიც (7), რაც იმაზე მიუთითებს, რომ ეს მოვლენა, შესაძლოა, მთელ ბიოლოგიური სამყაროზე ვრცელდებოდეს.

ამრიგად, არ დარჩენილა აღქმის არცერთი სფერო, სადაც დადგენილი არ ყოფილიყო ამ ფაქტის გამოვლენის შესაძლებლობა.

როგორც დ. უზნაძე მიუთითებს, ყოველივე აღნიშნულიდან ის უეჭველი დასკვნა გამომდინარეობს, რომ ფეხნერის სიმძიმის ილუზია მხოლოდ ერთ-ერთი კერძო სახეა ზოგადი ილუზიისა, რომელიც, იმ გრძნობათა მოდალობების მიხედვით, რომელშიაც იგი ვლინდება, მხოლოდ შესაფერის გარეგან გამოხატულებას პოულობს: ტაქტიკურ არეში იგი წნევის ილუზიად გვევლინება, ჰაპტურში — მოცულობის ილუზიად, კუნთურში — წონის ილუზიად, ოპტიკურში — სიდიდის ილუზიად და ა. შ.

მაშასადამე ნათელია, რომ ყველა ამ ილუზიას ერთი საფუძველი უნდა ჰქონდეს და, ამდენად, მიულერის თეორია საქმის ვითარებას ადექვატურად არ უნდა გამოხატავდეს.

ამ საერთო საფუძვლის გათვალისწინებას ცდილობს ე. წ. „გაცრუებული მოლოდინის“ თეორია. ამ თეორიის მიხედვით, განსხვავებულ ტვირთთა (მოცულობათა, ბგერათა და სხვ.) განმეორებითი შედარება გარკვეული წესრიგით, სუბიექტში შესაფერის მოლოდინს იწვევს: იგი ყოველ ექსპოზიციას გარკვეული მოლოდინით ეგებება, რომ, მაგალითად, მარჯვენა ხელში მძიმე სხეულს მიიღებს, ხოლო მარცხენაში — მსუბუქს. მაგრამ კრიტიკულ ცდაში ეს მოლოდინი აღარ მართლდება და ილუზიასაც სწორედ ეს „მოლოდინის გაცრუება“ იწვევს. როგორც ვხედავთ, ეს თეორია ილუზიის საფუძვლად ცნობიერებას (მოლოდინს) გულისხმობს, ე. ი. ცნობიერების აქტივობა განსაზღვრავს ილუზიას. როგორც დ. უზნაძე აღნიშნავს, მიულერის თეორიასთან

შედარებით, ამ თეორიას გარკვეული უპირატესობა აქვს, მაგრამ საკმაოდ დამაკმაყოფილებელი არც ეს არის, რამდენადაც ზოგიერთი ექსპერიმენტული ფაქტის ახსნა ამ თვალსაზრისით შეუძლებელია. პირველ რიგში აქ უნდა მოვიხსენიოთ ჰიპნოზურ ძილში ჩატარებული ფიქსირებული განწყობის ცდები. ცდისპირი ხელოვნური (ჰიპნოტური) ძილის მდგომარეობაში გადაჰყავთ და ამ დროს მასზე ატარებენ ჩვეულებრივ საგანწყობო ცდებს: ერთ ხელში დიდ ბურთს აძლევენ, მეორეში — პატარას (10—15 ექსპოზიცია) და ავალებენ მათს ურთიერთშედარებას ე. წ. რაპორტის საშუალებით. საგანწყობო (საფიქსაციო) ცდების დამთავრების შემდეგ, მიუხედავად ჩვეულებრივი პოსტჰიპნოზური ამნეზიისა (მედიუმს, ჩვეულებრივ, გაღვიძების შემდეგ არაფერი ახსოვს ამის შესახებ, თუ რა ხდებოდა ჰიპნოზურ ძილში). სპეციალურად შეაგონებენ მას, რომ სრულიად დაივიწყოს ყველაფერი, რაც ძილში ხდებოდა. შემდეგ ცდისპირი გაჰყავთ მეორე ოთახში, იქ აღვიძებენ და ატარებენ მასზე კრიტიკულ ცდას. გამოირკვა, რომ ამ შემთხვევაშიც ჩვეულებრივი, კონტრასტული ილუზიები იჩენენ თავს მიუხედავად იმისა, რომ მედიუმს სრულიად არაფერი ახსოვს, თუ რა ხდებოდა ჰიპნოზურ ძილში და მაშასადამე არავითარი მოლოდინი მას არა აქვს. „ამრიგად ამ ექსპერიმენტებში დამტკიცებულად შეიძლება ჩაითვალოს, რომ საგანწყობო ცდების შედეგად სუბიექტს ერთგვარი შინაგანი მდგომარეობა ექმნება, რომელიც თუმცა მის ცნობიერებაში წარმოდგენილი არ არის, მაგრამ მაინც დიდ გავლენას ახდენს ცნობიერების პროცესების რიგზე და, ამგვარად, მნიშვნელოვან ფაქტორად იქცევა, რომელიც სუბიექტის ქცევას განსაზღვრავს“ (4, 17).

ასეთია დ. უზნაძის მოსაზრება ამ საკითხთან დაკავშირებით. აუცილებელია აქ ერთ გარემოებას მიექცეს ყურადღება, რომელიც შემდეგში მდგომარეობს: ფროიდის თვალსაზრისით, არაცნობიერი ფსიქიკური შეიძლება ექსპერიმენტულად იქნეს შესწავლილი და დადასტურებული ჰიპნოზის პირობებში. რომ ეს ასეა, ფროიდის აზრით, ამაზე მიუთითებს ე. წ. მედიუმის პოსტჰიპნოზური მდგომარეობა, რომელსაც იგი „არაცნობიერი ფსიქიკის ახალ დასაბუთებას“ უწოდებს (9). რაში მდგომარეობს არაცნობიერი ფსიქიკის ეს „ახალი დასაბუთება?“

ჰიპნოზში მყოფ სუბიექტს (მედიუმს) შთააგონებენ, რომ ჰიპნოზიდან გამოსვლის გარკვეული დროის გავლის შემდეგ შეასრულოს რაღაც მოქმედება, რომელიც მას ძილში შთააგონეს. ფროიდის მიხედვით, ჰიპნოზურ ძილში მყოფ სუბიექტს აქვს იმის ცნობიერება, რასაც მას ძილის დროს ავალებენ, ხოლო ამ მდგომარეობიდან გამოსვლის შემდეგ იგი საკუთარ ცნობიერებაში ვერ ადასტურებს ვერავითარ განზრახვას, მიზანს, რომელიც მას განცდის სახით ჰქონდა ცნობიერებაში. მიუხედავად ამისა იგი ზუსტად ასრულებს დავალებას, რომელიც ჰიპნოზურ ძილში მისცეს ისე, რომ მას არა აქვს მიზნის ცნობიერება.

ფროიდის მიერ ყურადღება მახვილდება იმ მომენტზე, რომ ინდივიდი ჰიპნოზურ მდგომარეობაში მისთვის დავალებულ ქცევას არაცნობიერად ახორციელებს (ცნობიერებაში მისი დადასტურება არ ხერხდება). აქედან გამომდინარე ფროიდი დაასკვნის, რომ მიზანი, რომელიც მედიუმს დაუსახეს ჰიპნოზურ მდგომარეობაში, ცნობიერი იყო, ხოლო ჰიპნოზური მდგომარეობის მოხსნის შემდეგ სუბიექტმა მის შესახებ არაფერი იცის (გარდა ჩვეულებრივი პოსტჰიპნოზური ამნეზიისა, როგორც ზემოთაც მივუთითეთ, მე-

დიუმს გამოღვიძების შემდეგ ავიწყდება ყველაფერი, რაც ჰიპნოზურ ძილში ხდებოდა — მას სპეციალურად ავალებენ დაივიწყოს ჰიპნოზურ ძილში მომხდარი ფაქტები). აქედან გამომდინარე, ფროიდის დასკვნა ასეთია: მიზანი, რომელიც ჰიპნოზური ძილის დროს დაუსახეს მედიუმს, ცნობიერად აქვს მას მოცემული, ხოლო გამოღვიძების შემდეგ ეს მიზანი არაცნობიერ მდგომარეობაში გადადის და იქ არაცნობიერი ფსიქიკურის სახით განაგრძობს არსებობას მის განხორციელებამდე. მაშასადამე, ფროიდის აზრით, შეიძლება ვილაპარაკოთ არაცნობიერ ფსიქიკურ განზრახვებზე, მიზნებზე, მოლოდინებზე, აღქმებზე და ა. შ.

ფროიდის აზრით გამოდის, რომ არაცნობიერი ფსიქიკური იმთავითვე კი არ არის არაცნობიერი, თავიდანვე ასეთად კი არ წარმოიქმნება, არამედ თავდაპირველად იგი უსათუოდ ცნობიერია და შემდეგ შეიძლება გადავიდეს არაცნობიერში.

თუ ამ თვალსაზრისით განვიხილავთ დ. უზნაძის მიერ ჰიპნოზურსა და ჰოსტიპნოზურ პირობებში ჩატარებულ ცდებს, რომელსაც მიზნად „გაცრუებული მოლოდინის“ თეორიის უარყოფა აქვს დაკისრებული, აღმოჩნდება, რომ იგი საკმარისი არ არის ამ პრობლემის გადასაჭრელად. დ. უზნაძის ცდისპირები, როგორც ცნობილია, მართალია ჰიპნოზურ ძილში, მაგრამ მაინც ადარებენ ბურთებს ერთმანეთს მოცულობის მიხედვით. მაშასადამე, ფროიდის თეორიის თანახმად, 5—10 ექსპოზიციის შემდეგ, ჰიპნოზურ ძილში მყოფ სუბიექტს შეიძლება გაუჩნდეს მოლოდინის ცნობიერი განცდა, რომ მარჯვნივ ისევ დიდი ბურთია მოსალოდნელი, ხოლო მარცხნივ — პატარა. მაშასადამე, ჰიპნოზურ ძილში მას გარკვეული მოლოდინის განცდა აქვს, რომელიც გამოღვიძებისთანავე არაცნობიერ ფსიქიკურში გადადის და, ფროიდის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, სწორედ ეს არაცნობიერში გადასული მოლოდინი შეიძლება დაედოს საფუძვლად ილუზიებს კრიტიკულ ცდაში.

დ. უზნაძის ზემოაღწერილი ცდა უეჭველად ამტკიცებს, რომ ცნობიერი სახით მოლოდინის მონაწილეობა სავსებით გამორიცხულია ფეხნერის ილუზიაში, მაგრამ იგი ვერ აბათილებს ამ ილუზიაში მოლოდინის არაცნობიერი სახით მონაწილეობას.

იმისათვის, რომ „გაცრუებული მოლოდინის“ თეორიის მხრიდან ეს წინააღმდეგობაც დაგვეძლია, დ. უზნაძის განწყობის თეორიის სასარგებლოდ, ჩვენ შემდეგი ექსპერიმენტი ჩავატარეთ:

მეთოდი. ჩვენ ისეთი მეთოდის შემუშავება ვცადეთ, რომელიც, ერთი მხრივ, სრული ანალოგიური იქნებოდა დ. უზნაძის ჰიპნოზურსა და პოსტჰიპნოზურ მდგომარეობაში ჩატარებული ექსპერიმენტისა, ხოლო, მეორე მხრივ, ჩვეულებრივ ფხიზელ მდგომარეობაში მყოფი ცპ არ დაგვეყენებინა დიდი და პატარა ბურთების შედარების ამოცანის წინაშე და, ამდენად, მას არავითარი მოლოდინის მდგომარეობა (არც ცნობიერი, არც არაცნობიერი) არ უნდა შექმნოდა მოცულობათა ურთიერთშეფარდების მიმართ. ე. ი. ჩვენს ამოცანას წარმოადგენდა ცდისპირის ცნობიერება ჩამოგვეცილებინა გამღიზიანებლის ჩვენთვის საინტერესო მომენტისათვის (მოცულობათა ურთიერთმიმართება) და სხვა. მიმართულებით წაგვემართა მისი აქტივობა. ამ მიზნით საგანწყობო ცდებისათვის გამოვიყენეთ სხვადასხვა მოცულობისა და სხვადასხვა მასალისაგან დამზადებული ბურთები:

2 ლითონის ბურთი	2,6—4,2	სმ. დიამეტრი
2 მასიური პლასტმასის	3,3—6,6	„ „
2 რეზინის	7,5—5,5	„ „
2 ზოლიანი ხის	6,2—4,3	„ „
2 „ „	7,0—4,0	„ „
2 „ „	8,2—5,6	„ „
2 გლუვი ხის „	4,4—4,2	„ „
2 „ „	7,2—3,8	„ „
2 „ „	4,2—4,2	„ „
2 მინის ბურთი	4,2—2,6	„ „
2 ქეჩის „	4,4—3,7	„ „
2 გრაფიტის „	3,2—3,2	„ „
2 თაბაშირის „	6,6—6,6	„ „
2 მაგიდის ჩოგბურთის	3,0—3,0	„ „

ექსპერიმენტი. საგანწყობო ცდები (როგორც ძირითადი, ისე საკონტროლო) შემდეგნაირად ჩავატარეთ: თვალებახვეულ ცდისპირს ეძლეოდა ინსტრუქცია — „თვითეულ ხელში ცალ-ცალკე, მოგეცემათ სხვადასხვა მასალის ბურთები: ლითონის, პლასტმასის, რეზინის, ქეჩის, მინის, ზოლიანი ხის, გლუვი ხის, მინის, გრაფიტის, თაბაშირის; გევალებათ მათი გამოცნობა შეხებით და იმის თქმა თუ რომელი ბურთი რა მასალისაგან არის დამზადებული. ეცადეთ გამოიცნოთ რაც შეიძლება სწრაფად და სწორად“.

ინსტრუქციით, როგორც ვხედავთ, ცპ-ს უმუშავდება მასალის გამოცნობის მოთხოვნილება (განწყობის სუბიექტური ფაქტორი დ. უზნაძის მიხედვით). ამის შემდეგ გადავდივართ საგანწყობო ცდების ჩატარებაზე. ცდის წარმოებისას დაცული გვაქვს შემდეგი წესები:

1. ცდისპირებად ვირჩევდით ისეთებს, რომლებიც არ იცნობდნენ ფიქსირებული განწყობის ცდებს (ეს აუცილებელია, ვინაიდან ცდისპირმა, რომელმაც იცის ეს ცდები, შეიძლება ძალაუნებურად მოცულობასაც მიაქციოს ყურადღება);

2. პირველ საგანწყობო ექსპოზიციებში ცპ-ები ღებულობენ მოცულობით ოდნავ განსხვავებულ სხვადასხვა მასალის ბურთებს;

3. ყოველ საგანწყობო ექსპოზიციაში დიდი ბურთი მუდამ ერთ მხარეს ეძლეოდა ცპ-ს, ხოლო პატარა — მეორე მხარეს;

4. არასოდეს არ ეძლევა ცპ-ს ერთნაირი მასალის ბურთები ორივე ხელში.

5. საფიქსაციო ექსპოზიცია თითოეულ ცპ-თან 15-ს შეადგენდა;

6. ვითვალისწინებდით ასიმეტრიის ფაქტორს;

7. საფიქსაციო ბურთები ცპ-ებს ეძლეოდათ 1—3 სეკ. ხანგრძლივობით;

8. კრიტიკული ცდების დამთავრებისთანავე ცდისპირს გამოვკითხავდით: შენიშნა თუ არა ბურთების მოცულობათა ურთიერთმიმართება საფიქსაციო ცდაში. ამ გამოკითხვის მიზანი ის იყო, რომ ცდისპირები, რომლებიც, მიუხედავად ინსტრუქციისა, მაინც მიაქცევდნენ ყურადღებას ბურთებს მოცულობათა ურთიერთმიმართებას საფიქსაციო ცდაში, გამოგვეყვანა შემდგომი ცდებიდან და მათი მონაცემები ოქმში არ შეგვეტანა;

9. საფიქსაციო ბურთები არასოდეს არ იყო მკვეთრად განსხვავებული, როგორც ეს ჩვეულებრივს ფიქსირებული განწყობის ცდებში არის ხოლმე, ვინაიდან ბურთებს შორის დიდ განსხვავებას შეიძლება ძალაუნებურად ცპ-ის ყურადღება მიეპყრო.

კრიტიკული ცდების წინ ცპ-ებს შემდეგი ინსტრუქცია ეძლეოდათ: „ახლა მასალის გამოცნობა აღარ გევალებათ. ახლა მე მოგაწვდით ბურთებს თვითეულ ხელში ცალ-ცალკე და თქვენ შეადარეთ ისინი ერთმანეთს მოცულობის მიხედვით".

კრიტიკულ ცდაში ცპ-ს ეძლეოდა ხის ტოლი ბურთები დიამეტრით 4,2 სმ თვითეული.

შედეგები. ექსპერიმენტში მონაწილეობდა 100 ცპ და კრიტიკულ ცდებში ყველა მათგანმა გამოამჟღავნა კონტრასტული ილუზია (იხ. ცხრ. № 1).

ცხრილი 1

კონტრ. ილუზიების რაოდენობა I ფაზაში	ცდისპირთა რაოდენობა	%%
0—1	0	0
2—10	25	25,0
11—20	48	48,0
21—30	21	21,0
30-ზე მეტი	6	6,0

ჩვენ მიერ ჩატარებულმა ფიქსირებული განწყობის ჩვეულებრივმა ცდებმა იმავე ბურთებით და იმავე თანმიმდევრობით[1], როგორიც „მასალის გამოცნობის" ცდებში გვქონდა, შემდეგი სურათი მოგვცა (სხვა 100 ცდისპირის მიმართ (იხ. ცხრ. № 2).

ცხრილი 2

კონტრ. ილუზიების რაოდენობა I ფაზაში	ცდისპირთა რაოდენობა	%%
0—1	0	0
2—10	56	56,0
11—20	31	31,0
21—30	12	12,0
30-ზე მეტი	1	1,0

ამის შემდეგ ჩვენ „მასალის გამოცნობის" მეთოდით გავიმეორეთ იგივე ცდა, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ საგანთა შორის მიმართების საფიქსაციო ნიშნად, ნაცვლად მოცულობისა, სიმძიმე ავირჩიეთ, ე. ი. საფიქსაციო ცდაში ჩვენ ვაძლევდით ცპ-ებს სხვადასხვა მოცულობისა და სიმძიმის ბურთებს შემდეგი წესით: ერთ ხელში ყოველთვის მძიმე ბურთს, (50 გრამიდან 300 გრამამდე), ხოლო მეორეში მსუბუქს (15 გრამიდან 63 გრამამდე). ცპ-ს ისეთივე ამოცანა ეძლეოდა, როგორიც პირველ სერიაში: გამოეცნოთ მასალა, რომლისგანაც თითოეული ბურთი იყო დამზადებული. კრიტიკულ ცდაში ყოველ ცპ-ს ეძლეოდა ერთნაირი მოცულობისა (4,2 სმ დიამეტრით თვითეული) და ერთნაირი წონის (88 გრ. თვითეული) ბურთები წონის მიხედვით შესადარებლად. 50 ცპ-ზე ჩატარებულმა ცდებმა ასეთი შედეგი მოგვცა (იხ. ცხრილი № 3).

1 იმ განსხვავებით, რომ საგანწყობო ცდაში ინსტრუქცია ცპ-ებს ავალებდა ბურთების ურთიერთშედარებას მოცულობის მიხედვით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხრილი № 3

კონტრასტული ილუზიების რაოდენობა I—ფაზაში	ცპ-თა რაოდენობა	%%
0—1	0	0
2—10	8	16,0
11—20	15	30,0
21—30	20	40,0
30-ზე მეტი	7	14,0

საფიქსაციო ცდების შემდეგ ცპ-ბს გამოვკითხავდით: თუ შენიშნე, რომელ ხელში გეჭირა მსუბუქი და რომელში მძიმე ბურთი? ასეთი ცპ აღმოჩნდა 6 და მათზე კრიტიკული ცდები აღარ ჩაგვიტარებია.

საგანს, გარდა სიმძიმისა და მოცულობისა, სიმკვრივეც აქვს, (ჩვენი ბურთები ზოგი ნაბდისაა, ზოგი თაბაშირის, ზოგი რეზინის და ა. შ.) და ჩვენ ვცადეთ შეგვემოწმებინა: სიმკვრივის მიხედვით ურთიერთმიმართულებაზედაც თუ შეექმნებოდათ ცპ-ებს ფიქსირებული განწყობა ამ მიზნით საგანწყობო ცდაში ცპ-ებს ვაწვდიდით ერთ ხელში შედარებით მკვრივ ბურთებს, მეორეში — რბილ ბურთებს იმავე დავალებით: გამოეცნოთ მასალა, რომლისაგანაც თვითეული ბურთი იყო დამზადებული. კრიტიკულ ცდაში ცპ-ებს ვაძლევდით ერთნაირი მოცულობის (4,8 სმ თვითეული) და ერთნაირი სიმკვრივის (ხელოვნური ღრუბლის) ბურთებს. ამ ცდაშიც ყველა 50-მა ცპ-მა გამოამჟღავნა ფიქსირებული განწყობის კონტრასტული ილუზიები (იხ. ცხრილი № 4).

ცხრილი № 4

კონტრასტული ილუზიები I ფაზაში	ცპ-თა რაოდენობა	%%
0—1	0	0
2—10	38	76,
11—23	10	20,0
21—30	2	1,0
30-ზე მეტი	0	0

მაშასადამე, „მასალის გამოცნობის“ მეთოდით ჩატარებული ცდებით უდავოდ დადასტურდა, რომ ფიქსირებული განწყობა შეექმნა ცდაში მონაწილე ყველა ცდისპირს მიუხედავად იმისა, რომ ისინი არავითარ ყურადღებას არ აქცევდნენ ბურთებს შორის არსებულ მიმართებას საფიქსაციო ცდაში: არც მოცულობის, არც სიმძიმის და არც სიმკვრივის მიხედვით და, მაშასადამე, არავითარი მოლოდინი არ ჰქონდათ იმისი, თუ როგორი ურთიერთმიმართების ბურთები მიეწოდებოდათ მომდევნო ექსპოზიციაში.

ამასთან დაკავშირებით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ო. კულპეს მიერ (ბრაიანთან ერთად) 1904 წ. ჩატარებული ცდები მოვიტანოთ („ცდები აბსტრაქციაზე“) (16). კულპე ცპ-ებს ეკრანზე სხვადასხვა ფერით დაწერილ სამი ასოსაგან შედგენილ ოთხ მარცვალს უჩვენებდა, რომლებიც გარკვეულ ფიგურებს ქმნიდნენ სივრცეში. ცპ-ებს ინსტრუქციით ევალებოდათ ერთ შემთხვევაში ასოების ფერის, მეორეში ასოების რაოდენობის, მესა-

მეში — მარცვლებისაგან შედგენილი ფიგურისა და მეოთხეში — საერთოდ ელემენტებისათვის მიექციათ ყურადღება (მისი ცდები ოთხი სერიისაგან შედგებოდა). როდესაც კრიტიკულ ცდაში კულპე ეკითხებოდა ცდისპირებს იმის შესახებ, რაზედაც მათ წინასწარ ცდებში არ ჰქონდათ ყურადღება გამახვილებული, ცპ-ბი ამოცანას ვერ წყვეტდნენ. კულპეს აზრით ამის მიზეზი ის არის, რომ საგნის რომელიმე ნიშანი, რომელიც ამოცანის გადაჭრაში არ ღებულობს მონაწილეობას, არც აღიქმება ცპ-ის მიერ. მაშასადამე, კულპეს მიხედვით, ყურადღების განწყობა ამ შემთხვევაში ფუნქციობს, როგორც აღქმის მასელექციერებელი აგენტი. დ. ჩაპმენმა გაიმეორა კულპეს ცდები ოდნავ შეცვლილ პირობებში და ისიც იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ინსტრუქციის მიმართ ირელევანტური გამღიზიანებელი მეხსიერებაში არ აისახება, რისი მიზეზიც შესაძლებელია გამღიზიანებლის არასაკმარისი აღქმა იყოს (8).

როგორც ვხედავთ, ირელევანტურ ნიშანთა აღქმის შესაძლებლობის თვალსაზრისით ჩვენი ცდა არ განსხვავდება კულპეს ცდისაგან, მაგრამ შედეგები არსებითად განსხვავებულია, რაც იმითაა გაპირობებული, რომ კულპე (და ჩაპმენიც) ირელევანტური გამღიზიანებლის აღქმის კვალს სუბიექტის ცნობიერებაში (მეხსიერებაში) ეძებს, ხოლო ჩვენ პიროვნების მთლიან მდგომარეობაში, რომელიც განწყობის სახითაა წარმოდგენილი მასში. ამიტომ შედეგებიც განსხვავებულია: კულპე ირელევანტურ გამღიზიანებელთა კვალს ვერ პოულობს თავის ცპ-ბთან, ხოლო ჩვენ ყველა ცპ-თან ვადასტურებთ კონტრასტულ ილუზიებს, რომელთა აღმოცენება სრულიად გაუგებარი იქნებოდა, ირელევანტურ გამღიზიანებელთა ზემოქმედება რომ არ მომხდარიყო მათზე.

დასკვნა. რა დასკვნების გაკეთება შეიძლება ზემოაღწერილი ცდების საფუძველზე? უპირველესი დასკვნა იმაში მდგომარეობს, რომ „მასალის გამოცნობის“ მეთოდი იძლევა იმის მტკიცების საშუალებას, რომ არავითარი მოლოდინი — ცნობიერი თუ არაცნობიერი — ფეხნერის წონის ილუზიის საფუძვლად არ გამოდგება, ვინაიდან ჩვენს ცპ-ბს არც საგანწყობო და არც კრიტიკულ ცდაში არა აქვთ და არც შეიძლება ჰქონდეთ იმის მოლოდინი, თუ როგორი მოცულობის ბურთებს მიაწოდებენ მომდევნო ექსპოზიციაში. მოლოდინის ფაქტორი ამ ცდაში მთლიანად გამორიცხულია და კონტრასტული ილუზიის საფუძვლად შეიძლება მხოლდ სუბიექტის მთლიანპიროვნული მდგომარეობა — განწყობა — ვაღიაროთ, რომელიც არასოდეს არ არის მოცემული ცნობიერებაში. როგორც ა. ფრანგიშვილი ამბობს:“ „Опыты В. В. Григолава показывают, что иррелевантные по отношению к инструкции признаки предметов отражаются в установке, в активном состоянии не принимающей формы, характерной для содержания сознания“ (3,30).

მასალის გამოცნობის მეთოდით მიღებული შედეგების გაანალიზების დროს უთუოდ დგება კანონიერი კითხვა: თუკი განწყობის შესაქმნელად აუცილებელია, ერთი მხრივ, სუბიექტს ჰქონდეს მოთხოვნილება, ხოლო, მეორე მხრივ, არსებობდეს ამ მოთხოვნილების შესატყვისი სიტუაცია, როგორღა ხდება განწყობის შექმნა ჩვენს ცდებში მაშინ, როდესაც სუბიექტს არა აქვს მოთხოვნილება შეადაროს ერთმანეთს მოწოდებული სხეულები სიმძიმის, მოცულობის ან სიმკვრი-

ვის მიხედვით? რა ცვლის მოთხოვნილების ფაქტორს ამ ცდებში?

შეიძლება ამ კანონიერ კითხვას ასე ვუპასუხოთ: სუბიექტს ყოველ კონკრეტულ მომენტში აქვს მოთხოვნილება გაერკვეს სიტუაციაში და შეაფასოს იგი ცნობიერების უშუალო მონაწილეობის გარეშე. მაგალითად, თუ ფოთოლი მოფარფატებს ხიდან, ადამიანი ყოველგვარი ცნობიერების ჩარევის გარეშე განაგრძობს გზას, ხოლო თუ აგური დაინახა, რომელიც მაღლიდან ეცემა, წამსვე მოარიდებს თავს, ასევე ცნობიერების მონაწილეობის გარეშე („ინსტინქტურად", როგორც ამბობენ ხოლმე).

იმავე ვითარებასთან გვაქვს საქმე „მასალის გამოცნობის" ჩვენს ცდებშიც. ბურთებს, რომელთაც ჩვენ ვაწოდებთ საფიქსაციო ცდებში, სხვადასხვა მოცულობა, სხვადასხვა სიმძიმე და სხვადასხვა სიმკვრივე აქვს და ადამიანი (ცპ) ამ ურთიერთმიმართებებს მყისვე წვდება ცნობიერების მონაწილეობის გარეშე.

ეს რომ არ მომხდარიყო, ე. ი. სუბიექტს რომ რაღაცნაირად (განწყობის დონეზე, დ. უზნაძის მიხედვით) არ აესახა ეს ურთიერთობები, ვერც განწყობის ეფექტს — კონტრასტულ ილუზიებს მივიღებდით ამ ცდისპირთაგან.

სხვათაშორის, სწორედ ამიტომ არის შესაძლებელი, რომ ადამიანი ობიექტურ მიმართებებს უშუალოდ აღქმაში სწვდეს (როგორც ამას ა. ბრუნსვიგი, დ. უზნაძე და სხვ. ამტკიცებენ), და არ დასჭირდეს აზროვნების მოშველიება.

მაშასადამე, ნათელი უნდა იყოს, რომ მასალის გამოცნობის ცდებშიც მოთხოვნილება მონაწილეობს, ოღონდ იგი განწყობის დონეზეა წარმოდგენილი და არა ობიექტივაციის დონეზე.

განწყობა და არაცნობიერი ფსიქიკა არის ეკვივალენტური ცნებები, როგორც ზოგჯერ მიიჩნევენ. სწორედ პირიქით: ისინი ურთიერთგამომრიცხავი ცნებებია, როგორც ამას ხაზგასმით აღნიშნავს დ. უზნაძე. განწყობა, თავისი არსით, არ არის ცნობიერი, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ იგი არაცნობიერია. არაცნობიერი ფსიქიკის ცნება საკმაოდ მტკიცედ დამკვიდრდა ფსიქოლოგიაში და დ. უზნაძის დიდი დამსახურება სწორედ ის არის, რომ მან თეორიულად და ექსპერიმენტულად დაასაბუთა ამ ცნების უსაფუძვლობა. „არაცნობიერის ცნება ზედმეტი ცნებაა" (4) ფსიქოლოგიაში, როგორც ხაზგასმით აღნიშნავს დ. უზნაძე, ვინაიდან, ფროიდის აზრით, „განსხვავება ცნობიერსა და არაცნობიერ პროცესებს შორის ძირითადად მხოლოდ იმაზე დაიყვანება, რომ ეს პროცესები არსებითად მარტო იმით განსხვავდება ურთიერთისაგან, რომ პირველ მათგანს ცნობიერება ახლავს თან, მეორეს კი არა. რაც შეეხება მათს შინაგან ბუნებასა და სტრუქტურას, ამ მხრივ მათ შორის განსხვავება არაფერია" (4,35). ამიტომ, დაასკვნის უზნაძე, „არაცნობიერის ცნება უკუგდებული უნდა იქნეს და მის ნაცვლად პოზიტიური შინაარსის მქონე ცნება, სახელდობრ განწყობის ცნება უნდა იქნეს შემოღებული" (4,37) „რომელიც ყოველს ცოცხალ არსებაში, მის სინამდვილესთან ურთიერთდამოკიდებულების პროცესში ვლინდება" (4, 36).

დ. უზნაძე მიუთითებს, რომ „მოძღვრება არაცნობიერის შესახებ, არსებითად, ადამიანის ფსიქიკური ცხოვრების სწორ წარმოდგენას ემყარება, რამდენადაც მართებულად უსვამს ხაზს, რომ ცნობიერი პროცესები სრულია-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაც არ ამოსწურავენ ფსიქიკის მთელ შინაარს“ (4, 36). მაშასადამე, ფროიდის დიდ დამსახურებას იმაში კი არ ხედავს დ. უზნაძე, რომ ფროიდმა არაცნობიერი ფსიქიკურის ცნება შემოიტანა მეცნიერებაში, არამედ იმაში, რომ, მან პირველმა მიუთითა იმ უეჭველ გარემოებაზე, რომ „ცნობიერი პროცესები სრულებითაც არ ამოსწურავენ ფსიქიკის მთელ შინაარსს“ (4, 33). ამიტომ დ. უზნაძემ ნაცვლად არაცნობიერისა, განწყობის ცნება შემოიტანა ფსიქოლოგიაში რომელიც არ არის ცნობიერების ფენომენი (4, 33), „თუმცა... მაინც ინარჩუნებს უნარს მათზე (ცნობიერ პროცესებზე — ვ. გ.) გადამწყვეტი ზეგავლენა მოახდინოს“ (4, 34) და ამით ის წინააღმდეგობაც დასძლია, რომელსაც არაცნობიერის ცნება შეიცავს.

ლიტერატურა

1. ბჟალავა ი. თანმიმდევარი ხატი და ფიქსირებული განწყობა. საქ. სსრ მეცნ. აკადემიის „მოამბე“, ტ. II, 1950, № 2.
2. ბოჭორიშვილი ა. სიმძიმის ილუზიის ანალოგი წნეხვის არეში. თბილისის უნივერსიტეტის მოამბე. 1927.
3. Прангишвили А. С. 30 лет Института психологии им. Д. Н. Узнадзе, Тбилиси, 1972.
4. უზნაძე დ. განწყობის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტული საფუძვლები. ფსიქოლოგიის ინსტიტუტის „შრომები“ „ფსიქოლოგია“, ტ. VI თბილისი, 1949.
5. უზნაძე დ. პოსტჰიპნოზური შთაგონების თეორიისათვის ფუნქც. და ნერვულ დაავადებათა ინსტიტუტის შრომები, ტ. I, თბილისი, 1936.
6. უზნაძე დ. ფსიქოლოგია. საქართველოს ფსიქოლოგთა საზოგადოების შრომები, ტ. I, 1938.
7. ჭრელაშვილი ნ. განწყობის ილუზიები ჭათმებთან. ფსიქოლოგიის ინსტიტუტის შრომები, ტ. IV, თბილისი, 1947.
8. Baunswig, A. Das vergleichen und die relationserkenntnis. Leipzig und Berlin 1910.
9. Chapman D. W. Relatiwe effects of determinante ond indeterminante Aufgaben. Amer. G. Psycholog. 1932, 44, 163—174.
10. Frand S. Die Frage der Laienanalise, XIV, 224. Abriss der Psychoanalyse, XVII, 145,146.
11. Külpe O. Versuche Abstraction. Ber. Konf. exp. Psycholog, 1904, 56—68.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფსიქოლოგიის ინსტიტუტმა

ფატი გობეჩია

არასრულწლოვანთა დანაშაულებრივი ქცევის მოტივაციური სფეროს საკითხისათვის

არასრულწლოვანთა დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა დღეს აქტუალური პრობლემაა. დანაშაულებრივი ქცევა უპირველეს ყოვლისა პიროვნების ქცევაა დ როგორც ყველა ქცევას, მასაც აქვს თავისი მოტივაციური საფუძველი.

პიროვნების ასაკობრივი თავისებურება ვლინდება მის ქცევაში, ამიტომ მოზარდის დანაშაულებრივი ქცევის ფსიქოლოგიური ანალიზი შესაძლებლობას გვაძლევს შევისწავლოთ — რა გავლენას ახდენს არასრულწოვანთა დანაშაულებრივ ქცევაზე გარდამავალი ასაკის ზოგიერთი ფსიქოლოგიური თავისებურებანი. ქცევის შესწავლა, უპირველეს ყოვლისა, ქცევის ფსიქოლოგიური სტრუქტურის შესწავლას გულისხმობს. ქცევის სტრუქტურაში წამყვანი ადგილი მოტივს უკავია. ამიტომ ქცევის განმსაზღვრელ ფაქტორთა შორის პირველი ადგილი, სუბიექტის მხრიდან, მოტივს უნდა დაეთმოს.

დღეს ფსიქოლოგიაში ტერმინი „მოტივი“ მრავალი განსხვავებული მნიშვნელობით იხმარება. ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია წინასწარ შევთანხმდეთ, რას ვგულისხმობთ ტერმინი „მოტივი“-ს ქვეშ. ტერმინი „მოტივი“ (motif) აღმძვრელს გულისხმობს. მკვლევართა უმრავლესობა ს. რუბინშტეინი, ბ. ტეპლოვი, ვ. სელივანოვი და სხვანი მოტივს მოთხოვნილებასთან აიგივებენ. მოთხოვნილება აღძრავს მოქმედებას და აზრსა და მნიშვნელობას ანიჭებს მას. საბჭოთა ფსიქოლოგი ა. ლეონტიევი მოტივს უკავშირებს იმ ობიექტურ ვითარებას, რომელშიც მოთხოვნილება ნახულობს დაკმაყოფილებას. მოთხოვნილების საგანს — მატერიალურს ან იდეალურს, გრძნობადად აღქმადს ან მხოლოდ წარმოდგენაში აზრის პლანში მოცემულს ჩვენ ვუწოდებთ მოქმედების (Деятельность) „მოტივს“. „მოტივია ის საგნობრივი სინამდვილე, რომელიც მოთხოვნილებას აკმაყოფილებს, რომელზეც მთელი მოღვაწეობაა მიმართული“ — წერს ა. ლეონტიევი.

დ. უზნაძის აზრით, „მოტივი გაცნობიერებაა იმ ღირებულებისა, რომელიც ამა თუ იმ ქცევას აქვს ჩვენთვის და ამ აზრით იგი ერთ-ერთი მათგანის გამართლებაა“. ფსიქოლოგიურ აზრსა და მნიშვნელობას ქცევას მოტივი აძლევს. ფსიქოლოგიურად ქცევა იმდენია, რამდენიცაა მოტივი. მოტივი ფიზიკურ ქცევას გარკვეულ ფსიქიკურ ქცევად აქცევს.

ამავე აზრს იზიარებს რ. ნათაძე.

შ. ჩხარტიშვილი თავის შრომებში იძლევა მოტივის ცნების თავისებურ განსაზღვრებას. იგი ანსხვავებს ადამიანის ქცევის ორ წყაროს, მოთხოვნილებასა და ნებისყოფას და მათ საფუძველზე გამოჰყოფს ქცევის ორ ძირითად ფორმას: იმპულსურ ქცევასა და ნებისმიერ ქცევას. მისი აზრით ქცევის ორი ძირითადი ფორმის გამოყოფა მიზანშეწონილია მოტივზე მსჯელობის თვალსაზრისითაც.

სუბიექტს მოთხოვნილება აღძრავს, მაგრამ ფსიქოლგიურად მოთხოვნილების ცნებასა და მოტივის ცნებას შორის სრული იგივეობა არ არსებობს. მოტივი არა მარტო შესაძლებელს ხდის ამა თუ იმ ქცევას, არამედ იგი სუბიექტურ აზრსა და ღირებულებას ანიჭებს მას. იმპულსურ ქცევაში ასეთ ფუნქციას ერთგვარი ემოციური, გრძნობისებური განცდა ასრულებს. ეს ემოციური განცდა ინპულსური ქცევის სუბიექტს უჩვენებს თუ რა ღირებულება აქვს მისთვის იმ ქცევის აქტს, რომელიც უნდა განხორციელდეს. სწორედ ეს განცდა აძლევს ქცევას ფსიქოლოგიურ საზრისს და ხდის მას მისაღებად. ამგვარად „იმპულსური ქცევის მოტივს წარმოადგენს ემოციური განცდის ფორმაში მოცემული ქცევის სუბიექტური ღირებულება“. ეს უკანასკნელი ინდივიდის სუბიექტური მდგომარეობის მიხედვით ცვალებადობს, ამიტომ უწოდებს ავტორი მას სუბიექტურ ღირებულებას.

ნებისმიერი ქცევის მოტივი უშალოდ ქცევის აქტებთან არაა დაკავშირებული. ნებისმიერი ქცევა ხდება იმისათვის, რაც რჩება ქცევის დასრულების შემდეგ, როგორც გარკვეული ობიექტური ღირებულების მქონე რეზულტატი. თუკი იმპულსური ქცევა მისი სუბიექტის მომენტურ ცხოვრებას ემსახურება, თვით მის საფუძველში არსებული მოთხოვნილების დაკმაყოფილებას ესწრაფვის და სხვა არაფერს ითვალისწინებს, ნებისმიერ ქცევას, ობიექტური ღირებულება აქვს მხედველობაში, იგი ყოველთვის ობიექტურ ღირებულებაზე არის მიმართული. სწორედ ეს ობიექტური ღირებულება ასრულებს ნებისმიერი ქცევის მოტივის ფუნქციას. ობიექტური ღირებულება როგორც ნებისმიერი ქცევის მოტივი, ლოგიკური მსჯელობის ფორმაში გვეძლევა და იმპულსური ქცევის მოტივით სუბიექტის მდგომარეობის მიხედვით არ ცვალებადობს. შ. ჩხარტიშვილის აზრს „მოტივის“ შესახებ ჩვენც ვეთანხმებით და ვიყენებთ ჩვენი კვლევა-ძიების დროს.

არასრულწლოვან დამნაშავის ქცევის მოტივის შესასწავლად ჩვენ მივმართეთ არა მხოლოდ ქცევის სუბიექტს, რომლისგანაც გარკვეული გამოკითხვის, ანკეტებისა და საუბრის გზით ვცდილობდით მიგვეღო ინფორმაცია მის მიერ ჩადენილ დანაშაულის შესახებ, არამედ გამოვიყენოთ არასრულწლოვან დამნაშავეთა პირადი საქმეები, ძიების მასალები აღმზრდელებისა და მშობლების დახასიათებანი და ა. შ. ამიტომ ჩვენს განკარგულებაში არსებული პასუხები, კითხვაზე „რატომ ჩაიდინა მოზარდმა დანაშაულებრივი ქცევა“ ორ ჯგუფად შეიძლება დაიყოს: I ჯგუფი, სადაც წარმოდგენილია მოზარდის ინტერპრეტაცია მის მიერ ჩადენილ ქცევაზე და II ობიექტური მონაცემების მიხედვით, ამავე ქცევის შეფასება, მისი აღმძვრელი მიზეზის დახასიათება. ანკეტური მონაცემებისა და ავტობიოგრაფიული ხასიათის წერილების ანალიზის საფუძველზე იმის შესახებ, თუ რამ განაპირობა დანაშაულებრივი ქცევა, რა იყო მისი აღმძვრელი მოტივი, ჩვენ მივიღეთ პასუხთა შემდეგი კატეგორიები.

მოზარდი დანაშაულებრივი ქცევის ძირითად მიზეზად ასახელებს მოთხოვნილების იმპულსებს, ამბობს, მაგალითად, „მოვიპარე ფული, იმიტომ რომ მინდოდა კინოს ნახვა“, „მინდოდა მაგნიტოფონის შეძენა“; „შემხვდა ამხანაგი და მასთან ერთად გადავწყვიტე მოპარვა“; საინტერესოა ის გარემოება, რომ მართწესის დარღვევის მოტივის დახასიათება თავისებურად იცვლება კლასიდან კლასში, ასაკიდან ასაკში გადასვლის შემთხვევებში.

12—13 წლის მოზარდები უფრო ხშირად კმაყოფილდებიან იმის კონსტატაციით, რომ მათ მოიპარეს ფული, რადგანაც მაშინ ძალიან ჭირდებოდათ. მაგალითად, დ. გ. აღნიშნავს, რომ მან მიატოვა სწავლა და მერე დაიწყო ქურდობა იმიტომ, რომ ჭირდებოდა ფული კინოში შესასვლელი ბილეთის და ტკბილეულის საყიდლად; დ. ნ. ამბობს, რომ მან, თვითონ, სხვისი დახმარების გარეშე მოიპარა ჩანთა, რადგან ეგონა, რომ არავინ არ უყურებდა, ფული კი ჭირდებოდა, „ჯინსები“-ს შარვლის შესაძენად. უნდოდა ისე ჩაეცვა როგორიც სხვებს აცვია.

როგორც ვხედავთ, არასრულწლოვანი ძირითადად კმაყოფილდება ფაქტის აღნიშვნით, მიუთიებს იმაზე, თუ რა და რატომ მოიპარა. მისი დამოკიდებულება შესრულებულ ფაქტისადმი არა საკუთარი „მე“-ს დახასიათებაში, არც დანაშაულებრივი ქცევის აღწერაში არ ჩანს.

განსხვავებით II—III კლასელებისაგან, IV—V კლასელები (11—12 წლის ასაკი) ქცევის მიზეზად აღნიშნავენ ფულის სიყვარულს, მოპარული ნივთის (ტანისამოსი, ფოტოაპარატი, მაგნიტოფონი) ქონების ძლიერ სურვილს. მაგ., IV კლასელი თ. ბ. ასეთ პასუხს იძლევა კითხვაზე თუ რატომ მოიპარა: „მინდოდა მქონოდა ფული, ფული საჭიროა“.

თ. ი. — „მინდოდა მქონოდა აპარატი და იმიტომ მოვიპარე“, „ძლიერ მინდოდა ფოტოაპარატი, იმიტომ მოვიპარე“. ხშირია შემთხვევები, როცა იმდენად ძლიერია ნივთის დაუფლების სურვილი, რომ მოზარდი ვერც განიცდის მოსალოდნელი უსიამოვნების საშიშროებას. „მოვიპარე მაგნიტოფონი მეზობლის ბინიდან, რადგან ძალიან მინდოდა, ვფიქრობდი რომ არავინ შეამჩნევდა — აღნიშნავს მეოთხეკლასელი ვ. ლ.

V კლასელი ა. ბ. ქურდობის დაწყების მიზეზად ასახელებს: „მინდოდა მქონოდა ფული ქალაქში წასასვლელად“. კ. ს. წერს „პირველად მოვიპარე რაღაც ნივთი I კლასში, მერეც ვიპარავდი, უკანასკნელად მოვიპარე ფული, რადგან მინდოდა მემოგზაურა ქალაქებში“. „ფული მჭირდებოდა სამოგზაუროდ“.

ხშირია შემთხვევები, როცა მეხუთეკლასელი არ კმაყოფილდება მხოლოდ ფაქტის აღწერით. ის აღნიშნავს თუ ვისთან ერთად მოიპარა ფული ან ხაზგასმით მიუთითებს იმაზე, რომ მან ფული მოიპარა მარტო, არავის წაუქეზებია და ა. შ. ი. ბ. აღნიშნავს, რომ მან „მოიპარა იმიტომ, რომ უნდოდა ქონოდა მოპარული ნივთი“. „მოვიპარე მარტო, არავინ არ დამხმარებია“.

ამგვარად, არასრულწლოვანები ძირითადად აღნიშნავენ, რომ ქურდობის მთავარი მიზეზია ნივთის ქონების ძლიერი სურვილი. ფულის მოპარვა ძირითადად ამ მიზანს ემსახურება. გარდა ამისა საყურადღებოა ისიც, რომ მოზარდები უკვე მიუთითებენ იმაზედაც თუ რა პირობებში ჩაიდინეს დანაშაული, მარტო თუ სხვებთან ერთად.

VI კლასელები (13—14 წ. ასაკი) ახასიათებენ რა ქურდობის დაწყების მიზეზს, მიუთითებენ არა მარტო იმაზე, თუ რატომ ჩაიდინეს ქურდობა (უნდოდათ ჰქონოდათ ნივთი, ფული და ა. შ.), არამედ თავიანთ დამოკიდებულებას ჩადენილი ქცევისადმი. დ. ი. წერს: „მოვიპარე იმიტომ, რომ ვიყავი სულელი. ერთხელ მოვიპარე, მერე მეორედ და ა. შ. ვიყავი ქალაქებში თბილისში, კრასნოდარში, ერევანში. ვიპარავდი, რადგან არ ვიცოდი რა ცუდს ვაკეთებდი, ვიყავი სულელი“.

VI კლასელი ბ. ვ. — „ვიპარავდი ცოტ-ცოტას. ვიყავი სულელი, რომ მივატოვე სწავლა. მერე კი დავიწყე ქურდობა. სკოლიდან რომ არ გავქცეულიყავი არც ქურდი ვიქნებოდი“.

ზოგიერთი არასრულწლოვანი დამნაშავე მიუთითებს არა მარტო ნივთის ან ფულის სიყვარულზე, რომელმაც უბიძგა მას ქურდობისაკენ, არამედ იმაზეც თუ რაზე და სად დახარჯა მან მოპარული ფული. ვ. ვ. „მე ძალიან მინდოდა მქონოდა თოფი, მაგრამ თოფის შეძენა ვერ შევძელი და ამიტომ მოვიპარე ტირში. მონაპარი შემრჩა. მერე დავიწყე ფულის მოპარვაც ჯერ საკუთარ, მერე ნაცნობის ოჯახებში, მაღაზიიდან, ვიტრინიდან ვიპარავდი ნივთებს, მოპარულ ნივთებს ვყიდდი, ფულით კი დავდიოდი ქალაქიდან ქალაქში, მთავარია ის რომ ვაკეთებდი რაც მინდოდა“.

შ. ა. „მე მინდოდა მქონოდა ჩემი ფული. სახლში არ მაძლევდნენ, მაშინ დავიწყე სკოლაში მოპარვა, მერე მაღაზიაში. თუ ფული გაქვს რაც გინდა ის შეგიძლია გააკეთო. მოპარული ფულით ვყიდულობდი რაც მინდოდა და დავდიოდი სადაც მინდოდა. ამხანაგებიც მყავდნენ, ცოტა სულელიც ვიყავი, თორემ ასე არ მოვიქცეოდი“.

საყურადღებოა ისიც, რომ ზოგიერთი არასრულწლოვანი მიზეზად ასახელებს ოჯახის მატერიალურ მდგომარეობას. ტ. ვ. ამბობს: „ქურდობა დავიწყე იმიტომ, რომ დედას არ შეეძლო ჩემთვის ეყიდა ის, რაც მე მინდოდა (მისი შემოსავლები მუნჯებია და განქორწინებულნი არიან). სად მეშოვა ფული? დავიწყე ქურდობა. ვნახე წამოსასხმი გადმოკიდებული მეზობლის აივანზე, მოვიპარე, არავის გაუგია. ამან წამახალისა. მერე მოვიპარე ფული, არც ეს გაუგია ვინმეს. ამის შემდეგ ხშირად ვიპარავდი ყველაფერს რისი შესაძლებლობაც მომეცემოდა. წავედი ცუდი გზით. მოპარული ფულის ნაწილს მე ვხარჯავდი, ნაწილს ამხანაგებს ვაძლევდი. ისინიც ასევე მინაწილებდნენ თავიანთ ნაქურდალს. სახლიდან ორჯერ გავიქეცი. ვიყავი მოსკოვში და სოჭში. იქაც ფული მჭირდებოდა“.

მოზარდს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ფული მიაჩნია დამოუკიდებლად არსებობის ერთ-ერთ პირობად. ამიტომ არასრულწლოვანი ქურდები აღნიშნავენ, რომ მოიპარეს იმისათვის, რომ უნდოდათ ეხარჯათ ეს ფული მარტო, საკუთარი გაგებით. საქმის დეტალურმა შესწავლამ დაგვანახა, რომ მოზარდები სწორად მიუთითებენ იმაზე, რომ ისინი ფულსა და ნივთებს იპარავდნენ იმ მიზნით, რომ მშობლებისაგან დამოუკიდებელნი გამხდარიყვნენ.

Проанализируем теперь несколько определений учения и попытаемся при этом выяснить, какая функция приписывается в них учению. Исследователи, которые определяют учение, исходя из его функции, чаще всего опираются на теоретические принципы функционализма и это, несмотря на «солидный» его возраст. Как известно, функционализм представлял в психологии биологический эволюционизм и для него основной целью психологического анализа было выявление того, какую функцию выполняет то или иное психологическое явление в процессе адаптации организма к среде. Ясно, что и учение упомянутые исследователи определяли с той же точки зрения. Характерно в этом отношении определение учения, которое дает Ф. Н. Фриман в таком обобщающем издании, каким является американская энциклопедия: учение это то, посредством чего животные и люди адаптируются к особым условиям своей среды и приобретают такие формы активности, которые не обусловлены инстинктом (Ф. Н. Фриман, 1966). Совершенно очевидно, что это определение является проявлением старых принципов функционализма в наше время. В самом деле, основная функция, которую оно приписывает учению, это функция адаптации организма к среде. И единственное, что мы кроме этого узнаем из него об учении, это то, что учение своим результатом выходит за пределы инстинкта.

Определяет учение, исходя из его функции и К. Маккоркводал, автор статьи «Учение» в Британской энциклопедии. Правда, его определение более или менее отличается от уже приведенного выше. В частности, учением он считает любое, относительно стойкое изменение поведения, имеющее место в результате прошлого опыта и в со-

ответствии с этим не могущее быть приписанным фактору роста или утомления (К. Маккоркводал, 1964). На первый взгляд это определение дает возможность более широкой интерпретации учения. И действительно, под рубрику изменения поведения в данном понимании можно подвести что угодно, в том числе и то, что мы понимаем под формирующей функцией учения. Однако, если ознакомиться с дальнейшими рассуждениями автора данного определения, можно прийти к выводу, что в интерпретации учения и он дальше регулирующей функции не идет. В этом смысле достаточно упомянуть хотя бы то, что побудителями учения он считает, с одной стороны, т. н. аппетиты (голод, жажду, т. е. то, что действует через нужду, недостаток в чем-либо), с другой — стимулы с некоторым отрицательным значением (тревожность, боль). Организм развивает активность чисто регулятивного характера: когда преобладают стимулы первого типа, он усиливает активность, когда же второго типа, — он, наоборот, активность ослабляет.

У. С. Верпланк, автор словаря, в котором собраны термины, употребляемые в бихевиористических теориях поведения, относит учение к такому ряду терминов, который можно определить только эмпирически. Научиться, по его мнению, это значит достигнуть такого изменения между двумя актами поведения, следующими в сходной среде друг за другом, которое нельзя приписать манипуляциям действия драйва[1], изменениям условий среды, адаптации органов чуств, болезни, хирургическому вмешательству, физической травме или процессу роста (У. С. Верпланк, 1957). В соответствии с этим учение для него не является и не может быть объяснительным понятием. Поэтому в его определении учения даже не видно, какую оно выполняет функцию. В этом смысле определение У. С. Верпланка можно признать чисто операциональным. Однако, если учесть контекст, в который он помещает учение, можно заключить, что в интерпретации учения У. С. Верпланк не выходит за пределы регулирующей функции То же самое, по сути дела, можно сказать и об определении учения, которое предлагает нам автор статистической теории учения У. К. Эстес. Он считает, что учением является любое, имеющее систематический характер изменение в вероятности реакции (У. К. Эстес, 1959).

Определения учения, имеющие примерно такое же содержание, можно было бы приумножить, однако нам важно отметить то, что, несмотря на некоторые различия в деталях, они явно или имплицитно исходят из регулирующей функции учения. Как это ясно из общего контекста нашей работы, такие определения учения нас не удовлетворяют. Но ясно и то, что неудовлетворительность данных определений заключается не в том, что они исходят из регулирующей функции учения. Как мы уже имели случай отметить, регуляция взаимоотношений между организмом и средой и в самом деле является функцией учения. Их недостатком является всеобщий позитивистский подход к разрешению данной проблемы, что неизбежно приводит к полному игнорированию формирующей функции учения, функции, которая является специфической для человека и, тем самым, ведущей.

Нужно сказать, что формирующей функции учения повезло, если можно так выразиться, намного меньше, чем регулирующей. Говоря это, мы имеем в виду тот факт, что почти нет ни одного определения

[1] В свою очередь, драйв У. С. Верпланк определяет как гипотетическое состояние организма, одним из средств идентификации которого он считает изменение частоты широких классов поведения, которое нельзя приписать болезни, научению или процессу роста.

учения, в котором формирующая функция учения была бы представлена ясно и недвусмысленно. Это приводит к тому, что, во-первых, указание на формирующую функцию учения приходится, так сказать, вычитывать между строк, во-вторых, в этих определениях отсутствует дифференцированный подход к функциональной природе учения. А это можно признать недостатком достаточно существенным, т. к. остается совершенно невыясненной сущность формирующей функции учения, а также и то, каков ее удельный вес в учебном поведении человека по отношению к регулирующей функции.

Несмотря на описанное положение вещей, нам представляется необходимым проанализировать основные определения учения, в которых формирующая функция присутствует в той или иной форме. Это сделает более очевидным то, что мы сказали выше, и одновременно подведет нас к установлению существенных черт формирующей функции. Нужно с самого начала отметить, что авторами таких определений в основном являются советские психологи, тогда как за рубежом лишь только незначительная часть исследователей, занимающихся проблемами учения, исходит в своих работах из формирующей функции. Одним из таких исследователей является канадский психолог Г. А. Фергюсон. Устанавливая взаимоотношения между учением и способностью (умением — ability), он приходит к заключению, что способность можно приобрести путем научения и соответственно учением считает те изменения, которые претерпевает способность при решении тех или иных задач (Г. А. Фергюсон, 1954). Безусловно, формирующая функция учения представлена в этом определении в весьма несовершенном виде, т. к. автор, говоря о приобретенных путем научения способностях, вовсе не имеет в виду поступательный процесс формирования человека как определенной целостности. Но ясно и то, что в данном определении учению приписывается такая функциональная природа, о которой в ранее проанализированных определениях не было и речи.

Более последовательным в этом отношении кажется, на первый взгляд, определение, предлагаемое чешским психологом Й. Лингартом. В самом деле, учение, по его мнению, является основным регулятивным и формативным процессом, в котором человек во взаимосвязи с эндогенными предпосылками изменяет свое поведение, создает новые формы деятельности, умений, развивает и реализует свои способности (Й. Лингарт, 1970). Однако нужно принять во внимание, что автор этого определения в своем исследовании процесса учения стремится дать такую интерпретацию т. н. респондентному и оперантному учению, при которой данные виды учения, нашедшие в основном подтверждение в экспериментах с животными, смогут стать действенными и на человеческом уровне развития. Результатом же такой направленности в конечном счете явилось то, что в центре внимания Й. Лингарта оказалась регулирующая функция учения.

Формирующая функция учения имплицитно присутствует почти во всех определениях учения, которые можно найти в трудах советских психологов. Вернее было бы сказать, что эти определения в большей степени исходят из формирующей функции учения, чем из регулирующей. Но, как мы увидим ниже, последовательного развертывания сущности формирующей функции учения нельзя найти и здесь. И тем более нельзя найти в этих определениях дифференцированного подхода к функциональной природе учения.

Рассмотрим вначале как определяется учение у С. Л. Рубинштейна. Учение С. Л. Рубинштейн считает активностью чисто человеческой. Человек обрел ее для того, чтобы овладеть всем тем, что создано чело-

веческим трудом. По его мнению, овладение результатом обобщенного труда прошлого человеку необходимо постольку, поскольку он готовится к своей собственной трудовой деятельности. В соответствии с этим учение направлено на то, чтобы развить творческие возможности человека (С. Л. Рубинштейн, 1940). Если попытаться ответить на вопрос, какая из выделенных выше функций учения является исходной для данного определения, безусловно, больше оснований считать, что С. Л. Рубинштейн исходил из формирующей функции. Тем не менее считать это определение удовлетворительным с этой точки зрения не представляется возможным и опять-таки потому, что регулирующая и формирующая функции учения рассматриваются в нем недифференцированно. В самом деле, регулирующая функция вовсе не исключает овладения тем, что создано человеческим трудом, равно как и развитие творческих сил не является лишь достоянием формирующей функции.

Примерно такими же чертами наделяет учение и Н. А. Менчинская. Она определяет учение как вид деятельности человека, характеризующийся усвоением общественно-исторического опыта в разных его формах: в виде знаний, умений и навыков, способов познания и применения полученных знаний к решению новых задач в форме норм поведения (Н. А. Менчинская, 1968). Ясно, что об этом определении можно сказать то же самое, что и о предыдущем.

Детальную характеристику учения дает Д. Н. Узнадзе. Кратко его концепцию учения в контексте изложенного можно выразить при помощи двух основных положений. Суть первого положения заключается в том, что учение, в отличие от такой формы поведения, как труд, подразумевает не просто какой-то продукт (скажем, какое-то конкретное знание или навык), а развитие тех сил учащегося, которые принимают участие в процессе учения. Таким образом, основной функцией учения, по этому положению, является развитие внутренних сил учащегося. Но ведь интенция развития внутренних сил в наибольшей степени свойствена такой форме поведения, как игра. И вот здесь Д. Н. Узнадзе формулирует свое второе основное положение о природе учения: учение, хоть и предполагает развитие внутренних сил человека, в отличие от игры оно получает свой предмет извне, а не на основе свободного импульса упомянутых внутренних сил (Д. Н. Узнадзе, 1961).

Такая квалификация учения у Д. Н. Узнадзе позволяет отнести его к исследователям, которые ведущую роль отводят формирующей функции. При этом от других исследователей его выгодно отличает то, что суть данной функции учения представлена здесь в достаточно четкой форме (конечно, в том виде, который она получила в общей психологической концепции Д. Н. Узнадзе). Однако Д. Н. Узнадзе, так же, как и упомянутые выше авторы, не ставил перед собой задачи специально исследовать функциональную природу учения. Вследствие этого формирующая функция учения не получила детального освещения и у него.

Можно было бы привести еще несколько определений учения, в которых ведущее место занимает формирующая функция, но суть дела от этого не изменится. Почти во всех них функциональная природа учения представлена недифференцированно. Как было сказано, это можно объяснить тем, что, когда речь идет о специфике учения на человеческом уровне развития, исследователи совершенно справедливо основной упор делают на его социальную природу (С. Л. Рубинштейн, А. Н. Леонтьев, Ш. Н. Чхартишвили и др.). Но, хотя такой подход к проблеме учения вполне адекватен, выяснить специфику функциональной природы учения у человека не менее важно. Именно поэтому есть смысл остановиться на некоторых принципах, исходя из которых мож-

но с большей полнотой осветить природу специфической для человека формирующей функции учения.

В проанализированных выше определениях учения формирующую функцию мы признали ведущей по той причине, что в ней так или иначе подчеркивается развитие внутренних сил человека, имеющее место в результате осуществления актов учения. Такой подход при выяснении сути формирующей функции учения кажется вполне правомерным, т. к. развитие внутренних сил человека, безусловно, может быть признано основным содержанием формирования его как человека вообще. Однако все дело в том, какое содержание вкладывать в процесс развития внутренних сил человека. Если его понимать как процесс, характеризующийся закономерностями эквифиналитета (как это часто делается), согласно которым функциональные системы живого организма в своем развитии проходят через заранее определенные ступени и приходят к такой же мере заранее определенному конечному состоянию, мы можем оказаться перед весьма трудноразрешимой проблемой. Ведь, если процессу развития внутренних сил человека приписывать конечный характер, придется допустить, что человек в своем развитии, дойдя до определенной точки, прекращает его. Иными словами, придется допустить, что продолжая существовать как человек, свое развитие он тем не менее прекращает. С таким допущением согласиться трудно. В своем развитии человек, как известно, не следует «какому-то ни было заранее установленному масштабу... он не стремится оставаться чем-то окончательно установившимся, а находится в абсолютном движении становления» (К. Маркс, 1968). В этом смысле процесс развития человека и, следовательно, его внутренних сил можно признать процессом бесконечным, процессом, который ни коим образом не подчиняется принципу эквифинальности.

Сказанное станет яснее, если описать специфику действия функциональных систем организма на биологическом и человеческом уровнях развития. На биологическом уровне адаптивный характер активности организма определяет строгую замкнутость системы «функция организма — среда». Существование и успешное функционирование такой системы возможно потому, что, с одной стороны, строго ограничена среда, данная организму во врожденных видовых механизмах, с другой, — соответствующие этой среде пути развития функциональных систем, также данные организму во врожденных механизмах[2]. В соответствии со сказанным, со стороны организма для развития той или иной функциональной системы (и всего организма вообще) ничего кроме внутренней тендеции к развитию, т. н. функциональной тенденции, не нужно. Весь процесс выглядит гармоничным: функциональная система имеет определенные возможности развития и эти возможности реализуются, если в той же степени определенная среда, данная во врожденных механизмах, налицо.

На человеческом уровне, эта, имеющая биологическую природу, гармония нарушается. В связи с предметным (в марксовом понимании) характером его деятельности среда для человека перестает быть в чем-то или чем-то ограниченной и заранее ему не дана. А это означает, что развитие функциональных систем у человека становится зависимым не только от функциональной тенденции, но и от той ничем не ограниченной предметной среды, в которой человеку приходится осуществлять

2 Если условия среды выходят за пределы данной замкнутой системы, то они просто теряют для организма значение среды, и он или проходит мимо них, или гибнет, если этой возможности у него нет.

свою деятельность[3]. Функция перестала находиться в строгой зависимости от определенной, заранее данной среды. Развитие ее освободилось от довлеющей над ней на биологическом уровне эквифинальности и стало раз и навсегда неограниченным и в этом смысле бесконечным.

Описанная специфика развития внутренних сил человека, как было сказано, обусловливается предметным характером самой деятельности человека. Главное, что эту деятельность отличает от заранее предопределенной и конечной адаптивной активности организмов, это то, что человек не просто взаимодействует с предметным миром (как предмет с предметом в соответствии с ограниченностью своей телесной организации), а, строя свои отношения с ним, постоянно выходит за исторически обусловленные пределы «возможного и невозможного». Таким образом, являясь субъектом предметной деятельности, человек не имеет собственной конечной природы, которая была бы «заранее данной мерой его бытия» (Г. С. Батищев, 1969). И именно в этом смысле специфически человеческая, предметная деятельность имеет всецело открытый, бесконечный характер, принципиально не допускающий ее замыкания в самой себе и обусловливающий ее постоянное поступательное движение вперед.

Итак, человеку свойствена специфическая для него предметная деятельность, носящая всецело открытый характер и выражающаяся в бесконечном стремлении овладеть (через процесс распредмечивания-опредмечивания) окружающим миром, в бесконечном стремлении посредством этого расширить свой собственный внутренний мир. В виде общего вывода можно, следовательно, сказать, что формирующую функцию учения можно адекватно определить через закономерности именно предметного уровня деятельности человека. С другой стороны, такой адекватной основой для определения регулирующей функции учения нужно признать чисто адаптивный уровень поведения человека. Принятый здесь подход можно считать продуктивным в том смысле, что учение в данном случае рассматривается как явление неоднородное по своему характеру. А это, нужно полагать, дает основу для адекватной интерпретации различных проявлений учебной активности человека.

Основываясь на данном подходе можно, например, с большим или меньшим успехом решить вопрос о том, представляет ли собой тот или иной учебный акт самостоятельную форму поведения или это просто учебная активность, осуществляемая в русле какого-либо неучебного поведения. Вопрос этот, как известно, можно решить путем анализа потребностей, лежащих в основе той или иной учебной активности человека. При этом к самостоятельной форме поведения можно будет отнести учебную активность — если окажется, что лежащая в ее основе потребность специфически ее характеризует. Проанализируем с этой точки зрения попеременно учебную активность, в которой реализуется регулирующая функция, и учебную активность, в которой реализуется формирующая функция. Как было сказано, анализ учебной активности, в которой реализуется регулирующая ее функция, необходимо проводить в свете закономерностей адаптивного поведения. Целью адаптивного поведения является обеспечение адаптации организма к конкрет-

3 Говоря в этом случае о специфике среды, в которой происходит развитие функциональных систем человека, мы отвлекаемся от того, что данная среда это социальная среда и специально подчеркиваем ее бесконечный и неограниченный характер, т. к. эти два понятия друг друга не покрывают. В самом деле, социальная среда вполне может обусловить развитие и адаптивных механизмов поведения.

ным условиям среды. Акты учения в составе данного поведения должны служить той же цели. Они возникают в этом случае лишь тогда, когда обнаруживается, что приемлемый уровень адаптации наличными возможностями субъекта не достигается. Когда же в результате учения наличные возможности адаптацию обеспечивают, то необходимость в актах учения отпадает. Данный анализ, как нам кажется, недвусмысленно указывает на то, что никакой самостоятельной потребности у актов учения, включаемых в состав адаптивного поведения, нет. И, хоть результат учения в этом случае налицо (приемлемый уровень адаптации достигнут), можно сказать, что мы имеем здесь дело с таким видом учения, который, осуществляясь в русле неучебного поведения, не представляет собой самостоятельной формы поведения.

Как же обстоят дела в актах учебного поведения, в которых реализуется формирующая функция учения? В данном случае в первую очередь необходимо учесть, какой характер приобретают потребности, когда они лежат в основе предметной по характеру деятельности. Ведь формирующей функцией учение обладает тогда, когда оно осуществляется в виде предметной деятельности человека. Как мы уже имели случай утверждать, потребность как побудительная сила предметной деятельности обладает открытой, бесконечной природой в том смысле, что она одновременно и направляет акты поведения на то, чтобы снять самое себя, и дает начало новой побудительной силе, способной вызвать к жизни новые акты поведения, т. е. восстанавливает самое себя в новой форме (А. А. Алхазишвили, 1974). Мы уже отмечали там же и то, что такой характер может на человеческом уровне развития принять любая потребность, т. е. что любая потребность человека, независимо от ее конкретного содержания, может оказаться бесконечной. Иными словами, любая потребность может обеспечить актам поведения бесконечное, поступательное движение вперед, если деятельность, в основе которой она лежит, — предметная деятельность (точно так же как любая потребность имеет конечную природу, если она лежит в основе адаптивного поведения).

Если иметь в виду конкретное содержание потребностей, имеющих бесконечный характер, то может на первый взгляд показаться, что у учения и в этом случае нет специфической для него потребности. В самом деле такой характер может приобрести любая из человеческих потребностей, коль скоро она в конкретной жизнедеятельности данного человека приобрела указанное свойство. Тем не менее можно говорить, что учение, когда оно реализует свою формирующую функцию, характеризуется специфичностью действия потребности, лежащей в ее основе. Как это ясно из общего контекста работы, потребность, обретая свойство бесконечности, побуждает человека совершать все новые и новые акты поведения в поисках еще неизведанного, еще неизвестного. А это и является решающим свойством потребности, когда речь идет о соответствии ее специфики с учебным поведением. Можно поэтому утверждать, что специфической для учения, реализующегося как самостоятельная форма поведения, является любая потребность, которая в конкретных условиях развития жизнедеятельности человека приобретает бесконечный характер. При этом для осуществления данного типа учения решающее значение имеет не столько конкретное содержание данной потребности, ее конкретная направленность, сколько свойство бесконечности, которым эта направленность обладает в данных условиях. Акты учения в этом случае и сами приобретают всецело открытый характер. Это находит выражение в том, что они своим результатом одновременно и снимают актуальную потребность в том виде, в каком она их по-

буждала, и наполняют ее новым содержанием, давая тем самым начало новым же актам учения.

Все сказанное в данной работе можно суммировать следующим образом. Функциональная природа учения у человека как проблема научного исследования разрабатывается в недостаточной степени. Одни исследователи (в основном зарубежные), работы которых характеризуются именно функциональным подходом к разрешению проблемы учения, оказавшись в плену биологизации процесса учения, обусловленного в данном случае методологией позитивизма, упускают из виду свойства, которые учение пиобретает на человеческом уровне развития, и выделяют лишь регулирующую функцию учения. Другие исследователи (в основном советские), стремясь установить специфику учения именно на человеческом уровне развития, главным образом концентрируют свое внимание на социальной природе учения и в результате упускают из виду ее функциональную основу вообще.

Учение у человека обладает дифункциональной природой. Человек, так же как и все живые существа, являясь субъектом конечного в своей основе адаптивного поведения, именно тем и отличается от них, что его поведение специфически характеризуется бесконечной в своей основе предметной направленностью. В соответствии с этим учение у человека имеет, с одной стороны, функцию регулирующую, обеспечивающую приемлемый уровень адаптации со средой, с другой, — функцию формирующую, обеспечивающую его бесконечное и абсолютное движение становления. Причем именно в последнем случае учение осуществляется в виде самостоятельной формы поведения.

Дифференцированный подход к изучению функциональной природы учения имеет, как нам кажется, не только теоретическое значение, но и прикладное. В частности, можно утверждать, что именно на основе такого подхода должны решаться кардинальные вопросы стратегии школьного воспитания и обучения. Ведь в зависимости от того, какую функциональную направленность учения акцентировать в школьном обучении, можно воспитать или человека, стремящегося в основном только приспосабливаться к окружающей среде, или человека, стремящегося, наряду с этим, ставить перед собой и разрешать все новые и новые задачи.

ЛИТЕРАТУРА

1. Алхазишвили А. А. Специфика потребности у человека, Материалы I Всесоюзной конференции «Проблемы формирования социогенных потребностей», Тбилиси, 1974.
2. Батищев Г. С. Деятельностная сущность человека как философский принцип, в сб.: «Проблема человека в современной философии», Москва, 1969.
3. Лингарт Йозеф. Процесс и структура человеческого учения, Москва, 1969.
4. Маркс К. Критика политической экономики (черновые наброски 1857—1858 годов), К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. 46, ч. I, Москва, 1968.
5. Менчинская Н. А. Учение, Педагог. энциклопедия, т. 4, 1968.
6. Рубинштейн С. Л. Основы общей психологии, Москва, 1940.
7. Узнадзе Д. Н. Экспериментальные основы психологии установки, Тбилиси, 1961.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ეკონომიკა

დავით კურტანიძე

შრომითი რესურსების როლი მწარმოებლურ ძალთა გაადგილებაში

კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის პირობებში საზოგადოებრივი წარმოების განვითარების ტემპები, მისი ეფექტიანობა და მშრომელთა კეთილდღეობის ზრდა მჭიდროდ არის დაკავშირებული შრომითი რესურსების გამოყენების გაუმჯობესების პრობლემასთან. „მეათე ხუთწლედის მთავარი ამოცანაა თანმიმდევრულად განვახორციელოთ კომუნისტური პარტიის კურსი, რათა საზოგადოებრივი წარმოების დინამიკური და პროპორციული განვითარებისა და მისი ეფექტიანობის ამაღლების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, შრომის ნაყოფიერების ზრდის, სახალხო მეურნეობის ყველა რგოლში მუშაობის ხარისხის ყოველნაირი გაუმჯობესების საფუძველზე ავამაღლოთ ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონე“[1], რომლის გადაჭრისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა შრომითი რესურსების უკეთესი ტერიტორიული და დარგობრივი ორგანიზაცია. შრომითი რესურსების რაციონალური გამოყენება ასევე მნიშვნელოვანია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის საფუძვლის, სახალხო მეურნეობის წამყვანი დარგის — მრეწველობისათვის. იმასთან დაკავშირებით, რომ მკვეთრად მწვავდება შრომითი რესურსების პრობლემა, — რაზედაც მიუთითა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა სკკპ XXV ყრილობაზე, — განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს წარმოების ეფექტიანობის გადიდება.

ქვეყნის ეკონომიკის განვითარების უმთავრესი მაჩვენებლის — ნაციონალური შემოსავლის გადიდება, როგორც ცნობილია, მიიღწევა ორი გზით: საზოგადოებრივი შრომის მწარმოებლურობის ზრდით და მატერიალური წარმოების დარგებში დასაქმებულ მუშაკთა რიცხვის გადიდებით. ვინაიდან ნაციონალური შემოსავლის გადიდების მეორე წყარო ზღვარდებულია, პრიორიტეტი საზოგადოებრივი შრომის მწარმოებლურობის ზრდას მიეკუთვნება, რამაც ასახვა ჰპოვა მეათე ხუთწლიან გეგმაში; სახელდობრ, შრომის მწარმოებლურობის ზრდის კვალობაზე მიღწეული უნდა იქნეს სამრეწველო პროდუქციის მატების დაახლოებით 90%, სოფლის მეურნეობისა და მშენებლობის პროდუქციის მთელი მატება. სულ ამ გზით მიღებული იქნება ჩვენი ქვეყნის ნაციონალური შემოსავლის მატების 85—90%, მაშინ, როცა წინა ხუთწლედში იყო 80%. დასახული მიჯნების მიღწევა შესაძლებელია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებით, მრავალი ახალი მრეწველური საწარმოს ოპტიმალური გაადგილებით, არსებული შრომითი რესურსების უფრო რაციონალური გამოყენებით, სამუშაო დროის დანაკარგებისა და მოცდენების ლიკვიდაციით, არარიტმული მუშაობის აღკვეთით, კადრების დიდი დენადობის შემცირებით, ტექნოლოგიური ნორმატივების ზუსტი დაცვითა და გაუმჯობესებით.

თანამედროვე პირობებში საწარმოთა გაადგილების უმნიშვნელოვანეს ფაქტორად აღიარებულია შრომითი რესურსები. მწარმოებლურ ძა-

1 სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976—1980 წლების ძირითადი მიმართულებანი, თბ., 1976, გვ. 14.

ლთა ტერიტორიულ გაადგილებას კვლავაც განსაკუთრებული ყურადღება მიექცა სკკპ XXV ყრილობაზე. ეს საკითხი აქტუალურია ეკონომიკის დარგობრივი და ტერიტორიული პროპორციების გაუმჯობესებისათვის. სოციალისტური წარმოების გაადგილება საზოგადოებრივი წარმოების ორგანიზაციის ერთ მხარეს წარმოადგენს, სწორედ მისი ტერიტორიული ორგანიზაცია არის განპირობებული სოციალიზმის ეკონომიკური კანონებით, უწინარეს ყოვლისა კი სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონით — ხალხის მუდმივად მზარდი მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა რაც შეიძლება სრული დაკმაყოფილება უმაღლესი ტექნიკის ბაზაზე სოციალისტური წარმოების ზრდისა და სრულყოფის გზით. იგი არეგულირებს ყველა პროცესს, მის ყველა მხარეს და უმორჩილებს ეკონომიკურ სტრატეგიას „ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის განუხრელ ამაღლებას“[2]; მაგრამ სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონი განსაზღვრავს მწარმოებლურ ძალთა განვითარებისა და გაადგილების მხოლოდ საერთო მიმართულებებს. მისი მოთხოვნათა რეალიზება ხდება სხვა ეკონომიკური კანონების ფუნქციონირებით, უწინარეს ყოვლისა — სამუშაო დროის ეკონომიის კანონით, რომლის გამოვლენის ფორმა სხვადასხვანაირია ცალკეულ დარგებში.

სოციალიზმის ერთ-ერთი სპეციფიკური ეკონომიკური კანონი გულისხმობს სახალხო მეურნეობის გეგმაზომიერ, პროპორციულ განვითარებას და მისი ზემოქმედება საწარმოთა გაადგილებაზე ვლინდება ეკონომიკური რეგიონის მწარმოებლურ ძალთა კომპლექსურ და ჰარმონიულ განვითარებაში, რაც ხელს უწყობს მოცემული ეკონომიკური რეგიონის ცალკეულ დარგთა ოპტიმალურ განვითარებას, რეგიონებს შორის სწორი სახალხომეურნეობრივი პროპორციების დაცვას, რის შედეგადაც მიიღწევა საზოგადოებრივი შრომის მწარმოებლურობის გადიდება. მაშასადამე, წარმოების გაადგილების მარეგულირებელია სოციალიზმის ეკონომიკურ კანონთა მთელი სისტემა და ამ ეკონომიკური კანონების მოთხოვნებიდან გამომდინარე სპეციფიკური პრინციპები[3], რომლებიც ასახავენ წარმოების განვითარებისა და გაადგილების ფაქტორებსა და პირობებს შორის გარკვეულ მყარ კავშირს, ამასთან ზოგიერთი კავშირი მუდმივია (ისინი რომლებიც გამომდინარეობენ ეკონომიკური კანონებიდან), სხვები კი შედარებით ხანგრძლივია (ისინი, რომლებიც ასახავენ ამა თუ იმ ისტორიული ეტაპის სოციალურ-პოლიტიკურ ფაქტორებს), ამიტომ შეუძლებელია ჩამოვაყალიბოთ უცვლელი პრინციპები და ამ ცვალებადობას გვისაბუთებს ომამდელი ხუთწლედების მაგალითი, რომლისაც განსახორციელებელი იყო ერთ-ერთი პრინციპი — ჩამორჩენილი ნაციონალური რესპუბლიკების მეურნეობისა და კულტურის ამაღლება მოწინავეთა დონემდე. როცა ეს ამოცანა გადაწყდა, გამოჩნდა უფრო ზოგადი პრინციპი — რეგიონების ეკონომიკური განვითარების დონეთა გამოთანაბრება. თანამედროვე ეტაპის დამახასიათებელია შრომისუნარიანი მოსახლეობის უფრო სრულიად ჩაბმა საზოგადოებრივ წარმოებაში; ტერიტორიული დაგეგ-

---

[2] ლ. ი. ბრეჟნევი. სკკპ ცენტრალური კომიტეტის ანგარიში და პარტიის მორიგი ამოცანები საშინაო და საგარეო პოლიტიკის დარგში, თბ., 1976, გვ 54.

[3] დ. კურტანიძე. საბჭოთა საქართველოს მანქანათმშენებლობის ოპტიმალური განვითარებისა და გაადგილების საკითხები, თბ., 1976, გვ. 39.

მვის სწორი შეხამება სახალხო მეურნეობის მართვის დარგობრივ პრინციპთან; ახალი სამრეწველო ობიექტების მშენებლობა შრომითი რესურსების უკეთ გამოყენებისა და მრეწველობის უფრო თანაბარზომიერი გაადგილების მიზნით (უმთავრესად საშუალო სიდიდის და მცირე ქალაქებში), რათა აღმოიფხვრას მსხვილ ქალაქებში მოსახლეობის მეტისმეტი სიმჭიდროვე (და ეს უკვე შეიმჩნევა საქართველოში).

სოციალისტურ საწარმოთა გეგმაზომიერი გაადგილების პროცესის სწორი გაგებისათვის გაადგილების საერთო პრინციპებსა და ფაქტორებთან ერთად აუცილებელია სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის გაადგილების თავისებურების გათვალისწინება, როდესაც გაადგილების პრინციპები და ფაქტორები სხვადასხვაგვარად ვლინდებიან, — ეს გამოწვეულია დარგთა ტექნიკურ-ეკონომიკური თავისებურებით, წარმოების სხვადასხვა შრომატევადობით, მასალატევადობით, ენერგოტევადობით, ნედლეულისა და მზა პროდუქციის ტრანსპორტაბელობით და ა. შ. აღნიშნულ თავისებურებათა როლი მნიშვნელოვანია გაადგილების დაგეგმვის პრაქტიკაში, რაც დღის წესრიგში სვამს სხვადასხვა ფაქტორთა შესწავლისა და მათ შორის კავშირურთიერთობის დამყარების ამოცანის გადაწყვეტას ყოველი ცალკეული დარგის გეოგრაფიული გაადგილების თავისებურებებთან შეთანხმებით.

როგორც აღვნიშნეთ, საწარმოთა გაადგილების საკმარისად ქმედითი ფაქტორი თანამედროვე ეტაპზე არის შრომითი რესურსები. ამასთან, ჩვენი რესპუბლიკის ზოგიერთ მსხვილ სამრეწველო ცენტრში შეიმჩნევა მუშახელის ნაკლებობა, რაც გამოწვეულია დიდ ქალაქებში მრეწველობის დიდი კონცენტრაციით. მაგალითად: აღმოსავლეთ-ცენტრალურ (თბილისის) ეკონომიკურ რაიონში, სადაც 18 ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დანაყოფია, სამრეწველო წარმოება თავმოყრილია ქ. თბილისში, ქ. რუსთავში, გარდაბნისა და გორის რაიონებში; ამ ეკონომიკურ რაიონში იწარმოება მრეწველობის მთლიანი პროდუქციის 40%-ზე მეტი[4]. ზემოაღნიშნულ ადმინისტრაციულ ერთეულებში მზადდება ამ ეკონომიკურ რაიონში წარმოებული სამრეწველო პროდუქტის 90%. საქართველოს აღმოსავლეთ-ცენტრალურ (თბილისის) და დასავლეთ-ცენტრალურ (ქუთაისის) ეკონომიკურ რაიონებში იწარმოება რესპუბლიკის მრეწველობის მთლიანი პროდუქციის 70%, ხოლო მათ წილად მოდის შრომითი რესურსების 57,3%[5]. დანარჩენ ეკონომიკურ რაიონებზე (აღმოსავლეთის, სამხრეთის, დასავლეთის, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის) მოდის მთლიანი პროდუქციის 30%-ზე ნაკლები, მაგრამ დასაქმებულია შრომითი რესურსების მნიშვნელოვანი წილი. ყოველივე ეს ეკონომიკურ რაიონებსა და ადმინისტრაციულ ერთეულებში სამრეწველო წარმოების ცალმხრივ კონცენტრაციაზე მიუთითებს და უარყოფითად მოქმედებს შრომითი რესურსების ეფექტურ გამოყენებაზე.

სახალხო მეურნეობის წამყვანი დარგის — მანქანათმშენებლობის განვითარების თავისებურება და ამ დარგში მომუშავეთა შემადგენლობის სპეციფიკურობა ხელს უწყობს რესპუბლიკის შრომითი რესურსების რაციონა-

[4] ა. გუნია. თბილისის მრეწველობის დარგობრივი სტრუქტურის სრულყოფისათვის, ჟურნ. „ეკონომისტი“, 1975, № 11, გვ. 20.

[5] ი. მანაშეროვი, ლ. შევკუნოვა. მრეწველობის ტერიტორიული განლაგების სრულყოფის საკითხები, ჟურნ. „ეკონომისტი“, 1975, № 8, გვ. 22.

ლური გამოყენების ამოცანის გადაწყვეტას, გავლენას ახდენს სახალხო მეურნეობის სხვა დარგების განვითარებაზე. საწარმოთა გაადგილების ადგილმდებარეობის შერჩევისას ცნობილი უნდა იყოს არა მარტო ამა თუ იმ რაიონის შრომითი რესურსების ბალანსი, არამედ მათი სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა. შრომითი რესურსების როლი მანქანათმშენებლობისა და სხვა დარგების გაადგილებაში გამოიხატება მათ მიერ წარმოებული პროდუქციის თვითღირებულების სტრუქტურით, ამასთან, მანქანათმშენებელ დარგში მუშაკთა კვალიფიკაციის დონე დიდ გავლენას ახდენს წარმოების მთელ ეკონომიკაზე.

საქართველოს სსრ მსხვილი ქალაქების საწარმოთა შრომითი რესურსების გამოყენებასთან დაკავშირებული მრავალი პრობლემიდან აღსანიშნავია საწარმოთა ერთი ნაწილის არადამაკმაყოფილებელი დაკომპლექტება კვალიფიციური კადრებით, მუშახელის შევსების წყაროების შეზღუდულობა, მექანიკური მოძრაობის დიდი მასშტაბები, კადრების დენადობის გადიდება და სხვ. მსხვილ ქალაქებში მცირეა ახალ საწარმოთა გადაადგილებისათვის საჭირო ტერიტორია, მწვავდება საცხოვრებლებისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საკითხი. ასეთი ქალაქები კომპლექსურადაა განვითარებული, ამის გამო მათში ახალი მსხვილი სამრწველო ობიექტების მშენებლობა დიდი რაოდენობით მიიზიდავს მუშახელს პერიფერიიდან, რაც გამოიწვევს შრომითი რესურსების განაწილებაში დისპროპორციებს.

ტერტორიული და სამეურნეო ერთეულისათვის შრომითი რესურსების გამოყენების ერთ-ერთი მაჩვენებელია მოსახლეობის დასაქმება მრეწველობაში, რომლის განვითარების დონე უშუალოდ ახდენს გავლენას მთელი სახალხო მეურნეობის განვითარებაზე. აღმოსავლეთ-ცენტრალური (თბილისის) და დასავლეთ-ცენტრალური (ქუთაისის) ეკონომიკური რაიონების განვითარებამ გამოიწვია მათში არსებულ დიდ ქალაქებში შრომითი რესურსების თავმოყრა და პრაქტიკულად შეიზღუდა მუშახელის შევსების წყარო. სწორედ ასეთი ვითარება აყენებს დღის წესრიგში შრომითი რესურსების ოპტიმალური გამოყენების საკითხს.

მიმდინარე ხუთწლედში და უფრო შორი პერსპექტივით სახალხო მეურნეობის მოთხოვნა კადრებზე უნდა დაკმაყოფილდეს წარმოების ცალკეულ სფეროში დასაქმებულთა გადანაწილების გზით, რასაც საფუძვლად ედება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებით გამოწვეული სტრუქტურული ცვლილებები. მრეწველობის დარგობრივი სტრუქტურის გაუმჯობესება არსებითად ზემოქმედებს შრომითი რესურსების დასაქმებულობასა და მათს ეფექტურ გამოყენებაზე. ტექნიკური პროგრესი, წარმოების ფონდაღჭურვილობის გადიდება შესაძლებლობას იძლევა, რომ დასაქმებულ მუშათა რაოდენობის შემცირებისას მაინც მიიღწეოდეს პროდუქციის მოცულობის გადიდება; მაგრამ თუ წარმოებაში წარმოიშვა მუშახელის დეფიციტი, იგი გამოიწვევს გაწყობილობის მოცდენას, შრომითი რიტმის დარღვევას, ზედმეტი სამუშაო საათების გადიდებას, პროდუქციის ხარისხის გაუარესებას, კადრების დენადობის გადიდებას და სხვ. სავსებით ცხადია, რომ იმ შემთხვევაში, როცა ეკონომიკურ რაიონში არ ქმარა შრომითი რესურსები, აქ უნდა განვავითაროთ მრეწველობის ის დარგები, რომლებშიც კაპიტალურ დაბანდებათა ზრდა გამოიწვევს მომუშავეთა მნიშვნელოვან გამოთავისუფლებას წარმოებიდან. ჩვენ არ უარვყოფთ პროდუქციის წარმოების მოცულობის

ზრდას მომუშავეთა რიცხვის გადიდებით, მაგრამ იმ ეკონომიკურ რაიონებში, სადაც შეიმჩნევა მუშახელის ნაკლებობა, სამრეწველო წარმოება უნდა გაიზარდოს განსაკუთრებით ინტენსიური ფაქტორებით, რომელთაგან ძირითადია წარმოების ტექნიკური ბაზის განახლება.

ამრიგად, ძირითადი მწარმოებლური ფონდებისა და ფონდაღჭურვილობის ზრდა, ხოლო ამის საფუძველზე შრომის მწარმოებლურობის გადიდება მუშაკთა დეფიციტის ნაწილობრივი ლიკვიდაციის შესაძლებლობას იძლევა. როდესაც საქართველოს დიდ ქალაქებში შრომითი რესურსების დაძაბული ბალანსი გვაქვს, მაღალმთიან ადმინისტრაციულ რაიონებში არის დაუსაქმებელი შრომითი რესურსები, ვინაიდან ბუნებრივი გეოგრაფიული პირობების გამო მთიანი რაიონების სოფლის მეურნეობაში შრომითი რესურსების დასაქმების სფერო შეზღუდულია, — თუმცა ზოგიერთ მთიან რაიონში მაინც მოიძებნება საამისო ბუნებრივი რესურსებიც, რაც დღის წესრიგში აყენებს ასეთ რაიონებში სამრეწველო საწარმოთა ფილიალების მშენებლობის მიზანშეწონილობას.

საშუალო და მცირე ქალაქებში დიდი რაოდენობით არიან პირად-დამხმარე და საოჯახო მეურნეობაში დასაქმებულნი, რომელთა საზოგადოებრივ წარმოებაში ჩაბმა რესპუბლიკის ეკონომიკურ პოტენციალს მეტად გაადიდებს. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ჩვენი რესპუბლიკის სამხრეთ რაიონებში, სადაც 200 ათასზე მეტი კაცი ცხოვრობს, მრეწველობა ნელი ტემპით ვითარდება.

საშუალო და პატარა ქალაქებში საწარმოთა გაადგილება უშუალოდ გამომდინარეობს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976—1980 წლების ძირითადი მიმართულებიდან. „განვალაგოთ მრეწველობის შრომატევადი წარმოებანი შრომითი რესურსების ხელსაყრელი ბალანსის მქონე მოკავშირე რესპუბლიკებსა და ეკონომიურ რაიონებში; გავაუმჯობესოთ ადგილობრივი კვალიფიციური კადრების მომზადება; კვლავაც შევზღუდოთ დიდი ქალაქების ზრდა, განვავითაროთ ეკონომიურად პერსპექტიული პატარა და საშუალო ქალაქები და განვალაგოთ იქ უმთავრესად პატარა საწარმოები, მოქმედი გაერთიანებების, ფაბრიკებისა და ქარხნების ფილიალები და სპეციალიზებული საამქროები“[6]. ამ ამოცანის გადაჭრით მოხდება სხვადასხვა სიდიდის ქალაქების მოსახლეობის ცხოვრების დონის გამოთანაბრება, ხოლო ეს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა ქალაქსა და სოფელს შორის არსებითი განსხვავების დასაძლევად. ასეთი ღონისძიებების გატარება, რომელსაც ესოდენ დიდ ყურადღებას უთმობენ საკავშირო და რესპუბლიკური საგეგმო ორგანოები, აუცილებელია რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ტერიტორიული პროპორციების გაუმჯობესებისათვის. ამასთან, დიდი ქალაქებისა და სამრეწველო ცენტრების საწარმოთა ფილიალების შექმნით ეფექტურად გადაწყდება არასრულად დასაქმებული და თავისუფალი მუშახელის რაციონალური გამოყენების პრობლემა; ამავე დროს მკვეთრად შემცირდება არარაციონალური მიგრაცია და მიეცემა მას ოპტიმალური მიმართულება. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება ამ პრობლემის გადაჭრას ჩვენი რესპუბლიკის მაღალმთიან და მთისწინა რაიონების მოსახლეობისათვის, სა-

6 სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976—1980 წლების ძირითადი მიმართულებანი, თბ., 1971, გვ. 91.

დაც დიდია მიგრანტთა ხვედრითი წონა. შრომითი რესურსების განაწილებისა და დასაქმების სტრუქტურაში ცვლილებები შეაქვს სახალხო მეურნეობის ცალკეული დარგების განვითარების განსხვავებულ ტემპებს. სხვა თანაბარ პირობებში, როგორც წესი, დასაქმებულთა ხვედრითი წონა იზრდება იმ დარგებში, რომელთა განვითარების ტემპები მაღალია. სხვა რაიონებიდან შრომითი რესურსების მოზიდვა ლოკალურ ხასიათს ატარებს, მაგრამ შემდეგ გამოიწვევს ამ რაიონებში შრომითი რესურსების დეფიციტს.

შრომითი რესურსების ოპტიმალური გამოყენების თვალსაზრისით, საჭიროა გარკვეულ ღონისძიებათა განხორციელება მამაკაცთა და ქალთა უფრო თანაბარზომიერი შრომითი დატვირთვისათვის, — ამას კი უზრუნველყოფს ეკონომიკური რაიონების მრეწველობის დარგობრივი სტრუქტურის სრულყოფის ღონისძიებების გატარება. ამ თვალსაზრისით საკმაოდ ეფექტურია მრეწველობის კვანძობრივი გაადგილება, სამრეწველო გაერთიანებების შექმნა. ამ მიმართულებით ჩვენს რესპუბლიკაში ფართოდაა გაშლილი მუშაობა. მიმდინარე ხუთწლედში შრომითი რესურსების რაციონალური გამოყენების მიზნით, ჩვენს რესპუბლიკაში დასახულია მანქანათმშენებლობის, ნავთობგადამამუშავებელი მრეწველობის, კვების მრეწველობისა და სხვა პროგრესული დარგების ფორმირება და განვითარება.

უმნიშვნელოვანესი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემაა შრომითი რესურსების რაციონალური გამოყენება სოფლის მეურნეობის დარგებში, სადაც, სახალხო მეურნეობის სხვა დარგებთან შედარებით, დასაქმებულთა რაოდენობა მნიშვნელოვნად დიდია და შესაბამისად დაბალია შრომის მწარმოებლურობა.

თანამედროვე პირობებში არსებითად გაუმჯობესდა სოფლის მშრომელთა მატერიალური მდგომარეობა და შრომის პირობები, მაგრამ იმასთან დაკავშირებით, რომ შეიქმნა უმაღლესი განათლების მიღების ფართო შესაძლებლობა, ხოლო ახალგაზრდობა უმთავრესად ისწრაფვის არასოფლისმეურნეობრივი მეცნიერული დარგებისაკენ, ამან ხელი შეუწყო ახალგაზრდობის მიგრაციას სოფლიდან ქალაქად. აღსანიშნავია სოფლის მოსახლეობის მისწრაფება გაიუმჯობესოს შრომისა და საყოფაცხოვრებო პირობები, — ეს პროცესი არ არის უარყოფითი მოვლენა, მით უმეტეს, თუ იგი ხელს უწყობს სახალხო მეურნეობაში შრომის რესურსებზე მოთხოვნის დაკმაყოფილებას. უარყოფითია ის მოვლენა, რომ მიგრაცია ამაღლებს შრომითი რესურსებით რაიონების უზრუნველყოფაში არსებულ დისპროპორციებს. პრობლემად რჩება სოფლის მეურნეობის დარგთა კვალიფიციური კადრებით დაკომპლექტება.

თანამედროვე ეტაპზე სოფლად შრომისა და ყოფაცხოვრების პირობების კიდევ უფრო გაუმჯობესებისათვის ხორციელდება რიგი ღონისძიებები, სოფლის მეურნეობის მუშაკთა შრომის ანაზღაურება უფრო სწრაფი ტემპით იზრდება, ვიდრე მრეწველობასა და სახალხო მეურნეობის ბევრ სხვა დარგში. მეათე ხუთწლედში ჩვენი ქვეყნის მუშებისა და მოსამსახურეების ხელფასი 16-18%-ით უნდა გაიზარდოს, ხოლო კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურება 24-27%-ით. ჩვენი რესპუბლიკის მუშებისა და მოსამსახურეების ხელფასი გაიზრდება 22%-ით, კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურება კი — მესამედით.

სოფლად შრომითი რესურსების რაციონალურ გამოყენებას, ახალგაზრდა კადრების საწარმოებში დამაგრებას ხელს შეუწყობს პროფესიათა შერჩევის შესაძლებლობათა გაფართოება, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მექანიზაცია და ქიმიზაცია. აღსანიშნავია, რომ შრომითი რესურსები რაიონთა შორის ნაკლები მობილურობით ხასიათდება და თითქმის არ ემორჩილება სპეციალურ მასტიმულირებელ ღონისძიებებს. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია სოფლად სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გადამამუშავებელ ახალ, მძლავრ მრეწველურ საწარმოთა ფორმირება, მოქმედ შრომატევად საწარმოთა ფილიალების შექმნა, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების ორგანიზაცია, მოსახლეობის სავაჭრო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებების ფართო ქსელის შექმნა; ყოველივე ეს გამოიწვევს, აგრეთვე, ქალთა შრომის გამოყენებას, გამოათავისუფლებს მათ საოჯახო მეურნეობიდან და ჩართავს საზოგადოებრივ წარმოებაში. საჭიროა საოჯახო და პირად დამხმარე მეურნეობაში დასაქმებული დიასახლისების საზოგადოებრივ წარმოებაში ჩაბმის სხვა ფორმების ძიებაც. ყურადღება უნდა მიექცეს შრომითი რესურსების ერთ-ერთ რეზერვს — პენსიონერთა ცოდნისა და გამოცდილების გამოყენებას. საორიენტაციო გაანგარიშებით, ჩვენს ქვეყანაში 2000 წლისათვის იქნება 80 მილიონი პენსიონერი[7]. საჭიროა მომსახურების სფეროში დასაქმებულ მამაკაცთა შრომა შეიცვალოს ქალთა შრომით, რაც ამჟამად უკვე დამახასიათებელია ჩვენი რესპუბლიკისათვის.

მწარმოებლურ ძალთა გაადგილებისას შრომითი რესურსების ფაქტორზე ორიენტაცია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჩვენი რესპუბლიკისათვის, ვინაიდან მრეწველობის რიგ დარგებში წარმოებული პროდუქციის რესპუბლიკის გარეთ გაზიდვის კოეფიციენტი საკმარისად მაღალია. ამასთან, შრომითი რესურსებით უზრუნველყოფილ რაიონებში საწარმოთა ფორმირებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა ექცეოდეს. საქმე, ის არის, რომ წარმოება ადამიანის ინტერესებს, მათს კეთილდღეობას ემსახურება. შეიძლება საწარმო აიგოს და შემდეგ მოხდეს შრომითი რესურსებით მისი დაკომპლექტება, მაგრამ აქ წინასწარი ანალიზია საჭირო. საწარმოთა ფორმირება თავისთავად მოითხოვს, გარდა შრომითი და რესურსების მიგრაციისა, ინფრასტრუქტურის განვითარებას, რაც დიდ მატერიალურ და დროითს ხარჯვებთან არის დაკავშირებული.

ამრიგად, სახალხო მეურნეობაში შრომითი რესურსების ოპტიმალური განაწილება და გამოყენება მრავალმხრივი პრობლემაა, რომლის მეცნიერულ გადაჭრაზეა დამოკიდებული საზოგადოებრივი წარმოების დინამიკური და პროპორციული განვითარება, მისი ეფექტიანობის ამაღლება, ხალხის ცხოვრების დონის შემდგომი ზრდა.

---

[7] Трудовые ресурсы, Формирование и использование. Под редакцией Е. В. Касимовского. М., 1975, გვ. 5.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მირონ ტუღუში

თბილისის შრომითი რესურსების ფორმირების დემოგრაფიული ასპექტები

ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების ამოცანების წარმატებით გადაწყვეტა დიდად არის დამოკიდებული შრომითი რესურსების სრულ და რაციონალურ გამოყენებაზე, როგორც მთელი ქვეყნის ასევე მისი რეგიონების მიხედვით, ამიტომაა, რომ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976—1980 წლების ძირითად მიმართულებებში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი შრომით რესურსების ფორმირებისა და გამოყენების ეფექტიანობის ამაღლების პრობლემას. მიმდინარე ხუთწლედში მრეწველობის შრომატევადი წარმოებანი ძირითადად უნდა განვითარდეს შრომითი რესურსების ხელსაყრელი ბალანსის მქონე მოკავშირე რესპუბლიკებსა და ეკონომიკურ რაიონებში. კვლავაც შეიზღუდება დიდი ქალაქების ზრდა, მეტი ყურადღება დაეთმობა ეკონომიკურად პერსპექტიულ პატარა და საშუალო ქალაქებში მსხვილ-სამრეწველო ცენტრებში მოქმედი გაერთიანებების, ფაბრიკებისა და ქარხნების ფილიალებისა და სპეციალიზებული საამქროების აშენებას[1].

ჩვენს რესპუბლიკაში შრომითი რესურსების სრული გამოყენების მიზნით გათვალისწინებულია მსუბუქი და კვების მრეწველობის მოქმედ საწარმოთა ფილიალების ამოქმედება მთიან და მთისწინეთის რაიონებში.

როგორც ცნობილია, 1974 წლის იანვარში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს სპეციალური დადგენილება საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ. აღნიშნულ დადგენილებაში დასახულია რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის დაჩქარებული განვითარების კონკრეტული ღონისძიებანი, რომელთა წარმატებით შესრულებაში დიდია თბილისის როლი. მეათე ხუთწლედში უნდა მოხდეს დედაქალაქის მრავალი საწარმოს რეკონსტრუქცია და გაფართოება, აშენდეს რამოდენიმე ახალი საწარმო. ღღსანიშნავია, რომ რეკონსტრუქცია-გაფართოების შემდეგ საწარმოები ძირითადად მომუშავეთა რიცხვის გაუდიდებლად იმუშავებენ. მიუხედავად ამისა, მეათე ხუთწლედში შრომითი რესურსებზე მოთხოვნა მრეწველობაში რამდენადმე მაინც გაიზრდება უმთავრესად ახალი საწარმოების მწყობრში შესვლის გამო.

თბილისის სახალხო მეურნეობის შრომით რესურსებზე მოთხოვნის უზრუნველყოფის მდგომარეობის გარკვევისათვის აუცილებელია ქალაქის შრომითი რესურსების ფორმირების პროცესის ანალიზი. ამ მიზნიდან გამომდინარე იქნება დახასიათებული თბილისის მოსახლეობის ბუნებრივი და მექანიკური მოძრაობა, სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა.

მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობა მისი რიცხოვნობის ცვლილების მნიშვნელოვანი წყაროა. მთელი ქვეყნის, ან ცალკე რომელიმე რეგიონის მოსახლეობის როგორც რაოდენობრივი, ისე სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის ცვლილება დიდად არის დამოკიდებული შობადობისა და მოკვდაობის ინტენსივობის ცვლილებაზე. მოსახლეობის ბუნებრივი მატების თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესია შობადობის მაჩვენებელი; ამჟამად სწორედ ის განსაზღვრავს ძირითადად მოსახლეობის ბუნებრივი ზრდის ტემპს. საბჭოთა კავშირ-

[1] გაზ. „კომუნისტი“, 1976 წლის 7 მარტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში, ისევე, როგორც მსოფლიოს სხვა ცივილიზებულ ქვეყნებში, შობადობის მაჩვენებელს შემცირების ტენდენცია აქვს, რაც ძირითადად მშრომელთა კულტურის დონის ამაღლებით, ქალის პროფესიული შრომით, ურბანიზაციის პროცესითა და სხვათა გამო არის გამოწვეული.

საბჭოთა კავშირში შობადობის მაჩვენებელი 1000 მცხოვრებზე გაანგარიშებით 1940 წელს 31,2 შეადგენდა, 1960 წელს — 24,9, 1970 წელს 17,4; 1972 წ. — 17,8[2], 1974 წელს კი 18,0[3].

უკანასკნელ პერიოდში შობადობის მაჩვენებელი შემცირდა თითქმის ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში, გამონაკლისს წარმოადგენს ტაჯიკეთი, სადაც იგი რამდენადმე ამაღლდა. ჩვენს რესპუბლიკაში შობადობის მაჩვენებელი 1940 წელს 27,4 პრომილეს ტოლი იყო 1974 წელს კი 18,4[4] გახდა. ე. ი. ზემოაღნიშნულ პერიოდში იგი 9,0 პრომილეთი შემცირდა. შობადობის მაჩვენებელი მცირდება საბჭოთა კავშირის უმრავლეს დიდ და მსხვილ ქალაქებში, მათ შორის თბილისშიც. თბილისის მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის მაჩვენებლებზე წარმოდგენას გვაძლევს ცხრილი 1.

ცხრილი 1

თბილისის მოსახლეობის შობადობის, მოკვდაობისა და ბუნებრივი მატების მაჩვენებლები 1960—1974 წლებში[5]
(ათას მცხოვრებზე გაანგარიშებით)

წლები	შობადობა	მოკვდაობა	ბუნებრივი მატება
1960	19,7	7,4	12,3
1965	17,3	7,3	10,0
1966	16,6	7,2	9,4
1967	16,9	7,5	9,4
1968	16,8	7,5	9,3
1969	16,6	7,9	8,1
1970	18,0	8,0	10,0
1971	17,3	7,7	9,6
1972	16,7	7,6	9,1
1973	17,0	7,6	9,4
1974	16,9	7,9	9,0

ცხრილიდან ჩანს, რომ შობადობის საერთო კოეფიციენტი სტაბილური არ არის: მას შემცირების ტენდენცია ახასიათებს.

თბილისის მოსახლეობის შობადობის საერთო კოეფიციენტი მკვეთრად დაეცა ომის წლებში. ეს ბუნებრივიც არის. მაგალითად, 1943 წელს ეს მაჩვენებელი 13,4-ს, ხოლო 1944 წელს — 13,9 პრომილეს გაუთანაბრდა. 1946 წელს იგი მნიშვნელოვნად ამაღლდა, ხოლო 1947 წელს მან თბილისისათვის სარეკორდო ზღვარს — 23,0 პრომილეს მიაღწია. 1954 წელს შობადობის მაჩვენებელი 20,4-მდე შემცირდა, ხოლო 1956 წლიდან ის 20 პრომილემდე აღარ ამაღლებულა. ომის წლებს შემდეგ შობადობის საერთო კოეფიციენტმა ყველაზე დაბალ ზღვარს — 16,6 პრომილეს მიაღწია 1966—1969 წლებში, რაც ძირითადად 1941—1945 წლებში დაბადებულთა სიმცირით არის გამო-

[2] В. А. Болдырев. Итоги переписи населения СССР, М., 1974, გვ. 10.

[3] Вестник статистики, 1975, № 11, გვ. 91.

[4] Грузинская ССР в цифрах в 1971 году, Тб., 1975, გვ. 13.

[5] შედგენილია თბილისის სტატისტიკური სამმართველოს მასალების მიხედვით.

წვეული, ხოლო 1947 წელს დაბადებულთა სიმრავლემ განაპირობა 1970 წელს შობადობის კოეფიციენტის შედარებითი ამაღლება.

საბჭოთა კავშირის მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქების შობადობის კოეფიციენტების ანალიზიდან ჩანს, რომ ამ მხრივ შედარებით მაღალი მაჩვენებლები აქვს დუშანბეს, აშხაბადს, ტაშკენტს, ერევანს, ფრუნზეს, მაგალითად, 1965 წელს აშხაბადის მოსახლეობის შობადობის საერთო კოეფიციენტი 24,4[6] პრომილეს ტოლი იყო, 1973 წლისათვის იგი 22,3-დე შემცირდა. იგივე ითქმის დუშანბეს მოსახლეობის მიმართაც, სადაც შობადობის მაჩვენებელი ზემოაღნიშნულ პერიოდში 24,1 პრომილედან 22,8-დე შემცირდა. ყოველ 1000 მცხოვრებზე გაანგარიშებით საშუალოდ ყოველწლიურად 21-ზე მეტი ბავშვი იბადება ტაშკენტსა და ერევანში.

1965—1973 წლების შესაბამისი მონაცემების მიხედვით ჩვენ გავიანგარიშეთ მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქების მოსახლეობის შობადობის საშუალო მაჩვენებელი, რაც 17,8 პრომილეს ტოლია.

თბილისის მოსახლეობის შობადობის კოეფიციენტი აღნიშნულ საშუალო მაჩვენებელზე საკმაოდ დაბალია. თბილისზე უფრო დაბალი შობადობის კოეფიციენტი აქვს რიგას, მოსკოვს, კიევს, ტალინს, კუიბიშევს, ნოვოსიბირსკს სვერდლოვსკს, ხარკოვს.

აღსანიშნავია, რომ შობადობის საერთო კოეფიციენტზე ძლიერ ზეგავლენას ახდენს მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა. ამდენად, შობადობის ანალიზი მისი საერთო კოეფიციენტების მიხედვით არ იქნებოდა სრულყოფილი. შობადობის დონის მეცნიერული შესწავლისათვის აუცილებელია ქალის ნაყოფიერების ასაკობრივი კოეფიციენტების დინამიკის გაანალიზება (ცხრილი 2).

ცხრილი 2

თბილისში ქალის ნაყოფიერების ასაკობრივი კოეფიციენტების დინამიკა 1959—1974 წლებში[7]

ასაკობრივი ჯგუფი	1000 ქალზე დაიბადა			პროცენტობით		
	1958—1959 წწ.	1969—1970 წწ.	1973—1974 წწ.	1969—1970 წწ. 1958—1959 წწ. მიმართ	1973—1974 წწ. 1958—1959 წწ. მიმართ	1973—1974 წწ. 1969—1970 წწ. მიმართ
15—19	21,9	30,7	38,7	140,2	176,7	126,1
20—24	102,9	132,0	131,2	128,3	127,5	99,4
25—29	117,0	121,0	118,5	103,4	101,3	97,9
30—34	74,6	76,0	61,1	101,9	81,9	80,4
35—39	40,4	33,9	34,6	83,9	85,6	102,1
40—44	5,6	8,2	6,9	146,4	123,2	84,1
45—49	1,0	1,1	0,7	110,0	70,0	63,6
სულ 15—49	58,5	59,7	59,4	102,1	101,5	99,5

[6] მონაცემები ამოკრებილია ჟურნალ „Вестник статистики“-ს 1971 წლის № 3, № 11, 1973 წლის № 6, 1974 წლის № 2 მიხედვით.

[7] გაანგარიშებულია თბილისის სტატისტიკური სამმართველოს მასალების საფუძველზე.

როგორც ცხრილიდან ჩანს, მოსახლეობის ორი უკანასკნელი აღწერის პერიოდში ქ. თბილისში ქალის ნაყოფიერების კოეფიციენტი ამაღლდა თითქმის ყველა ასაკობრივ ჯგუფში, (გამონაკლისს წარმოადგენს 35—39 წლის ასაკობრივი ჯგუფი). მაგალითად, 15—19 წლის ასაკობრივი ჯგუფის ქალების შობადობის მაჩვენებელი ზემოაღნიშნულ პერიოდში 40,2%-ით ამაღლდა, 20 — 24 წლის ასაკობრივი ჯგუფისა კი — 28,3%-ით. შობადობის მაჩვენებელი რამდენადმე გაიზარდა მომდევნო ასაკობრივ ჯგუფებშიც, ხოლო 16,1%-ით შემცირდა 35—39 წლის ასაკობრივ ჯგუფში. საერთოდ კი თბილისში ფერტილური ასაკის ქალების ნაყოფიერების მაჩვენებელი იგივე პერიოდში 2,1%-ით ამაღლდა. მართალია, უკანასკნელ წლებში აღნიშნული მაჩვენებელი გაუარესდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, შობადობის ამაღლების თვალსაზრისით 60-იან წლებთან შედარებით ოდნავი წინსვლა მაინც შეიმჩნევა.

აღსანიშნავია, რომ უკანასკნელ პერიოდში თბილისში შეიმჩნევა დაქორწინებულთა გაახალგაზრდავება, რაც შობადობის დონის შემდგომი ამაღლების მომასწავებელია. მაგალითად, თბილისში 1959 წელს დაქორწინებული კაცების საშუალო ასაკი 31,6 წელი იყო, ქალებისა კი—28,3. 1970 წელს კი შესაბამისად 30,6 და 26,8, 1974 წელს კი 29,0 და 25,5 ე. ი. 1959 წლიდან 1974 წლამდე კაცების საშუალო საქორწინო ასაკი შემცირდა 2,6, ხოლო ქალებისა — 2,8 წლით[8]. გამრავლების თვალსაზრისით ესეც დადებით მოვლენად უნდა ჩაითვალოს, ვინაიდან ახალგაზრდა ასაკში დაქორწინებულებს, მიუხედავად იმისა, რომ ოჯახში ბავშვების რაოდენობის შეგნებული რეგულირება წინა პლანზე დგას, დიდი შანსი აქვთ იყოლიონ „დაგეგმილზე“ მეტი ბავშვი.

შობადობის მაჩვენებელზე, როგორც ცნობილია მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს მოსახლეობის სოციალური სტრუქტურა, კერძოდ სოციალური ჯგუფების ხვედრითი წონის ცვლილება და საზოგადოებრივ მეურნეობაში მათი დასაქმება. ამ მოვლენის გასანაალიზებლად გავიანგარიშეთ მუშა-მოსამსახურე და კმაყოფაზე მყოფი ქალების ნაყოფიერების კოეფიციენტები 1959 —1970 წლებში. აღნიშნულ პერიოდში ხსენებული კოეფიციენტი გაიზარდა თითქმის ყველა სოციალური ჯგუფის მიხედვით, გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ საზოგადოებრივ მეურნეობაში დასაქმებული მუშა ქალები, სადაც ნაყოფიერების კოეფიციენტი 12,2%-ით შემცირდა, ნაყოფიერების კოეფიციენტი ყველაზე უფრო მნიშვნელოვნად გაიზარდა კმაყოფაზე მყოფ მოსამსახურე ქალებში — 72,2%-ით, შემდეგ კი დასაქმებულ მოსამსახურე ქალებში — 38,5%-ით.

შობადობის დონეზე მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ქორწინებისა და განქორწინების სიხშირე, თუ ქორწინება და შობადობა პირდაპირ-პროპორციულ კავშირშია ერთმანეთთან, განქორწინების მაჩვენებლის ზრდა უარყოფითად მოქმედებს შობადობის კოეფიციენტზე. 1965—1973 წლების ქორწინების მაჩვენებლის მიხედვით თბილისი ერთ-ერთ ბოლო ადგილზე დგას, მაგალითად: ყოველ 1000 მცხოვრებზე გაანგარიშებით 1965 წელს ქორწი-

[8] დაქორწინებულთა საშუალო ასაკი გაანგარიშებულია ჩვენს მიერ პირველად დაქორწინებულთა მიხედვით.

ნების მაჩვენებელი თბილისში 9,09[9] ტოლი იყო, 1970 წელს — 8,9, 1973 წელს კი — 9,5.

ცნობილია, რომ შობადობაზე გავლენას ახდენს ეკონომიური, სოციალური, პოლიტიკური, რელიგიური, ფსიქოლოგიური და სხვა ფაქტორები, ამასთან კონკრეტულ-სოციოლოგიური გამოკვლევების გარეშე ძალზე ძნელია გამრავლებაზე მათი ზემოქმედების ხარისხის გარკვევა. მიუხედავად ამისა, სტატისტიკური მასალების ანალიზიდან გამომდინარე ვფიქრობთ, რომ თბილისში შობადობის შემცირების მთავარი ფაქტორებია: ა) მოსახლეობის კულტურისა და მოთხოვნილებათა დონის ამაღლება, ბ) ქალის პროფესიული შრომა, გ) შობადობის შიდაოჯახური რეგულირების პრაქტიკის კიდევ უფრო ფართოდ გავრცელება.

ცხრილი 1-დან ჩანს, რომ თბილისის მოსახლეობის მოკვდაობის მაჩვენებელი შედარებით ამაღლდა 1969—1970 წლებში. მოკვდაობის თითქმის იგივე დონე გვაქვს დღესაც. მოკვდაობის კოეფიციენტის შედარებით ამაღლება ძირითადად გამოწვეულია მთელ მოსახლეობაში ხანდაზმულთა წილის ზრდით, რომელთაც შორის ჩვეულებრივ მაღალია სიკვდილიანობა. მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქების მოსახლეობის მოკვდაობის საშუალო მაჩვენებელი 1000 მცხოვრებზე გაანგარიშებით 1965—1973 წლებში 7,1 იყო. აღნიშნულ პერიოდში თბილისის მოსახლეობის მოკვდაობის საშუალო მაჩვენებელი კი 7,6.

ვფიქრობთ, რომ აუცილებელია თბილისში მოკვდაობის მიზეზების საფუძვლიანი შესწავლა და სათანადო ღონისძიებების გატარება.

თბილისის მოსახლეობის ბუნებრივი მატების მაჩვენებელი მნიშვნელოვნად ჩამორჩება მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქების მიხედვით გაანგარიშებულ საშუალო მაჩვენებელს, ყოველ 1000 მცხოვრებზე გაანგარიშებით ეს უკანასკნელი 1965—1973 წლებში 10,6 ტოლი იყო, თბილისისა კი 9,4 არ აღემატებოდა. მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქებს შორის თბილისზე დაბალი ბუნებრივი მატების მაჩვენებელი აქვს მოსკოვს, რიგას, კიევს.

1965 წლიდან თბილისის მოსახლეობის საშუალო წლიური ბუნებრივი ნამატი 8,4 ათას შეადგენს, შეიძლება ითქვას, რომ მილიონიანი ქალაქისათვის ეს ძალზე ცოტაა.

თბილისის მოსახლეობისა და შრომითი რესურსების ზრდის ძირითად წყაროს მოსახლეობის მიგრაცია წარმოადგენს, რომლის ხარჯზეც ქალაქს საშუალოდ ყოველწლიურად 10,5 ათასი კაცი ემატება. მოსახლეობის მექანიკურ მოძრაობაზე წარმოდგენას გვაძლევს ცხრილი 3.

როგორც ცხრილიდან ჩანს, თბილისის მოსახლეობა მექანიკური მოძრაობის შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა 1969, 1971, 1974 წლებში. უნდა აღინიშნოს, რომ თბილისი ქალაქების მოსახლეობის ხარჯზე 1960—1974 წლებში 54,1 ათასით გაიზარდა, სოფლების მოსახლეობის ხარჯზე კი —75,6 ათასით.

---

[9] გაანგარიშებულია თბილისის სტატისტიკური სამმართველოს მასალების საფუძველზე.

თბილისის მოსახლეობის მექანიკური მოძრაობა
(ათას კაცებში)[10]

ცხრილი 3

წლები	ჩამოვიდა	წავიდა	მექანიკური მატება
1960	18,8	9,6	9,2
1965	18,0	8,5	9,5
1966	20,0	9,9	10,1
1967	20,0	9,8	10,2
1968	19,7	10,0	9,7
1969	21,0	9,9	11,1
1970	19,7	10,0	9,7
1971	21,8	10,2	11,6
1972	21,3	11,8	9,5
1973	22,7	13,1	9,6
1974	22,7	10,6	12,1
სულ	225,7	113,4	112,3

მაშასადამე, თბილისი მექანიკურად უფრო მეტად სოფლის მოსახლეობის ხარჯზე იზრდება.

მოსახლეობის მიგრაციის ინტენსივობას გვიხასიათებს შემდეგი მონაცემები[11]. სხვა ქალაქებში საცხოვრებლად წასულ 100 კაცზე თბილისმა 1960 წ. მიიღო 122 კაცი. 1961 წელს — 158, 1965—143, 1970—151, 1973—178, 1974 წ. კი 193 კაცი. სოფელ ადგილებში საცხოვრებლად წასული 100 კაცზე კი 1961 წელს — 802, 1965 წელს — 831, 1969 წელს — 706, 1971 წ. 728, 1974 წ. 480 კაცი. როგორც ჩანს მიგრაცია „სოფელი—თბილისი“ მაღალი ინტენსივობით ხასიათდება ვიდრე „თბილისი — სოფელი“. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ „სოფელი—თბილისი“ მიმართულებით მოძრავი მოსახლეობის ძირითადი ნაწილი ახალგაზრდობაა. დავინახავთ, რომ ცალმხრივი მიგრაცია სასოფლო დასახლებებში მოსახლეობის სქესობრივ—ასაკობრივი სტრუქტურის დარღვევას იწვევს, ეს უკანასკნელი კი უარყოფითად მოქმედებს მოსახლეობისა და შრომითი რესურსების კვლავწარმოების პროცესის ნორმალურ მსვლელობაზე, ამდენად, აუცილებელია სრულყოფილად იქნას შესწავლილი სოფლის მოსახლეობის მიგრაციის მიზეზები და გატარდეს სათანადო ღონისძიებანი. ამისათვის საჭიროა ძველ საცხოვრებელ ადგილიდან ამოწერისა და ახალ საცხოვრებელ ადგილზე ჩაწერის დროს მოძრავი მოსახლეობისაგან ავიღოთ უფრო ვრცელი ანკეტური მონაცემები, ვიდრე ახლა ვიღებთ. ანკეტურმა გამოკვლევამ ნათელი პასუხი უნდა მოგვცეს მექანიკური მოძრაობის გამომწვევ მიზეზებზე (მოტივებზე).

მიგრაციული პროცესების მხრივ თბილისი შემდეგი თავისებურებით ხასიათდება: მას ჩვენი რესპუბლიკის გარეთ მდებარე საბჭოთა კავშირის ქალაქებთან მიგრაციულ ურთიერთობებში უარყოფითი სალდო აქვს.

ეს განსაკუთრებით თბილისსა და მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქს შორის მიგრაციული კავშირების ანალიზის დროს არის შესამჩნევი. 1960—1974 წლების მონაცემებიდან ჩანს, რომ თბილისს ყველა დედაქალაქ-

10 შედგენილია თბილისის სტატისტიკური სამმართველოს მასალების საფუძველზე.

11 გაანგარიშებულია თბილისის სტატისტიკური სამმართველოს მასალების მიხედვით.

თან მიგრაციის უარყოფითი სალდო აქვს, განსაკუთრებით კი ერევანთან — 6514, მოსკოვთან — 5196, კიევთან — 745 და ა. შ.[12] იგივე შეიძლება ითქვას სსრ კავშირის სხვა მსხვილი ქალაქების — ლენინგრადის, სვერდლოვსკის, გორკის, ხარკოვის, ვოლგოგრადის შესახებაც. სტატისტიკური მასალებიდან ჩანს, რომ მოსკოვში საცხოვრებლად ძირითადად გადადიან რუსები, სომხები, ებრაელები, ხოლო ერევანში ძირითადად სომხები.

თბილისის მოსახლეობის მექანიკური ზრდის ძირითადი წყაროა საქართველოს ქალაქისა და სოფლის მოსახლეობა. გარე რესპუბლიკური მიგრაცია თბილისის მოსახლეობის ზრდაზე უარყოფითად მოქმედებს. როგორც აღვნიშნეთ, თბილისს მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქებთან და საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა მსხვილ ქალაქთან მიგრაციულ ურთიერთობებში უარყოფითი სალდო აქვს, ამის გამო, საქართველოს ქალაქებიდან თბილისში ჩამოსული მოსახლეობის ნაწილის ხარჯზე გადაიფარა ის დანაკლისი, რომელიც ჩვენმა დედაქალაქმა მოკავშირე რესპუბლიკების ქალაქებთან მოსახლეობის ურთიერთ გაცვლაში განიცადა. თბილისს ნულოვანი სალდო რომ ჰქონდა რესპუბლიკის გარეთ მდებარე საბჭოთა კავშირის ქალაქებთან მაშინ მხოლოდ საქართველოს ქალაქების მოსახლეობის მიგრაციის შედეგად იგი ბევრად უფრო მეტად გაიზრდებოდა.

თბილისს დადებითი სალდო აქვს როგორც საქართველოს, ისე მოკავშირე რესპუბლიკების სოფლებთან. სოფლის მოსახლეობის მიგრაციის შედეგად თბილისს შემატებული მოსახლეობის 96—98% საქართველოს სოფლებზე მოდის. მიგრაცია მოსახლეობის ზრდის მნიშვნელოვანი წყაროა მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქებისთვისაც. მაგალითად, 1000 მცხოვრებზე გაანგარიშებით 1972 წელს თბილისს შეემატა 10,1 კაცი, მაშინ როცა მოსკოვს, სადაც საცხოვრებლად ჩაწერა მკაცრადაა რეგლამენტირებული, ამავე წელს 12,0 კაცი შეემატა. მაღალი მექანიკური ნამატი აქვს კიშინიოვს— 37,9 კაცი, კიევს — 25,7, მინსკს — 23,6, ერევანს — 14,3 კაცი[13] და ა. შ.

თბილისი მექანიკური მატებით საგრძნობლად ჩამორჩება დედაქალაქების მიხედვით გაანგარიშებული საშუალო საკავშირო მაჩვენებელს.

საინტერესოა მიგრაციის სალდოს ძირითადი ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით დახასიათება. 1960—1974 წლების შესაბამისი მონაცემების ანალიზიდან ჩანს, რომ თბილისის მოსახლეობის მიგრაციის სალდოში თანდათან მცირდება 0—15 წლის ასაკობრივი ჯგუფისა და საპენსიო ასაკის მოსახლეობის წილი, ხოლო შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის ხვედრითი წონა იზრდება. მაგალითად, 1960 წელს მთელ მექანიკურ ნამატში 0—15 წლის ასაკობრივი ჯგუფის მოსახლეობა 9,6% შეადგენდა, შრომისუნარიანი ასაკისა—87,3 საპენსიო ასაკისა კი 3,1%. 1965 წელს შესაბამისად 5, 4, 93,0, 1,6. 1970 წელს 4,4, 95,6—1,6. 1974 წელს კი 3,0, 92,1 4,9%.

როგორც ჩანს, მიგრაციის სალდოს 92—96% შრომისუნარიანი ასაკისაა, ეს ქალაქის სახალხო მეურნეობის შრომითი რესურსებით უზრუნველყოფის თვალსაზრისით დადებით მოვლენას წარმოადგენს. საინტერესოა, მიგრაციული ნაკადების დახასიათება ეროვნული შემადგენლობის მიხედვითაც.

[12] მონაცემები ამოკრეფილია თბილისის სტატისტიკური სამმართველოს მასალების მიხედვით.

[13] გაანგარიშებულია თბილისის სტატისტიკური სამმართველოს მასალების მიხედვით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეინიშნება, რომ მიგრანტი უმრავლესობა ქართველებია. ქართველი მოსახლეობა თბილისში ბევრად მეტი ჩამოდის ვიდრე მიდის. მაგალითად, ქართველებმა მოსახლეობის მექანიკურ ნამატში 1968 წელს, 97,7% შეადგენს, 1969 წელს — 83,1, 1972 წელს — 98,3, 1974 წელს კი — 98,7%. ამ ტენდენციამ, ჩვენი აზრით, სხვა ფაქტორებთან ერთად დიდი როლი შეასრულა თბილისის მოსახლეობაში ქართველების ხვედრითი წონის ამაღლების საქმეში. სტატისტიკური მონაცემებიდან ჩანს, რომ თბილისს ყოველწლიურად უმნიშვნელო რაოდენობით ემატება რუსები, უკრაინელები, აზერბაიჯანელები, ოსები. თბილისს უარყოფითი სალდო აქვს სომეხი და ებრაელი მოსახლეობის მიგრაციაში.

მიგრანტთა სოციალური მდგომარეობის გაცნობა გვიჩვენებს, რომ თბილისს ემატება მუშები, მოსამსახურეები; მაგალითად, მიგრაციის სალდოში მუშების წილი 1968 წელს 3,3%-ით განისაზღვრებოდა, 1969 წელს კი 15,5% გაიზარდა, 1970 წელს კი 40,9%-მდე ამაღლდა.

მოსამსახურეებმა შესაბამისად შეადგინეს 29,7; 11,4; 6,8%. მიგრაციის სალდოში საკმაოდ მაღალი ხვედრითი წონითაა წარმოდგენილი მოსწავლეები— 1968 წელს — 40,5%, 1969 წელს — 30,6%, 1970 წელს კი 33,9%.

საერთოდ კი უნდა აღინიშნოს, რომ მიგრაციის შედეგად თბილისს ყოველწლიურად ემატება შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობა—განსაკუთრებით ახალგაზრდა მუშები და მოსამსახურეები, რაც შეეხება მოსწავლეებს, სწავლის დამთავრების შემდეგ მათი დიდი ნაწილიც თბილისში რჩება და ბუნებრივია, სამუშაო ძალაზე დამატებითი მოთხოვნის დაკმაყოფილების წყაროს წარმოადგენს.

შრომითი რესურსების საერთო რაოდენობის გასაგებად და საერთოდ მისი ბალანსის შედგენისათვის აუცილებელია მოსახლეობის სპეციფიკური სახის მუშა-მოსამსახურეთა (შრომითი) ქანქარისებური მიგრაციის შესწავლა. ქანქარისებური მიგრაციის დადებითი სალდო სამუშაო ძალზე მოთხოვნის დაკმაყოფილების ერთ-ერთ წყაროს წარმოადგენს. ქანქარისებური მიგრაციის მოცულობის გარკვევა განსაკუთრებით აუცილებელია მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქებისა და მსხვილი ქალაქების შრომითი რესურსების ბალანსის შედგენის დროს. იმის გამო, რომ მიგრაციის აღნიშნული სახის შესახებ არ არსებობს სრული და სარწმუნო სტატისტიკური მასალა სახალხო მეურნეობის ეკონომიკისა და დაგეგმვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ქ. თბილისის შრომითი რესურსების სექტორი სწავლობს აღნიშნულ საკითხს. მიუხედავად იმისა, რომ გამოკვლევა დამთავრებული არ არის შეიძლება ზოგიერთი დასკვნის გაკეთება: შრომითი ქანქარისებური მიგრაციის თბილისში შემომავალი ნაკადი დაახლოებით 20 ათასით აჭარბებს საგარეუბნო ზონაში გამავალ ნაკადს. აღსანიშნავია, რომ შრომითი ქანქარისებური მიგრაციის შედეგად თბილისს შემატებული მუშა-მოსამსახურეთა უმრავლესობა მატერიალური წარმოების დარგებშია დასაქმებული.

თბილისის მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის ანალიზი (ცხრილი 4) გვიჩვენებს, რომ 1959—1970 წლებში მთელ მოსახლეობაში რამდენადმე გაიზარდა როგორც 0—15 წლის ასაკობრივი ჯგუფის, ისე საპენსიო ასაკის მოსახლეობის ხვედრითი წონა. მაგალითად, 1959 წელს 0—15 წლის ასაკობრივი ჯგუფის მოსახლეობამ მთელი მოსახლეობის 24,5% შეადგინა, 1970 წელს

თბილისის მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურა 1959—1970 წლებში (პროცენტობით).[14]

ცხრილი 4

ასაკობრივი ჯგუფები	მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურა	
	1959 წ.	1970 წ.
0—4	8,6	7,4
5—9	7,7	8,9
10—14	6,7	7,9
15—19	7,5	8,6
20—29	20,6	15,2
30—39	15,9	17,0
40—49	12,6	3,6
50—59	10,4	9,4
60—69	6,0	7,6
70— და ზევით	4,0	4,4
სულ	100,0	100,0
მ. შ. მოსახლეობა შრომისუნარიან ასაკში	63,4	58,9

კი 25,9%. მოზარდების წილის ამაღლება მომავალში შრომითი რესურსების რაოდენობას გაზრდის.

აღსანიშნავია, რომ იზრდება საპენსიო ასაკის მოსახლეობის ხვედრითი წონა. მართალია, უკანასკნელ წლებში თბილისს უარყოფითი სალდო აქვს საპენსიო ასაკის მოსახლეობის მიგრაციის მხრივ, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს მთელ მოსახლეობაში მათი ხვედრითი წონის შემცირებაზე გავლენას ვერ ახდენს. 1959 წელთან შედარებით თბილისში საპენსიო ასაკის მოსახლეობა 1970 წელს 3,2 პროცენტით გადიდდა. მოზარდებისა და საპენსიო ასაკის მოსახლეობის ხვედრითი წონის შედარებითმა ამაღლებამ განაპირობა შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის წილის შემცირება, კერძოდ, ამავე წლებში სხვაობამ შეადგინა 4,2 პროცენტი. შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის ხვედრითი წონის შემცირება ძირითადად 1940—1945 წლებში შობადობის დაბალი დონითაა გამოწვეული. მაგალითად, 1959 წელს დედაქალაქის მოსახლეობაში შესამჩნევად შემცირდა 15—19 წლის ასაკობრივი ჯგუფის მოსახლეობის წილი და 1926 წელთან შედარებით სხვაობამ 3,5 პროცენტი შეადგინა. 1970 წელს დედაქალაქის მთელ მოსახლეობაში შედარებით დაბალი ხვედრითი წონით — 15,0 პროცენტით იყო წარმოდგენილი 20—29 წლის ასაკობრივი ჯგუფი, ხოლო 1959 წელს იგი დაახლოებით 21% იყო.

შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის ხვედრითი წონის შემცირება, ბუნებრივია, შრომითი რესურსების რაოდენობრივ ზრდაზე უარყოფითად იმოქმედებს. მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქებისათვის, (რიგა, ვილნიუსი, მინსკი, ტალინი, მოსკოვი და სხვ.) დამახასიათებელია მთელ მოსახლეობაში შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის ხვედრითი წონის შემცირება, რაც ძირითად 0—15 ასაკობრივი ჯგუფის მოსახლეობის ხვედრითი წონის შედარე-

14 შედგენილია თბილისის სტატისტიკური სამმართველოს მასალების საფუძველზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბით ნელი ტემპით შემცირებითა და საპენსიო ასაკის მოსახლეობის წილის უფრო სწრაფი ტემპით ამაღლებით არის განპირობებული. უკანასკნელ პერიოდში მოზარდების წილის შემცირება გამოწვეულია შობადობის კლებით, პენსიონერების ხვედრითი წონის ამაღლება კი სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესებით, სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის ამაღლებით.

თბილისის მოსახლეობის სქესობრივი სტრუქტურა გვიჩვენებს, რომ მთელ მოსახლეობაში ქალები საკმაოდ მაღალი ხვედრითი წონითაა წარმოდგენილი. კაცები მხოლოდ ახალგაზრდა ასაკობრივ ჯგუფებში სჭარბობენ ქალებს. 15—19 წლის ასაკობრივი ჯგუფიდან დაწყებული შეინიშნება ქალების ხვედრითი წონის ზრდა. ეს გამოწვეულია იმით, რომ განსაკუთრებით ერთ წლამდე და 18—19 წლის ასაკის შემდეგ კაცების სიკვდილიანობა აჭარბებს ქალებისას. გარდა ამისა, როგორც აღვნიშნეთ, მეორე მსოფლიო ომმა უარყოფითად იმოქმედა თბილისის მოსახლეობის სქესობრივ სტრუქტურაზე. სქესობრივ-თანაფარდობაში განსხვავება განსაკუთრებით შესამჩნევია 40—49 წლის ასაკობრივი ჯგუფიდან. აქედან დაწყებული ქალები 60 და მეტი პროცენტით არიან წარმოდგენილნი. 40—49 წლის ასაკობრივი ჯგუფის ყოველ 1000 კაცზე 1959 წელს მოდიოდა 1596 ქალი, 50-59 წლის ასაკობრივი ჯგუფის 1000 კაცზე 1527, 60-69—1513, 70 და ზევით — 1688. 1970 წელს შესაბამისად 1294, 1959, 1632, 1797 ქალი. საერთოდ 1959 წელს ყოველ 1000 კაცზე მოდიოდა 1256 ქალი, 1970 წელს კი 1197, როგორც ვხედავთ სქესობრივი თანაფარდობა ოდნავ გაუმჯობესდა.

უნდა აღინიშნოს, რომ თბილისის მოსახლეობის სქესობრივ თანაფარდობაზე მიგრაცია სასურველ ზეგავლენას ახდენს. რადგან ყოველწლიურად თბილისს შემომატებული მოსახლეობის უმრავლესობა მამაკაცებია. ამით რამდენადმე მაინც უმჯობესდება მოსახლეობის სქესობრივი თანაფარდობა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ როგორც რესპუბლიკის, ისე თბილისის მოსახლეობის სოციალურ სტრუქტურაში ძირეული ცვლილებები მოხდა. მანამდე არსებული მრავალი სოციალური ჯგუფის ნაცვლად თანდათანობით ჩამოყალიბდა სამი ძირითადი ჯგუფი—მუშები, მოსამსახურეები, კოლმეურნეები. თბილისში სახალხო მეურნეობის დარგების განვითარების შედეგად მკვეთრად გაიზარდა მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი. მაგალითად, 1970 წელს 1939 წელთან შედარებით მუშების საერთო რიცხვი 3,6 ჯერ გაიზარდა, მოსამსახურეებისა კი თითქმის ორჯერ.

თბილისის მოსახლეობის სოციალური სტრუქტურის ანალიზიდან ჩანს, რომ მთელ მოსახლეობაში მაღალი ხვედრითი წონით არის წარმოდგენილი მუშები, შემდეგ — მოსამსახურეები. უნდა შევნიშნოთ, რომ მოსამსახურეებს ძირითადად საბჭოთა ინტელიგენცია შეადგენს, კერძოდ კი პედაგოგები, ინჟინრები, ეკონომისტები, ექიმები, მეცნიერმუშაკები, ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკები. ამავე საზოგადოებრივ ჯგუფში შედის პარტიული, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაკები. აღსანიშნავია, რომ მოსახლეობის უკანასკნელი ორი აღწერის პერიოდში უმნიშვნელოდ შემცირდა მუშების წილი, მოსამსახურეებისა კი გაიზარდა. რაც უმთავრესად ტექნიკური პროგრესის ტემპების დაჩქარებისა და არასაწარმოო სფეროს განვითარების შედეგია. მაგალითად, 1959 წელს თბილისის მთელ მოსახლეობაში მუშებმა

შეადგინეს 53,2%, 1970 წელს კი 51,5%. მოსამსახურეებმა შესაბამისად 44,2 და 47,7%.

მთელ მოსახლეობაში მოსამსახურეთა ხვედრითი წონის ზრდა გარდა ზემოაღნიშნულისა განპირობებულია იმითაც, რომ თბილისში თავმოყრილია ცენტრალური პარტიული, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციები, სამეურნეო ხელმძღვანელობის აპარატი, მრავალრიცხოვანი სასწავლებლები, სამეცნიერო-კვლევითი, ხელოვნებისა თუ კულტურის დაწესებულებანი. უნდა აღინიშნოს, რომ მოსამსახურეთა რიცხვი მიგრაციის შედეგად უმნიშვნელოდ იზრდება.

თბილისის მოსახლეობის რიცხოვნობის ცვლილებების ანალიზიდან (ცხრილი 5) ჩანს, რომ უკანასკნელ პერიოდში დედაქალაქის მოსახლეობა შედარებით სწრაფი ტემპით იზრდება. მაგალითად, 1971 წელს იგი 20 ათასი კაცით გაიზარდა, 1972 წელს — 19 ათასით, 1973 წელს — 38 ათასით (1973 წელს თბილისს შემოუერთდა ადრე გარდაბნის რაიონს დაქვემდებარებული დასახლებული ტერიტორიებით: დაბა სამგორი, სოღანლუღი და ოქროყანა, სულ 19506 კაცი) 1974 წელს კი 22 ათასი კაცით. 1960 წლიდან თბილისის მოსახლეობა საშუალოდ ყოველწლიურად 2,22%-ით იზრდება. აღსანიშნავია, რომ მოსახლეობის საერთო მატების ნახევარზე მეტი მექანიკურ მატებაზე მოდის.

თბილისის მოსახლეობის რიცხოვნობის დინამიკა 1959—1975 წლებში[15]

ცხრილი 5

წლები	მოსახლეობის რიცხოვნობა (ათას კაცებში)	მოსახლეობის ყოველწლიური მატება (ათას კაცებში)	მოსახლეობის საერთო მატებაში	
			მექანიკური მატების წილი (%)	ბუნებრივი მატების წილი (%)
1959 (15 I აღწერით)	703	—	—	—
1960 (1—I შეფასებით)	715	12	50,9	49,1
1961 („)	732	17	52,6	47,4
1962 „	751	19	53,1	46,9
1963 „	766	15	54,1	45,9
1964 „	783	17	53,8	46,2
1965 „	801	18	55,9	44,1
1966 „	818	17	54,8	45,2
1967 „	835	17	53,4	46,6
1968 „	854	19	53,9	46,1
1969 „	871	17	53,1	46,9
1970 (15 I აღწერით)	889	18	52,4	47,6
1971 (1 I შეფასებით)	907	18	56,9	43,1
1972 „	927	20	52,6	47,4
1973 „	946	19	51,4	48,6
1974 „	984	38	57,6	42,4
1975 „	1006	22	57,8	42,2

თბილისის შრომითი რესურსების ფორმირების დემოგრაფიული პროცესების ანალიზიდან ჩანს, რომ მისი მოსახლეობისა და შრომითი რესურსების ზრდის მთავარი წყაროა მოსახლეობის მიგრაცია, რომლის სალდოში მაღალი ხვედრითი წონითაა წარმოდგენილი სოფლის მოსახლეობა, სოფლის მოსახლეობის, თბილისში და საერთოდ ქალაქებში, ინტენსიურმა მიგრაციამ უარყოფითად იმოქმედა რესპუბლიკის სასოფლო დასახლებების მოსახლეობის შობა-

15 გაანგარიშებულია თბილისის სტატისტიკური მასალების საფუძველზე.

დობის მაჩვენებელზე, ის ძალზე დაუახლოვდა შობადობის ქალაქში არსებულ დონეს. სოფელ ადგილებში შობადობის მაჩვენებლის დაცემა მომავალში ალბათ შეამცირებს სოფელი-თბილისის მიმართულებით მიგრაციული ნაკადის მოცულობას, რაც თავისთავად უარყოფითად იმოქმედებს თბილისის მოსახლეობისა და შრომითი რესურსების ზრდაზე.

მართალია, მოსახლეობის მიგრაცია თბილისის სახალხო მეურნეობის სამუშაო ძალაზე მოთხოვნის დაკმაყოფილების ძირითადი წყაროა და ამ თვალსაზრისით იგი შეიძლება შეფასდეს, როგორც დადებითი მოვლენა, მაგრამ როგორც აღვნიშნეთ მიგრაციის შედეგად ჩვენი რესპუბლიკის სოფლებისა და ქალაქების მოსახლეობის ასაკობრივ სტრუქტურაში საგრძნობი ცვლილებები ხდება, კერძოდ კი რესპუბლიკის სოფლებს, განსაკუთრებით კი მთიან სოფლებს ტოვებს ახალგაზრდობა.

„ჩვენ მეტად გვაფიქრებს, აღნიშნა ამხ. ე. ა. შევარდნაძემ საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობაზე, სოფლის ახალგაზრდობის სტიქიური მიგრაციის პრობლემა. არ ისმება საკითხი ამ პროცესის სრული შეწყვეტის შესახებ. საქმე ეხება ამ პროცესის მართვას, იმ მიზეზების აღმოფხვრას, რომლებიც წარმოშობენ მიგრაციას. სოფლის ახალგაზრდობის აზრებისა და მისწრაფებების გაცნობა გვარწმუნებს, რომ მისი სულიერი მოთხოვნილებანი ვანუზომლად უსწრებს ამ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის რეალურ ზრუნვას“[16].

საეჭვო არ არის, რომ სოფლის ახალგაზრდობის მიგრაციის რეგულირებისათვის საჭირო ღონისძიებათა გატარება სასურველ შედეგს გამოიღებს და მომავალში ქალაქებს, მათ შორის თბილისსაც შეუმცირდება მოსახლეობისა და შრომითი რესურსების მექანიკური შევსების შესაძლებლობები, მსხვილი ქალაქების ზრდის შეზღუდვის პოლიტიკა კიდევ უფრო შეამცირებს მას. ამდენად, თბილისის სახალხო მეურნეობის სამუშაო ძალაზე მოთხოვნის დაკმაყოფილების ძირითადი წყარო ადგილობრივი შრომისუნარიანი მოსახლეობა უნდა გახდეს.

როგორც აღვნიშნეთ, თბილისს მიგრაციის სპეციფიკური სახის შრომითი ქანქარისებური მიგრაციის შედეგად დაახლოებით 20 ათასი მომუშავე ემატება, ეს საკმაოდ დიდი ციფრია, მაგრამ ძნელი სათქმელია, როგორი მდგომარეობა გვექნება ამ მხრივ მომავალში. მსხვილი ქალაქების ე. წ. „განტვირთვის“ პოლიტიკა, საშუალო და მცირე ქალაქებში არსებული შრომითი რესურსების სრული და რაციონალური დასაქმების უზრუნველყოფა, ვფიქრობთ, რომ უარყოფითად მოქმედებს თბილისის შრომითი ქანქარისებური მიგრაციის სალდოზე. ჩვენი აზრით, სამ წელიწადში ერთხელ მაინც აუცილებელია ქანქარისებური მიგრაციის ორმხრივი ნაკადების შესწავლა, რადგან საგარეუბნო ზონაში დასაქმების შემდგომი რაციონალიზაციის შედეგად შესაძლოა მიგრაციის სალდომ ცვლილებები განიცადოს.

ამჟამად, მრავალი მეცნიერი ფიქრობს, რომ ისევე, როგორც ვგეგმავთ სახალხო მეურნეობას, უნდა ვარეგულიროთ მოსახლეობის ბუნებრივი ზრდის ტემპი, ბუნებრივია ეს შობადობის სტიმულირების გზით უნდა განხორციელდეს. ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა რაიონში შობადობის სტიმულირება საჭიროა

16 გაზ. „კომუნისტი“, 1976 წლის 23 იანვარი.

სხვადასხვა ზომით, დიფერენცირებულად. იმ მოკავშირე რესპუბლიკებში, ეკონომიურ რაიონებში ან ქალაქებში, სადაც სამუშაო ძალაზე დეფიციტი შეინიშნება და მოსახლეობის ბუნებრივი მატების ტემპსაც არ გააჩნია ამაღლების ტენდენცია, საჭიროა რაიონული კოეფიციენტების გამოყენება. იგი მოსახლეობის გამრავლებას წაახალისებდა ბავშვთა შობის სტიმულირების საერთოდ დადგენილ ნორმებს ზევით.

საერთოდ კი უნდა აღინიშნოს, რომ შობადობის ამაღლების მიზნით საბჭოთა კავშირში უფრო აქტიური დემოგრაფიული პოლიტიკის გატარებაა საჭირო. შობადობის წახალისების ჩვენში არსებული სისტემა უფრო მეტად მე-4 და მე-5 ბავშვის გაჩენას ასტიმულირებს. საჭიროა უფრო მე-2 და მე-3 ბავშვის გაჩენა წავახალისოთ. ეს მეტად გაზრდის დაბადებულთა საერთო რაოდენობას. ჩვენი აზრით, ეს უფრო გამართლებული ღონისძიებაა, ვიდრე ის, რომ შრომითი რესურსებით ნაკლებად უზრუნველყოფილი რაიონების მოთხოვნა სამუშაო ძალაზე დავაკმაყოფილოთ მოსახლეობის ორგანიზებული მიგრაციით. ვფიქრობთ კანონზომიერი იქნება თუ მომავალში მოსახლეობის ბუნებრივი მატება გახდება თბილისის მოსახლეობისა და შრომითი რესურსების ზრდის მთავარი წყარო, ვინაიდან მოსახლეობის მიგრაცია (მექანიკური მატება) დამატებით სიძნელეებს უქმნის ქალაქს.

თბილისის სახალხო მეურნეობის სამუშაო ძალაზე მოთხოვნის დაკმაყოფილების მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს ქალაქის საოჯახო და პირად დამხმარე მეურნეობაში დასაქმებულები, ამჟამად ისინი თბილისის შრომითი რესურსების 11,7%-ს შეადგენენ: აღსანიშნავია, რომ უკანასკნელი აღწერის მონაცემებით საოჯახო და პირად დამხმარე მეურნეობაში დასაქმებულთა 94% ქალია.

უნდა ითქვას, რომ თბილისის სახალხო მეურნეობის მატერიალური წარმოებისა და არასაწარმოო სფეროებში ქალთა შრომითი რესურსების დასაქმების დიდი შესაძლებლობები არსებობს. მომავალში აუცილებელია ქალთა შრომითი რესურსების დასაქმების პირობების გარკვევა. (საჭიროა მათი კონკრეტულ სოციოლოგიური გამოკვლევა).

ქალთა შრომითი რესურსების დასაქმების პარალელურად უნდა მოხდეს საბავშვო დაწესებულებების ქსელის გაფართოება და მათი მომსახურების ხარისხის ამაღლება, საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესება, საზოგადოებრივი კვების განვითარება და სხვა. ერთი სიტყვით მაქსიმალურად უნდა შევამსუბუქოთ ქალის საოჯახო შრომა, რაციონალურად შევათავსოთ ქალის, როგორც მშობელისა და მომუშავის ფუნქციები.

ჩვენი დედაქალაქის სახალხო მეურნეობის სამუშაო ძალაზე მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს საპენსიო ასაკის, განსაკუთრებით კი პირველი საპენსიო ასაკობრივი ჯგუფის მოსახლეობის შრომის გამოყენებას. „მეტად უნდა ვზრუნავდეთ პენსიონერებისა და ინვალიდებისათვის, შრომისა და ომის ვეტერანებისათვის, აღნიშნა ამხ. ე. ა. შევარდნაძემ, საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობაზე, უფრო ფართოდ უნდა ჩავაბათ ისინი შრომითს საქმიანობაში ვეძებდეთ მათთან მუშაობის ახალ ფორმებს[17]: ეს მითუმეტეს რომ მომავალში თბილისის შრომითი

17 გაზ. „კომუნისტი“, 1976 წლის 23 იანვარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესურსების საერთო რაოდენობაში საპენსიო ასაკის მოსახლეობის წილი კიდევ უფრო ამაღლდება.

შრომითი რესურსების საკმაო რეზერვს წარმოადგენს სამუშაო ძალის დენადობის კოეფიციენტის შემცირება. ამასთან ერთად უნდა ითქვას, რომ სამუშაო ძალის დენადობის შედეგად საკმაოდ ზარალობს როგორც რესპუბლიკის, ისე თბილისის სახალხო მეურნეობა. საჭიროა აღნიშნული ღრმა სოციალურ-ეკონომიური პროცესის ყოველმხრივი შესწავლა.

ამჟამად, თბილისის სახალხო მეურნეობა სამუშაო ძალაზე მოთხოვნას რაოდენობრივად სრულად იკმაყოფილებს, შრომითი რესურსების შევსების წყაროების ანალიზიდან ვრწმუნდებით, რომ მასზე ნაკლებობა არც მიმდინარე ხუთწლედში გვექნება.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა
აკადემიის აკადემიკოსმა ი. მიქელაძემ

ა. გოგიტიძე

მეურნეობრივი ანგარიშიანობა კოლმეურნეობებში

მეურნეობის სოციალისტური სისტემისათვის დამახასიათებელია სახალხო მეურნეობის წარმართვის სპეციფიკური ფორმა — მ ე უ რ ნ ე ო ბ რ ი ვ ი ანგარიშიანობა. მისი მნიშვნელობა და არსი მოცემულია ვ. ი. ლენინის ნაშრომებში, საბჭოთა მთავრობისა და კომუნისტური პარტიის გადაწყვეტილებებში. მეურნეობრივი ანგარიშიანობის ეკონომიკური კატეგორიის არსებობა გაპირობებულია სოციალიზმის დროს ღირებულების კანონის მოქმედებით. მეურნეობრივ პრაქტიკაში ის სოციალისტურ საწარმოთა გეგმიანი გაძღოლის მეთოდია, რომელიც დაფუძნებულია დანახარჯებისა და მეურნეობრივი საქმიანობის შედეგების თანაშეზომვაზე ფულადი გამოხატულებით, საწარმოთა ხარჯების ანაზღაურებაზე მათი საკუთარი შემოსავლით, სახსრების მომჭირნეობაზე და წარმოების რენტაბელობის უზრუნველყოფაზე.

ვ. ი. ლენინი წერდა: „სამეურნეო ანგარიშზე მყოფი ტრესტები და საწარმოები სწორედ იმიტომ არიან დაარსებულნი, რომ ისინი თვითონ აგებდნენ პასუხს და ამასთან მთლიანად აგებდნენ პასუხს იმისათვის, რომ მათი საწარმოები უზარალო იყოს“[1].

მეურნეობრივი ანგარიშიანობა როგორც ეკონომიკური კატეგორია, რთული მეურნეობრივი მოვლენების გამომხატველია. ის სოციალიზმის მრავალი ეკონომიურ კანონთან ორგანულ კავშირშია, ხშირად, ეკონომიკურ ლიტერატურაში მეურნეობრივი ანგარიშიანობა ცალმხრივად არის წარმოდგენილი. იგი განიხილება როგორც მხოლოდ სოციალისტური მეურნეობის გეგმიანი მართვის მეთოდი. საკითხისადმი ასეთი მიდგომა ვერ ხსნის მოვლენის არსს. მეურნეობრივი ანგარიშიანობა უწინარეს უნდა განვიხილოთ როგორც ეკონომიკური კატეგორია, რომელიც წარმოების რენტაბელობას გულისხმობს.

მეურნეობრივი ანგარიშიანობის მეშვეობით სახელმწიფო უზრუნველყოფს მთელი სახალხო მეურნეობის გეგმაზომიერ განვითარებას და ობიექტური ეკონომიკური კატეგორიის მოთხოვნების პრაქტიკულ რეალიზაციას. მეურნეობრივი ანგარიშიანობის მეთოდი მიმართულია წარმოების განუწყვეტელი ზრდისა და თვითღირებულების შემცირების უზრუნველყოფისაკენ, რაც განაპირობებს წარმოების რენტაბელობის ამაღლებას და საზოგადოების ყველა წევრის მუდმივად მზარდ მატერიალურ და სულიერ მოთხოვნილებათა მაქსიმალურ დაკმაყოფილებას. მეურნეობრივი ანგარიშიანობა, როგორც ობიექტური ეკონომიკური კატეგორია, სოციალიზმის წარმოებრივი ურთიერთობების ერთ-ერთი მთავარი მხარის გამომხატველია. სოციალისტური სახელმწიფო თავისი მეურნეობრივი ფუნქციის განხორციელებისას ხელმძღვანელობს ამ და სხვა ობიექტური ეკონომიკური კატეგორიების მოთხოვნით და გათვალისწინებით და რამდენადაც ღრმად შეიცნობს სოციალიზმისათვის დამახასიათებელი კანონზომიერების მოთხოვნებს, იმდენად სწრაფი და მყარი ტემპებით ვითარდება სახალხო მეურნეობა.

მეურნეობრივი ანგარიშიანობის როგორც ეკონომიკური კატეგორიისა და მეურნეობის გეგმიანი მართვის მეთოდის, მოთხოვნების ცხოვრებაში თანმიმდევრული გატარება წარმატების ერთ-ერთი ძირითადი პირობაა. მაგრამ მე-

1 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 35, გვ. 582.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ურნეობის ცენტრალიზებულ დაგეგმვასა და საწარმოთა მეურნეობრივი დამოუკიდებლობას შორის არსებობს გარკვეული (არაანტაგონისტური) წინააღმდეგობა. სახელმწიფოს, რომელიც ხელმძღვანელობს მთელი სახალხო მეურნეობის გეგმაზომიერ განვითარებას, შესაძლებლობა აქვს დროზე შენიშნოს არსებული წინააღმდეგობანი და დაძლიოს იგი. ეს სოციალისტური სახალხო მეურნეობის ერთ-ერთი ძირითადი უპირატესობაა მეურნეობის კაპიტალისტურ სისტემასთან შედარებით.

მეურნეობრივი ანგარიშიანობის აუცილებლობა გაპირობებულია საქონლური წარმოების არსებობით, ღირებულების კანონისა და მატერიალური დაინტერესებულობის პრინციპის მოქმედებით. მეურნეობრივი ანგარიშიანობის სფეროს გაფართოება აუცილებელია, რადგან სულ უფრო ვითარდება და სრულყოფილი ხდება სოციალისტური წარმოება, მსხვილდება და ღრმავდება დარგობრივი სპეციალიზაცია, რის გამოც რთულდება მათი მეურნეობრივი საქმიანობის წარმართვა. მსხვილი მეურნეობრივი ერთეულები მეტ ოპერატიულ დამოუკიდებლობას მოითხოვენ, ვინაიდან ცენტრალიზაციის დროს შეუძლებელი ხდება წარმოებრივი საქმიანობის პროცესში წარმოშობილი ყველა წვრილმანის გათვალისწინება.

მეურნეობრივი ანგარიშიანობა პირველ რიგში მატერიალურ დაინტერესებულობასთან არის დაკავშირებული. იგი კოლმეურნეობებისათვის გასაგები და მისაღები ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც უზრუნველყოფს მისი კოლექტივის ძირითადი საკითხის გადაწყვეტას მატერიალური სტიმულირების სრულყოფას. კოლმეურნეობრივი ცხოვრების პრაქტიკამ დაადასტურა, რომ ჩვენში ბევრი მოწინავე კოლმეურნეობაა, რომელთა წარმატება მიღწეულია მატერიალური დაინტერესებულობის წარმატებითი განხორციელებით. ჩამორჩენილი კოლმეურნეობები კი ვერ უზრუნველყოფენ კოლმეურნეთა მატერიალურ დაინტერესებას მათი შრომითი შედეგებით, რაც იწვევს კოლმეურნეობების საქმიანობის მოდუნებას. მატერიალური დაინტერესებულობის სრულყოფის შედეგად წარმოება გამოცოცხლებას იწყებს და ეს, შეიძლება ითქვას, მატერიალური დაინტერესებულობის პროპორციულია. მაგრამ მეურნეობრივი საქმიანობის საბოლოო მიზანი, რომელთანაც დაკავშირებულია სხვა არსებითი საკითხებიც, წარმოების რენტაბელობის უზრუნველყოფაა, რის გარეშეც შეუძლებელია სოციალისტური წარმოების სრულყოფა და განვითარება.

მეურნეობრივ საქმიანობაზე მოქმედებს დროის ეკონომიის კანონი, თუმცა არ შეიძლება დავეთანხმოთ ნ. სობოლევს, რომლის აზრითაც დროის ეკონომიის კანონი განაპირობებს მეურნეობრივ ანგარიშიანობას[2]. ასევე ვერ გავიზიარებთ მოსაზრებას, რომ სოციალიზმის დროს მეურნეობრივი ანგარიშიანობა გვევლინება ეკონომიის რეჟიმის განხორციელების ფორმით[3]. ცხადია, რომ მეურნეობრივი ანგარიშიანობის მეშვეობით ხორციელდება დროის ეკონომია, მაგრამ იგი შეიძლება მიღებულ იქნას არა მარტო მეურნეობრივი ანგარიშიანობით. დროის ეკონომია კაპიტალიზმის დროსაც ხორციელდება, მაგრამ ეს მეურნეობრივი ანგარიშიანობასთან როდია დაკავშირებული. კომუნიზმის დროს, როცა ფულად-საქონლური ურთიერთობანი აღარ იარსებებენ, დროის

[2] Н. П. Соболев. Хозрасчет в колхозах. М., 1961, стр. 12.

[3] Г. А. Царицына. Хозяйственный расчет и рентабельность, стоимость и себестоимость. М., 1961, стр. 12.

ეკონომიის უმკაცრესი რეჟიმი განხორციელდება, მაგრამ იგი როდი იქნება დაკავშირებული მეურნეობრივ ანგარიშიანობასთან. სოციალისტური საზოგადოების ეკონომიკური კანონების მოთხოვნების გათვალისწინების გარეშე, ფულად-საქონლური მეურნეობის პირობებში, შეუძლებელია მეურნეობრივი ანგარიშიანობის განხორციელება, სოციალისტური წარმოების განუწყვეტელი ზრდა და სრულყოფა.

მეურნეობრივ ანგარიშიანობას კოლმეურნეობებში ზოგიერთი თავისებურება ახასიათებს, რომელიც კოოპერატიულ-კოლმეურნეობრივი საკუთრებით არის გაპირობებული. მთელი წარმოებული პროდუქცია კოლმეურნეობების საკუთრებას წარმოადგენს, მისი გარკვეული ნაწილის სახელმწიფო ხელში გადასვლა სახელმწიფოსთან კოლმეურნეობების ეკონომიკური ურთიერთობით არის გაპირობებული.

კოლმეურნეობრივ-კოოპერაციული საკუთრება, სახელმწიფო-სახალხო საკუთრებასთან შედარებით, დაბალ ფორმას წარმოადგენს. კოლმეურნეობები სახელმწიფო საწარმოებთან შედარებით მეტი მეურნეობრივი თავისთავადობით ხასიათდებიან და მათი საქმიანობა ნაკლებად რეგულარულდება სახელმწიფოს მხრივ. თუმცა ღირებულების კანონის მოქმედებას კოლმეურნეობრივ სექტორში, კერძოდ, საკოლმეურნეო ბაზარზე უფრო ფართო გასაქანი აქვს.

კოლმეურნეობები, წარმოადგენენ რა სოციალისტურ კოოპერაციულ საწარმოებს, თავიანთ მეურნეობას დამოუკიდებლად წარმართავენ. სახელმწიფოს მიმართ ისინი გარკვეულ ვალდებულებებს ასრულებენ, ისინი პირველ რიგში სახელმწიფოებრივი ფონდის შექმნაში მონაწილეობენ საზოგადოებრივი პროდუქციის ნაწილის გადაცემით საერთო-სახალხო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. ყველა დანარჩენი ეკონომიკური კავშირი ხელშეკრულების საწყისებზე ხორციელდება და საქონლურ-ფულადი ფორმით გამოვლინდება. ამ კავშირების ძირითადი მიზანია მრეწველობის სოფლის მეურნეობის ნედლეულით და მოსახლეობის კვების პროდუქტებით უზრუნველყოფა, კოლმეურნეობებისა კი — მრეწველობის აუცილებელი საქონლით.

კოლმეურნეობა როგორც დამოუკიდებელი მეურნეობრივ ანგარიშიანობაზე მყოფი საწარმო, თავის წარმოებრივ საქმიანობას საკუთარ მატერიალურ და ფინანსურ რესურსებზე ამყარებს. სოციალისტური სახელმწიფო, როგორც ცნობილია, დიდ დახმარებას უწევს კოლმეურნეობებს, ამარაგებს მათ მანქანებით, გაწყობილობებით, სასუქებით, შეღავათიან პირობებში აძლევს კრედიტს და სხვ. მაგრამ სახელმწიფო უშუალოდ არ ერევა მეურნეობრივი საქმიანობის წარმართვაში. იგი არ ახდენს კოლმეურნეობებს შორის სახსრების გადანაწილებას, ერთი კოლმეურნეობის ზარალის სხვების შემოსავლით დაფარვას. კოლმეურნეობები, რომლებიც ვერ უზრუნველყოფენ წარმოების ნორმალურ რენტაბელობას, იძულებულნი არიან შეამცირონ არა მარტო შრომის ანაზღაურების ფონდი, არამედ საზოგადოებრივი მოხმარების ფონდებიც, რაც ანელებს მატერიალურ სტიმულირებას, წარმოების განვითარების ტემპებს. სულ სხვა მდგომარეობა იქმნება მაღალრენტაბელურ კოლმეურნეობებში. მათ შეუძლიათ: განახორციელონ გაფართოებული აღწარმოების მაღალი ტემპები, გააღიდონ შრომის ანაზღაურებისა და საზოგადოებრივი ფონდების აბსოლუტური ოდენობა, ხელი შეუწყონ წარმოების მუშაკთა მატერიალური სტიმულირების სრულყოფას და სხვ. აქედან გამომდინარე, კოლმეურნეობები ნაკლებ როდი

ეროვნული ბიბლიოთეკა

არიან დაინტერესებულნი მეურნეობრივი ანგარიშიანობის სრულყოფით, რაც წარმოების რენტაბელობის უზრუნველყოფის ერთ-ერთი ძირითადი გარანტიაა. თითოეული კოლმეურნეობების ფარგლებში შეიძლება წარმოიშვას დაგროვების ფონდისა და მოხმარების ფონდს შორის წინააღმდეგობა, რომლის დაძლევა შესაძლებელია მთლიანი შემოსავლის განუწყვეტელი ზრდის საფუძველზე.

კოლმეურნეობებში მეურნეობრივი ანგარიშიანობის თავისებურება ვლინდება თვითმართველობის საფუძველზე, საერთო კრებაზე ირჩევენ გამგეობას ყოველდღიური ხელმძღვანელობისათვის, გამგეობაზე კი — თავმჯდომარეს. კოლმეურნეობებში მეურნეობრივი ანგარიშიანობა გარკვეული თავისებურებებით ხორციელდება: კოლმეურნეობას სახელმწიფო უგეგმავს მხოლოდ საქონლურ პროდუქციას, საბჭოთა მეურნეობებს კი ამას გარდა, სხვა მაჩვენებლებსაც.

გარკვეულ პერიოდში გაბატონებული იყო მოსაზრება, თითქოს მეურნეობრივ ანგარიშიანობაზე კოლმეურნეობები ბოლო წლებში გადავიდნენ, რაც სინამდვილეს არ შეეფერება. აქედან გამომდინარეობს, რომ უგულებელყოფილია მეურნეობრივი ანგარიშიანობის როგორც ეკონომიკური კატეგორიის ობიექტური ხასიათი, რამდენადაც კოლმეურნეობების ჩამოყალიბების პერიოდში ჩვენში არსებობდა თვითღირებულების, მოგებისა და რენტაბელობის კატეგორიები. სხვა საკითხია, თუ როგორ ვითვალისწინებდით და ვგეგმავდით მათ და ისიც, რომ მეურნეობრივი საქმიანობისას ისინი ყოველთვის როდი გამოიყენებოდა კოლმეურნეობების მიერ. მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ ეს კატეგორიები ობიექტურად არ არსებობდნენ.

მეურნეობრივი ანგარიშიანობა როგორც ობიექტური ეკონომიკური კატეგორია, არსებობდა და მოქმედებდა კოლმეურნეობების ჩამოყალიბების დღიდანვე. იგი აღმოცენდა ახალი ეკონომიკური პირობების საფუძველზე და მოქმედება დაიწყო, როგორც სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობების ამსახველმა მნიშვნელოვანმა ეკონომიკურმა კატეგორიამ. მეურნეობრივი ანგარიშიანობის როგორც ეკონომიკური კატეგორიის გამოყენება მრავალ სიძნელესთანაა დაკავშირებული, მაგალითად, სუსტად განვითარებულ კოლმეურნეობებში, რთულდება მეურნეობრივი ანგარიშიანობის, როგორც ეკონომიკური კატეგორიის, მოთხოვნების რეალიზაცია. ეკონომიკურად ძლიერ კოლმეურნეობებში გაადვილებულია წარმოების მუშაკთა მატერიალური დაინტერესებულობის პრინციპების განხორციელება, ხოლო სუსტი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მქონე კოლმეურნეობებს არ შეუძლიათ მატერიალური დოვლათის უშუალო შემქმნელები სათანადოდ დააინტერესონ შრომის შედეგებით. მათი აღორძინებისათვის რეალური პირობების შესაქმნელად საჭიროა რიგი რადიკალური ღონისძიებების განხორციელება.

მეურნეობრივი ანგარიშიანობის ანალიზი შესაძლებლობას გვაძლევს გამოვყოთ ყველაზე მთავარი ურთიერთობანი, რომლებიც სახელმწიფოსა და კოლმეურნეობებს, სახელმწიფო და კოოპერაციულ ორგანიზაციებს, თვით კოლმეურნეობებს შორის მყარდება.

ყველა ზემოაღნიშნული ურთიერთობა ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია და ერთიმეორეს განაპირობებს. მეურნეობრივი ანგარიშიანობის თანმიმდევრული გამოყენება შეუძლებელია მრეწველობასა და სოფლის მეურნეობას

შორის ეკვივალენტური გაცვლის, სახელმწიფოებრივი რეგულირებისა და დაგეგმვის გარეშე, წარმოებრივ ტექნიკური მომსახურების, ფინანსიურ-საკრედიტო და კოლმეურნეობათაშორისო კავშირების, თვითღირებულების შემცირებისათვის ბრძოლის და რენტაბელობის ამაღლების, მატერიალური დაინტერესებულობის სრულყოფისა და გაუმჯობესების გარეშე.

მეურნეობრივი ანგარიშიანობის ნორმალური ფუნქციონირებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს სოფლის მეურნეობის პროდუქციის მეცნიერულ დაგეგმვას. სახელმწიფო ამ შემთხვევაში სახალხო მეურნეობის ნორმალური განვითარების უზრუნველსაყოფად გარკვეული რაოდენობის სოფლის მეურნეობის პროდუქციას მოითხოვს. ამ მხრივ უნდა აღინიშნოს სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადება და შესყიდვა. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტის პლენუმმა გამოააშკარავა სერიოზული ნაკლოვანებანი სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადებისა და შესყიდვის საქმეში. დამზადების გეგმები ხშირად დაუსაბუთებელი იყო, ისინი ერთი წლით იგეგმებოდა, ადგილი ჰქონდა გეგმების სისტემატურ ზრდას, დამატებითი გეგმები ხშირად ძირითადს აღემატებოდა და სხვ. 1965 წლის მარტის პლენუმმა ამხილა სერიოზული შეცდომები სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადებისა და შესყიდვის საქმეში და მნიშვნელოვნად შეამცირა ისინი. ამასთან, გეგმები სტაბილური გახდა 5-6 წლის განმავლობაში, რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა წინა პერიოდში დაშვებული უხეში შეცდომების გამოსასწორებლად.

უკანასკნელ დროს ზოგიერთი ეკონომისტი გვთავაზობს, უარვყოთ სოფლის მეურნეობის დაგეგმვის არსებული სისტემა, რომელიც სახელმწიფო გეგმა-შეკვეთას ემყარება, მოვახდინოთ სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის პროდუქციის გაცვლა თავისუფლად მიწოდება-მოთხოვნის საფუძველზე. მაგალითად, ვ. ვენჟერის აზრით, ცენტრალიზებული დაგეგმვა შეუთავსებელია კოლმეურნეობრივი წყობილების დემოკრატიული მმართველობის ფორმასთან. სახელმწიფო ორგანოებმა უნდა მოახდინონ მარტოოდენ ფასების რეგულირება, სახელმწიფოს სხვა სახის ჩარევა კოლმეურნეობრივი წარმოების სხვა საქმეში. მის მიერ განხილულია, როგორც ადმინისტრაციული, სახალხო მეურნეობის მართვის ეკონომიკურ მეთოდებთან კოლმეურნეობების კოოპერაციულ ბუნებასთან შეუთავსებელნი[4].

სოციალიზმის დროს დასაშვებია თუ არა ხელი ავიღოთ საქონლური პროდუქციის ცენტრალიზებული წესით დაგეგმვაზე? ჩვენი აზრით, არა. საზოგადოებრივი საკუთრების დამკვიდრების შედეგად ჩვენს ქვეყანაში შესაძლებელი გახდა სახალხო მეურნეობის წარმართვა ერთიანი ცენტრალიზებული გეგმით. სოციალისტურ სახელმწიფოს არ შეუძლია არსებობა სურსათისა და ნედლეულის მარაგის გარეშე. ამასთან მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოება, რომ შესყიდვის სტაბილური გეგმები უნდა უზრუნველყოფდეს კოლმეურნეობის ნორმალურ საქმიანობას, მათ ნამდვილ, დასაბუთებულ ურთიერთობას სახელმწიფოსთან, კოლმეურნეებთან, მრეწველობასთან და კოლმეურნეობებთან.

ამასთან, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ შესყიდვის გეგმები, ხშირ შემთხვევაში, დაუსაბუთებელია, ამიტომაც ისინი ვერ უზრუნველყოფენ მეურნეობრივი ანგარიშიანობის მოთხოვნების სათანადოდ რეალიზაციას. მხედველობაშია მისაღები ის ფაქტიც, რომ საქონლური პროდუქციის 90—92% სახელმწიფოს

[4] В. Г. Венжер. Колхозный строй на современном этапе. М., 1966, стр. 176, 215.

განკარგულებაში გადადის, ე. ი. ადგილი აქვს კოლმეურნეობების პროდუქციის დაუსაბუთებელ კონცენტრაციას სახელმწიფოს ხელში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტის პლენუმზე აღინიშნა, რომ სოფლის მეურნეობრივი წარმოების დაგეგმვის მთავარი ნაკლი იყო რენტაბელობისადმი უყურადღებო დამოკიდებულება, სოფლისმეურნეობრივი პროდუქტების დამზადების არასწორი დაგეგმვა; გეგმები ითვალისწინებდნენ უზომოდ მაღალ საქონლიანობას, რაც ფაქტიურად არ გვაძლევდა სოფლის მეურნეობის გაფართოებული აღწარმოების საშუალებას. „სახელმწიფოსათვის მთელი ან თითქმის მთელი პროდუქციის ჩაბარებასთან დაკავშირებით მკვეთრად შემცირდა საკოლმეურნეო ვაჭრობა, მაშასადამე, შემცირდა საშუალო სარეალიზაციო ფასები და საკოლმეურნეო წარმოების რენტაბელობა“[5].

კოლმეურნეობრივი წყობილების განვითარებასთან ერთად, სულ უფრო გაიზრდება სოფლის მეურნეობის საქონლური პროდუქცია. ზოგიერთი ეკონომისტი ეჭვს გამოთქვამს, რომ, თუ გარანტირებული ბაზარი არ იქნება, გართულდება სოფლის მეურნეობის პროდუქციის გასაღება. მათი აზრით, საჭიროა გარანტირებული ბაზარი, რომელიც ხელს შეუწყობს კოლმეურნეობების პროდუქციის რეალიზაციას. ეს მოსაზრება სწორია, მაგრამ თუ ჩავწვდებით საქმის არსს, აღმოჩნდება, რომ ამ მიმართულებით ყველაფერი რიგზე როდია. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტის პლენუმზე აღინიშნა, რომ სერიოზულ შეცდომების შედეგად მოიშალა ნორმალური ურთიერთობა სახელმწიფოსა და კოლმეურნეობებს შორის, მეურნეობრივი ანგარიშიანობა ფორმალურ ხასიათს ატარებდა. „სამეურნეო ანგარიში დარღვეულია, — ამბობდა ლ. ი. ბრეჟნევი, — საბჭოთა მეურნეობებთან, აგრეთვე კოლმეურნეობებთან სახელმწიფოს თვით ეკონომიურ ურთიერთობაში“[6].

სკკპ 1965 წლის მარტის პლენუმის შემდგომ განვლილ პერიოდში კოლმეურნეობრივ წყობილებაში ბევრი ცვლილება მოხდა, კოლმეურნეობები უფრო განმტკიცდნენ, მეურნეობრივი ანგარიშიანობა აგრეთვე უფრო სრულყოფილი გახდა.

სახალხო მეურნეობის მაღალი ტემპით განვითარებისათვის საჭიროა მეურნეობრივი ანგარიშიანობის სრულყოფა. ამის დასადასტურებლად მოგვყავს ცხრილი, რომელიც შეეხება კოლმეურნეობების პროდუქციის რეალიზაციას სახელმწიფოს მიერ (იხ. ცხრილი 1).

როგორც ცხრილიდან ჩანს, სოფლის მეურნეობის პროდუქციის სახელმწიფო შესყიდვის ტემპი ბევრად აღემატება მისი წარმოების ზრდის ტემპს. სახალხო მეურნეობის გეგმაზომიერი განვითარებისათვის აუცილებელია სოფლის მეურნეობის პროდუქციის სახელმწიფოებრივი შესყიდვა. თუ შესყიდვის ფასებით ნორმალური პირობები ექმნება კოლმეურნეობებს, მაშინ მას დიდი ეკონომიკური ეფექტის მოტანა შეუძლია.

კოლმეურნეობების განმტკიცებასთან ერთად სოფლის მეურნეობის პროდუქციის გარანტირებული გასაღება სულ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს. კოლმეურნეობრივი წყობილების შემდგომი განვითარების ინტერესები მოითხოვს პროდუქციის რეალიზაციას წინასწარი გეგმის მიხედვით. კოლმეურნე-

5 საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი. 1965 წ. 24—26 მარტი, (სტენოგრაფიული ანგარიში), თბ., 1966, გვ. 223.

6 ლ. ი. ბ რ ე ჟ ნ ე ვ ი. სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის განვითარების გადაუდებელი ღონისძიებათა შესახებ, თბ., 1965, გვ. 38.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის ძირითადი პროდუქტების წარმოება და დამზადება
1950—1974 წწ. (ათას ტონობით)[7]

ცხრილი 1

	წარმოება							დამზადება						
	1950	1955	1960	1965	1970	1974	%% 1950 წ. მიმართ	1950	1955	1960	1965	1970	1974	%% 1950 მიმართ
კართოფილი	133,8	210,2	199,8	227,8	198,5	291,5	217,9	10,1	11,2	14,3	58,6	68,1	96,2	952,5
ბოსტნეული	84,0	156,7	186,5	261,3	326,6	435,3	518,2	23	30,1	150,9	100,9	156,5	228,7	994,3
ყურძენი	15,8	300	247	385	579	458	289,9	57,8	112,5	92,8	244,8	391,8	322,2	557,4
ხილი (ციტრუსების გარდა)	150,0	195	179	174	373	360	240,0	22,7	28,7	83,5	104,5	225,1	282,5	1244,5
ჩაი	292,5	414,2	487,1	470,7	518,1	518,4	177,2	56,9	88,3	132,8	141,2		210,6	370,1
კვერცხი	156,3	236,9	221,3	305,2	397,3	514,6	329,2	10,3	33,3	63,0	96,6	161,5	275,5	2670,8

7 Грузинская ССР в цифрах в 1974 году. Краткий стат. сб., Тб., 1975, стр. 72-73.

ობების მიერ პროდუქციის თავისუფალ რეალიზაციას შედეგი მოაქვს იმ შემთხვევაში, როდესაც შესყიდვის ფასებით უზრუნველყოფილი არ არის წარმოების პროცესის ნორმალური მსვლელობა.

სკკპ ცკ 1965 წლის მარტის პლენუმზე აღინიშნა, რომ შესყიდვის ფასების დაუსაბუთებლობის გამო, კოლმეურნეობები ვერ უზრუნველყოფდნენ წარმოების დანახარჯების დაფარვას. აღნიშნული გარემოება ხელს უშლიდა კოლმეურნეობების ეკონომიკის განმტკიცებას, მათ წინაშე მდგარი ამოცანების გადაჭრას, ამცირებდა მატერიალურ სტიმულირებას და ბოლოს იწვევდა სახალხო მეურნეობის განვითარების ტემპების შენელებას. სახალხო მეურნეობის, კერძოდ, სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობაში გაბატონებული იყო სუბიექტივიზმი და ვოლუნტარიზმი.

მეურნეობრივი ანგარიშიანობა რთული ურთიერთობების გამომხატველი ეკონომიკური კატეგორიაა. სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესყიდვის დაგეგმვას დადებითი შედეგის მოტანა შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი სწორად ასახავს ღირებულების კანონის მოთხოვნებს და ნორმალურ პირობებს ქმნის კოლმეურნეობების მეურნეობრივი საქმიანობისათვის. აღნიშნული შეუძლებელია, თუ შესყიდვის ფასები ვერ ფარავს წარმოების ხარჯებსა და არ უზრუნველყოფს რენტაბელობის 40—50 პროცენტს მაინც.

საქართველოში შესყიდვის ფასების დონე ხშირად ვერ უზრუნველყოფს კოლმეურნეობებისათვის ნორმალური მუშაობის პირობებს. საქართველოს სსრ კოლმეურნეობათა რენტაბელობამ 1966 წელს შეადგინა 12,8 პროცენტი, 1967—6,3, 1968—7,8, 1969—11,4 პროცენტი. რენტაბელობის აღნიშნული დონე ვერ უზრუნველყოფს კოლმეურნეობების გაფართოებული აღწარმოების კანონების მოთხოვნების საფუძველზე განვითარებას.

1972 წ. საქართველოს პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრებაზე აღინიშნა, რომ შრომისა და წარმოების ცუდი ორგანიზაციის, დაბალი დისციპლინისა და უყაირათობის გამო რესპუბლიკის 588 კოლმეურნეობა ნაკლებრენტაბელური და ზარალიანია, დაბალია კოლმეურნეობათა შემოსავალი, რის გამოც 270 კოლმეურნეობაში შემოსავალი ვერ ფარავს შრომის ანაზღაურების ხარჯებს. ქვემოთ მოგვყავს ცხრილი კოლმეურნეობებში ერთ კაცდღეზე მთლიანი შემოსავლის ოდენობის შესახებ (იხ. ცხრილი 2).

როგორც ვხედავთ, კოლმეურნეობათა დიდი ნაწილი — 594 კოლმეურნეობა ანუ მთელი რაოდენობის 54,6% ერთ კაცდღეზე ღებულობს 4 მანეთამდე მთლიან შემოსავალს. ამ კოლმეურნეობებში ერთი კაცდღის საშუალო ანაზღაურება, რომ იმ დონეზე იყოს, რაც საშუალოდ რესპუბლიკაშია, მაშინ მათ არ დარჩებათ სახსრები დაგროვების ფონდების შესაქმნელად, ხოლო თუ ეს კოლმეურნეობები, მაინც გამოყოფენ სახსრებს დაგროვებისათვის, მხოლოდ მოხმარების ფონდის შემცირების ხარჯზე[8].

მთლიანი შემოსავლის დაბალი დონე განაპირობებს შესაბამის მაჩვენებელს კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურებაში (იხ. ცხრილი 3).

1971 წლის მონაცემებით, რესპუბლიკის 284 კოლმეურნეობაში ერთი კაცდღის ანაზღაურებამ 2 მანეთზე ნაკლები შეადგინა. კიდევ უფრო უარესი მდგომარეობა იყო ონის, ამბროლაურის, ცაგერის, ლენტეხის, მესტიის, ვანის,

[8] დ. დიასამიძე, სოციალისტური საკუთრების ორი ფორმა და აღწარმოების თავისებურებანი კოლმეურნეობებში, თბ., 1974, გვ. 45.

საქართველოს სსრ კოლმეურნეობათა დაჯგუფება მთლიანი შემოსავლის მიხედვით ერთ კაცდღეზე გაანგარიშებით (1972 წელს)[9]

ცხრილი 2

ჯგუფები	კოლმეურნეობათა რაოდენობა		მთლიანი შემოსავალი საშუალოდ ერთ კაცდღეზე (მახეთობით)
	სულ	პროცენტობით ჯამის მიმართ	
2,0 მანეთამდე	160	14,3	1,5
2,1—3,0 „	250	21,7	2,58
3,1—4,0 „	219	18,6	3,53
4,1—5,0 „	176	14,9	4,52
5,1—6,0 „	113	9,6	5,51
6,1—8,0 „	153	13,0	6,96
8,1—10,0 „	70	5,9	8,93
10,1 და მეტი	18	1,5	11,67
ჯამი	1174	99,5	5,12
მთლიანი შემოსავლის გარეშე	6	0,5	—0,58
სულ	1180	100,0	5,10

მაიაკოვსკის და სხვა რაიონის კოლმეურნეობებში. შემდგომ წლებში აღნიშნული მდგომარეობა შეიცვალა. შემცირდა იმ კოლმეურნეობათა რიცხვი, რომლებშიც ერთ კაცდღეზე 2 მანეთზე ნაკლებს უნაზღაურებდნენ. ეს პირველ რიგში განპირობებული იყო საქართველოს კომპარტიის ახალი ხელმძღვანელობის უკომპრომისო ბრძოლით ნეგატიური მოვლენების დასაძლევად.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVIII პლენუმზე აღინიშნა სოფლის მეურნეობაში, კერძოდ, მეცხოველეობის განვითარებაში

კოლმეურნეობათა დაჯგუფება 1 კაცდღის ანაზღაურების დონის მიხედვით[10]

ცხრილი 3

წლები	კოლმეურნეობათა რაოდენობა	კოლმ. რიცხვი შრომის ანაზღ. დონით 1 კაცდღეზე				
		2 მანმდე	2-დან 3-მან-მდე	3-დან 4 მან-მდე	4-დან 5-მან-მდე	5-მან-დან ზევით
1968	1962	378	529	304	137	64
1969	1349	364	483	349	160	92
1970		344	368	256	159	266
1971		284	340	251	196	325
1972	1180	198	352	263	185	182
1973	1154	203	331	428		192

არსებული სერიოზული ხარვეზები, რამაც განაპირობა ამ დარგის წამგებიანობა. ჯოგის დაბალი პროდუქტიულობის, ფერმების სუსტი ტექნიკური აღჭურვილობის და სხვა მიზეზების გამო რესპუბლიკა მეცხოველეობის ეკონომიკური მაჩვენებლებით უკანასკნელ ადგილზეა კავშირში. 1965 წლიდან, მეცხოველეობიდან, მეურნეობებმა თითქმის 290 მილიონი მანეთი იზარალეს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVIII პლენუმზე აღინიშნა, რომ „საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი მხარს დაუჭერს ყველაზე გაბედულ წინადადებებს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობების მუშების მატერიალური დაინტერესების გადიდების თაობაზე“[11].

[9] დ. დ ი ა ს ა მ ი ძ ე. სოციალისტური საკუთრების ორი ფორმა და აღწარმოების თავისებურებანი კოლმეურნეობებში, თბ., 1974, გვ. 45.

[10] ცხრილი შედგენილია კოლმეურნეობათა წლიურ ანგარიშების მიხედვით.

[11] გაზ. „კომუნისტი“, 1975 წლის 13 სექტემბერი.

მეურნეობრივი ანგარიშიანობის სრულყოფა კი, პირველ რიგში, მატერიალური დაინტერესების სისტემატურ ამაღლებას გულისხმობს. თუ შესყიდვის ფასები დასაბუთებულია, პროდუქციის ცენტრალიზებული გზით რეალიზაცია სასარგებლოა კოლმეურნეობებისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში კოლმეურნეობების საქმიანობაში სიძნელენი გარდუვალია.

ამასთან კოლმეურნეობების პროდუქციის თავისუფალ რეალიზაციას შეუძლია არასასურველი შედეგები მოჰყვეს. პირველ ყოვლისა, შესყიდვის გეგმების უქონლობის პირობებში კოლმეურნეობები ერთგვარ სიძნელეს წააწყდებიან და იძულებული გახდებიან შეისწავლონ ბაზრის კონიუნქტურა ქვეყნის სხვადასხვა რაიონში, შეარჩიონ ბაზრები სადაც ფასები ამა თუ იმ პროდუქციაზე მაღალი იქნება, კოლმეურნეობების ხელმძღვანელები ყოველნაირად ეცდებიან თავიანთი პროდუქციის რეალიზაციას ხელსაყრელ ფასებში, რითაც ზიანს მიაყენებენ წარმოებას. ეს გარდუვალად გამოიწვევდა არა მარტო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნას პროდუქციის შესანახად, არამედ შესაბამისი შტატების შექმნასაც. სასარგებლოა თუ არა სოციალისტური საზოგადოებისათვის? ჩვენი აზრით, — არა[12].

როგორც ი. პისკუნენკო აღნიშნავს, არ შეიძლება დავეთანხმოთ თავისუფალი რეალიზაციის მომხრე ეკონომისტებს, რომლებიც თავიანთ მოსაზრებას იმით ასაბუთებენ, რომ შეიქმნება პირობები შრომის პროდუქტების ეკვივალენტური გაცვლისათვის, ღირებულების კანონის თავისუფალი მოქმედებისათვის.

სახალხო მეურნეობის დაგეგმვა სოციალიზმის მნიშვნელოვანი უპირატესობაა კაპიტალიზმთან შედარებით. დაგეგმვის ეფექტიურობა დამოკიდებულია გეგმების მეცნიერულ დასაბუთებაზე, გეგმაზომიერი პროპორციული კანონის მოქმედების გათვალისწინებაზე, ფულადსაქონლური ურთიერთობის, მეურნეობრივი პრინციპების გათვალისწინებაზე[13].

ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ცენტრალიზებული დაგეგმვა და კოლმეურნეობების მეურნეობრივი დამოუკიდებლობა სწორად შევუხამოთ ერთმანეთს.

ი. პისკუნენკოს აზრით კოლმეურნეობებში მეურნეობრივი ანგარიშიანობის სრულყოფა, სახელმწიფოსთან მათი კავშირურთიერთობის განმტკიცება და გამარტივება შესაძლებლობას მოგვცემდა გადავსულიყავით სოფლისმეურნეობრივი პროდუქტების შესყიდვაზე მხოლოდ იმ რაიონებში, სადაც თვითღირებულება დაბალია[14].

ამგვარად, ავტორი იცავს დეზენტრალიზებული წესით სოფლის მეურნეობის პროდუქციის რეალიზაციას, ასეთ პირობებში გეგმიანი ხელმძღვანელობის მეთოდი შესუსტდება, გასაქანი მიეცემა ბაზრის კონიუნქტურის თავისუფალ მოქმედებას იმ რაიონებში, სადაც კოლმეურნეობებს სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება ძვირი უჯდება, კოლმეურნეობები იძულებულნი გახდებიან როგორც თვით ავტორი აღნიშნავს, შეისწავლონ ბაზრის კონიუნქტურა,

---

12 И. Ф. Пискуненко. Хозрасчетные рычаги в колхозном производстве, стр. 108—109.

13 იქვე, გვ. 109.

14 И. Ф. Пискуненко. Хозяйственные рычаги в колхозном производстве, стр. 110.

შექმნან სოფლის მეურნეობის პროდუქციის შენახვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რაც თავისთავად დიდ სიძნელეებთან იქნებოდა დაკავშირებული.

ამასთან, სხვადასხვა ეკონომიკური ბერკეტების გამოყენებით ჩამორჩენილი კოლმეურნეობებისათვის ხელის შეწყობის ნაცვლად ისინი ბედის ანაბარად დარჩებიან, ეს კი მეურნეობრივი ანგარიშიანობის პრინციპების უხეში დარღვევა, საქმისადმი წმინდა კომერციული მიდგომა იქნება, რაც კაპიტალიზმისათვის არის დამახასიათებელი.

თუ შესყიდვის ფასების დონე შესაძლებლობას აძლევს კოლმეურნეობებს განახორციელონ გაფართოებული აღწარმოება, აამაღლონ კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურების დონე, გაადიდონ მოხმარების საზოგადოებრივი ფონდები და სხვ., ასეთ პირობებში, კოლმეურნეობებისათვის სასარგებლოა საქონლურობის ამაღლების ტენდენცია. ამასთან დაგეგმვის თანამედროვე სისტემის შენარჩუნება, სახელმწიფოსათვის პროდუქციის მიყიდვა იქამდე მიგვიყვანს, რომ კოლმეურნეობების მეურნეობრივი დამოუკიდებლობა შესუსტდება.

ამდენად, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პროდუქციის საქონლიანობის ზრდის უეჭველად პროგრესული და აუცილებელი ამოცანა წინააღმდეგობაში ვარდება წარმოების დამოუკიდებლობისა და უფლებების გაფართოებასთან. ამიტომ, სოფლის მეურნეობის დაგეგმვის სრულყოფა გადაუდებელი ამოცანაა. საჭიროა სოფლის მეურნეობის განვითარების ტემპებსა და სახელმწიფოსათვის მიყიდული პროდუქციის ზრდის ტემპებს შორის გარკვეული პროპორციის დაცვა. წინააღმდეგ შემთხვევაში შეილახება კოლმეურნეობების ინტერესები, შემცირდება ზეგეგმური ჩაბარების შესაძლებლობანი, რაც კოლმეურნეობების ფინანსურ შესაძლებლობებს შეზღუდავს.

რ ო ლ ა ნ დ ს ა რ ჩ ი მ ე ლ ი ა

ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელირება რამდენიმე მიზნის ფუნქციით

რთული სისტემების შემეცნებისა და ოპტიმალური (წრფივი, არაწრფივი, დისკრეტული და ა. შ.) პროგრამირების ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელების შემდგომი სრულყოფისათვის მოდელირება რამდენიმე მიზნის ფუნქციით ერთ-ერთი ეფექტური საშუალებაა. როგორც ცნობილია, ოპტიმალური პროგრამირების ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელი შესდგება შეზღუდვათა სისტემისა და მიზნის ფუნქციისაგან: შეზღუდვა, რომელიც ედება უცნობთა სიმრავლეს, გამოისახება განტოლებებსა და უტოლობებში, ლოგიკურ პირობით და ა. შ. მიზნის ფუნქცია გარკვეული ფუნქციონალური გამოსახულების ექსტრემუმის ძიების შედეგად საშუალებას იძლევა უცნობთა სიმრავლისაგან, რომლებიც აკმაყოფილებენ შეზღუდვათა სისტემას, შევარჩიოთ ოპტიმალური ამონახსენი [1].

ფართო გამოყენებას პოულობს ოპტიმალური პროგრამირების ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელები (სატრანსპორტო, წარმოების ოპტიმალური დაგეგმვის, გაადგილების, რაციონის და ა. შ.), შეზღუდვებით რესურსების რაოდენობა, პროდუქციაზე მოთხოვნილება, მიზნის ფუნქციის საშუალებით კი სწარმოებს დანახარჯთა მინიმიზაცია ან მაქსიმალური შემოსავლის მიღება, დეფიციტური რესურსების ან გეგმის შესრულებისათვის აუცილებელი დროის მინიმიზაცია და ა. შ. ასეთ ამოცანაში თუ ერთდროულად ერთზე მეტი მიზნის ფუნქციაა, მაშინ ისინი შეზღუდვებთან ერთად გვაძლევენ ოპტიმალური პროგრამირების ეკონომიკურ-მათემატიკურ მოდელს რამდენიმე მიზნის ფუნქციით.

წარმოების საშუალებების საზოგადოებრივ საკუთრებაზე დამყარებული სოციალისტური წარმოების წესი ეკონომიკას წარმოადგენს ერთიან ორგანიზმად, რომელშიაც ეკონომიური ეფექტურობის გლობალური კრიტერიუმი გამოხატულია სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონით, ამიტომ ეკონომიკაში დაგეგმვისა და მართვის ამოცანები ერთ მიზანს ემსახურებიან. აქედან გამომდინარე ოპტიმალური პროგრამირების აპარატით შედგენილ ეკონომიკურ-მათემატიკურ მოდელს უნდა გააჩნდეს მხოლოდ ერთადერთი მიზნის ფუნქცია. ეკონომიკურ მოვლენათა ამსახველ მოდელებში შემავალ პარამეტრების შეფასებათა სირთულე, მრავალექსტრემალობა, ამასთან დინამიკური პროცესების ხანგრძლივი პერიოდები — აუცილებელს ხდის შესაბამის ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელი წარმოდგენილი იქნეს რამდენიმე მიზნის ფუნქციით.

ეკონომიკურ ამოცანების მრავალექსტრემალობა საჭიროებს ლოკალური ექსტრემუმების ცალკე გამოყოფასა და ანალიზს, მდგრადობისა და განსაკუთრებით შეზღუდვათა ცვლილების გავლენის შესწავლას ოპტიმალურ ამონახსენსა და მიზნის ფუნქციებზე. შედარებით ზოგადი მიდგომით საჭიროა დავუშვათ კომპრომისული ამონახსენთა მიღების შესაძლებლობა, შევადგინოთ

---

1 რ. ს ა რ ჩ ი მ ე ლ ი ა, ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელირების შესახებ, ჟურნალი „მაცნე“, ფილოსოფიის... სერია, 1975, № 1, გვ. 66—72.

და გამოვიკვლიოთ ვექტორული მიზნის ფუნქცია, დავსვათ საუკეთესო მიახლოების და მრავალკრიტერიუმიანი ამოცანები და ა. შ.[2]

ვინაიდან გაიზარდა ისეთ ამოცანათა რიცხვი და სირთულე, რომელთა გადასაწყვეტად ოპტიმალური პროგრამირების მეთოდები არის ეფექტური რამდენიმე კრიტერიუმის შემთხვევაში ამონახსენთა ამორჩევის პრობლემა უფრო მნიშვნელოვანი გახდა. მაგალითად: მეცნიერების, განათლების სისტემის, დარგის ან საერთოდ ნებისმიერი რთული სისტემის ანალიზი და მათთან დაკავშირებით ოპტიმალურ ამონახსენთა დადგენა. საილუსტრაციოდ მოვიყვანოთ მრავალქსელური მოდელირება (შეთანხმებული გამსხვილებულ ქსელებთან) და დაგეგმვის ნაკადური მეთოდების გამოყენება მშენებლობის ორგანიზაციაში. აქვე საჭირო ხდება მრავალქსელური ამოცანების ანალიზი, დეფიციტურ რესურსების რაციონალურ გამოყენების გათვალისწინებით, კრიტიკულ გზაზე მდებარე სამუშაოთა მიმართ და ა. შ.

რთული სისტემები შეიცავენ რამდენიმემიზნიან ამოცანებს, ამიტომ ოპტიმიზაცია არ შეიძლება ვაწარმოოთ მრავალკრიტერიუმიანი მიდგომის გარეშე. ოპტიმიზაციას ერთდროულად ორი ან უფრო მეტი მაჩვენებლით მივყავართ ვექტორული ოპტიმიზაციის პრობლემამდე. მათი წარმოშობა გამოწვეულია კრიტერიუმთა წინააღმდეგობით და იმითაც რომ პრაქტიკულად შეუძლებელია მათი მამრავლების საშუალებით (შეფასებები) ერთი მიზნის ფუნქციამდე დაყვანა.

უკანასკნელ წლებში ეკონომიკურ-მათემატიკურ გამოკვლევებში ყურადღება იქნა გამახვილებული ვექტორული ოპტიმიზაციის ამოცანებისადმი. ამ პრობლემაზე აზრი გამოთქმული იყო მე-19 საუკუნის ბოლოს ეკონომისტ ვ. პარეტოს მიერ და მიუხედავად იმისა, რომ შემდგომ ამ მიმართულებით რიგი შრომები ეხებოდა მრავალკრიტერიუმიან ამოცანების მსგავს საკითხებსაც არსებით განვითარება ვექტორული ოპტიმიზაციის პრობლემას არ მიუღია.[3, 4] (ოპტიმალური პარეტოს აზრით ეწოდება ისეთ მდგომარეობას, თუ არ არსებობს სხვა დასაშვები მდგომარეობა, რომელიც ყველა მონაწილესათვის არ არის უარესი, ხოლო ერთისათვის მაინც უკეთესია — განმსაზღვრელ ამონახსენს უწოდებენ ეფექტურს).

ოპტიმალურს (ეფექტური წერტილი, ამონახსენი, მდგომარეობა) პარეტოს აზრით გამოყენება აქვს ფასების დადგენისას ცენტრალურ საგეგმო ორგანოების მიერ (ეგრეთწოდებულ „ბუნდოვან“ ფასებს — ლაგრანჟის მამრავლებს, რომლებიც მიღებულნი არიან კეთილდღეობის ამოცანის მაქსიმიზაციიდან)[5].

ოპტიმალური ამონახსენი მთელი სისტემისათვის იქნება პარეტოს აზრით, მაშინ, თუკი მართვის სისტემა ცენტრალიზებულია, ხოლო არაცენტრალიზებულ მართვის რეალიზაციისას შეიძლება ჩავთვალოთ წონასწორობა ნაშეს

---

[2] В. И. Борисова. „Проблемы векторной оптимизации“, сборник „Исследование операции“, М., 1972, стр. 72,90.

[3] Словарь-справочник математика и кибернетика в экономике, М., 1975, стр. 66—68, 404.

[4] С. Карлин. Математические методы в теории игр, программировании и экономике, М., 1964, стр. 253—256.

[5] М. Интрилигатор. Математические методы оптимизации и экономическая теория, М., 1976, стр. 335, 351.

მიხედვით, რომელიც მოწინააღმდეგის ფიქსირებულ მოქმედებისას იძლევა ყოველ ქვესისტემაში მაქსიმუმს.

ჯ. ფონ ნეიმანისა და ო. მორგენშტერნის მიერ 1944 წელს მოცემული იყო თამაშთა თეორიის საშუალებით ეკონომიკის რამდენიმე ურთიერთსაწინააღმდეგო კრიტერიუმი და ამონახსენის ამორჩევის მეთოდი, ხოლო 1963 წელს კი ლ. ზადეს მიერ დასმულ იქნა საკითხი ავტომატურ სისტემების პროექტირების შესახებ რამდენიმე ხარისხობრივი მაჩვენებლებით[6].

მათემატიკურ ეკონომიკაში ერთ-ერთი ცენტრალური საკითხია ეკონომიკის წონასწორობის თეორია, რომელიც რამდენიმე მიზნიან ამოცანიდან გადაწყვეტილების მისაღებად შეიძლება იქნეს მიღებული კონკრეტულ ამოცანის ეკონომიკური ბუნების ღრმა ანალიზის საფუძველზე. ეკონომიკური წონასწორობის მდგომარეობა ხასიათდება იმით, რომ მისი წარმომადგენლები არ არიან დაინტერესებულნი შეცვალონ წონასწორობა იმ საშუალებით, რომლებსაც ისინი ფლობენ (ფასების მოცემულ სისტემაში დამატებით დანახარჯების გარეშე არცერთ მომხმარებელს არ შეუძლია მიაღწიოს მეტ მოგებას).

ეკონომიური ურთიერთმოქმედების მომხმარებელ და მიმწოდებელ საწარმოებს შორის მნიშვნელობა აქვს იმ პირობების აღწერას, რომლებიც აუცილებელნი არიან წონასწორობის არსებობისათვის. შემდგომ წონასწორობის თეორიაში ძირითადია: ამონახსენის არსებობის, ერთადერთობისა და წონასწორობის მდგრადობის დადგენა. მათში კი არსებითია: განსაზღვრულ პარამეტრების მიმართ წონასწორობის მდგომარეობის შესწავლა, წონასწორობისათვის შესაბამისი ფასების გამოთვლა, ეკონომიური კეთილდღეობის შესწავლა და ანალიზი.

მათემატიკური პროგრამირების წრფივი მოდელებით აღწერილ ეკონომიკის წონასწორობის ამოცანათა ეფექტურ ამონახსნების მისაღებად შრომაში[6] ფიზიკური მოდელირების მეთოდია მოცემული, სადაც აგრეთვე მნიშვნელოვან შედეგს წარმოადგენს გლობალური მიზნის ფუნქციის არსებობის დადგენა.

ვექტორული ოპტიმიზაციის ამოცანებში ამონახსენის ამორჩევისათვის კომპრომისის შესაძლებელ ხერხთაგან შეიძლება განვიხილოთ წონითი კოეფიციენტების წინასწარი შერჩევა, ახალი მიზნის ფუნქციის წარმოდგენა წონითი კოეფიციენტებისა და შესაბამისი ნორმის მიზნის ფუნქციათა ნამრავლთა ჯამის სახით (აქ წონითი კოეფიციენტი გამოისახება, როგორც შესაბამისი დასახელების მიზნის ფუნქციის ოპტიმალური მნიშვნელობის შებრუნებული სიდიდე).

შრომაში[7] განმარტებულია რა იდეალური წერტილი, შემდეგ შესაბამისი ნორმის შემოყვანით წარმოებს პარეტო-ოპტიმალური ამონახსენის პოვნა, რომელიც უზრუნველყოფს მაქსიმალურ სიახლოვეს თავის საუკეთესო მნიშვნელობასთან, იმის გამო, რომ არ სწარმოებს წონითი კოეფიციენტების გამოთვლა, რაც რთულ სისტემებში საკმაოდ გაძნელებულია (შეუძლებელიც კი), წარმოდგენილი მიდგომა ატარებს პრაქტიკულ ინტერესს.

---

[6] Б. С. Разумихин, Физические модели и методы теории равновесия в программировании и экономике, М., 1975.

[7] М. Е. Салуквадзе. Задачи векторной оптимизации в теории управления, Тб., 1975, стр. 11—43.

მრავალკრიტერიუმიან ოპტიმიზაციის ამოცანათა გამოყენება დაწყებულ იქნა XX საუკუნის 70-იანი წლებიდან და იგი აისახა ტექნიკურ-ეკონომიკურ ამოცანათა შესაბამ ეკონომიკურ-მათემატიკურ მოდელებში. აღნიშნულ მიმართულებით კვლევამ ბუნებრივია თავისი ადგილი უნდა ჰპოვოს ეკონომიკის სხვადასხვა ამოცანებში.

ამჟამად ეკონომიკურ სისტემის კომპლექსურ დაგეგმვის მოდელურ უზრუნველყოფისათვის ცენტრალური საკითხია ვექტორული ოპტიმიზაციის პრობლემა და კომპლექსურ სახალხო მეურნეობრივ პროგრამებისათვის ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელების შემუშავება[8].

ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელები რამდენიმე მიზნის ფუნქციით და შესაბამისად მრავალკრიტერიუმიანი ამოცანები, მიუხედავად თავიანთი არაკორექტურობისა წარმოიშობიან პრაქტიკული მნიშვნელობის ამოცანათა განხილვისას. ამასთან მათ ამოსახსნელად სწარმოებს რამდენიმე მიზნის ფუნქციის ერთზე დასაყვანად მიდგომათა ჩამოყალიბება, ეფექტურ წერტილთა სიმრავლიდან საბოლოო ამონახსენის დასადგენად ჯზების ძიება და ა. შ.[9]

შრომაში[10], კომპრომისული ამონახსენის ლოკალური ამონახსენით მიახლოების გზით აგებულია ზოგადი მოდელი, შემუშავებულია რეკომენდაციები წონითი კოეფიციენტების ამორჩევისათვის.

რამდენიმე მიზნიან ამოცანათა გადასაჭრელად მიმართავენ რა ლოკალურ ამოცანათა გამოყოფას სწარმოებს შესაბამის კრიტერიუმთა დადგენა, ამ შემთხვევაში ოპტიმიზაციის განზოგადოება წარმოადგენს მიახლოების ამოცანას და გააჩნია განსაზღვრული მდგრადობა. კრიტერიუმების დადგენა ოპტიმიზაციის მიმართ საშუალებას იძლევა რთული ამოცანები დაყოფილ იქნეს შედარებით მარტივ ამოცანებად და მათი შეთანხმებით უზრუნველვყოთ საბოლოო ამონახსენის მიღება.

ამოცანის შესაბამისად, შინაარსობრივი ანალიზით, ან ინტუიტიური მიდგომითაც კი, პირველ, ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ნიშნით მიდიან რა რაიმე დათმობაზე ღებულობენ საბოლოო ამონახსენს. რასაკვირველია რთულ ამონახსნებში პრაქტიკულად მისაღები ამონახსენი წარმოადგენს საკმაოდ მნიშვნელოვანს, როგორც მისი შემდგომი თეორიული გამოკვლევებისათვის, ასევე პრაქტიკული რეალიზაციისათვის, კერძოდ ეკონომიკის დაგეგმვაში[11, 12].

რთულ სისტემების ამონახსენთა ამორჩევისათვის მრავალკრიტერიუმიანი მიდგომის აუცილებლობა წამოიჭრება იმ შემთხვევაში.

1. თუ რამდენიმე ობიექტზე ერთობლივი მოქმედებით განისაზღვრება ამონახსნები და მათი ეფექტურობა ცალკეა შეფასებული;

---

[8] Н. П. Федоренко. Экономико-математические модели для планирования, жур. „Вопросы экономики", 1975, № 6, стр. 55.

[9] Ф. И. Карпелевич, В. А., Мухина. О некоторых методах решения многоцелевых задач, жур. „Экономика и математические методы", т. 9, 1975, № 2, стр. 399—401.

[10] Ю. А. Зак, Модели и методы построения компромиссных планов в задачах математического программирования с несколькими целевыми функциями, жур. „Кибернетика", 1972, М., стр. 102—107.

[11] Е. С. Венцель, Введение в исследование операций, М., 1972, стр. 23—27, 496—509, 516—538.

[12] Э. Й. Вилкас, Е. З. Майминас. К проблеме сложных решений, жур. „Кибернетика", 1968, № 6, стр. 68—73.

2. თუ შედეგის წარმოდგენა ხდება ვარიანტებით;

3. როდესაც ამონახსენი მოცემული უნდა იყოს (დინამიკაში) ეტაპებად და ამონახსენის ხარისხის შესაფასებლად ყოველ ეტაპზე შემოდის შესაბამისი კრიტერიუმი;

4. როდესაც ამონახსენის ხარისხი აუცილებელია შეფასდეს რამდენიმე თვალსაზრისით — ვექტორის ცალკეული კომპონენტებით.

ეკონომიკური სისტემების დიდი განზომილება და მართვის სისტემების იერარქია თხოულობს ეკონომიკის გლობალური და ლოკალური კრიტერიუმების დალაგებასა და შეთანხმებას.

ოპტიმალობის გლობალურ კრიტერიუმებს ეკონომიკური სისტემებისათვის განიხილავენ შემდეგ მაჩვენებლების საშუალებით: ნაციონალური შემოსავალი, საბოლოო პროდუქციის მოცულობა, ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტი, ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურის გათვალისწინებით კი მაჩვენებლებს წარმოადგენენ ვექტორული მიზნის ფუნქციის სახით: პროდუქციის გამოშვება, საწარმოთა სიმძლავრე, რესურსების რეზერვი, კრიტერიუმებს ადგენენ სარგებლიანობის ფუნქციის საშუალებით და ა. შ.[13]

ეკონომიკაში დაგეგმვისა და მართვის მექანიზმი წარმოვიდგინოთ ისეთ რეგულატორად, რომელიც სამართავ სისტემას იჭერს, „იდეალური“ მდგომარეობის მახლობლობაში. „იდეალური“ მდგომარეობა განვსაზღვროთ „იდეალური“ ვექტორით (წერტილით), რომლის კომპონენტებს სისტემის ლოკალური ოპტიმუმები წარმოადგენენ, ხოლო ვექტორული ოპტიმიზაციისათვის უნდა გაგვაჩნდეს გარკვეული წესი (მაგალითად, ნორმალიზაცია, რომელიც ხშირად შემოყავთ კრიტერიუმთა პრიორიტეტის გათვალისწინებით), შემდგომ კი ამონახსენის ამორჩევა დაიყვანება ოპტიმალური ამონახსენის შესაბამ ვექტორული მიზნის ფუნქციის პოვნის ამოცანაზე და იგი მიახლოების თეორიის თვალსაზრისით მეტრიკულ სასრულგანზომილებიან სივრცეში განიხილება, სადაც მიახლოების კრიტერიუმია რაიმე ფუნქცია — გადახრა „იდეალურ“ ვექტორისაგან, ჩებიშევის თანაბრად საუკეთესო მიახლოების პრინციპის ან უმცირეს კვადრატთა მეთოდის გამოყენებით და ა. შ.[14]

ვინაიდან რამდენიმე მიზნიან ამოცანებიდან საბოლოო ამონახსენისა და შესაბამისად გადაწყვეტილებების მისაღებად ერთიანი მიდგომა არ არსებობს, ამიტომ ამოცანის შესაბამისად შეიძლება მივმართოთ:

1. კომპრომისულ ამონახსენის დადგენას.

2. ლექსიკოგრაფიკულ ამოცანათა საშუალებით ოპტიმალური ამონახსენის პოვნას[15],

3. შეფასებათა შემოყვანით მიზნის ფუნქციათა ერთ მიზნის ფუნქციაზე დაყვანა.

---

[13] С. В. Дубовский, А. Ц. Уэдемыр. Критерий оптимальности и вариационные подходы в динамических экономиках, жур. „Автоматика и телемеханика“, 1974, № 6.

[14] Р. А. Поляк. Об одном подходе к задаче многоцелевого программирования Тр. 4-ой зимн. школы по математическому программированию и смежным вопросам, выш. 2, М., 1971, стр. 138—156.

[15] В. В. Подиновский, В. М. Гаврилов. Оптимизация по последовательно применяемым критериям, М., 1975.

4. მიზნის ფუნქციებს შორის პარამეტრული დამოკიდებულებების შესწავლას (მაგალითად, ორმიზნიან ამოცანაში მიზნის ფუნქციებს შორის კავშირების გამოსახვას გრაფიკული სახით),

5. გადაწყვეტილების მიღებას საწყის (პირველადი) ინფორმაციის ანალიზითა და რისკით.

6. „იდეალური" ვექტორთან საუკეთესოდ მიახლოებულ ვექტორული მიზნის ფუნქციისა და შესაბამისი ოპტიმალური ამონახსენის დადგენით, განსაკუთრებით შეზღუდვათა ცვლილებებისა მათ ოპტიმალურ ამონახსენზე გავლენის გათვალისწინებით.

განვიხილოთ მაგალითები: 1. სატრანსპორტო ამოცანაში[16] მიზნის ფუნქცია შედგენილია ტვირთის გადატანაზე დანახარჯთა მიხედვით (მინიმუმი), ამასთან შეიძლება აუცილებელიც კი იყოს ერთდროულად მოვახდინოთ მარშრუტთა და მიმაგრებათა რიცხვის, ტვირთის გადატანისათვის საჭირო დროის მინიმიზაცია და ა. შ. სიმარტივისათვის გამოვყოთ ხარისხის ორი მაჩვენებელი ტვირთის გადატანაზე დანახარჯები (მინიმუმი) და აუცილებელი დრო (მინიმუმი). ისმება ამოცანა შევისწავლოთ ამ ორი მიზნის ფუნქციათა ურთიერთკავშირი: ერთ-ერთი მიზნის ფუნქციის (როგორც პარამეტრის) ცვლილების გავლენა მეორე მიზნის ფუნქციის ოპტიმალურ მნიშვნელობაზე. შედეგები შეიძლება ილუსტრირებულ იქნეს გრაფიკულად, ანალიზურად, ცხრილების საშუალებით. ამასთან შეზღუდვების გათვალისწინებით და ცალკეული მიზნის ფუნქციის მინიმიზაციით (დანახარჯები ტვირთის გადატანაზე და დრო) ვპოულობთ „იდეალური" ვექტორის კოორდინატებს, ხოლო შემდეგ კომპრომისული ამონახსენის მისაღებად ვეძებთ მინიმალურად გადახრილ ვექტორს[17].

2. დაგეგმვისა და მართვის ქსელური მოდელების გამოყენების დროს კრიტიკული გზა ბუნებრივია გამოავლენს რესურსების დეფიციტურობას, ამიტომ დაისმის რა რამდენიმე მიზნიანი ამოცანები საჭირო ხდება დეფიციტურ რესურსებზე მოთხოვნილებისა და კრიტიკული გზის ცვლილებების ურთიერთგავლენის ანალიზი.

3. წარმოების ოპტიმალური დაგეგმვის ამოცანაში, როდესაც შეზღუდვები შედგენილია პროდუქციის მოთხოვნილებისა და წარმოების ტექნოლოგიის მიხედვით, მიზნის ფუნქციაში კი რესურსების ხარჯვის მინიმიზაციაა გათვალისწინებული (რესურსები დეფიციტურია) და არ გაგვაჩნია მათი შეფასებები, მაშინ ვადგენთ ოპტიმიზაციის ვექტორ ფუნქციას კომპონენტებით: დანახარჯები პროდუქციის გამოშვებაზე, დეფიციტურ რესურსების რაოდენობა, შემოსავალი და ა. შ.

4. თუ საზოგადოებრივი შრომის მწარმოებლურობას ეკონომიური ეფექტურობის გლობალურ კრიტერიუმის მოდიფიცირებულ ფორმად მივიჩნევთ[18], ამასთან დაკავშირებით განვიხილავთ ვექტორული მიზნის ფუნქციას კომპონენტებით: პროდუქციის რაოდენობა (მაქსიმუმი) და დასაქმებულთა რიცხვი (მი-

[16] Е. Г. Гольштейн, Л. Б. Юдин. Задачи линейного программирования транспортного типа, М., 1969.

[17] М. Салуквадзе. О задаче линейного программирования с векторным критерием качества, жур. «Автоматика и телемеханика», 1972, № 5.

[18] Ф. Мартинкевич, М. Кунявский. «О критерии экономической эффективности социалистического производства, жур. «Вопросы экономики», 1974, стр. 112.

ნიმუმი), მაშინ ამ ორ მაჩვენებელთა შეფარდებით მიღებულ შრომის მწარმოებლურობის ზრდა ვექტორული ოპტიმიზაციის ამოცანისათვის ორი მიზნის ფუნქციის ერთზე დაყვანის ილუსტრაციასაც წარმოადგენს, ანალოგიური მსჯელობით შეიძლებოდა პროდუქციის თვითღირებულების (მინიმუმი) მიხედვით მიზნის ფუნქციის მიღება და ა. შ.

სოციალისტური ეკონომიკის მიზანს საზოგადოების ყველა წევრთა მოთხოვნილების მაქსიმალური დაკმაყოფილება წარმოადგენს და იგი ედება საფუძვლად სახალხომეურნეობრივი ოპტიმალობის კრიტერიუმის მათემატიკური მოდელის შედგენას, საზოგადოებრივი მოთხოვნილების გათვალისწინება სწარმოებს კონკრეტული პირობების მიხედვით, ამიტომ სახალხომეურნეობრივი ოპტიმალობის კრიტერიუმში აწმყოსა და მომავლის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება წარმოდგენილი ერთიან თანაზომადი საშუალებებით უნდა იყოს შეთანხმებული საზოგადოების მოთხოვნილების ყველა მხარესთან. სახალხომეურნეობრივი კრიტერიუმის აგების უკიდურესი სირთულის გამო მოდელირება მიმდინარეობს ცალკეულ სქემებისათვის (ბლოკებად), ისე რომ ხელი არ გეშლება კრიტერიუმთა ზოგადი მათემატიკური მოდელის აგებაში. ამასთან საჭირო ხდება გადაჭრილ იქნეს ყველა სახის სიკეთის (მაჩვენებელთა) თანაზომადობის პრობლემა, ხოლო პრაქტიკულად ხელსაყრელი და უფრო კერძო შედეგები ცალკეულ ჯგუფთა სიკეთის თანაზომადობაზე საშუალებას გვაძლევს თანდათანობით აუცილებელ იქნეს დაგეგმვაში სუბიექტური ამოხსნების შესაძლებლობა[19].

სახალხომეურნეობის დაგეგმვისათვის ოპტიმალობის კრიტერიუმის აგების რიგი ხერხები ემყარება განზოგადოებულ ეკონომიკურ მაჩვენებლებს. მოდელები აგებულია პრინციპებზე: მინიმალურ დანახარჯებში მოცემული პირობების დაცვა, შედეგების მაქსიმიზაცია მოცემულ დანახარჯებში და ა. შ. ამასთან სახალხომეურნეობრივი ოპტიმალობის კრიტერიუმის სირთულე და მრავალმხრივობა ბუნებრივია იწვევს ამ მიმართულებით ოპტიმალობის კრიტერიუმის შესახებ კონცეფციებს[20].

ფართოდ გავრცელებული ფორმულირება „მაქსიმალური ეფექტის მიღწევა მინიმალურ დანახარჯებით“, ეკონომიკურ-მათემატიკური გამოკვლევებისათვის არ გამოდგება. მისაღებია მათგან ერთ-ერთი „მაქსიმალური ეფექტის მიღწევა მოცემულ დანახარჯებში“, ან „მოცემული ეფექტის მიღება მინიმალურ დანახარჯებში“. შემოვიყვანოთ ვექტორული მიზნის ფუნქცია კომპონენტებით: ეფექტი (მაქსიმუმი), დანახარჯები (მინიმუმი). საერთოდ არ არსებობს ისეთი ამონახსენი, რომელიც ერთდროულად მოგვცემს მაქსიმალურ ეფექტს და დანახარჯების მინიმუმს. ამიტომ საჭიროა ჩატარდეს რაოდენობრივი ანალიზი ამ ორი მიზნის ფუნქციათა შესასწავლად.

მოვლენის მოდელირებისას ძირითადია მიზნის ფუნქციების და შეზღუდვათა „ერთიან კომპლექსში შეკვრა“. ყოველი მოვლენა, როდესაც მას ოპტიმიზაციის ამოცანას შევუსაბამებთ, ერთი მიზნის ფუნქციით აღიწერება. რამდენიმე მიზნის ფუნქციის შემოყვანა მოვლენის მოდელით მიახლოებითი სი-

[19] Система моделей оптимального планирования, книга под ред. Н. П. Федоренко, М., 1975, стр. 7—20.

[20] З. В. Галдава. О некоторых концепциях критерия оптимальности народнохозяйственного планирования, ჟურ. „მაცნე,“ ფილოსოფიის... სერია, 1974, №3. გვ 129—132.

ზუსტის გაზრდის სიძნელეებით არის გამოწვეული. რამდენიმე მიზნიანი ამოცანები სინამდვილის ღრმა მეცნიერული ანალიზის შედეგად თანდათანობით გაერთიანდება მოდელში ერთი მიზნის ფუნქციით. ეკონომიკური მოვლენის ყოველმხრივი ანალიზისათვის მისი „ნაცნობი ფორმებით“ აღწერისათვის ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელირება რამდენიმე მიზნის ფუნქციით ამ მიმართულებით სინამდვილის შემეცნების ერთ-ერთი ეფექტური საშუალებაა.

Р. А. САРЧИМЕЛИЯ

ЭКОНОМИКО-МАТЕМАТИЧЕСКОЕ МОДЕЛИРОВАНИЕ С НЕСКОЛЬКИМИ ЦЕЛЕВЫМИ ФУНКЦИЯМИ

Резюме

Моделирование с несколькими целевыми функциями — эффективное средство для познания сложных экономических систем и несмотря на то, что многоцелевые экономико-математические модели с помощью теории равновесия доводятся до одноцелевой, для модельного обеспечения комплексного планирования экономических систем центральное место могут занимать задачи векторной оптимизации.

Для анализа экономико-математической модели с несколькими целевыми функциями и с доведением до одноцелевой, а также для получения решения, рассматриваются подходы: приближенные оценки целевых функций, поиск компромиссных решений, уточнение параметрической зависимости между целевыми функциями, введение «идеального» вектора и нахождение «наилучшего» приближенного решения.

Если считать, что оптимизация производительности общественного труда — это модифицированная форма глобального критерия экономической эффективности, тогда она представляется еще как естественный метод доведения экономико-математической модели с двумя целевыми функциями до одноцелевой.

Как необходимое для анализа сложных систем, экономико-математическое моделирование с несколькими целевыми функциями рассмотрено на основе ряда работ в этом направлении.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტმა

ა. სისვაძე

წარმოებრივი მარაგის მართვის არსებული სისტემა და მისი სრულყოფის საკითხები

მრეწველურ საწარმოთა საქმიანობის ერთ-ერთ მტკივნეულ და ჩამორჩენილ მხარეს ამჟამად მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება წარმოადგენს. ეს ჩამორჩენა პირველ რიგში გამოწვეულია იმით, რომ ჯერ კიდევ საკმარისად არ გამოიყენება ეკონომიკური მეცნიერების უახლესი მიღწევები, რომლებსაც შეუძლიათ წარმატებით გადაჭრან მატერიალური რესურსების საწარმოთა თავისდროული და კომპლექტური მომარაგების ამოცანა. ამ მიმართულებით განსაკუთრებით დიდი ნაკლოვანებები არსებობს წარმოებრივი მარაგის მართვისა და დაგეგმვის საქმეში. სკკპ XXIV ყრილობამ თავის დადგენილებაში მიუთითა, რომ მეათე ხუთწლედის მთავარი ამოცანის განხორციელებისათვის საჭიროა „სრულყოთ ნედლეულის, მასალების, სათბობის, ენერგიის, აგრეთვე სასაქონლო მატერიალურ ფასეულობათა მარაგის დანორმვისა და ხარჯვის აღრიცხვის სისტემა“[1].

წარმოებრივი მარაგის მართვისა და დაგეგმვის სრულყოფის აუცილებლობა გამოწვეულია მარაგის მდგომარეობის უშუალო გავლენით წარმოების ეფექტურობის მაჩვენებლებზე. კერძოდ მარაგის ნორმატული მდგომარეობა, სხვა თანაბარ პირობებში, განაპირობებს წარმოების უწყვეტობასა და რიტმულობას, ხოლო ზენორმატული მარაგი ან მატერიალური რესურსების დეფიციტი იწვევს დამატებით ხარჯებს, ამცირებს მოგებისა და რენტაბელობის მაჩვენებლებს, არღვევს წარმოების რიტმს, რაც თავის მხრივ, აუარესებს პროდუქციის ხარისხს.

წარმოებრივი მარაგის მართვის არსებული პრაქტიკა და მეთოდოლოგია განსაზღვრულია მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების თანამედროვე სისტემით, რომელსაც, თავის მხრივ, საფუძვლად უდევს წარმოების საშუალებათა გეგმაზომიერი მიმოქცევა სახალხო მეურნეობის მასშტაბით. წარმოების საშუალებათა მიმოქცევის პროცესი რეგულირდება წარმოებრივ-ტექნიკური დანიშნულების პროდუქციის მიწოდების დებულებით, რომელიც დამტკიცებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 9 აპრილის დადგენილებით. დებულების თანახმად მიმწოდებლებიდან მომხმარებლებზე წარმოებრივ—ტექნიკური დანიშნულების პროდუქციის მიწოდება სახელშეკრულებო სისტემის საფუძველზე ხორციელდება. ხელშეკრულება იდება საგეგმო წლის დასაწყისამდე, რომელშიც სხვა პირობებთან ერთად ნაჩვენებია მიწოდების ვადები და პერიოდულობა. კერძოდ დებულების ოცდამეცხრე მუხლში ვკითხულობთ: „პროდუქციის მიწოდების ვადები (პერიოდები) (კვარტალური, თვიური, დეკადური და სხვა) ხელშეკრულებაში დგინდება მომხმარებლის მომარაგების შეუფერხებლობისა და წარმოების რიტმულობის აუცილებელი უზრუნველყოფის გათვალისწინებით“[2]. რაც შეეხება მისაწოდებელი პროდუქციის რაო-

[1] სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976—1980 წლების ძირითადი მიმართულებები, გაზეთი „კომუნისტი“, 1976 წ. 7 მარტი.

[2] Хозяйственная реформа в СССР. М., 1969, стр. 198.

დენობას, დებულების ოცდამეთოთხმეტე მუხლის თანახმად მომხმარებელს პროდუქცია მიეწოდება „დატვირთვის მინიმალური ნორმების (ვაგონების, კონტეინერების და ა. შ.) შესაბამისად, ხოლო მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ბაზებიდან და საწყობებიდან მიმღებს პროდუქცია მიეწოდება (გაიშვება) ნებისმიერი აუცილებელი რაოდენობით დატვირთვის მინიმალური ნორმების ქვემოთ“[3].

თანამედროვე პირობებში წარმოებრივ-ტექნიკური დანიშნულების პროდუქციის უდიდესი ნაწილი მომხმარებლებს ტრანზიტით მიეწოდებათ, რომლის დროსაც, დებულების თანახმად, მიწოდების ვადები საგეგმო პერიოდის დასაწყისამდე განისაზღვრება. მაგრამ საქმე ისაა რომ წარმოების პროცესში ხშირად იცვლება მოთხოვნილება მატერიალურ რესურსებზე, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს ტექნოლოგიის ან ხარჯვის ნორმების შეცვლით, წარმოებრივი პროგრამის შემცირებით, გაზრდით, ან არაოანაბარი განაწილებით საგეგმო პერიოდში, გამორიცხული არაა მოცემული სახის მატერიალური რესურსის მოხმარების სრული შეწყვეტაც. ამავე დროს მიწოდების ინტერვალები და მიწოდებული პარტიის ზომები ხშირად გადაიხრებიან გეგმურიდან, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს მიმწოდებლის ან ტრანსპორტის მიზეზით.

მატერიალური რესურსების მიწოდების პროცესი შესწავლილი იქნა საქ. სსრ ელექტროტექნიკური მრეწველობის შვიდი საწარმოს მიხედვით. შერჩევით ერთობლიობაში მოხვდა როგორც დიდი ზომის ასევე, საშუალო და მცირე ზომის საწარმოები. სტატისტიკური ინფორმაცია მოპოვებული იქნა ფერადი ლითონების ნაგლინის 2235 მიწოდების შესახებ და დაჯგუფებული იქნა მიწოდების ინტენსივობის მიხედვით.

გამოკვლევის პროცესში გარკვეული იქნა, თუ რამდენად თანაბარზომიერად მიმდინარეობდა მიწოდების პროცესი დროში, ე. ი. ცალკეული ინტერვალების მიხედვით, და მიწოდებული პარტიების მიხედვით. გამოკვლეული იქნა აგრეთვე შესაბამისობა მიწოდებული პარტიების სიდიდეებსა და ინტერვალებს შორის კორელაციის კოეფიციენტების გაანგარიშების გზით. გათვლები ჩატარებული იქნა გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტში ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანა M — 220 M-ზე. შედეგები მოცემულია I ცხრილში.

წარმოდგენილი ცხრილის მონაცემებიდან აშკარად ჩანს რომ მიწოდების ინტერვალებისა და მიწოდებული პარტიების ვარიაციის მაჩვენებლები საკმარისად დიდია, რაც ასაბუთებს მატერიალური რესურსების მიწოდების პროცესის არარიტმულ ხასიათს. მატერიალური რესურსების მიწოდების ასეთი არარიტმულობა შეიძლება დასაშვები იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მიწოდებული პარტიების სიდიდეებსა და შესაბამის ინტერვალებს შორის არსებობს მჭიდრო წრფივი კორელაციური კავშირი. მარტივად, მიწოდებულ დიდ პარტიებს შეესაბამება დიდი ინტერვალები და პირიქით, მცირე ზომის პარტიები მიიწოდება პატარა ინტერვალებში. ცხრილის მეხუთე სვეტში მოცემული კორელაციის კოეფიციენტების მნიშვნელობათა ანალიზი გვიჩვენებს, რომ კავშირი მიწოდებულ პარტიებსა და შესაბამის ინტერვალებს შორის არ არსებობს.

მაშასადამე, ფერადი ლითონების ნაგლინის მიწოდების პროცესის მათემატიკურ-სტატისტიკური ანალიზი გვიჩვენებს რომ პრაქტიკაში ადგილი აქვს

[3] Там же, стр. 199.

მიწოდებული პარტიების, შესაბამისი ინტერვალების ვარიაციისა და მათ შორის შესაბამისობის მაჩვენებლები მიწოდების სხვადასხვა ინტენსივობის დროს

ცხრილი I

№	მიწოდების ინტენსივობა	მიწოდებული პარტიების ვარიაციის მაჩვენებელი %	მიწოდების ინტერვალების ვარიაციის მაჩვენებელი %	კორელაციის კოეფიციენტი მიწოდებულ პარტიებსა და შესაბამის ინტერვალებს შორის
1	2	3	4	5
1	2	51,46	44,16	0,214
2	3	48,01	60,69	—0,063
3	4	44,01	63,44	—0,026
4	5	71,36	55,24	0,030
5	6	58,61	73,37	—0,075
6	7	68,63	64,40	0,076
7	8	66,00	88,60	0,107
8	9	59,41	70,12	0,088
9	10	69,78	67,41	0,216
10	11	73,31	67,72	0,577
11	12	80,79	83,37	—0,027
12	13	70,39	81,20	0,202
13	14	63,66	66,45	0,207
14	15	68,65	62,42	0,101
15	16	—	—	—0,05
16	17	74,52	76,12	3,109
17	18—24	69,01	70,71	0,110

არათანაბარი მიწოდების პროცესსა და სრულ შეუსაბამობას მიწოდებული პარტიების სიდიდეებსა და შესაბამის ინტერვალებს შორის. ამ პირობებში ირღვევა კავშირი მატერიალური რესურსების მიწოდებასა და მათ მოხმარებას შორის. მრეწველურ საწარმოებში წარმოიშობა ზენორმატული მარაგი ან მასალების დეფიციტი და საწარმოებს საშუალება არა აქვთ კონტროლი გაუწიონ წარმოებრივი მარაგის მდგომარეობას.

გაუმჯობესებას მოითხოვს წარმოებრივი მარაგის მართვის არსებული მეთოდები. ჯერ კიდევ არ არსებობს ერთიანი აზრი მიმდინარე და სადაზღვევო მარაგის ნორმირების შესახებ და თვით მარაგის მართვის ცნების შესახებ. ეკონომიკურ ლიტერატურაში ძირითადად გვთავაზობენ სტატისტიკურ მეთოდებს, რომლებიც გვაძლევენ ფაქტიურ მონაცემებთან მიახლოებულ შედეგებს და ოპტიმალური არ არიან არც საწარმოს, არც სახალხო მეურნეობრივი თვალსაზრისით. მრეწველურ საწარმოთა მომარაგებისა და წარმოებრივი მარაგის მართვის არსებულ ნაკლოვანებათა ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზია მატერიალური დაინტერესების პრინციპის უგულვებელყოფა მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების განყოფილების მუშაობაში. განყოფილების მუშაკები დაინტერესებული არ არიან მარაგის სიდიდისა და დანახარჯების შემცირებით. მხოლოდ მოცემული საწარმოს ინტერესებიდან გამომდინარე ცდილობენ დააგროვონ დიდი რაოდენობის წარმოებრივი მარაგი შესაძლო დეფიციტისაგან თავის დაზღვევის მიზნით, რითაც ისინი ძალაუნებურად უპირისპირდებიან სახალხო მეურნეობრივ ინტერესებს, რადგან შეზღუდული მატერიალური რესურსების პირობებში ერთ საწარმოში დაგროვილი ზენორმატული მარაგი აუცილებლად იწვევს დეფიციტს სხვა საწარმოებში. სწორედ ამიტომ საწარმოები განიცდიან მატერიალური რესურსების მწვავე ნაკლებობას უზარმაზარი ზენორმატული მარაგების არსებობის პირობებში. ასეთი

ტენდენცია განსაკუთრებით თვალსაჩინოა საქ. სსრ ელექტროტექნიკური მრეწველობის დიდი ზომის იმ საწარმოებში, რომლებიც აწარმოებენ დარგის საერთო პროდუქციის უდიდეს ნაწილს. ამავე საწარმოებში დაბალია წარმოების რიტმულობის მაჩვენებლები. აღნიშნულის საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიყვანოთ მონაცემები საქონლური პროდუქციის, მოხმარებული მატერიალური რესურსების, ზენორმატული მარაგისა და წარმოების რიტმულობის კოეფიციენტების შესახებ საქ. სსრ ელექტროტექნიკური მრეწველობის საწარმოთა ჯგუფის მიხედვით (იხ. ცხრილი II).

ზოგიერთი ეკონომიური მაჩვენებელი საქართველოს სსრ ელექტროტექნიკური მრეწველობის საწარმოებში 1974 წელს[1]

ცხრილი 2

№	საწარმოთა დასახელება	საქონლური პროდუქცია (ათას მან.)	მოხმარებული მატერიალური რესურსები (ათას მან.)	ზენორმატული მარაგი % ნორმატივთან	წარმოების რიტმულობის კოეფიციენტი
1	თბილისის ელმავალმშენებელი ქარხანა	32031	17766	29	0,4
2	საწარმოო გაერთიანება „ელექტროაპარატი“	30696	14237	74	0,8
3	თბილისის ქარხანა „ელექტროზოლიტი“	18015	16850	20	0,8
4	ქუთაისის ელექტრომექანიკური ქარხანა	21577	9367	18	0,75
5	ზესტაფონის ქარხანა „საქკაბელი“	9087	6653	0	0,95
6	გელათის ტრანსფორმატორების ქარხანა	2282	1332	0	0,99
7	შორაპნის ელემენტების ქარხანა	2424	1194	1	0,95

წარმოდგენილი მონაცემებიდან აშკარად ჩანს, რომ სწორედ დიდი ზომის საწარმოებში, სადაც მოიხმარება დიდი რაოდენობით მატერიალური რესურსები, წარმოიშობა დიდი მოცულობის ზენორმატული მარაგები და დაბალია წარმოების რიტმულობის მაჩვენებლები. ამ გარემოების ძირითადი მიზეზია წარმოების მომარაგებისა და მარაგის მართვის გაძნელება დიდი მოცულობის მატერიალური რესურსების მოხმარების პირობებში.

ამრიგად, მრეწველურ საწარმოთა მატერიალურ-ტექნიკური მომარაგებისა და წარმოებრივი მარაგის მართვის არსებული პრაქტიკისათვის დამახასიათებელია არსებითი ნაკლოვანებანი, რაც უარყოფითად მოქმედებს საზოგადოებრივი წარმოების ეფექტურობაზე. აქედან გამომდინარეობს მრეწველურ საწარმოთა მატერიალურ-ტექნიკური მომარაგებისა და მარაგის მართვის ისეთი სისტემის მოწყობის საჭიროება, რომელიც უზრუნველყოფს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების განყოფილების, საწარმოს და სახალხო-მეურნეობრივი ინტერესების ერთიანობას. ამ საქმეში არსებითი როლი შეუძლია ითამაშოს მარაგის მართვის თანამედროვე ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდებისა და ეგმ ფართოდ გამოყენებას.

მაგრამ მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების არსებული პრაქტიკა ვერ უზრუნველყოფს დღეისათვის დამუშავებული მარაგის მართვის ეკონომიკურ-

[1] ცხრილი შედგენილია საწარმოთა წლიური ანგარიშგებების საფუძველზე.

მათემატიკური მეთოდების სრულად გამოყენების შესაძლებლობას. ამიტომ საჭიროდ უნდა მივიჩნიოთ: პირველი, წარმოებრივი მარაგის მართვის მეთოდების ისეთი განვითარება, რომ მაქსიმალურად შევუსაბამოთ წარმოებისა და მომარაგების რეალურ პირობებს და მეორე, ისეთ ხელშემწყობ ღონისძიებათა განხორციელება, რომლებიც უზრუნველყოფენ წარმოებრივი მარაგის მართვის ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდების ფართოდ გამოყენების შესაძლებლობას, რომლის დროსაც საწარმოებს შესაძლებლობა ექნებათ შემოზიდონ მატერიალური რესურსების ისეთი რაოდენობით და იმ ვადებში, რომელიც მაქსიმალურად შეესაბამება მათ მოთხოვნილებას და ოპტიმალური იქნება საწარმოს და სახალხომეურნეობრივი თვალსაზრისით.

ამჟამად დამუშავებულია მთელი რიგი ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელები, მაგრამ მათი გამოყენება გაძნელებულია იმის გამო, რომ არ შეესაბამებიან მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების არსებულ სისტემას, თუმცა ამ მოდელების გამოყენებას დიდ რეკომენდაციებს აძლევენ მთელი რიგი ავტორები. თუ რამდენად შესაძლებელია ამ მოდელთა პრაქტიკული გამოყენება და შეესაბამებიან თუ არა ისინი წარმოების რეალურ პირობებს, გავარკვიოთ ამ მოდელთა აგებისა და ანალიზის პროცესში. განვიხილოთ მათ შორის ყველაზე მარტივი ე. წ. „დაკვეთის ეკონომიური ზომის ფორმულა“. ამ ფორმულის არსი შემდეგში მდგომარეობს: მოცემულია მატერიალური რესურსის წლიური მოხმარების სიდიდე Q; მარაგის შენახვის წლიური ხარჯი გაიანგარიშება ფორმულით:

$$C=\alpha_0 X/2+\alpha_1 \qquad (1)$$

სადაც, C — მარაგის შენახვის წლიური ხარჯი;

X — შემოსატანი პარტიის სიდიდე;

α_0— ერთეული მარაგის შენახვის ხარჯის ცვალებადი ნაწილი;

α_1— მარაგის შენახვის ხარჯის პირობით — მუდმივი ნაწილი. დანახარჯები მატერიალური რესურსების შემოზიდვაზე მთელი საგეგმო წლის მიხედვით განსაზღვრულია ფორმულით:

$$T=\beta_0 Q+\beta_1 n/x$$

რადგან $n=Q/X$, სადაც, n—მოსაწოდებელი პარტიათა რაოდენობაა, ამიტომ

$$T=\beta_0 Q+\beta_1 Q/x \qquad (2)$$

სადაც, T—დანახარჯები მატერიალური რესურსების შემოზიდვაზე მთელი წლის მიხედვით;

β_0 — ერთეული მატერიალური რესურსზე მოსული ტრანსპორტირებისა და დატვირთვა-გადმოტვირთვის ხარჯი;

β_1 — ერთი პარტიის შემოტანის პირობით—მუდმივი ხარჯი, რომელიც დამოკიდებული არ არის შემოტანილი პარტიის ზომაზე.

ამოცანაში საკითხი ისმის მისაწოდებელი X პარტიების ისეთი ზომის განსაზღვრის შესახებ, რომლისთვისაც მატერიალური რესურსის მარაგის შენახვისა და შემოზიდვის წლიური ხარჯების ჯამი მიიღებს მინიმალურ მნიშვნელობას. დასმული ამოცანის მიზნის ფუნქციას შემდეგი სახე აქვს:

$$f(x)=C+T=\alpha_0 X/2+\alpha_1+\beta_0 Q+\beta_1 Q/X=\min \qquad (3)$$

მოსაწოდებელი პარტიის ოპტიმალური ზომის განსაზღვრისათვის, რომლის დროსაც მიზნის ფუნქცია მიიღებს მინიმალურ მნიშვნელობას, ვიპოვოთ

(3) ფუნქციის პირველი რიგის წარმოებული X-ის მიმართ და გავუტოლოთ ნულს:

$$f^1(x) = \frac{\alpha_0}{2} - \frac{\beta^1 Q}{x^2} = 0$$

საიდანაც, (4)

$$x^* = \sqrt{\frac{2\beta_1 Q}{\alpha_0}}$$

მოცემული გამოსახულება წარმოადგენს ე. წ. უილსონის ფორმულას, რომელიც მიღებული იქნა 1915 წელს.

(4) გამოსახულებაში ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა β_1 პირობითმუდმივი ხარჯი. მომარაგების პირობებისა და მასთან დაკავშირებული ხარჯების შესწავლამ საქ. სსრ ელექტროტექნიკური მრეწველობის საწარმოთა მომარაგების მაგალითზე აჩვენა, რომ მატერიალური რესურსების შემოზიდვის პირობით-მუდმივი ხარჯი ეს არის შემოზიდვის ორგანიზაციის ხარჯი, რომელსაც ადგილი აქვს არა ყველა პარტიის შემოზიდვის დროს, როგორც ეს უილსონის ფორმულით იგულისხმება, არამედ მხოლოდ დეფიციტის წარმოშობის პირობებში. დეფიციტი კი შეიძლება წარმოიშვას განსაზღვრული ალბათობით. თუ გავზომავთ დეფიციტის წარმოშობის ალბათობას და გავითვალისწინებთ მას ზემოაღნიშნულ ფორმულაში, მხოლოდ ამ პირობით გახდება იგი გამოყენებადი სოციალისტური წარმოების პირობებში.

დეფიციტის ალბათობა შეიძლება განვსაზღვროთ დეფიციტის ფარდობითი სიხშირის საფუძველზე, რომელიც გაიანგარიშება მიწოდების იმ შემთხვევათა რაოდენობის შეფარდებით მიწოდებათა ყველა რიცხვთან, როდესაც დეფიციტი წარმოიშვა. აღრიცხვის თანამედროვე სისტემა არ იძლევა დეფიციტის ფარდობითი სიხშირის უშუალოდ გაანგარიშების შესაძლებლობას. ეს გაანგარიშება შეიძლება მოვახდინოთ მატერიალური რესურსების მიწოდებისა და მოხმარების პროცესის მოდელირების საფუძველზე.

თუ მატერიალური რესურსები მოიწოდება X_i პარტიებით τ_i ინტერვალებში და მიღებული პარტიები გამოსახულია უზრუნველმყოფ დღეებში, მაშინ სხვაობა $X_i - \tau_i = \Delta_i$ $(i = 1, \ldots, n)$ გვიჩვენებს მოცემული ინტერვალის ბოლოს წარმოშობილი მარაგის სიდიდეს.

დეფიციტის წარმოშობის საშიშროება იქმნება სწორედ ამ მომენტში მატერიალური რესურსების მორიგი პარტიის მიღების მომენტამდე. დეფიციტი შეიძლება წარმოიშვას იმ შემთხვევაში, თუ $\Delta_i < 0$ და არ გაგვაჩნია წინა მოწოდებების დროს დარჩენილი მარაგი, რომელიც გადაფარავდა წარმოშობილ დეფიციტს. თუ $\Delta_i > 0$, ეს ნიშნავს, რომ წარმოიშვა ზედმეტი მარაგი, რომელიც შეიძლება სრულად ან არასრულად იქნეს გამოყენებული შემდეგი ინტერვალის ბოლოს წარმოშობილი შესაძლო დეფიციტის ნაწილობრივ ან სრულად გადაფარვისათვის. მატერიალური რესურსების ასეთი მოძრაობის პროცესში ყალიბდება მარაგი, რომელსაც შეგვიძლია ვუწოდოთ „დეფიციტური სიტუაციის მარაგი". სწორედ ამ მარაგის ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია განვსაზღვროთ დეფიციტის ფარდობითი სიხშირე. დეფიციტის ფარდობითი სიხშირეები გაანგარიშებული იქნა საქ. სსრ ელექტროტექნიკური მრეწველობის საწარმოებში ფერადი ლითონების ნაგლინის ჯგუფზე მიწოდების სხვადასხვა ინტენსი-

ვობის დროს. გამოკვლევით დადგინდა, რომ დეფიციტის ფარდობით სიხშირესა და მიწოდების ინტენსივობას შორის არსებობს დამოკიდებულება განსაზღვრული ჰიპერბოლას განტოლებით:

$$W = 0,1176 + \frac{0,6223}{n} \qquad (5)$$

სადაც, w — დეფიციტის ფარდობითი სიხშირე;

n — მიწოდების ინტენსივობა.

მაგრამ დიდ რიცხვთა კანონის თანახმად, კერძოდ კი ბერნულის თეორემის ძალით, ცდათა საკმარისად დიდი რიცხვის დროს, რაიმე მოვლენის ფარდობითი სიხშირე სულ უფრო უახლოვდება მოვლენის ალბათობას. ჩვენს შემთხვევაში ცდათა რაოდენობა ანუ სტატისტიკურ მონაცემთა რაოდენობა საკმარისად დიდია, ამიტომ შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ

$$q = W = 0,1176 + \frac{0,6223}{n} \qquad (6)$$

სადაც q — დეფიციტის წარმოშობის ალბათობა ერთი მიწოდების დროს.

რეგრესიის მიღებული განტოლების გათვალისწინებით დეფიციტურ შემთხვევათა წლიური რაოდენობა n მიწოდების დროს იქნება; $nq = n\left(0,1176 + \frac{0,6223}{n}\right) = 0,117n + 0,6223$. ხოლო ზოგადად

$$d = a_0 n + a_1 \qquad (7)$$

სადაც, d — დეფიციტურ შემთხვევათა წლიური რაოდენობა.

მიღებული ფორმულის გათვალისწინებით ამოცანის მიზნის ფუნქციას შემდეგი სახე ექნება:

$$f(x) = X/2\alpha_0 + \alpha_1 + (a_0 n + a_1)\beta_1 + \beta_0 Q =$$
$$= X/2\alpha_0 + \alpha_1 + \alpha_0\beta_1 Q/X + \alpha_1\beta_1 + \beta_0 Q = \min$$

თუ მიღებულ ფუნქციას გავაწარმოებთ და გავუტოლებთ 0-ს მივიღებთ შემოსატანი პარტიის ოპტიმალური ზომის განსაზღვრის ფორმულას, რომელიც უფრო სრულად შეესაბამება წარმოებისა და მომარაგების რეალურ პირობებს:

$$X^* = \sqrt{\frac{2\beta_1 Q}{\alpha_0}}\sqrt{a_0} = \sqrt{\frac{2\beta_1 Q}{\alpha_0}}\sqrt{0,117} \qquad (8)$$

В этом направлении, хотя безуспешным, но важным событием явилось образование в 70-х годах, в Тбилиси чайного товарищества с целью организации чайного производства в промышленных масштабах. Некоторые авторы часто упоминают об этом товариществе, однако подробным изучением вопроса его возникновения и конечной судьбой по существу никто не занимался. По утверждению А. Субботина[31] и ряда других авторов, якобы в 1872 году по инициативе и во главе редактора «Кавказа» Сталинского было организовано чайное товарищество, которое выпустило акции в миллион рублей, ходатайствовало перед правительством о бесплатном выделении участка земли и намеревалось направить своего представителя в Китай для изучения чайного производства.

На источники авторы не ссылаются. Лишь А. Субботин в сноске указывает, что товарищество выпустило печатную «записку» о целях товарищества и т. д. Как устанавливается, с этим документом ни Субботин, ни другие авторы непосредственно не были знакомы. Подробное исследование всех аспектов данного вопроса приводит к следующим выводам:

Сталинский не занимался и не мог заниматься вопросами образования товарищества. Основанием приписать Сталинскому инициативу образования товарищества, видимо, послужил его доклад на собрании КОСХ в 1875 году по вопросу о возможности культуры чая в Закавказье[32].

В печатном органе Кавказского общества сельского хозяйства имеются протоколы заседаний общества и его правления, из которых видна полная картина образования товарищества. Из этих источников усматривается, что чайное товарищество было организовано в 1873 году грузинскими прогрессивными деятелями во главе с ученым инженером М. Н. Герсеванишвили, К. Мамацашвили и др. Не имея необходимых средств для посылки представителя в Китай, товарищество обратилось за помощью в КОСХ, но ни КОСХ, ни сельскохозяйственные органы наместничества не оказали практическую помощь товариществу. Ли-

31 А. Субботин. Чай и чайная торговля в России и других государствах. Спб. 1892.

32 «Кавказ», 1875, № 140.

шенное материальной и моральной помощи, товарищество распалось даже не начиная работу[33].

Нам удалось отыскать в Ленинграде, в публичной библиотеке им. Салтыкова-Щедрина, «Печатную записку», о которой упоминал еще в 1892 году А. Субботин. Записка относится не к 1872 или 1873 году и касается не Тбилисского товарищества, а чайного товарищества, образованием которого занимались коммерческие круги Москвы в 1883 году[34].

Таким образом, факт попыток образования чайного товарищества в разное время, в разных местах был искажен, вследствие чего в истории чайного хозяйства республики этот вопрос до настоящего времени является по существу белым пятном.

С 80-х годов прошлого столетия постепенно оживляется интерес к чайному делу. Этому способствовало присоединение Батумской области к России (1878) и необходимость ее освоения. В новый край двинулись люди разных профессий. Все они старались устроить себе дачу и украсить ее разными плодовыми или декоративными растениями, в том числе чайными кустами. Оживлению интереса к чаю намного способствовало публичное выступление ботаника Н. Зейдлица на конгрессе ботаников и садоводов в Петербурге в 1884 году о чайном кусте. Выступление обратило на себя внимание многих сельских хозяев, в том числе А. Соловцова. Н. Зейдлиц полученные в том же году выписанные им из Китая чайные растения передал А. Соловцову, имевшему хозяйство в Чакви. А. Соловцов энергично взялся за чайное дело и уже к 1894 году имел до двух десятин урожайной чайной плантации — больше 5 тысяч кустов, не считая около 8 тысяч сеянцев в питомнике, освоил способ выработки годного для употребления готового чая и своими опытами и достигнутыми результатами продолжил начатое М. Эристави дело по акклиматизации чайного куста и разведению промышленных плантаций в крае[35].

В литературных источниках конца п. в. упоминаются чайные плантации, якобы возделываемые неким Амираговым в Кахети и Тифлисе и, что Амирагов чаем своего производства обеспечивает себя и 30 семей своих родственников и близких друзей. Подобные сообщения повторили также некоторые советские авторы. Однако факт существования плантаций, обстоятельства возникновения и конечная их участь по первоисточникам никем не были изучены и уточнены. По вновь выявленным литературным первоисточникам устанавливается, что некий А. Мираков в сентябре 1889 года на Тифлисской выставке экспонировал под видом китайского чайного куста кусты кавказской черники, широко распространенной в районах Грузии. Экспертная комиссия выставки разгадала происки Миракова и своим постановлением фактически сняла эти экспонаты с выставки[36].

Несмотря на это, некоторыми авторами (Субботин, Бегичев) указанный факт изложен в печати искажено, понаслышке, причем путем удаления знака препинания и субституции «А. Мираков» стал «Амира-

---

33 «Записки КОСХ», 1873, «Кавказ», 1875, № 148.

34 Записки учредителей общества разведения чайного куста в России. М., 1883.

35 Н. Зейдлиц. О разведении чайного куста за Кавказом. «Новое время 3022, 1884. А. Соловцов. Опыты устройства чайной плантации в Чакве. Сборник «ИКОСХ», 1894.

36 Описание Кавказской выставки предметов сельского хозяйства и промышленности в городе Тифлисе в 1889 г., Тифлис, 1890, в. I, стр. 156.

говым», а Бегичевым вся эта история была датирована задним числом — 1886 годом.

Нами документально обосновано, что кроме опытов, проведенных удельным ведомством вначале 90-х годов в Цинандали и Напареули, чайные кусты в Кахети никем и никогда не разводились.

Удачные опыты М. Эристави, А. Соловцова и других вызвали живой интерес деловых кругов к чайному делу. Первым за это дело взялся чаеторговец К. Попов, который в 1893 году в трех местах вблизи Батуми (Салибаури, Капрешуми и Чакви) закупил земельные участки и приступил к закладке чайных плантаций. К 1902 году площадь чайных плантаций достигла 140 десятин — конечного размера хозяйства.

К сезону 1898 года была смонтирована завезенная из Англии чайная фабрика мощностью 100 тыс. фунтов готового чая в сезон[37]. Первый сбор чайного листа К. Попов произвел в 1895 году в количестве 85 фунтов и кустарным способом выработал 20 фунтов байхового чая. Эта акция имела важное значение для реноме фирмы Попова. Чай собственного производства он купажировал с завозным чаем и продавал под видом русского чая Попова. Следующие годы сбор увеличился и в 1905 году достиг 221413 фунтов — максимального годового сбора за весь дореволюционный период.

Вслед за Поповым, организацией крупной сырьевой базы чайной промышленности занялось удельное ведомство. Руководил этим делом инспектор Кавказских удельных имений, ученый агроном И. Н. Клингген[38]. После тщательного изучения местных условий удельное ведомство окончательно остановилось на Чакви, как наилучшем месте для строительства субтропического хозяйства. Была подготовлена и в феврале 1895 года направлена в чаепроизводящие страны удельная экспедиция во главе с И. Клингеном, при участии проф. А. Краснова. В 1894 году ведомство приступило к закупке земель, а с 1895 году, к закладке чайной плантации.

Первые два года закладку плантаций, в соответствии с договором, производил А. Соловцов своими саженцами. С 1897 года закладку вело само ведомство своими силами, привезенными экспедицией семенами и выведенными на месте саженцами.

В 1913 году площадь чайной плантации составила 500 десятин. К тому же времени, кроме чайной плантации, в Чаквском удельном хозяйстве были заложены: бамбуковые насаждения — 25,7 дес., цитрусовые (мандарины, апельсины) — 38,0 дес., плодовые — 9,5 дес., технические насаждения — 16,5 дес., ветрозащитные полосы — 17,9 дес. Таким образом, к 1914 году площадь культурных насаждений в Чаквском удельном хозяйстве составляла более 609 десятин[39].

Сбор листа в хозяйстве начался в 1899 году. Было собрано 3950 фунтов листа. В том же году вступила в строй Чаквская чайная фабрика, укомплектованная завезенным из Англии оборудованием. В первый год было выработано 1107 фунтов готового чая. Мощность фабрики составляла 150 тыс. фунтов сухого чая при односменной работе. При двух-трехсменной работе мощность можно было значительно увеличить.

37 К. Попов. История первого русского чая Константина Попова, М., 1904.

38 И. Клинген. Краткое описание удельного Чаквинского подтропического хозяйства в связи с результатами удельной экспедиции на Дальний Восток. Спб, 1900. Его же. Проект организации подтропического хозяйства в Закавказье с чайным хозяйством во главе. Петроград, 1917.

39 Первая выставка Черноморского побережья Кавказа в Санкт-Петербурге под названием «Русская Ривьера». Спб, 1914, стр. 53—54.

По мере вступления чайных плантаций в полную урожайность доходы хозяйства заметно увеличивались. На 1915 год чистый доход с чайных плантаций предусматривался в размере 142 тыс. рублей или 512 рублей с одной десятины полносборной плантации. В 1915 году полносборными считались 277 десятин. При полной урожайности всех 500 десятин чая, а также других отраслей (культур), доход значительно увеличился бы. Следовательно, несмотря на колоссальные затраты на покупку земли, на дороговизну рабочей силы и ряд других трудностей, Чаквское удельное имение при полносборности, должно было быть вполне рентабельным хозяйством.

Под влиянием крупных хозяйств, особенно Чаквского хозяйства, чайная культура постепенно начинает распространяться среди населения близлежащих сел и уездов в виде мелких крестьянских плантаций. Со второй половины 90-х годов появились чайные насаждения Синицина, Зверева, Сабашвили, Мелия, Дядюши и ряда других в Батумской области. Уже к 1913 году в Дагва, Ачква и других селах имелись значительные площади насаждений. К 1915 году в области насчитывалось до 192 мелких плантаций, общей площадью около 195 десятин. Вслед за Батумской областью чайная культура проникает в соседний Озургетский уезд. В Озургетском уезде солидную плантацию до 10 десятин имел М. Накашидзе. Около полудесятины имели Чантуришвили, Садрадзе и некоторые другие. Значительно меньшими были насаждения чайного куста в Зугдидском и Сенакском уездах. Так, по словам С. Тимофеева, площадь чайных плантаций в указанных уездах к 1915 году не превышала 3-х десятин. Всего в 1915 году в Кутаисской губернии, в основном в Озургетском уезде, насчитывалось около 249 хозяйств площадью чайных плантаций до 69 десятин.

В районах Абхазии и Имеретии до революции не были чайные кусты, за исключением опытных посадок. Насаждения в отдельных хозяйствах Гальского и Очамчирского районов появляются после революции 1917 г., а в районах Имерети — гораздо позже.

В то время в Грузии крупные хозяйства не получили широкого распространения, не считая плантаций И. Синицина и М. Накашидзе, не превышающих соответственно — 8—10 десятин.

Наоборот, чайная культура довольно быстро развивалась в виде мелких плантаций, в так называемых «Трудовых хозяйствах». Однако это было по количеству охвата хозяйства, размеры же площадей плантаций не премышали в Батумской области одной десятины а в Озургетском уезде — сотых долей десятины на одно хозяйство.

На мелких плантациях Батумской области сбор зафиксирован в 1902 году в количестве 7370 фунтов, а в Озургетском уезде — в 1905 году всего было собрано 380 фунтов. В дальнейшем в мелких плантациях сбор характеризуется последовательным ростом и в 1915 году составляет: в Батумской области — 158488 фунтов, а в Озургетском уезде — 27648 фунтов.

Всего в 1915 году было собрано более 1598 тыс. фунтов листа и выработано 396378 фунтов продукции байховогочая. В том числе в Чаквском хозяйстве — 320571 фунтов (80,9%), Салибаурском (Попова) хозяйстве — 36450 фунтов (9,2%), в мелких хозяйствах — 39357 фунтов (9,9%). Таким образом, 90,1% чая производили крупные хозяйства и 8,2% — мелкие плантации Батумской области. Всего на Батумскую область приходилось 98,3%, а на Озургетский уезд — 1,7% производства готовой продукции чая.

Характерной чертой чайного хозяйства дореволюционной Грузии является совершенно низкий темп его развития. Накануне революции

1917 года площадь чайных плантаций составила 1017 га. Следовательно, со дня появления первого чайного куста понадобилось около 70 лет, чтобы площадь плантаций достигла до 1000 га, т. е. среднегодовой прирост составлял около 14,5 га.

В числе множества причин низкого темпа развития чайной культуры следует отметить следующее: культура чайного куста была совершенно новой, еще малоизвестной широким слоям населения. Не было кадров квалифицированных специалистов. Не было достаточной промышленной базы по переработке сырья. Существующие фабрики удельного ведомства и К. Попова обслуживали лишь свои хозяйства, при этом они были размещены в Батумской области. Мелким плантатором, тем более из Озургетского и других отдаленных уездов, не выгодно было возить лист на далекое расстояние. В Озургетском уезде чайная фабрика лишь в 1914 году была введена в эксплуатацию, а в других уездах вообще не было никакой промышленной базы. Важно и то, что при далеких перевозках, из-за испарения влаги, лист терял около 25% по весу. Такой, почти завяленный, лист фабриками принимался по обыкновенной цене за фактический вес. Следовательно, плантатор терпел дополнительный материальный убыток, что лишало смысла возделывание культуры и производство чайного листа.

Неодолимым барьером на пути развития чайной культуры явился майский закон 1901 года, якобы направленный против фальсификации чая. Закон требовал обязательного обандероливания готового чая в присутствии представителя акцизной службы. Однако процесс обандероливания настолько был осложнен, требовал столько материальных затрат, что для мелкого плантатора совершенно невыгодно было нести эти расходы, тратить время. Он вынужден был отказаться от возделывания чая. Причем, фальсификаторы под защитой этого же закона могли развесить и обандеролить любое количество фальсифицированного чая[40].

Сельское трудовое население не располагало необходимыми земельными фондами, годными для возделывания чайной культуры. Земельный вопрос вообще запутан был в основном чайном районе Грузии — в Аджарии, что серьезно препятствовало развитию чайной культуры[41].

По исторически сложившимся обстоятельствам в Грузии в то время не было свободного капитала для организации крупного чайного хозяйства. Свободные капиталы для таких целей не были также в центральных губерниях царской России. Исключение составлял К. Попов, но он предпочитал рекламные цели своей фирмы доходам с нового начинания. Кроме того, царское правительство, заинтересованное в доходах от завоза и торговли чаем, равнодушно относилось к развитию собственно чайного производства. Вследствие этого не были решены вопросы земли, подготовки местных кадров квалифицированных специалистов, кредита и других поощрительных мер и т. д.

Экономические и культурно-бытовые условия рабочих Чаквского (удельного ведомства) и Салибаурского (Попова) хозяйств были неза-

40 Об установлении правительственного надзора за приготовлением и рассыпкою русского чая и об обязательном обандероливании этого чая. «Батумский сельский хозяин», 1910, № 1.

41 а) Стенографический отчет VI Съезда Компартии Грузии. Тифлис, 1929, стр. 482.

б) Н. Веру. О положении земельного вопроса в Батумской области. С. Анисимов. Сельское хозяйство и земельный вопрос в Батумской области. «Батумский сельский хозяин», 1909, № 7, 10, 11.

видные. Рабочие работая в день 10—12 часов, получали всего 60—70 копеек, а женщины и дети за равную работу — гораздо меньше. Рабочие, особенно сезонные, не имели жилья. Ночевали и питались где попало. Не было культурного обслуживания. Единственным «развлечением» рабочих была игра в карты и нарды, часты были пьянство, беспорядки, драки и т. д.

Революционное движение Батумских рабочих нашло плодотворную почву среди арбочих Чаквского и Салибаурского чайных хозяйств. В хозяйствах были созданы социал-демократические кружки. Под руководством этих кружков рабочие активно участвовали в революционной борьбе 1905—1907 гг. Управление Чаквского хозяйства вынуждено было в целях соблюдения «порядка» в хозяйстве ввести полроты воинской части, а Салибаурское хозяйство было закрыто. Однако репрессивные меры не помогли руководствам хозяйств задушить политическую активность рабочих. После нового подъема революционного движения, рабочие обоих хозяйств под видом требований увеличения заработной платы организовали забастовку, вели успешную борьбу за свои политические и экономические интересы. Таким образом, рабочие чайных хозяйств шли в ногу с Батумским пролетариатом, принимая активное участие в революционной борьбе против самодержавия и его реакционного режима[42], а затем и против меньшевистской власти.

Важное значение для чайного производства имела организация опытной и научно-исследовательской работы.

Отдельные общественные организации и прогрессивные деятели 90-х годов п. в. предпринимали меры для организации опытной работы по чаю, однако эти работы не увенчались успехом. Несмотря на настойчивое требование И. Клингена в Чаквском имении опытные работы были начаты лишь в 1900 году и продолжались всего до 1905 года.

Сельскохозяйственные органы не проявляли большой активности в этом деле. Только к концу 1900 года в Озургети была организована опытная табачная плантация, а в 1901 году при ней — опытная чайная плангация. В 1913 году там же была устроена химическая лаборатория, а в 1914 году плантации были преобразованы в сельскохозяйственную опытную станцию.

Чайная плантация вела определенную работу по вопросам агротехники, а после открытия лаборатории и преобразования плантаций в опытную станцию, и по вопросам технологии чая.

Таким образом, в дореволюционный период в России возникло и развилось чайное хозяйство, как перспективная отрасль, но по масштабу производства (0,19% завезенного в 1915 году в Россию всех видов чая) оно все еще не играло сколько-нибудь значительной роли в экономике страны.

В годы первой мировой войны, особенно при меньшевистском правительстве, чайное хозяйство пришло в полный упадок. Еле-еле работало Чаквское хозяйство, однако и в нем производство готового чая не превышало 62% уровня 1915 года. Опытная и научная работа станции

---

[42] ЦГИАЛ, фонд 515, оп, 91, д. 48, л. 1/об. П. Цквитария. Очерки революционного движения в Аджарии. I — 1890—1914, Батуми, 1959. II — с 1914 года. Батуми, 1962.

[43] Деятельность сельскохозяйственных учреждений и агрономического персонала ведомства земледелия на Кавказе в 1913 году. «Черноморское сельское хозяйство», № 1—2, 1914, стр. 114—115.

полностью прекратилась. Тем более, что турецкой военщиной станция и ее лаборатория были полностью разграблены и разрушены. Меньшевистскими властями ничего не было сделано для восстановления чайных плантаций и разрушенной опытной станции. Вследствие этого советское правительство получило в наследство разоренное чайное хозяйство и его научную базу.

Представлена институтом экономики
и права АН Грузинской ССР

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

აუცილებელი შენიშვნები

მიმდინარე — 1975 წელს თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობამ გამოსცა ვ. აბაშიძის წიგნი „ნარკვევები პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან“ 1 (მონათმფლობელური ეპოქა: ძველი აღმოსავლეთი)[1], რომლის ავტორისეულ შესავალში აღნიშნულია: „პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიას, როგორც მეცნიერებას, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ღღევანდელ ვითარებაში, რადგანაც ორ სისტემას შორის თანამედროვე იდეოლოგიური ბრძოლის ერთ-ერთ უმთავრეს საგანს წარმოადგენს სახელმწიფო და სამართალი“ (გვ. 9). აქვე ავტორი გვამცნობს, რომ „ბურჟუაზიული სახელმწიფოსა და სამართლის ფილოსოფიისაგან განსხვავებით, რომელიც ე. წ. ევროპოცენტრიზმის პოზიციებიდან აფასებს ძველი აღმოსავლეთის ქვეყნების როლს მსოფლიო კულტურის ისტორიაში“, მას სურს ძველი აღმოსავლეთის პოლიტიკური მოძღვრებების განსაკუთრებული მნიშვნელობის წარმოჩენა (გვ. 9—10).

საკითხავია, მართლა ისეა საქმე, რომ ბურჟუაზიული სახელმწიფოს — და სამართლის ფილოსოფია საერთოდ ევროპოცენტრიზმის პოზიციებიდან აფასებს ძველი აღმოსავლეთის ქვეყნების როლს მსოფლიო კულტურის ისტორიაში? ხომ ცნობილია, რომ ბურჟუაზიული დასავლეთის მეცნიერებაში, ევროპოცენტრიზმის თეორიის გვერდით, ძველი აღმოსავლეთის ხალხთა წვლილის რამდენადმე სწორ შეფასებასაც ვხვდებით და, რაც მთავარია, ადგილი აქვს ძველი აღმოსავლეთის ხალხთა როლის შეფასებაში უკიდურეს გადაჭარბებასაც. ზოგნი იქამდე მიდიან რომ მთელი მსოფლიო კულტურის პირველწყაროს მხოლოდ ბაბილონში ან ეგვიპტეში ეძებენ. თავი რომ დავანებოთ ამ გადაჭარბებებს, უკვე XX საუკუნის დასაწყისში ისეთი ბურჟუაზიული მეცნიერი, როგორიც ელინეკი იყო, თავის ერთ-ერთ კაპიტალურ ნაშრომში სასტიკად აკრიტიკებს ევროპოცენტრიზმის თეორიას და უჩვენებს ძველი აღმოსავლეთის დიდ როლს სახელმწიფოსა და სამართლის საკითხების მნიშვნელოვან მოძღვრებათა შემუშავებაში.

უდავოა, რომ ძველი აღმოსავლეთის ისტორია იყო კაცობრიობის ისტორიის პირველი თავი, ისტორია ცივილიზაცია, რომელიც წინ უძღოდა ელინიზმსა და ქრისტიანობას. ასეთმა ძველმა ცივილიზაციამ, რომლითაც დაიწყო კაცობრიობის ისტორია, ბუნებრივია, გარკვეული გავლენა იქონია რიგ ხალხებზე, რომლებიც ისტორიის ასპარეზზე მოგვიანებით გამოვიდნენ. როგორც თავის დროზე აკად. ბ. ტურაევმა მიუთითა, ამ გავლენას გადაჭარბებითაც აფასებდნენ.

გ. ელინეკმა სავსებით მართებულად გაილაშქრა ზოგი მკვლევარის მოსაზრების წინააღმდეგ, რომ აღმოსავლეთი მხოლოდ თეოკრატიისა და დესპოტიის სამყაროაო. ბურჟუაზიული აღმოსავლეთმცოდნეების საკმაო ნაწილი აღიარებს, რომ აღმოსავლეთის ხალხებმა გაიარეს დინამიკუროზით აღსავსე, მრავალფეროვანი და ფრიად საყურადღებო ისტორია. აღმოსავლეთის თითქმის ყველა ხალხს თავისი ინდივიდუალური წვლილი შეჰქონდა ძველი სამყაროს სახელმწიფოებრიობის განვითარებაში. გ. ელინეკისთვის სავსებით ცხადი იყო, რომ ფინიკიელთა კოლონიების არისტოკრატიული სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია, ძველებრაული სახელმწიფოებრივი ტრადიციები, სპარსელების ე. წ. „სახალხო მონარქია“ — პოლიტიკურ სფეროში ფორმების არანაკლებ მრავალფეროვნებას გვიჩვენებს, ვიდრე დასავლეთი[2].

ბურჟუაზიული მკვლევარების ერთ ნაწილს იმისი აღნიშვნაც არ გამორჩენია მხედველობიდან, რომ ძველი ბერძნების ქედმაღლური შეხედულება აღმოსავლეთის ხალხების მონური მდგომარეობის შესახებ, რომელმაც თავი იჩინა მრავალი ახალი დროის მკვლევარების თხზუ-

---

[1] ვ. აბაშიძე, ნარკვევები პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან, I (მონათმფლობელური ეპოქა: ძველი აღმოსავლეთი), თბ., 1975, გვ. 250.

[2] იხ. Г. Еллинек, Общее учение о государстве. Спб., 1908, გვ. 186—187.

ლებებშიაც, გადაჭარბებულია და სინამდვილეს არ შეეფერება. ძველი დროის მკვლევართა შეცდომის წყარო იყო შეხედულება, რომლის მიხედვითაც თავისუფლება გაიგივებული იყო ხელისუფლების განხორციელებაში მონაწილეობასთან. დასავლეთის სწავლულთა გარკვეული ნაწილი აღმოსავლეთის ხალხების წვლილის დაუფასებლობას ებრძვის.

როგორც ვხედავთ ევროპოცენტრიზმის თეორიას წარსულშიც ებრძოდნენ დასავლეთის კეთილსინდისიერი სწავლულები და ასეთი ობიექტური მიდგომა საკითხისადმი დღესაც არ აღმოფხვრილა. უფრო კარგი იქნებოდა, რომ ჩვენს ავტორს სხვა მხრივ გაემახვილებინა თავისი ყურადღება.

რამდენადაც ჩვენს ავტორს განზრახული ჰქონია ძველი აღმოსავლეთის ქვეყნების „პოლიტიკური მოძღვრებების განსაკუთრებული მნიშვნელობის წარმოჩენა", მოსალოდნელი იყო, რომ ის გაეცნობოდა ჩინური სამართლის ძეგლებს, ისევე როგორც ის გაეცნო ხამურაბის კანონებს; აქ შეეძლო მრავალი მისთვის საინტერესო რამ ეპოვნა. ავიღოთ თუნდაც ნ. სვისტუნოვას მიერ გამოქვეყნებული ჩინური სამართლის ძეგლების მეტად საინტერესო და მნიშვნელოვანი ფრაგმენტები, ან იან ხუნ-ლეს „ჩინური სამართლის განვითარების ისტორია", ვ. ა. რიაზანოვსკის, ჰ. მასპერის, ბან გუს და სხვათა ნაშრომები.

სარეცენზიო ნაშრომის ავტორს არ უნდა ეჩქარა და არ უნდა უგულვებელყო ძველი ჩინეთის პოლიტიკურ მოძღვრებათა შესახებ ინგლისურ და გერმანულ ენებზე არსებული ნაშრომები. მაგ., რ. ვილჰელმის „კონფუცი", ო. ფრანკის „ჩინეთის სახელმწიფოს ისტორია", ვ. ებერჰარდის „ჩინეთის ისტორია" და ცნობილი ამერიკელი სინოლოგის ჰ. გ. კროლის საუცხოო ნაშრომი „კონფუცი. ადამიანი და მითი". ავტორი ვრცლად მოგვითხრობს იმის შესახებ, თუ როგორ აღმოაჩინეს ხამურაბის კანონები, თუ რამდენი ნაწილისაგან შედგება და რამდენი მუხლისაგან შედგებოდა იგი თავდაპირველად, რა წარმოადგენდა კანონთა კრებულის წყაროს (გვ. 95—97), — ჩვენი აზრით, ასეთი ხასიათის ნაშრომისათვის უთუოდ ზედმეტია, ხოლო ჩინურ კოდექსებში ასახულ პოლიტიკურ მოძღვრებებს ავტორი მოკლედ მაინც უნდა შეხებოდა.

ავიღოთ, მაგალითად, ძველი ჩინეთისთვის ისეთი მნიშვნელოვანი სამართლებრივი ძეგლი, როგორიცაა მუს კოდექსი — ჯოუს ეპოქაში შექმნილი (ძვ. წ. X ს.), რომელიც დაახლოებით სამი ათას მუხლს მაინც შეიცავდა. ავტორმა იცის მუს კოდექსის არსებობის შესახებ (გვ. 176), მაგრამ ძალიან ძუნწად აწოდებს მისი მნიშვნელობის შესახებ ცნობას მკითხველებს. მკვლევარები ფიქრობენ, რომ მუს კოდექსში დიფერენცირებულია განზრახვით და გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაულობები. ამაზე ავტორი დუმს.

ბევრი საინტერესო ითქმის პოლიტიკური აზროვნების შესახებ ამ კოდექსის მიხედვით. ასევე ავტორს მეტის თქმა შეეძლო ხამურაბის კოდექსში ასახული პოლიტიკური იდეოლოგიის შესახებაც. ხამურაბის კანონმდებლობის მნიშვნელობა განუზომლად დიდი იყო ძველ სამყაროში; ამასთან დაკავშირებით, სტრუვე წერდა, რომ იგი წარმოადგენდა ერთ-ერთ მეტად მნიშვნელოვან წყაროს არა მარტო ძველაღმოსავლური, არამედ საერთოდ, მსოფლიო ისტორიისაო. აკად. ვ. ვ. სტრუვეს ამ გამოთქმაში არ არის არავითარი გადაჭარბება. რაც უფრო მეტი ყურადღებით სწავლობენ მკვლევარები ხამურაბის კოდექსს, მით უფრო ნათელი ხდება დიდი გავლენა ძველი კანონმდებლობისა მთელი ძველი სამყაროს იურიდიულ ყოფაზე. ძველ აღმოსავლეთის იურისტები ათასზე მეტი წლის განმავლობაში სწავლობდნენ და იყენებდნენ ამ საკანონმდებლო ძეგლს. აკად. ბ. ა. ტურაევი მიუთითებდა, რომ ბიბლიური პატრიარქების ლეგენდარული ისტორია შეიძლება გამოგვადგეს ხამურაბის კანონების საილუსტრაციოდ, რამდენადაც მასში ბაბილონის სამართლის წიგნის ანალოგიური ნორმებია ასახული.

რამდენადაც ავტორი, სხვა ასპექტით, ხშირად ეხება ხამურაბის კოდექსს, რაც პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიის თვალსაზრისით, არცაა საინტერესო, უფრო მოსალოდნელი იყო, რომ ავტორი შეეხებოდა საკითხის, თუ ხამურაბის კოდექსში ასახული სამართლებრივი იდეები რა გავლენას ახდენენ ძველ სამყაროზე, საერთოდ, და კერძოდ, ძველი აღმოსავლეთის ისეთი ქვეყნების პოლიტიკურ აზროვნებაზე, როგორიც ისრაელი და იუდეა იყო.

ვ. აბაშმაძის ზემოხსენებულ ნაშრომში ვხვდებით ზედმეტ ადგილებს, რომელთაც უშუალო კავშირი არა აქვთ პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიის საკითხებთან და ავტორი მათ თავისუფლად უნდა შელეოდა.

ნაშრომის შესავალი ნაწილი, რომელიც 35 გვერდს შეიცავს, ჩვენი აზრით, შეიძლებოდა ორ-სამ გვერდამდე დაყვანილიყო: ასეთი ზედმეტი ადგილები უხვადაა ძირითად ტექსტშიც. ავტორის მსჯელობის მიხედვით, გამოდის, რომ ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებში ე. წ. წარმოების აზიური წესის არსებობაა საგულვებელი. მაგრამ იმის მომიზეზებით, რომ ოფიციალურ სახელმძღვანელო მასალებში (სასწავლო პროგრამებში, მეთოდური მითითება და სხვა) ძველი აღმოსავლეთის სახელმწიფო და სამართალი მონათმფლობელურ ტიპად არის მიჩნეული, ავტორიც ამ ტრადიციულ მოსაზრებას იზიარებს (გვ. 236).

პირველყოვლისა, ნაშრომის ავტორი ჭეშმარიტების ინტერესებიდან უნდა გამოდიოდეს და არა სასწავლო პროგრამებსა და მეთოდურ მითითებებში გატარებული მოსაზრებებიდან. საკითხავია, თუ 1971 წელს აკად. გ. მელიქიშვილის რედაქტორობით გამოცემულმა „ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიის“ ავტორებმა ჭეშმარიტების ინტერესებისათვის გაბედეს ახალი მოსაზრების წამოყენება, რად უნდა შეშინებოდა ვ. აბაშმაძეს, რომელიც ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიის სპეციალისტი არ არის, უკვე გამოთქმულ მოსაზრებას მიმხრობოდა, თუკი ეს მოსაზრება უფრო დასაბუთებულად ეჩვენებოდა?

სტუდენტებისათვის გამიზნულ წიგნში ისეთი მოსაზრების შეტანა და თანაც ზომაზე მეტად წიგნის მთელი მოცულობის თვალსაზრისით, რომელიც ე. წ. „ოფიციალურ“ თვალსაზრისს ეწინააღმდეგება მხოლოდ იმისათვის, რომ შემდეგ ისევ ე. წ. ტრადიციულ იგივე „ოფიციალურ“ თვალსაზრისს მიემხრო, გაუმართლებელია. ეს ითქმის მით უფრო, რომ ავტორის სიმპატიები, როგორც ჩანს, სწორედ „ტრადიციული“ თვალსაზრისის მოწინააღმდეგეთა მხარეზეა.

საერთოდ, წიგნის ავტორი და რედაქტორი კარგად მოიქცეოდნენ, თუ მას ზედმეტი ადგილებისაგან განტვირთავდნენ. ნაშრომის ზოგიერთ ადგილას ისეთი მასალებიცაა გადმოცემული, რომელთა დაკავშირებას ავტორი პოლიტიკურ მოძღვრებებთან ვერ ახერხებს. ძველ ეგვიპტურ თხზულებაში — „იმედგაცრუებული კაცის საუბარი თავის სულთან“, —ავტორის სიტყვით, კამათობენ იმედგაცრუებული ადამიანი, რომელსაც გადაუწყვეტია თვითმკვლელობა, და მისი სული, რომელიც არ ურჩევს ადამიანს ამ ნაბიჯს (75). ნაშრომის 75—78 გვერდებზე გადმოცემულ მასალაში ავტორი ვერ ახერხებს აჩვენოს რაიმე პოლიტიკური მოძღვრება ამ თხზულების მიხედვით და იმოწმებს სპეციალისტის აზრს, რომ მასში ნაჩვენებია იდეალიზმის „რელიგიური სარწმუნოების“ (ვ. აბაშმაძის გამოთქმაა) წინააღმდეგ მატერიალიზმის ბრძოლის პირველდაწყებითი ფორმები (გვ. 78).

ვ. აბაშმაძის წიგნის რუსულ რეზიუმეში ნათქვამია, რომ «Согласно распространенному в научной литературе мнению, европейская цивилизация познакомилась с древним Востоком лишь в середине века, в частности, путешествие Марко Поло (XIII в.) в страны древнего Востока открыло европейцам совершенно новый мир. Однако можно предполагать, что древний Восток был известен европейцами еще издревне, до нашей эры» (გვ. 237).

არ მიგვაჩნია სწორად, ის გარემოება, რომ ავტორი ქმნის ისეთ შთაბეჭდილებას, თითქოს უნდა „ვივარაუდოთ“ რომ ძველ აღმოსავლეთს ევროპაში ჯერ კიდევ ჩვენს ერამდე იცნობდნენ და ა. შ. ამასთან, თვით ავტორმაც და ყველა განათლებულმა მკითხველმა იცის, რომ ჰეროდოტე, დემოკრიტე და ა. შ. მოგზაურობდნენ ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებში. ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობებზე ძველ აღმოსავლეთში ავტორიც ლაპარაკობს. ვ. აბაშმაძე ღია კარებს ამტვრევს, როდესაც გვიმტკიცებს, რომ ევროპელებსა და ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებს შორის ეკონომიური, კულტურული და სამხედრო კავშირებს ჯერ კიდევ ჩვენს ერამდე ჰქონიათ ადგილი.

აკად. მ. ა. კოროსტოვცევი სამართლიანად სვამდა საკითხს შესახებ იმისა, თუ რა ურთიერთობაშია ანტიკური ეპოქის ბერძნული ჰუმანიზმი ეგვიპტურთან, ხომ არა გვაქვს აქ საქმე ძველი ეგვიპტის გავლენასთან?

აკად. მ. კოროსტოვცევი საქმის ცოდნით წერს: «Несомненно, что греческий гуманизм является творческим достижением греческого гения, но так же несомненно, что античная культура многое заимствовала у культуры египетской. О том, что разные египетские тексты непосредственно переводились на греческий язык, определенно говорит Страбон, упоминая о людях, «которые перевели на греческий язык записи египетских жрецов; и даже еще теперь они изучают творение египетских жрецов, также и хал-

деев»[1]. სამწუხაროდ ავტორი არ იცნობს არც ხტრაბონის მეტად საყურადღებო თხზულებას და არც აკად. მ. ა. კოროსტოვცევის ციტირებულ ნაშრომს.

ჩინეთში 184 წლის ასეულ ათასობით გლეხი და მონა აჯანყდა, ისინი იღებდნენ ქალაქებს, მდიდრებს ართმევდნენ ქონებას, ათავისუფლებდნენ პატიმრებსა და მონებს, მათ ყვითელი დოლბანდები ჰქონდათ შემოხვეული თავზე მჩაგვრელებთან ბრძოლის ნიშნად. ამიტომ აჯანყებას „ყვითელდოლბანდიანების“ აჯანყება ეწოდა. ამ აჯანყებას ჩვენი ავტორი რატომღაც „ყვითელ არტახიანთა“ აჯანყებას უწოდებს. უნდა ვიფიქროთ, რომ შეცდომა მომდინარეობს „ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიის“ დამხმარე სახელმძღვანელოდან, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა გამოსცა 1971 წელს (გვ. 626), სადაც ამ აჯანყებას შეცდომით მართლაც „ყვითელ არტახიანთა“ აჯანყებას უწოდებენ.

ფ. კოროვკინის და ვ. ავდიევის სახელმძღვანელოებში ამ აჯანყებას სამართლიანად ეწოდება „Востание желтых тюрбанов“ რაც არ შეიძლება ითარგმნოს, როგორც ყვითელ არტახიანთა აჯანყება. თ. ა. კოროვკინის წიგნის „ძველი მსოფლიოს ისტორიის“ ქართულ თარგმანში (მთარგმნელი მ.მამფორია) ის სწორადაა თარგმნილი, როგორც ყვითელდოლბანდიანების აჯანყება[2].

ნაშრომის ავტორისეულ რეზიუმეში ანბანურ ჭეშმარიტებებზე შეჩერება უფრო იმას მიგვანიშნებს, რომ ისეთი ხასიათის საყოველთაოდ ცნობილი დებულებები და ცნობები, რასაც წიგნში ვხვდებით, მაინცდამაინც რეზიუმეში მოსატანი არ იყო. ავტორს, რომელიც აღმოსავლეთმცოდნე არ არის, როგორც ჩანს, რეზიუმეში მოსატანად დასკვნები შემოლევია.

ავტორს ძველაღმოსავლური სახელმწიფოებრივი და სამართლებრივი მოძღვრებები უნდა განეხილა პირველ რიგში და, ამდენად, მისთვის ინტერესს მოკლებული არ უნდა ყოფილიყო ძველეგვიპტური ბოქხორისის კოდექსის (ძვ. წ. VIII ს.) გავლენა სოლონის რეფორმებზე, რომლის შესახებაც მრავალი ნაშრომი დაწერილა.

ბოქხორისი (ბეკენ რენეფი) იყო ეგვიპტის ფარაონი ძვ. წ. 732—726 წლებში. იგი ერთადერთი წარმომადგენელია XXIV დინასტიისა და ითვლება ე. წ. ბოქხორისის კოდექსის შემქმნელად. ანტიკური ტრადიცია მის სახელს უკავშირებს სავალო მონობის აკრძალვას. ბოქხორისის კოდექსის თანახმად, ეგვიპტელი არ შეიძლებოდა ყოფილიყო ეგვიპტელის მონად, რადგან ამით მეფეს მონა და მეომარი აკლდებოდა. ბოქხორისის კოდექსი ეწინააღმდეგებოდა ტენდენციას, მონობის უღელი დაედგათ თავისუფალი გლეხებისათვის და ამით ხელს უწყობდა დაცემის გზაზე მდგომი სასოფლო თემების განმტკიცებას. ბოქხორისმა ნება დართო მიწის თავისუფლად ყიდვა-გაყიდვას. მკვლევარები საფუძვლიანად ფიქრობენ, რომ ბოქხორისის კანონმდებლობა საფუძვლად დაედო სოლონის რეფორმას.

ბოქხორისი და სოლონი ცდილობდნენ თავიანთ ქვეყნებში შეერბილებინათ მეტისმეტად გამწვავებული კლასობრივი ბრძოლა. მაგრამ ავტორი ამის შესახებ დუმს და ნაშრომის რეზიუმეშიც კი იმაზე მოგვითხრობს, რომ ბერძენმა ფილოსოფოსმა დემოკრიტემ, ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებში მოგზაურობიდან დაბრუნების შემდეგ, იქ მთელი თავისი ქონება დახარჯა, ხოლო სახალხო კრებაზე თავისი თანამემამულეებს გააცნო მოგზაურობის დროს მიღებული შთაბეჭდილებანი, რომელმაც ბერძნებში დიდი ინტერესი გამოიწვიაო (გვ. 237).

საერთოდ უნდა ითქვას, რომ ავტორი ხშირად გამოთქვამს დაუსაბუთებელ მოსაზრებებს, რომელთაც შემდეგ თვითონვე უარყოფს, როდესაც დარწმუნდება მათს უსაფუძვლობაში. ეს კარგია, მაგრამ მთავარი ისაა, რომ მკითხველს თავისი შეხედულების ასეთი შეცვლის შესახებ არავითარ განმარტებას არ აძლევს.

მაგალითად, 1966 წელს წერილში „შოთა რუსთაველის იურიდიული შეხედულებები“, რომელიც ჟურნალ „მნათობის“ 1966 წლის № 1-ში გამოქვეყნდა, ვ. აბაშმაძე წერდა, რომ „XVII საუკუნემდე, კერძოდ ბუნებითი სამართლის მოძღვრების წარმოშობამდე, სამართალი და ზნეობა არ იყო გამიჯნული ერთმანეთისაგან“.

როდესაც ავტორი სათანადო ნაშრომებს გაეცნო, მან ზემოხსენებული მოსაზრება უარყო, მაგრამ წინააღმდეგ მეცნიერული ეთიკისა, თავისი წინანდელი შეცდომა მკითხველებს დაუმალა.

---

[1] Гуманизм в литературе древнего Египта, 1967, გვ. 15.

[2] იხ. თ. ა. კოროვკინი, ძველი მსოფლიოს ისტორია. სახელმძღვანელო V კლასისათვის, XII გამოცემა, თბილისი, 1974, გვ. 101.

წიგნში „ნარკვევები პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან", I, ვ. აბაშმაძე სამეცნიერო ლიტერატურაში უკვე დიდი ხნის წინათ დამკვიდრებულ მოსაზრებას გვთავაზობს, რაც მას 1966 წელსაც უნდა სცოდნოდა, კერძოდ, რომ „ჰამურაბის კოდექსში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს სამართლებრივი, მორალური და რელიგიური ნორმების ერთმანეთისგან გამიჯვნა" (გვ. 98). ეს მოსაზრება აკადემიკოს ბ. ა. ტურაევს ჯერ კიდევ ოქტომბრის რევოლუციამდე ჰქონდა წერილობით გამოთქმული ხამურაბის კანონები კარგად ასხვავებდნენ სამართალს ჩვეულებისა და ზნეობისაგან. ხამურაბის კანონები კი, როგორც ცნობილია, ძველი წელთაღრიცხვის მე-18 საუკუნეშია შედგენილი. ხამურაბის კოდექსისთვისაც, ამბობდა ტურაევი, სწორედ ის გარემოებაა დამახასიათებელი, რომ იგი არ ემყარება თეოკრატიულ საწყისებს და მორალურ და რელიგიურ ელემენტებს სამართალში ერთმანეთისაგან ასხვავებს. როგორც ვხედავთ, ძვ. წელთაღრიცხვის 18 საუკუნეშიც სამართალს მიჯნავდნენ ზნეობისაგან. სამწუხაროა, რომ იგი ამ სწორი დებულების ავტორს მკითხველებს უმალავს და საქმეში ჩაუხედავ მკითხველს შეიძლება ეგონოს, რომ ეს მოსაზრება ვ. აბაშმაძეს ეკუთვნის.

საჭიროების გარეშეა 16-ე გვერდზე მოყვანილი ციტატა ერთ-ერთი ნაშრომიდან, რომელიც ძველ ათენში მონების რიცხვს შეეხება, ვინაიდან ამჟამად ავტორის განხილვის საგანს არ შეადგენს მონათმფლობელური ათენის აყვავების ეპოქაში თითოეულ სრულასაკოვანი მამაკაც მოქალაქეებზე რამდენი მონა მოდიოდა. ავტორი იზიარებს მოსაზრებას, რომ ათენში თითოეულ სრულასაკოვან მამაკაც მოქალაქეზე, სულ ცოტა 18 მონა და ორზე მეტი ხიზანი მოდიოდაო.

დღეს ეს მოსაზრება მოძველებურად გამოიყურება. ძველ ათენში, აყვავების ეპოქაში, თითოეულ სრულასაკოვან მამაკაც მოქალაქეზე გაცილებით ნაკლები ოდენობის მონები მოდიოდა. სათანადო ისტორიოგრაფიულ ლიტერატურაში ავტორს ამის შესახებ შეეძლო წაეკითხა 17 წლის წინათ მაინც (იხ. Вестник Древней истории, 1959, № 4, გვ. 8—9).

მეგობრულად უნდა შევნიშნოთ პროფ. ვ. აბაშმაძეს, რომ მას თავმდაბლობა ღალატობს, როდესაც ის თავის ნაშრომს გამოკვლევად თვლის და წერს: „წინამდებარე გამოკვლევა „ნარკვევები პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან" მიზნად ისახავს ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებში გააფთრებული კლასობრივი ბრძოლის პროცესში შემუშავებულ სახელმწიფოებრივ და სამართლებრივ მოძღვრებათა კრიტიკულ შესწავლას"-ო (გვ. 9).

ხსენებულ მოძღვრებათა არსებითად კრიტიკულად შემსწავლელი პირი ძველი აღმოსავლეთის ისტორიის სპეციალისტი უნდა იყოს. ვიმედოვნებთ, რომ ავტორი ამაში დაგვეთანხმება.

ამასთან ერთად ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სარეცენზიო წიგნის მიზანდასახულება ერთგვარად გაურკვეველია. გამომცემლობისაგან წამძღვარებულ ანოტაციაში წერია: „წიგნი განკუთვნილია სტუდენტი იურისტებისა და პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიის საკითხებით დაინტერესებულ მკითხველთათვის" (გვ. 4), თვითონ ავტორის სიტყვით კი, იგი „მიზნად ისახავს ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებში შემუშავებულ სახელმწიფოებრივ და სამართლებრივ მოძღვრებათა კრიტიკულ შესწავლას „ბურჟუაზიული ევროპოცენტრიზმის საწინააღმდეგოდ (გვ. 9—10).

ამის კვალობაზე წიგნის ბოლოში დართული რუსული და გერმანული რეზიუმე ანოტაციის მიხედვით ერთობ ზედმეტი ჩანს, თუკი ავტორის განცხადებას გავითვალისწინებთ, უნდა ითქვას, რომ ეს რეზიუმე ახალს და საყურადღებოს იმდენს არას შეიცავს.

და ისმის კითხვა, როდესაც ავტორი ვერ ფლობს იმ ხალხის ენას, რომლის სამოქალაქო ისტორიას თუ პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიასაც ის წერს, შეუძლია თუ არა მას სრულფასოვანი ნაშრომის შექმნა პირველწყაროთა გამოუყენებლად? რამდენადაც „ნარკვევების" ავტორს არც ერთი ძველაღმოსავლური პოლიტიკური ტრაქტატისა თუ ისტორიული თხზულების წაკითხვა ორიგინალში არ შეეძლო, შეიძლება თუ არა მისი ნაშრომი ჩაითვალოს ორიგინალურ გამოკვლევად? უკვე თარგმნილი და გამოკვლეული ტექსტების მიხედვით შეიძლება თუ არა ორიგინალური ნაშრომის შექმნა?

მეცნიერებამ მრავალი მაგალითი იცის იმისა, რომ ნიჭიერ სწავლულებს რომელთაც არ შეეძლოთ საკვლევი ქვეყნის თუ ხალხის ენაზე წაეკითხათ წყაროები და ლიტერატურა, მაინც შეუქმნიათ, პირველხარისხოვანი არა, მაგრამ რამდენადმე სერიოზული და ანგარიშვასაწევი ნაშრომი მაინც. მაგალითისათვის შეგვიძლია დავასახელოთ რ. კლუტმანი, რომელმაც ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის რუსული თარგმანის მეშვეობით გერმანულ ენაზე დაწე-

რა ასე თუ ისე მაინც საყურადღებო ნაშრომი ქართული ვალდებულებით სამართლის შესახებ. ასეთი სხვა ბევრი მაგალითის მოტანა შეიძლებოდა. ჩვენ აქ იმის თქმა არ გვინდა, რომ ვ. აბაშმაძის „ნარკვევებში“ უთუოდ კლუტმანის ნაშრომს შეიძლება შევადაროთ. არა, მაგრამ ამისი თეორიული შესაძლებლობა უთუოდ არსებობდა.

მიუხედავად ჩვენ მიერ შემჩნეული ნაკლოვანებებისა, ვფიქრობთ, რომ ვ. აბაშმაძის ნაშრომის გამოცემას უთუოდ აქვს გარკვეული მნიშვნელობა — პირველყოვლისა სტუდენტებისათვის.

ამასთანავე, უკეთესი იქნებოდა, თუ ავტორი მომავალში მაინც წიგნს ჩამოაშორებდა ისეთ ზედმეტ ადგილებს, რომლითაც პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიასთან შორეული კავშირიც კი არა აქვთ.

მაგ. ავტორი მოგვითხრობს იმაზე, რომ გილგამეში მთელი თავისი ძალღონით ცდილობს (?) დაეუფლოს და შეიცნოს უკვდავებისა და მარადიული სიცოცხლის საიდუმლოება და სხვ. (გვ. 90-ზე და სხვაგანაც).

რომ გილგამეში მიაღწევს უთნაფიშთიმამდე, რომელიც დაუფლებულია უკვდავებისა და მარადიული სიცოცხლის საიდუმლოებას და ა. შ. (გვ. 90-ზე).

ნაშრომი მოიგებდა, თუ ავტორი და რედაქტორი მას ჩამოაშორებდნენ ზოგად, გაცვეთილ ადგილებს, რომლებიც წიგნში საკმაოზე მეტადაა.

გარდა ამისა, ამ ზედმეტი ადგილების ხარჯზე შეიძლებოდა გვეჩვენებინა ძველი ბაბილონსა, ჩინეთში და ა. შ. პოლიტიკური მოძღვრებების განვითარების დონე სინქრონულად, შესადარის ეპოქებში.

აკად. მელიქიშვილი და აკად. ი. დოლიძე ცნობილი ბაბილონის მეფის სახელს ქართულად გადმოცემენ როგორც „ხამურაბს“, ვ. აბაშმაძე კი ხმარობს „ჰამურაბს“. ვფიქრობთ, აკად. გ. მელიქიშვილს უფრო დაეჯერება ამ საკითხში.

ავტორი ზოგჯერ მოძველებულ ლიტერატურას მეტი ყურადღებით ეკიდება, ვიდრე უახლესსა და უკეთესს.

მაგალითად, როგორც ჩანს, იგი არ იცნობს ძველი ჩინეთის პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიაში კოლოსალური ფიგურის — შაგ იანის იგივე გუნსუნ იან-ის (300—338) პოლიტიკური ტრაქტატის რუსულ თარგმანს, რომელიც 1968 წელს გამოსცა გამომცემლობა „ნაუკამ“. ამიტომ ვ. აბაშმაძის წიგნში შან იანის მოძღვრებას სულ ერთი წინადადება აქვს დათმობილი (გვ. 215), მაშინ როდესაც მისი მიმდევრის ხან ფეის მოძღვრება ათ გვერდზეა გადმოცემული.

ვ. აბაშმაძეს თითქოს ბურჟუაზიული ევროპოცენტრიზმის წინააღმდეგ სურდა გალაშქრება, მაგრამ თვით სარეცენზიო ნაშრომის შესაბამის თავებში მაინცდამაინც არ ჩანს „ევროპოცენტრისტი“ მეცნიერების მოსაზრებათა კრიტიკა.

ავტორი აღიარებს, რომ ძველ ჩინეთში უკვე მონათმფლობელურ ხანაში „ჩნდება მიწაზე ინდივიდუალური, კერძო საკუთრება“ (გვ. 175) ეს მოსაზრება დღეს საყოველთაოდ აღიარებულია, მაგრამ მაშინ უსაგნოა დავა ჩინეთში ე. წ. წარმოების აზიური წესის არსებობა — არარსებობის შესახებ.

სარეცენზიო ნაშრომს აქვს დადებითი მხარეებიც და ის მხოლოდ შეცდომებისაგან როდი შედგება.

ვ. აბაშმაძე გაეცნო ძველი აღმოსავლეთის პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიის საკითხებზე არსებულ ლიტერატურას (ძირითადათ რუსულ ენაზე), გაეცნო პოლიტიკური მოძღვრების შემცველი ტექსტების რუსულ თარგმანებს, დაალაგა ისინი და შეძლებისამებრ პოპულიარული ფორმით მიაწოდა მკითხველ საზოგადოებას.

მართალია, „ნარკვევების პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან“ ავტორის მოსაზრების საწინააღმდეგოდ „გამოკვლევად“ და მით უფრო დამოუკიდებელ გამოკვლევად ვერ ჩავთვლით, მაგრამ ხსენებული წიგნის გამოსვლა მაინც აქვს დადებითი მნიშვნელობა. მასში ასე თუ ისე პოპულარულ ფორმაში გადმოცემულია ძველი ეგვიპტის, ბაბილონის, ინდოეთის, ჩინეთის პოლიტიკური მოძღვრებანი.

პირველყოვლისა, ჩვენი აზრით სარეცენზიო წიგნი გამოადგება სტუდენტ ახალგაზრდობას, რამდენაც მასში პოპულარულ ფორმებში გადმოცემულია ძველი აღმოსავლეთის ქვეყნების პოლიტიკური მოძღვრებანი. ამ თვალსაზრისით, მთლიანობაში აღებულს, ნაშრომს უთუოდ გააჩნია დადებითი თვისებებიც.

ავტორი, ვფიქრობთ, მართებულად იზიარებს იმ მეცნიერთა მოსაზრებებს, რომლებიც მიუთითებდნენ ბუნებრივი პირობების თვალსაჩინო როლზე ძველი აღმოსავლეთის საზოგადოებების განვითარებაში, მათ შორის მნიშვნელოვანი განსხვავებულობის წარმოშობაში.

სარეცენზიო ნაშრომი პირველი ქართული წიგნია, რომელშიც სპეციალურად ძველი აღმოსავლეთის პოლიტიკური მოძღვრებანია განხილული. ამდენად წიგნის გამოსვლას არ შეიძლება არ მივესალმოთ; ნაშრომმა შეიძლება გარკვეული ინტერესი აღძრას ახალგაზრდებში ძველი აღმოსავლეთის პოლიტიკურ მოძღვრებათა მიმართ.

წიგნის დადებითი მხარეა ისიც, რომ ავტორი ყურადღებით მოეკიდა ძველი ინდოეთისა და ჩინეთის პოლიტიკურ მოძღვრებათა გადმოცემას და როგორც ჩანს რუსულ ენაზე არსებულ სათანადო ლიტერატურისა და მასალების უმრავლესობას გაეცნო.

დასასრულ კვლავ გვინდა აღვნიშნოთ, რომ ვ. აბაშმაძის წიგნი, გარკვეულ ნაკლოვანებებთან ერთად, ძირითადად დადებით შეფასებას იმსახურებს. როგორც დამხმარე სახელმძღვანელო.

გ. ნადარეიშვილი

ბ 36/20

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასი 1 მან. Индекс 76196